ინკლუზიური განათლება

სასწავლო აქტივობები ყველასათვის

სწავლების მეთოდები
ინკლუზიურ განათლებაში

ქართული ენა და ლიტერატურა

გზამკვლევი მასწავლებლებისთვის

World Vision
GEORGIA

unicef
for every child

პუბლიკაცია მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფი) და ვორლდ ვიჟენ საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებანი სრულიად არაა აუცილებელი ასახავდეს გაეროს ბავშვთა ფონდის და ვორლდ ვიჟენ საქართველოს ოფიციალურ თვალსაზრისს.

გზამკვლევის ავტორები:
მაია მელიქიძე
მაია ბაგრატიონი-გრუზინსკი
რუსუდან ლორთქიფანიძე

ჯგუფის ხელმძღვანელი, კონსულტანტი: თამარ ისაკაძე

გზამკვლევის შექმნაზე მუშაობდნენ:
ვიქტორია მიდელაური - ვორლდ ვიჟენ საქართველო (World Vision Georgia)
მაია ყუფარაძე - გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)

იდეის ავტორი:
ეკატერინე დგებუაძე - განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ილუსტრატორი: მაია ბათუმაშვილი, მაკა ჯებირაშვილი

დიზაინერ-დამკაბადონებელი: ალიონა ელტიშევა

სარჩევი

გზამკვლევის შესახებ 7

შესავალი 8

1. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები და ეროვნული სასწავლო გეგმა, როგორც მათი მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება 8

2. საფეხურებრივი სტანდარტის არსი და ფუნქცია 11

თავი I. **დაწყებითი საფეხურის პირველი ეტაპი** (I-IV კლასები) 15

1. ზეპირმეტყველების კულტურის გამომუშავება 16

1.1. სტანდარტის შედეგები და მათი განმარტებები 17

1.2. აქტივობათა ნიმუშები ფონოლოგიური უნარების განსავითარებლად 25

პირველი-მეორე კლასები

აქტივობა 1. ნაცნობი სიტყვების დამარცვლა 25

აქტივობა 2. მარცვლებად დაშლილი ნაცნობი სიტყვების გამთლიანება 26

აქტივობა 3. სახალისო თამაში - „გამოვიცნოთ სიტყვები“ 28

აქტივობა 4. საგნების დახარისხება მარცვალთა რაოდენობის მიხედვით 29

აქტივობა 5. მარცვლის ამოცნობა მარცვალთა ჩამონათვალში 32

აქტივობა 6. ნახატის შესაბამისი სიტყვის ბგერებად დაშლა 33

აქტივობა 7. სიტყვების ბგერებად დაშლა 35

აქტივობა 8. ბგერების გამთლიანება სიტყვებად 36

აქტივობა 9. ენისგასატეხებზე მუშაობა 37

1.3. აქტივობათა ნიმუშები სათანადო სამეტყველო ქცევის ჩამოსაყალიბებლად ... 38

პირველი კლასი

აქტივობა 1. მარტივ იმიტირებულ სიტუაციებში (როლურ თამაშებში) მონაწილეობა 38

აქტივობა 2. საუბარი საკუთარი ყოველდღიური საქმიანობის შესახებ კითხვარის მიხედვით 42

აქტივობა 3. ნახატების მიხედვით ამბის (ან ზღაპრის) ზეპირად შეთხზვა და გადმოცემა 46

მეორე კლასი

აქტივობა 1. ინფორმაციის გაზიარება („მრგვალი მაგიდის“ მოწყობა) 49

აქტივობა 2. სახალისო თამაში შემაჯამებელი დავალებისათვის - „რა ვიცი და რა შემიძლია“ 51

მესამე კლასი

აქტივობა 1. მინიპრეზენტაციების გამართვა 54

აქტივობა 2. სახალისო ვიქტორინებში მონაწილეობა 57

მეოთხე კლასი

აქტივობა 1. მინიდისკუსიები - საბავშვო სპექტაკლის, ფილმის, მულტფილმის, მხატვრული ნაწარმოების განხილვა 58

აქტივობა 2. კონკურსი გამომსახველობით კითხვაში -„პოეზიის საღამო“ 61

2. წერა-კითხვის უნარის ფლობა 63

2.1. სტანდარტის შედეგები და მათი განმარტებები 64

2.2. წერა-კითხვის სწავლების ეტაპები 65

2.3. აქტივობათა ნიმუშები 66

პირველი-მეორე კლასები

აქტივობა 1. კონტურული ფიგურებისა და ნახატების შექმნა 66

აქტივობა 2. ორიენტირება ბადიან რვეულში 68

აქტივობა 3. ასოების გამოსახვა ბადიან რვეულში 70

აქტივობა 4. ნაცნობი სიტყვების წერა ნახატის დახმარებით 73

აქტივობა 5. სიტყვის ორთოგრაფიული ხატის ცნობა 74

აქტივობა 6. ასო-ბგერების ცნობა-დასახელება 77

პირველი-მეოთხე კლასები

აქტივობა 1. სიტყვის ამოცნობა (ანალიზი და სინთეზი); წერა 78

აქტივობა 2. მითითებული სიტყვების ამოკითხვა და გადაწერა 85

აქტივობა 3. უცნობი ტექსტის კითხვა (კითხვის მოქნილობა) 87

აქტივობა 4. ტექსტის ხმამაღლა კითხვა (კითხვის მოქნილობა) 89

3. სხვადასხვა ტიპის ტექსტის გაგება-გააზრება და გადმოცემა 91

3.1. სტანდარტის შედეგები და მათი განმარტებები 92

3.2. აქტივობათა ნიმუშები 98

პირველი კლასი

აქტივობა 1. მუშაობა ტექსტის მაორგანიზებელ და სტრუქტურულ ელემენტებზე 98

აქტივობა 2. მარტივი სახის პრაგმატული ტექსტების გაგება-გააზრება - ღია ბარათები 101

აქტივობა 3. მხატვრული ტექსტის დამუშავება კითხვის ეტაპების დაცვით 106

აქტივობა 4. მხატვრული პერსონაჟების ქცევის შეფასება 114

მეორე კლასი

აქტივობა 1. პერსონაჟის ქცევის გააზრება 118

აქტივობა 2. ერთ თემაზე შექმნილ სხვადასხვა ტიპის ტექსტებზე მუშაობა 124

მესამე კლასი

აქტივობა 1. გრაფიკული სქემების/დიაგრამების გამოყენება საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრებისათვის 132

აქტივობა 2. გრაფიკული სქემების/დიაგრამების გამოყენება მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრებისათვის 139

მეოთხე კლასი

აქტივობა 1. მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრებაზე მუშაობა კითხვის სამივე ეტაპის დაცვით 144

აქტივობა 2. დარგობრივ-შემეცნებითი ტექსტის გაგება-გააზრებაზე მუშაობა კითხვის სამივე ეტაპის დაცვით 152

4. სხვადასხვა ტიპის მარტივი ტექსტის შექმნა 159

4.1. სტანდარტის შედეგები და მათი განმარტებები 160

4.2. აქტივობათა ნიმუშები 161

პირველი კლასი

აქტივობა 1. მარტივი სახის პრაგმატული ტექსტების შექმნა და გაფორმება 161

აქტივობა 2. მარტივი წერითი დავალებები ნახატის / ფოტოს / ილუსტრაციის გამოყენებით 166

მეორე კლასი

აქტივობა 1. პირადი წერილის შექმნა 170

აქტივობა 2. ნახატის მიხედვით მარტივი ფრაზებისა და რეპლიკების შედგენა 174

მესამე კლასი

აქტივობა 1. ნაცნობ თემატიკაზე წესებისა და რეკომენდაციების შედგენა 177

აქტივობა 2. მცირე ზომის მარტივი ინფორმაციული ტექსტის შედგენა 180

აქტივობა 3. მცირე ზომის მარტივი თხრობითი ტექსტის შედგენა ნახატების გამოყენებით 183

მეოთხე კლასი

აქტივობა 1. ტექსტის შინაარსის წერილობით გადმოცემა საყრდენების დახმარებით 185

აქტივობა 2. ტექსტის მიმართ საკუთარი დამოკიდებულებების წერილობით გამოხატვა 188

აქტივობა 3. ინტერვიუს მომზადება 190

თავი II. **დაწყებითი საფეხურის მეორე ეტაპი** (V-VI კლასები) 195

1. ზეპირმეტყველების კულტურის გამომუშავება 196

1.1. სტანდარტის შედეგები და ტიპური აქტივობები 197

1.2. აქტივობათა ნიმუშები 199

მეხუთე კლასი

აქტივობა 1. საგანგებო სიტუაციაში გამოსავლის პოვნა (პრობლემის გადაჭრა) ... 199

აქტივობა 2. ემოციური კომენტარები პოეტური ნაწარმოების გარშემო 203

მეექვსე კლასი

აქტივობა 1. დისკუსიის (არაოფიციალური დებატის) მოწყობა 206

აქტივობა 2. ლიტერატურული სამსჯავროს გამართვა - იმიტირებული სასამართლო 209

2. ტექსტის გაგება-გააზრება და გადმოცემა 216

2.1. სტანდარტის შედეგები და ტიპური აქტივობები 216

2.2. აქტივობათა ნიმუშები 219

მეხუთე კლასი

აქტივობა 1. კოგნიტური დიაგრამების გამოყენება საინფორმაციო და დარგობრივი ტექსტების გაგება-გააზრებისათვის 219

აქტივობა 2. გავაცოცხლოთ გარემო - აღწერითი ტექსტის გაგება-გააზრება ძიებითი კითხვის სტრატეგიის გამოყენებით 225

მეექვსე კლასი

აქტივობა 1. გრაფიკული სქემების გამოყენება მხატვრული ტექსტის გაგება გააზრებისათვის - გმირისა და ამბის რუკების შექმნა 230

3. სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტის შექმნა 237

3.1. სტანდარტის შედეგები და ტიპური აქტივობები 237

3.2. აქტივობათა ნიმუშები 238

მეხუთე კლასი

აქტივობა 1. პრაგმატული ტექსტის შექმნა (რეკლამა) 238

აქტივობა 2. შემოქმედებითი წერა წერის სამივე ეტაპის დაცვით (ჯადოსნური ზღაპრის შექმნა) 244

მეექვსე კლასი

აქტივობა 1. ჩატარებული კვლევის მიხედვით მარტივი წერილობითი ანგარიშის შედგენა 251

აქტივობა 2. შემოქმედებითი წერა მოდელისა და გრაფიკული მაორგანიზებლების გამოყენებით (მოთხრობის შექმნა) 256

გამოყენებული ლიტერატურა 264

გზამკვლევის შესახებ

ბოლო წლების მანძილზე მიმდინარე განათლების რეფორმის საფუძველზე მნიშვნელოვნად შეიცვალა წარმოდგენა სასკოლო განათლების შესახებ, აქტუალური გახდა ბავშვზე ორიენტირებული სწავლება, რაც გულისხმობს სასწავლო მიზნების, მეთოდების, სტრატეგიებისა და რესურსების მაქსიმალურ მორგებას ბავშვის შესაძლებლობებსა და ინტერესებზე.

დღეისათვის ინკლუზიური განათლების განვითარების კვალდაკვალ ბევრი ბავშვი იღებს განათლებას საჯარო სკოლებში, თუმცა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების განათლების სისტემაში სრულფასოვანი ინტეგრაცია დღემდე გამოწვევად რჩება მასწავლებლებისთვის, რადგან ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევა საჭიროებს მრავალფეროვან აქტივობებს, ხოლო სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის მასწავლებლების მხრიდან მნიშვნელოვანია სპეციფიური სასწავლო სტრატეგიების და მეთოდების გამოყენება.

იმისთვის, რომ ყველა მოსწავლემ, მიუხედავად საჭიროებისა, მიაღწიოს წარმატებას, მნიშნელოვანია უნივერსალური დიზაინის პრინციპებზე შექმნილი სასწავლო გარემო, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და სკოლის მიღმა მყოფი ბავშვებისთვის საჭიროა სასწავლო გარემოს ადაპტირება, მაგალითად თვალსაჩინო მასალები, გამარტივებული ინსტრუქციები, კავშირის დამყარება ყოფით მოვლენებთან და საგნებთან, დამხმარე საშუალებები და სხვა, გარდა ამისა, სწავლის სირთულის მქონე მოსწავლე უკეთესად აღწევს შედეგებს გამოცდილებით სწავლის საფუძველზე, კონსტრუქტივისტული მიდგომით, კეთებით სწავლის და პრაგმატული სწავლის პრინციპებით დაგეგმილი აქტივობებით. აღნიშნული სახელმძღვანელო შეიქმნა სწორედ იმ მიზნით, რომ მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომი იყოს მრავალფეროვანი აქტივობები. ეროვნული სასწავლო გეგმის და გაკვეთილის მიზნებიდან გამომდინარე მასწავლებლისთვის სახელმძღვანელოში ხელმისაწვდომია აქტივობათა სხვადასხვა ნიმუშები, რომლებიც მასწავლებლებს დაეხმარება გაკვეთილების დაგეგმვის და ჩატარების დროს შეარჩიონ ბავშვის საჭიროებასა და ინტერესებზე მორგებული აქტივობები.

გზამკვლევში მოცემული აქტივობები დაგეგმილია სწავლების უნივერსალური დიზაინის გათვალისწინებით, რომლის თანახმად ბავშვის საჭიროებებზე მორგებული დაგეგმვა ნიშნავს სასწავლო გარემოში ცვლილებების განხორციელებას, რაც ზრდის სასწავლო შედეგებს.

შესავალი

1. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები და ეროვნული სასწავლო გეგმა, როგორც მათი მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე თავისუფალი პიროვნების ჩამოსაყალიბებლად. ამასთან ერთად განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც წარმოადგენს საბაზისო დოკუმენტს და განსაზღვრავს, რა, როდის და როგორ უნდა ისწავლებოდეს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, კერძოდ: სწავლა-სწავლების მიზნებსა და საგანმანათლებლო პრინციპებს; ძირითად მეთოდიკურ ორიენტირებს; სასწავლო პროცესის ორგანიზებას; მოსწავლის შეფასების სისტემას; ცალკეულ საგანთა სწავლის მიზნებსა და ამოცანებს, საგნობრივ სტანდარტებსა და პროგრამებს; ინკლუზიური განათლების პრინციპებსა და ა.შ.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები	**განმარტება**	**ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მიზნები და ამოცანები**
ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება	სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;	ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებამ მოზარდს უნდა: • განუვითაროს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი; სწორი წერისა და მეტყველების კულტურა; • უზრუნველყოს დისკუსიებში მონაწილეობა, სხვადასხვა ტიპის ტექსტების გააზრებული კითხვისა და შექმნის უნარის გამომუშავება; • უზრუნველყოს საკუთარი აზრის მკაფიოდ და ლოგიკური თანამიმდევრობით გამოხატვა;
ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა	მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს; რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ; როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო;	

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები	განმარტება	ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მიზნები და ამოცანები
ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი	დღეს, როდესაც მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს არა მხოლოდ მისი მოპოვება, არამედ ერთად მისი შეფასება და გამოყენებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით. მოზარდს უნდა შეეძლოს ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად;	• გამოუმუშაოს პრობლემების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის, პიროვნული პოზიციის ჩამოყალიბებისა და მისი არგუმენტირების უნარი; • უზრუნველყოს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარის განვითარება საგანმანათლებლო მიზნებით; • განუვითაროს სასიცოცხლო უნარ-ჩვევები (თანამშრომლობა, თავისუფალი არჩევანის გაკეთება, პრობლემის გადაჭრა, შემოქმედებითობა და სხვ.); • ხელი შეუწყოს მოზარდის დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების განვითარებას; • უზრუნველყოს მოზარდის სრულფასოვანი ინტეგრირება სამოქალაქო საზოგადოებაში; • ხელი შეუწყოს იმგვარი პიროვნების აღზრდას, რომელიც შეძლებს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმას, საკუთარი წვლილის შეტანას ქვეყნის წინსვლასა და სამოქალაქო საზოგადოების შემდგომ განვითარებაში;
დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება	სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები;	
იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე	სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს საშუალებას, არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;	
საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც	სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება, არჩევანის გაკეთება შემდგომი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის;	

<table>
<tr><th>ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები</th><th>განმარტება</th><th>ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მიზნები და ამოცანები</th></tr>
<tr><td>კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან</td><td>სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები;</td><td rowspan="2">• გამოუმუშაოს კულტურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემის გრძნობა;
• გამოუმუშაოს ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის, აღქმისა და გაცნობიერების უნარი; დაეხმაროს ლოკალური და ზოგადსაკაცობრიო კულტურის, როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესის გაცნობიერებაში;
• განუვითაროს უცხო კულტურის გაგების უნარი; ფასეულობათა აღქმა-გააზრებისა და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის უნარი;
• ჩამოუყალიბოს და განუვითაროს სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულება (პიროვნულ განსხვავებათა დაფასება და პატივისცემა, ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა და სხვ.).</td></tr>
<tr><td>იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე</td><td>დღევანდელ ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთგაგების, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად.</td></tr>
</table>

2. საფეხურებრივი სტანდარტის არსი და ფუნქცია

ახალი, 2017-2023 წლების ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, პირველ რიგში, გულისხმობს წლიურის ნაცვლად საფეხურებრივი სტანდარტების დანერგვას, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და მათი მიღწევის გზებსა და საშუალებებზე. გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება, თავის მხრივ, შესაძლებელს ხდის სასწავლო პროცესის დაგეგმვას მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, რაც ეხმარება მოსწავლეს ფუნდამენტური, მყარი, დინამიკური ცოდნის კონსტრუირებაში.

სტანდარტის საფეხურებრივი შედეგების შემოტანა მეტ თავისუფლებას იძლევა და პირდაპირ პასუხობს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო კონცეფციას, რაც არის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი ღერძი. პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მის მიერ მიღწეული შედეგი.

საფეხურებრივი სტანდარტი მასწავლებელს მეტ საშუალებას აძლევს, სწორად შეუწყოს ხელი ბავშვზე მორგებული სისტემის ამოქმედებას, საგანმანათლებლო პროცესი მოარგოს ცალკეული მოსწავლის განვითარების ტემპს, გაითვალისწინოს თითოეული მათგანის ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, სწავლის სტილი, პირადი გამოცდილება და აკადემიური საჭიროებები. ასევე, ყოველ კონკრეტულ სკოლას საშუალება ეძლევა, თავად დაგეგმოს დროის გარკვეული მონაკვეთისათვის საგაკვეთილო პროცესი მოსწავლეების შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით (ამ რეკომენდაციას იძლევა PIRLS-ის კვლევაც, 2011).

მეორე მხრივ, შენარჩუნდა წლიური პროგრამებიც, რაც სკოლას აძლევს საშუალებას, რომ სურვილის შემთხვევაში სტანდარტის შედეგების მისაღწევად გაჰყვეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის მიერ მომზადებულ წლიურ პროგრამებს. წლიურ პროგრამებში დეტალურად გაიწერა, თუ როგორ უნდა მოხდეს საგაკვეთილო პროცესის წარმართვა კონკრეტულ შინაარსზე დაყრდნობით და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულად. წლიურ პროგრამებში მასწავლებელს ინდიკატორების სახით ეძლევა კონკრეტული მითითება იმის შესახებ, როგორ და რა კუთხით უნდა დაამუშავებინოს მოსწავლეებს ჩამონათვალში მოცემული შინაარსობრივი საკითხები. ის ერთგვარი გზამკვლევია, რომელიც მიუთითებს, როგორ უნდა წარიმართოს სასწავლო პროცესი, რათა მოსწავლეებმა გააზრებულად და საფუძვლიანად შეიძინონ ცოდნა.

ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებით საფეხურზე გამოიყო სწავლა-სწავლების ორ საკვანძო ეტაპზე განსახორციელებელი საგნობრივი სტანდარტები:

- I-IV - ოთხწლედის ბოლოს;
- V-VI - დაწყებითი საფეხურის ბოლოს.

საგნობრივ სტანდარტებში სწავლების მიზნები ჩამოყალიბებულია კონკრეტული შედეგების სახით, ანუ იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების სახით, რომლებიც უნდა წარმოაჩინოს მოსწავლემ მოცემული ეტაპების (პირველი-ოთხი კლასისა და მეხუთე-მეექვსე კლასების) დასრულების შემდეგ.

მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ოთხწლედის ფარგლებში მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:

- მოსწავლეთა ბუნებრივი ენობრივი უნარების კორექცია და მათი შემდგომი განვითარება;
- ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის კულტურის გამომუშავება (საწყის დონეზე);
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება;
- კითხვისა და, ზოგადად, სწავლის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება მოსწავლეებში;

- მეტაკოგნიტური უნარების საწყის დონეზე განვითარება (კერძოდ, დაკვირვება საკუთარი სწავლის პროცესზე, დამოუკიდებლად მუშაობა, სასწავლო საქმიანობის ორგანიზება და სხვ.).

დაწყებითი საფეხურის პირველ ეტაპზე პრიორიტეტულია შემდეგ უნარ-ჩვევებზე მუშაობა:

- გაწაფულად კითხვა;
- გამოწერა;
- გადაწერა;
- კარნახით წერა;
- შინაარსის გადმოცემა საკვანძო სიტყვებზე/ილუსტრაციებზე დაყრდნობით;
- ეპიზოდების თხრობა;
- შინაარსის ვრცლად და მოკლედ გადმოცემა.

საგნობრივ უნარებზე მუშაობა გულისხმობს საკომუნიკაციო, აკადემიურ, ენობრივ და სასიცოცხლო (გამჭოლ) უნარებზე ინტეგრირებულად მუშაობას. წარმოვადგენთ საგნობრივი უნარების ცხრილს ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი საფეხურის სტანდარტებთან მიმართებით:

საკომუნიკაციო უნარები	**სტანდარტებით განსაზღვრული პრიორიტეტები**
ზეპირმეტყველება (მოსმენა/ ლაპარაკი)	I-IV კლასებში საგანგებო ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ფონოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც კითხვისა და მართლმეტყველების საფუძველს წარმოადგენს. მუშაობა უნდა წარიმართოს ასევე მოსწავლეთა ორთოეპიული (მართლწარმოთქმის) უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და განვითარების მიმართულებით. V-VI კლასებში სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კრიტიკული მოსმენის, მოსმენილის ინტერპრეტაციისა და შეფასების უნარ-ჩვევების გამომუშავებას; ინდივიდუალური და ჯგუფური საკომუნიკაციო უნარების, ასევე თვითგამოხატვის უნარ-ჩვევების განვითარებას.
კითხვა	საწყის ეტაპზე კითხვის სწავლების უპირველესი მიზანია მოსწავლეებში წერილობითი ტექსტის გაშიფვრის უნარის გამომუშავება - ასოების ამოცნობა და მათი დაკავშირება შესაბამის ბგერებთან; ბგერების გამთლიანება სიტყვად, აკუსტიკური ხატის დაკავშირება სიტყვის მნიშვნელობასთან, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, განივითარონ გაწაფული კითხვის უნარ-ჩვევები; თუმცა მუშაობა უნდა წარიმართოს წაკითხულის გაგება-გააზრების უნარის განვითარების მიმართულებითაც. V-VI კლასებში სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს უკვე მხატვრული ტექსტების მიმართ მოსწავლეთა ესთეტიკური და ემოციური დამოკიდებულების სტიმულირებას. მუშაობა უნდა წარიმართოს იმ მიმართულებითაც, რომ მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ და განუვითარდეთ ქვეტექსტის (იმპლიციტური ინფორმაციის) წვდომის, ასევე მასალის კონტექსტში გააზრებისა და ინტერპრეტაციის, კრიტიკული აზროვნებისა თუ წაკითხულის შეფასების უნარები.

წერა	განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მართლწერისა და, ზოგადად, წერითი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარებაზე მუშაობას. მოსწავლე უნდა დაეუფლოს აზრის წერილობით ჩამოყალიბებას, აგრეთვე მკაფიო ხელწერას, მართლწერისა და პუნქტუაციის სავალდებულო ნორმებს. V-VI კლასებში მუშაობა უნდა წარიმართოს იმ მიმართულებით, რომ მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ გამართული წერითი მეტყველების, აზრის თანამიმდევრულად და ლოგიკურად გადმოცემის უნარ-ჩვევები. ასევე სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა თვითგამოხატვისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას.
აკადემიური უნარები	**სტანდარტებით განსაზღვრული პრიორიტეტები**
ვერბალური მასალის აღქმა, გაგება და გააზრება	ტექსტის გაგება/გააზრება დაწყებით საფეხურზე გულისხმობს სამეტყველო სიტუაციისა და მოცემული ინფორმაციის ამოცნობას როგორც ექსპლიციტურად, ისე იმპლიციტურად; სხვადასხვა ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირებას; მოვლენათა / მოქმედებათა განსაზღვრას დროსა და სივრცეში; სათაურისა და ტექსტის აზრობრივ / შინაარსობრივ ურთიერთკავშირების დანახვასა და ა.შ.
ლოგიკური მსჯელობა და ანალიზი	მოსწავლემ უნდა შეძლოს: კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და/ ან სხვადასხვა ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირების საფუძველზე ლოგიკური დასკვნების გამოტანა; ინფორმაციის დაკავშირება საკუთარ გამოცდილებასთან; საკუთარი შეხედულების / შეფასების დასაბუთება, მარტივ დისკუსიებში მონაწილეობა და სხვა.
ინფორმაციის დამუშავება და მისი გამოყენება	მოსწავლემ მასწავლებლის დახმარებით ან დამოუკიდებლად უნდა შეძლოს ინფორმაციის დამუშავება სხვადასხვა გზით, კერძოდ: მათი კატეგორიზაცია, მაგ., აჯგუფებს კონკრეტული ნიშნის - *სემანტიკური, მსგავსება-განსხვავების, მზარდი-კლებადი ხარისხისა* და ა.შ. მიხედვით; ოპერატიული რესურსების შექმნა და, საჭიროებისამებრ, მათი გამოყენება (მაგ., *ანბანური / თემატური ლექსიკონები, პლაკატები, მარტივი სქემები, დიაგრამები, კითხვარები* და ა.შ.) და სხვა.
სასიცოცხლო უნარები	**სტანდარტებით განსაზღვრული პრიორიტეტები**
შემოქმედებითობა	მოსწავლემ უნდა შეძლოს: ფანტაზიის / წარმოსახვის უნარის გამოვლენა წერითი და ზეპირი მეტყველების დროს; საკუთარი აზრებისა და ემოციების თავისუფლად გამოხატვა; საგნებისა და მოვლენების წარმოჩენა სხვებისაგან განსხვავებულად; საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა სხვადასხვა ფორმით (სიტყვით, ხატვით, მუსიკით, საქმიანობით).
თანამშრომლობა	მოსწავლე უნდა ფლობდეს წყვილური და ჯგუფური მუშაობის საწყის უნარებს - ახერხებდეს თანაგუნდელებთან მორიგებას; მათთან ერთად აგვარებდეს დასმულ პრობლემას; კამათისას ყურს უგდებდეს განსხვავებულ მოსაზრებებს, შეფასებისას იჩენდეს კორექტულობასა და ა.შ.
პრობლემების გადაჭრა	ამ ეტაპზე მოსწავლეს უნდა შეეძლოს: სათანადოდ რეაგირება გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით; იმის ახსნა, რატომ წარმოადგენს სიძნელეს ესა თუ ის საკითხი / მოვლენა; პრობლემის გადაჭრის საკუთარი გზის დასახელება და ამ არჩევანის მარტივად დასაბუთება.

საკუთარი საქმიანობის მართვა	მოსწავლეს მოეთხოვება ისეთი მეტაკოგნიტური უნარების გამოყენება საწყის დონეზე, რომლებიც გულისხმობს: მიზნის შესაბამისად, სათანადო სტრატეგიების შერჩევასა და გამოყენებას; საკუთარ სწავლის პროცესზე დაკვირვებას, დამოუკიდებლად მუშაობას, სასწავლო საქმიანობის ორგანიზებას (დაგეგმვას, განხორციელებასა და მონიტორინგს), დროის მართვასა და სხვა.
ინფორმაციული ტექნოლოგიების (ისტ) გამოყენება	ეს უნარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწავლების დაწყებით საფეხურზე, როდესაც სასწავლო დისციპლინების უმეტესობა ისწავლება ინტეგრირებულად; ისტ-ის გამოყენება თავისთავად გულისხმობს შემოქმედებითობისა და ინოვაციური მიდგომების განვითარებასაც.
ენობრივი უნარები	**სტანდარტით განსაზღვრული პრიორიტეტები**
ენა, როგორც აზროვნების საშუალება	მშობლიური ენის სწავლება გულისხმობს მოსწავლეებში ენობრივი კომპეტენციის განვითარებას და არამხოლოდ გრამატიკული ცოდნის თვითმიზნურ დაგროვებას. ინფორმაციის გაგების, ანალიზისა და შეფასებისათვის მოსწავლეებს მოეთხოვებათ სათანადო ენობრივი კომპეტენციების დაუფლება და მათი ფუნქციური გამოყენება, რაც გულისხმობს დაწყებითი საფეხურის სტანდარტით განსაზღვრული ენობრივი საშუალებების ფლობას, ენის სემანტიკური და სტრუქტურული კანონზომიერებების ცოდნასა და ამ ცოდნის მიზნობრივ გამოყენებას.
ენის კომუნიკაციური ასპექტი	ენის სწავლების ეს კომპონენტი მიზნად ისახავს სოციალური ინტერაქციისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას, რომლებიც აუცილებელია ნებისმიერ სოციალურ გარემოში წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად, კომუნიკაციის ძირითადი ხერხებისა და სტრატეგიების დასაუფლებლად.

თავი I.

დაწყებითი საფეხურის პირველი ეტაპი

(I – IV კლასები)

1. ზეპირმეტყველების კულტურის გამომუშავება

სტანდარტის მიხედვით, მოსწავლემ დაწყებითი საფეხურის ბოლოს უნდა შეძლოს:

- სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი ენობრივ-კულტურული გამოცდილების რეალიზება მისთვის ნაცნობ სოციალურ გარემოში;
- სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციებში მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვითა და ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების გამოყენებით;
- საუბრისა თუ დიალოგის წარმართვა შესწავლილი ტექსტების, საინტერესო თემებისა თუ საკითხების შესახებ; მათ შორის, სხვადასხვა საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ თემებზეც, რომლებიც შეეხება მის პირად გამოცდილებას, სამყაროს შემეცნებას, სოციოკულტურისა და კულტურის საკითხებს (მაგ., ტრადიციებს, ჩვევებს, ურთიერთობებს, გატაცებებსა და ა.შ.), სამოქალაქო განათლებას (მაგ., საკუთარი და სხვისი უფლებების დაცვას, ჯანსაღი ცხოვრების წესს, უსაფრთხოებას, ქცევის წესებს სხვადასხვა სოციალურ გარემოში და ა.შ.);
- კონკრეტული ფაქტებისა და მოვლენების გადმოცემა საკუთარი ცხოვრებიდან;
- შთაბეჭდილებების გაზიარება ნანახის, განცდილის შესახებ;
- ზეპირი კომუნიკაცია ყოველდღიურ ყოფით სიტუაციებში და სხვა.

1.1. სტანდარტის შედეგები და მათი განმარტებები

სტანდარტის შედეგები, რომლებიც უზრუნველყოფს ზეპირმეტყველების კულტურის გამომუშავებას დაწყებითი საფეხურის პირველ ეტაპზე:

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

ქართ.დაწყ.(I).1
სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში;

ქართ.დაწყ.(I).4
ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა;

ქართ.დაწყ.(I).5
ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

განმარტებები შედეგების მოთხოვნებთან დაკავშირებით:

სამეტყველო ქცევა გულისხმობს სამეტყველო აქტში მონაწილე პირების (მთქმელისა და მსმენელის) ქმედებას, რომელიც მოიცავს არა უბრალოდ ინფორმაციის გაცვლას (აღქმას, გაგებასა და გადაცემას), არამედ მსმენელზე გარკვეული ეფექტის მოხდენასაც, რაც ვერბალურთან ერთად არავერბალური ენის საშუალებით მიიღწევა. შესაბამისად, კომუნიკაციის პროცესში **ლაპარაკთან** ერთად მნიშნელოვან როლს ასრულებს **მოსმენაც.** მთქმელი და მსმენელი თანაბრად მონაწილეობენ კომუნიკაციის რთულ პროცესში, რომელიც გარკვეული მიზნის მისაღწევად ხორციელდება. ამ პროცესის წარმატება სხვადასხვა ფაქტორთან ერთად დამოკიდებულია სათანადო ენობრივი კომპეტენციების ფლობასა და აგრეთვე კონკრეტული სტრატეგიების გამოყენებაზე.

არსებობს სამეტყველო ქცევის (საუბარია ზეპირმეტყველებაზე) ზოგადი პარამეტრები, რომლებიც ნებისმიერ საკომუნიკაციო სიტუაციაში თანაბრად მნიშვნელოვანია, ესენია:

- მკაფიოდ და გარკვევით საუბარი;
- აზრის ჩამოყალიბება გასაგებად და თანმიმდევრულად;
- ლოგიკური მახვილების / ინტონაციის დაცვა; ინტონაციის გამოყენება სასვენი ნიშნების ფუნქციით;
- არავერბალური ენის ადეკვატური გამოყენება;
- ეტიკეტის დაცვა.

სამეტყველო ქცევა ვლინდება კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაციებში. გთავაზობთ კონკრეტული კლასისთვის სტანდარტით განსაზღვრულ საკომუნიკაციო სიტუაციებს მიღწევათა დონეების გათვალისწინებით:

პირველი კლასი	• **მარტივ იმიტირებულ სიტუაციებში მონაწილეობა** (მაგ., *სიტუაციური / როლური თამაშები; პერსონაჟის განსახიერება / ამოცნობა ვერბალური და არავერბალური საშუალებებით*); • **მინიდიალოგების გათამაშება** (მაგ., *ინტერაქცია ნაცნობი ტექსტის/თემის გარშემო - კითხვის დასმა და პასუხის გაცემა*); • **საუბარი კონკრეტულ ფაქტებზე** მარტივი გეგმის / ინსტრუქციის მიხედვით (მაგ., *ყოველდღიური საქმიანობის შესახებ*); • მასწავლებლის **მარტივი ზეპირი ინსტრუქციების შესრულება.**
მეორე კლასი	• **მინიინტერვიუს მოწყობა** მეწყვილესთან და **ინფორმაციის** თანაკლასელთათვის **გაზიარება** (მაგ., ინტერვიუ თემაზე: „საცხოვრებელი გარემო“: *(მეწყვილის სახელი)* ცხოვრობს ძნელაძის ქუჩაზე, ცხრასართულიან სახლში, სახლს აქვს დიდი ეზო...“); • მიზნობრივი **იმიტირებული სიტუაციების ორგანიზება** (მაგ., *ეტიკეტური მეტყველების შესაბამისი ენობრივი ფორმულების გამოსაყენებლად* და ა.შ.); • ინფორმაციის **პრეზენტაცია** (მაგ., *წინასწარ შეთავაზებული მარტივი მოსაწვევი ბარათის და/ან აფიშის მონაცემების საფუძველზე ზეპირი განცხადების გაკეთება დაგეგმილი ღონისძიების რაობის, ჩატარების დროის, ადგილისა* და ა.შ. შესახებ).
მესამე კლასი	• **მრავალფუნქციური ზეპირი საკომუნიკაციო სიტუაციის მომზადება და იმიტირება** (მაგ., *ინტერვიუ ცნობილ პოეტთან, მსახიობთან*); • **მინიდიალოგების გათამაშება** ერთსა და იმავე თემაზე / საკითხზე განსხვავებული სამეტყველო სიტუაციების შეთავაზებით (მაგ., *სხვადასხვა ადრესატთან - მასწავლებელთან, თანაკლასელთან, მშობელთან, ოჯახის წევრთან, ნაწარმოების პერსონაჟთან*); • **ტექსტის როლური ინსცენირება;** • **მინიპრეზენტაციების გამართვა** (მაგ., *პრეზენტაცია „ფოტოს მოყოლილი ამბავი“ - მოსწავლეები წარადგენენ საოჯახო ალბომიდან შერჩეულ ფოტოსურათს და ყვებიან მასთან დაკავშირებულ ამბავს*); • **საუბარი / თხრობა სხვადასხვა მიზნით** (მაგ., *საყვარელი წიგნის, ფილმის, მულტფილმის შესახებ საუბარი მასწავლებლის მიერ წინასწარ შეთავაზებულ მარტივ საორიენტაციო შეკითხვებზე დაყრდნობით ან ცოცხალი ინტერაქციის გზით; თანაკლასელებისათვის შთაბეჭდილებების გაზიარება მოსმენილი წიგნის / მოთხრობის შესახებ*); • სასწავლო მასალასთან დაკავშირებულ **სახალისო ვიქტორინებში მონაწილეობა.**
მეოთხე კლასი	• **მინიდისკუსიებში მონაწილეობა** - საბავშვო სპექტაკლის, ფილმის, მულტფილმის, მხატვრული ნაწარმოების განხილვა; • **როლური თამაშის ორგანიზება, იმპროვიზაციის გათამაშება** (მაგ., *ილუსტრაციების მიხედვით პერსონაჟთა გახმოვანება შესაბამისი ტემბრით, ინტონაციით, ჟესტებისა და მიმიკის გამოყენებით*); • **ინტერვიუს გათამაშება ავტორთან / პერსონაჟთან** (მაგ., *შეკითხვების დასმა ნაწარმოების „ავტორის“ და/ან „პერსონაჟის“ მიმართ, რომლის როლსაც ერთ-ერთი მოსწავლე „მოირგებს“, დანარჩენი მოსწავლეები მას უსვამენ შეკითხვებს ტექსტის გარშემო*); • **კონკურსის მოწყობა** გამომსახველობით კითხვაში და სხვა.

მოცემული საკომუნიკაციო სიტუაციების განხორციელება შესაძლებელია როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ გარემოში სხვადასხვა მიზნით, კერძოდ: ა) როგორც სასწავლო აქტივობა კონკრეტული საკითხის გასააქტიურებლად (მაგ., *სამეტყველო ეტიკეტზე მუშაობისას; ვერბალური მასალის აღქმის, გაგებისა და გააზრებისათვის; სხვადასხვა მოდალობის მქონე წინადადებებზე სამუშაოდ; შემოქმედებითი უნარების განსავითარებლად* და ა.შ.); ბ) სწავლების პროცესში მოსწავლეთა განსატვირთად (თუმცა, ასეთ შემთხვევაშიც, მნიშვნელოვანია, რომ ეს სიტუაციები შეესაბამებოდეს კონკრეტული გაკვეთილის მიზნებს და მათი მიმდინარეობისას ყურადღება გამახვილდეს ასევე საკომუნიკაციო ქცევის ზოგად პარამეტრებზეც).

საკომუნიკაციო სიტუაციების მოსამზადებლად და განსახორციელებლად გთავაზობთ რამდენიმე რეკომენდაციას:

1. ნებისმიერი სიტუაციის მომზადებისას მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ სტანდარტში მითითებული საკომუნიკაციო ამოცანები (რა არის მისი მიზანი), მოზარდების ინტერესთა სფერო და მათი ასაკობრივი თავისებურებები;

2. კომუნიკაციის წარმართვამდე უნდა დარწმუნდეთ, კარგად გაიაზრეს თუ არა მოსწავლეებმა საკომუნიკაციო სიტუაციები, კერძოდ:

   - ვინ წარმართავს დიალოგს ან საუბარს;
   - ვინ არის მისი თანამონაწილე დიალოგში; ვის ესაუბრება, ვის მიმართავს, ანუ, ვინ არის მსმენელი;
   - რა არის კომუნიკაციის მიზანი (ანუ, რის შესახებ იმართება დიალოგი, ან რას ეხება საუბარი, მაგ.: გაცნობას, მოკითხვას, დაპატიჟებას, ახსნა-განმარტებასა და სხვა).

   ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ ეს განაპირობებს მათ სამეტყველო ქცევას - სწორად შეარჩიონ და გამოიყენონ ზეპირმეტყველების სათანადო სტრატეგიები; შესაბამისი ენობრივი რესურსი (ლექსიკა, ენობრივი კონსტრუქციები, სამეტყველო ეტიკეტის ნორმები და ა.შ.); მეტყველების ვერბალური და არავერბალური საშუალებები (ინტონაცია, ჟესტები, მიმიკა და ა.შ.).

3. საკომუნიკაციო თემების შერჩევისას მოსწავლის ინტერესებისა და მისი ასაკობრივი თავისებურებების გარდა, გასათვალისწინებელია აგრეთვე სასწავლო მიზანი და კონკრეტული კლასის მიღწევათა დონის მოთხოვნები.

გთავაზობთ საკომუნიკაციო თემების სარეკომენდაციო ჩამონათვალს დაწყებითი საფეხურის სხვადასხვა საგნობრივი სტანდარტის შინაარსზე დაყრდნობით, რომლებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერი საკომუნიკაციო სიტუაციისათვის პირველი კლასიდან მეექვსე კლასის ჩათვლით:

თემები	**სამყაროს შემეცნება**	**სოციოკულტურა და კულტურა**	**მოქალაქეობა და უსაფრთხოება**
მე და ჩემი ოჯახი	საცხოვრებელი გარემოს აღწერა და მასში ორიენტირება; ოჯახური გარემო; ოჯახის წევრები და მათი საქმიანობა...	საოჯახო ჩვევები და ტრადიციები / საოჯახო დღესასწაულები; ურთიერთობები ოჯახის წევრებს შორის	ქცევის წესები ოჯახში, ურთიერთობები უფროსებთან / უმცროსებთან, პასუხისმგებლობის აღება და ა.შ.
მე და ბუნება	ცოცხალი (ცხოველთა და მცენარეთა სამყარო) და არაცოცხალი (მთა, კლდე... ზღვა, ტბა...) სხეულები / ორგანიზმები; ბუნებრივი მოვლენები	ბუნება ყოველდღიურ ცხოვრებაში (მცენარეებთან / ცხოველებთან შეხება, ურთიერთობა...)	როგორ მოვუაროთ ცხოველებს, მცენარეებს; როგორ დავიცვათ ჩვენი ოთხფეხა მეგობრები და ა.შ. როგორ ვიქცევით ბუნებრივი მოვლენების დროს...
ჩემი მეგობრები	ინფორმაცია მათ შესახებ; აღწერა / დახასიათება; მათი საქმიანობა და ინტერესები...	ურთიერთობები და ქცევები; საერთო / განსხვავებული ინტერესები და ა.შ.	პრობლემების გადაჭრის უნარი კონფლიქტურ სიტუაციებში; შემწყნარებლობა და თანასწორობა...
ჩემი სკოლა	სკოლის გარემოს აღწერა და მასში ორიენტირება; საგნები, სასკოლო ნივთები და ა.შ.	გაკვეთილების ცხრილი, სასკოლო აქტივობები, სასკოლო წრეები და ღონისძიებები და ა.შ.	ქცევის წესები სკოლაში, მოსწავლეთა ქცევის კოდექსი; ურთიერთობები თანაკლასელებთან, მასწავლებლებთან და ა.შ.
ჯანმრთელობა	სხვადასხვა ფაქტორის გავლენა ჯანმრთელობაზე - ჰიგიენის ნორმები, დაბინძურებული გარემო, არაჯანსაღი კვება...	ურთიერთობები და ქცევები ექიმთან, შესაბამის დაწესებულებებში და ა.შ.	პირადი ჰიგიენის დაცვა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ჯანსაღი კვება; კომპიუტერი და ჯანმრთელობა და ა.შ.
ქალაქში მოძრაობა	ქალაქის გარემო და მასში ორიენტირება; ქალაქის ღირსშესანიშნაობები და მათი ისტორია	ურთიერთობები და ქცევები ქუჩაში, სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებაში...	პირობითი ნიშნები, უსაფრთხო მოძრაობის წესები, ქალაქის გარემოს დაცვა / გაფრთხილება...
მაღაზიაში	სად რა იყიდება; მაღაზიის გარემო და მასში ორიენტირება.	ურთიერთობები და ქცევები გამყიდველთან, რიგში დგომისას, ნივთის შეძენისას...	რა უნდა გავითვალისწინოთ საკვები პროდუქტებისა და წამლების შეძენისას

თემები	**სამყაროს შემეცნება**	**სოციოკულტურა და კულტურა**	**მოქალაქეობა და უსაფრთხოება**
დროის აღქმა	წელიწადის დროები / სეზონები / კვირის დღეები / დღე-ღამის მონაკვეთები და მასთან დაკავშირებული ცვლილებები; ამინდი, საათები	სეზონური ცვლილებები საქართველოში; განსხვავებული დროის სარტყელები	როგორ ვიმოქმედოთ სეზონური ცვლილებების შესაბამისად; რამდენი საათი უნდა გვეძინოს და რა საფრთხეს იწვევს უძილობა და ა.შ.
ყოველდღიური ყოფა	ერთი ჩვეულებრივი დღე; საქმიანობა სახლში, სკოლაში, უბანსა და ეზოში	დღის რეჟიმი, ყოველდღიური აქტივობები	დროის სწორად განაწილება / დროის მართვის უნარი (რა დრო უნდა დავუთმოთ ჩვენი დღის რეჟიმში გართობას, ტელევიზორსა და ინტერნეტს და ა.შ.)
ჰობი და ინტერესები	რა მომწონს და რა მაინტერესებს; ჩემი საოცნებო პროფესია...	მოგზაურობა, სპორტი, ხატვა და მუსიკა...	სხვადასხვა პროფესიის, საქმიანობის მნიშვნელობა და საჭიროება; თანამედროვე ტექნოლოგიების სწორი გამოყენება
თავისუფალი დრო	სად, ვისთან ერთად და როგორ ვატარებთ თავისუფალ დროს / რით ვერთობით	საყვარელი გადაცემა / წიგნი / ფილმი... კომპიუტერი... თეატრი, კინო, მუზეუმი, გამოფენა...	რისი სწავლა შეიძლება არასაგაკვეთილო აქტივობების შედეგად
მე ეს შემიძლია	ჰერბარიუმი, სახალისო ცდები, კომპოზიციების აწყობა, კულინარია...	საყვარელი კერძის მომზადება, ვებგვერდის შექმნა, კლასის გაზეთი, სპექტაკლის მოწყობა...	უსაფრთხოების წესების დაცვა; ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევების გამოვლენა...
სად როგორ ვიქცევით	ქცევის წესები: კლასში, სკოლაში, ეზოში, ქუჩაში, სახლში, ტრანსპორტში, ბიბლიოთეკაში, მუზეუმში...	ფამილარული და არაფამილარული ურთიერთობები და შესაბამისი სამეტყველო ქცევები	რისი გაკეთება შეიძლება და რისი - არა; როგორ ვიქცევით კონკრეტულ სიტუაციებში, როგორ ვმეტყველებთ...
ექსკურსიაზე	ექსკურსიის მოწყობა (დაგეგმვა და განხორციელება), მარშრუტი; სივრცეში ორიენტირება	ჩემი სოფლის / ქალაქის / ქვეყნის კულტურული ღირსშესანიშნაობები, ისტორია; ინტერესი საკუთარი ქალაქის / სოფლისა და საკუთარი მხარის მიმართ	როგორ დავიცვათ უსაფრთხოების წესები ექსკურსიაზე ყოფნისას (მაგ., კოცონის ჩაქრობა...); როგორ გავუფრთხილდეთ გარემოს (არ დავანაგვიანოთ) და ა.შ.

თემები	**სამყაროს შემეცნება**	**სოციოკულტურა და კულტურა**	**მოქალაქეობა და უსაფრთხოება**
დედამიწა და გარესამყარო	ციური სხეულები; მხარეები, კონტინენტები, ქვეყნები, ოკეანეები, კუნძულები...	სხვადასხვა კონტინენტის / ქვეყნის მნიშვნელოვანი კულტურული და ისტორიული მახასიათებლები	შემწყნარებლობისა და პატივისცემის გამოვლენა უცხო ქვეყნისა და კულტურის მიმართ...
ჩემი სამშობლო	საქართველო და მისი მდებარეობა; კუთხეები... ისტორია და დღევანდელობა; ეროვნული დღესასწაულები	რატომ განსხვავდება საქართველოს სხვადასხვა კუთხე სხვადასხვა ნიშნით (მაგ., ფოლკლორი, ჩაცმულობა, სამზარეულო, წეს-ჩვეულებები და ა.შ.)	საკუთარი პასუხისმგებლობების გათვითცნობიერება; რატომ უნდა ვცეთ პატივი ჩვენი ქვეყნის დროშასა და გერბს
გავუფრთხილდეთ გარემოს	გარემოს მნიშვნელობა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის;	ადამიანის ზემოქმედება გარემოზე - წყლის, ჰაერის, ნიადაგის დაბინძურება, ტყეების გაჩეხვა, ნადირობა...	როგორ გავუფრთხილდეთ გარემოს - სისუფთავის დაცვა... რატომ უნდა მოვიხმაროთ პასუხისმგებლობით ბუნებრივი რესურსები
ჩემი უფლებები			ბავშვთა უფლებები და მოვალეობები...
საგანგებო სიტუაციები	საგანგებო სიტუაციებიდან (ბუნებრივი კატასტროფები, ხანძარი, გაზის გაჟონვა...) მომდინარე საფრთხეები	საგანგებო სიტუაციის სამსახური - 112 ურთიერთობები და ქცევები ცალკეულ შემთხვევებში	უსაფრთხოდ ქცევის უნარი - როგორ მოვიქცეთ საგანგებო სიტუაციებში? ვის და როგორ უნდა მივმართოთ საფრთხეების შემთხვევაში...

მოცემული თემების ფარგლებში, საკუთარი ენობრივ-კულტურული გამოცდილების რეალიზება დაწყებით საფეხურზე მოსწავლემ უნდა შეძლოს შემდეგი სამეტყველო ფუნქციების გამოყენებით:

პრიორიტეტული სამეტყველო ფუნქციები	**სარეკომენდაციო ჩამონათვალი**
სოციალური ურთიერთობები	მისალმება / დამშვიდობება, მოკითხვა, საკუთარი თავის / სხვისი წარდგენა, გაცნობა, მილოცვა (დაბადების დღის, დღესასწაულის), თხოვნა, ნებართვის აღება, შეთავაზება, დაპატიჟება, შეხვედრის დანიშვნა, წახალისება / შექება, თავაზიანობის გამოხატვა, მადლობის გადახდა, მობოდიშება, ტელეფონით საუბარი
ინფორმაციის გაცვლა	პირადი მონაცემები (ვინაობა, ასაკი, წარმომავლობა, სადაურობა, საცხოვრებელი ადგილი), სახელდება პიროვნების / საგნის, ოჯახი / ნათესავები, საკუთრება, პროფესია / ხელობა, საჭიროებები / მოთხოვნილებები / სურვილები, თავისუფალი დრო, საქმიანობა, კვებითი ჩვევები, ჯანმრთელობა, ამინდი, გეგმები / განზრახვა, მგზავრობა / მოგზაურობა, გემოვნება, საყიდლებზე ყოფნისას
აღწერა, დახასიათება	ადამიანის გარეგნობა, ადამიანის ჩაცმულობა, ადამიანის ხასიათი / თვისებები, საგნის, შენობის (სახლი, სკოლა...), ცხოველის, ფრინველის აღწერა
შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა	საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ნივთის, საქმიანობის, ამინდის, საჭმლის... მიმართ), დადებითი, უარყოფითი შეფასება (ნივთის, საქმიანობის, საჭმლის...), შთაბეჭდილება, პოზიციის გამოხატვა
გრძნობების, ემოციის გამოხატვა	დადებითი / უარყოფითი ემოციები (სახარული, კმაყოფილება, ბრაზი, სინანული, გაკვირვება, უკმაყოფილება, ეჭვი, ვარაუდი, შიში, ინტერესი, ინდიფერენტულობა)
დროში ორიენტირება	დროში ლოკალიზება (მითითება საათის / დღის / კვირის / თვის / წლის), ქრონოლოგია, სიხშირე, თანადროულობა, ხანგრძლივობა
სივრცეში ორიენტირება	ადგილმდებარეობის მითითება (ადამიანის, ნივთის, ცხოველის, მარშრუტის...), მიმართულების განსაზღვრა (დანიშნულების ადგილი, მარშრუტი...)
ლოგიკური კავშირის გამოხატვა	მიზანი, მიზეზი, შედეგი, ოპოზიცია, პირობითობა
ინსტრუქციის მიცემა	რჩევა-დარიგება, მოთხოვნა, აკრძალვა, ნებართვა, ვალდებულება
ინტერაქცია საკლასო ოთახში	მასწავლებლის მითითებები (ადექი(თ)! დაჯექი!/დასხედით! გადაშალე(თ) წიგნ(ებ)ი! გამოდი(თ) დაფასთან! წაშალე(თ) დაფა! სიჩუმე! ჩუმად! ითამაშე(თ)! შეხედე(თ)! მომისმინე(თ)! გავიმეოროთ ერთად! დახატე(თ)! გააფერადე(თ)... სწრაფად! ყურადღებით იყავი(თ)! მომისმინე(თ)! მიპასუხე! გაიმეორე(თ)! დავაკავშიროთ! მოვძებნოთ! მაჩვენე(თ)!)

მკაფიოდ და გარკვევით საუბარი მნიშვნელოვანწილად არის დაკავშირებული **ფონოლოგიური უნარ-ჩვევების** განვითარებაზე. ფონოლოგიურ უნარებში, ძირითადად, იგულისხმება ბგერების იდენტიფიცირება, მსგავსი ბგერების ერთმანეთისგან გარჩევა, ბგერების ერთმანეთზე გადაბმა, სიტყვის ბგერებად ან მარცვლებად დანაწევრება და სხვ. ამიტომ ფონოლოგიური უნარების განვითარებაზე მუშაობა ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სწავლების საწყის ეტაპზე. სტანდარტის მიხედვით, მოსწავლემ უნდა შეძლოს: ბგერების / მარცვლების მკაფიოდ გამოთქმა სიტყვაში; მსგავსი ჟღერადობის მარცვლების/სიტყვების გარჩევა; სიტყვების ერთმანეთისაგან პაუზით გამოყოფა და ა.შ.

ფონოლოგიური სავარჯიშოები ტარდება მხოლოდ და მხოლოდ ზეპირ სიტყვებზე, ზეპირ მარცვლებსა და ბგერებზე და არა - ასოებზე, ნაწერ მარცვლებსა და სიტყვებზე. მნიშვნელოვანია, რომ ფონოლოგიური უნარების განვითარებაზე მუშაობა წინ უსწრებდეს წერა-კითხვის დაუფლების პროცესს, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, რომ მასზე მუშაობა გაგრძელდეს იმდენ ხანს, რამდენსაც მოსწავლის საჭიროება მოითხოვს.

ასევე მნიშვნელოვანია მუშაობის წარმართვა მოსწავლეთა ორთოეპიული (მართლწარმოთქმის) უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და განვითარების მიმართულებითაც.

ფონოლოგიური სავარჯიშოები შეიძლება იყოს მარტივიც და რთულიც. მასწავლებელი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მარტივი სავარჯიშოებით და სწავლების პროცესში მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპისა და სირთულის აქტივობები შესთავაზოს პრინციპით - მარტივიდან რთულისაკენ!

სწავლების საწყის ეტაპზე (მით უფრო, 6-7 წლის ასაკის მოზარდებთან, რომლებსაც უჭირთ ზეპირი ინსტრუქციების გაგება-გააზრება) ყოველი ახალი აქტივობის შემოტანისას მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გამოიყენოს მოდელირების მეთოდი - ინსტრუქციის პარალელურად შეასრულოს აქტივობა და შემდეგ ჩართოს მასში მოსწავლეები.

1.2. აქტივობათა ნიმუშები ფონოლოგიური უნარების განსავითარებლად

პირველი – მეორე კლასები

აქტივობა 1. ნაცნობი სიტყვების დამარცვლა

აქტივობის მიზანი:

- მოსწავლის ფონოლოგიური უნარების განვითარება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).4
- სიტყვებს შლის მარცვლებად;
- მკაფიოდ გამოთქვამს მარცვლებს სიტყვაში.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

1. დაკიდეთ სურათები დაფაზე/კედელზე. მიუთითეთ ჯერ ერთ სურათზე და დამარცვლით წარმოთქვით მასზე გამოსახული ნახატის შესაბამისი სიტყვა. შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ გაიმეორონ თქვენთან ერთად.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, რომ დარწმუნდეთ, რამდენად აღიქვამს მოსწავლე თქვენ მიერ მიწოდებულ ვიზუალურ გამოსახულებებს (ფოტოებს, სურათებს) და რამდენად შეუძლია მათი სახელდება. სასურველია, წინასწარ შეფასდეს მოცემული გამოსახულებების ვიზუალური აღქმა და შესაბამისი ლექსიკა.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს უჭირს შესაბამისი ნახატების აღქმა, შესთავაზეთ ფოტოები. თუ ფოტოს იდენტიფიკაციაც გაუძნელდა მოსწავლეს, მაშინ სასურველია რეალური საგნების, ნივთების გამოყენება. რეალური საგნების გამოყენებით მოსწავლისთვის შესამეცნებელი ობიექტი უფრო ცხადად იქნება წარმოდგენილი; უფრო მარტივად შეძლებს მის აღქმას სხვადასხვა არხის გამოყენებით - ვიზუალურად, შეხებით.

ვიზუალური გამოსახულების მიწოდებისას მნიშვნელოვანია, რომ სურათზე ან პოსტერზე არ იყოს ერთდროულად ბევრი ნახატი მოცემული. თუ პლაკატი დატვირთულია, ეცადეთ ფურცლით ან სხვა საშუალებით დამალოთ არასამიზნე გამოსახულებები, რათა არ მოხდეს ყურადღების გადატანა მათზე.

აქტივობის შესრულებისას დააკვირდით მოსწავლეს. თუ ჯგუფთან ერთად ვერ ახერხებს სიტყვის გამეორებას, მიდით მასთან, ახლოს მიუტანეთ სურათი (დარწმუნდით, რომ იგი უყურებს გამოსახულებას); თავიდან დაასახელეთ გამოსახულება და სთხოვეთ გაიმეოროს. გაიმეორეთ რამდენჯერმე (მნიშვნელოვანია, რომ ინსტრუქციის შემდეგ გარკვეული დრო - დაახლ. 10 წამი დაელოდოთ რეაგირებას).

2. ამის შემდეგ მიუთითეთ სხვა სურათზე ან აჩვენეთ კონკრეტული ნივთი / საგანი და დასვით შეკითხვა - *ეს რა არის? მითხარით დამარცვლით!* (საჭიროების შემთხვევაში, კვლავ მოსწავლეებთან ერთად შეასრულეთ დავალება).



კა-ტა

თვალი ადევნეთ მოსწავლეს. გადაამოწმეთ, ხომ არ ზის პასიურად; რამდენად ჩართულია მოცემულ პროცესში; ასრულებს თუ არა დავალებას დამოუკიდებლად, თუ ცდილობს მიბაძოს თანაკლასელებს.

თუ კვლავ უჭირს დავალების შესრულება (ვერ ახდენს ყურადღების კონცენტრაციას; ვერ ასწრებს სიტყვის დამარცვლას), მიუახლოვდით და მასთან ერთად შეასრულეთ დავალება ინიდივიდუალურად.

შესაძლებელია, სიტყვის შემადგენელი მარცვლების წარმოთქმას მიაყოლოთ ტაში. სთხოვეთ მოსწავლეს, თქვენთან ერთად რიტმულად დაუკრას ტაში.

3. როცა დარწმუნდებით, რომ მოსწავლეებმა კარგად გაიგეს აქტივობის პირობა, შემდეგ შეასრულებინეთ მათ დამოუკიდებლად - თქვენ მხოლოდ მიუთითეთ ნახატზე ან საგანზე, მოსწავლეებმა კი დამარცვლით უნდა წარმოთქვან შესაბამისი სიტყვა თქვენი დახმარების გარეშე.

სასურველია, აქტივობა შესრულდეს ჯერ მთელი კლასის მონაწილეობით და შემდეგ - ინდივიდუალურად. პირველ ეტაპზე შეარჩიეთ ორ- და სამმარცვლიანი სიტყვების შესაბამისი ნახატები / საგნები და თანდათან გაართულეთ სამ- და მეტმარცვლიანი სიტყვებით.

წაახალისეთ მოსწავლე როგორც ჯგუფთან ერთად, ისე ინდივიდუალურად შესრულებისას. შეცდომის დაშვებისას, შეუსწორეთ და სთხოვეთ გამეორება.

აქტივობა 2. მარცვლებად დაშლილი ნაცნობი სიტყვების გამთლიანება

აქტივობის მიზანი:

- მოსწავლის ფონოლოგიური უნარების განვითარება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).4

- მარცვლებს ამთლიანებს სიტყვებად;
- მკაფიოდ გამოთქვამს მარცვლებს სიტყვაში.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

აღნიშნული აქტივობის შესრულება გულისხმობს მოსწავლეების მხრიდან დამარცვლილი სიტყვის გამთლიანებას. დამარცვლეთ სიტყვა (მაგ., კა-ტა) და სთხოვეთ მოსწავლეებს, გაამთლიანონ მარცვლები სიტყვიერ ჯაჭვში და ისე წარმოთქვან ეს სიტყვა: **კატა.**

სიტყვის გამთლიანების პროცესის წასახალისებლად მიეცით შემდეგი ინსტრუქცია: გამოიცანი(თ), რა სიტყვა ვთქვი?

საჭიროებისამებრ, გამოიყენეთ მოდელირების სტრატეგია - ჯერ თქვენ შეასრულეთ ეს დავალება და შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს მისი შესრულება.

მნიშვნელოვანია, რომ მუშაობა დაიწყოთ ჯერ ორ- და სამმარცვლიანი მარტივი სიტყვებით და ნელ-ნელა გაზარდოთ მარცვალთა რაოდენობა. მარცვლები წარმოთქვით ნელა და გარკვევით. მარცვლებს შორის თავდაპირველად მცირე ინტერვალი განსაზღვრეთ და შემდეგ გაზარდეთ იგი.

სასურველია, აქტივობა შესრულდეს ჯერ მთელი კლასის მონაწილეობით, შემდეგ - ინდივიდუალურად.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია დარწმუნდეთ, რამდენად გაიგო მოსწავლემ აქტივობის პირობა.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდება დამარცვლილი სიტყვის გამთლიანება, წარმოთქვით ეს სიტყვა და შემდეგ გაამეორებინეთ მოსწავლეს. ეს დაეხმარება მოსწავლეს, გაიგოს რომელი სიტყვის გამთლიანებაზეა საუბარი. ამის შემდეგ თავიდან დამარცვლეთ ეს სიტყვა და სთხოვეთ მისი გამთლიანება. თუ მოსწავლემ კვლავ ვერ მოახერხა მარცვლების გამთლიანება, სცადეთ თავიდან.

თუკი მოსწავლეს მაინც გაუჭირდა ვერბალურად მიწოდებული მარცვლების გამთლიანება, რეკომენდებულია, გამოიყენოთ სამიზნე სიტყვის ვიზუალური გამოსახულება (საგანი, ფოტო, ნახატი). სიტყვის დამარცვლით წარმოთქმის შემდეგ (მაგ., „კა-ტა“), აჩვენეთ მისი გამოსახულება.

ვიზუალური გამოსახულება დაეხმარება მოსწავლეს მარცვლების გამთლიანებაში.

შესაძლებელია აქტივობის გართულება ორი გამოსახულების ჩვენებით. მაგ., მარცვლავთ სიტყვას - **სკამი**, ხოლო აჩვენებთ სკამისა და მაგიდის ვიზუალურ ხატებს (ფოტოს, ნახატს). მოსწავლემ ვერბალურ სტიმულზე დაყრდნობით უნდა მიუთითოს სწორ გამოსახულებას და თან დაასახელოს ეს სიტყვა („სკამი“). თუ ნახავთ, რომ მოსწავლე გაიწაფა მარცვლების გამთლიანებაში, ისევ გამორიცხეთ ვიზუალური თვალსაჩინოება.

აქტივობა 3. სახალისო თამაში - „გამოვიცნოთ სიტყვები“

აქტივობის მიზანი:

- მოსწავლის ფონოლოგიური უნარების განვითარება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).4

- სიტყვებს შლის მარცვლებად;
- მარცვლებს ამთლიანებს სიტყვებად;
- მკაფიოდ გამოთქვამს მარცვლებს სიტყვაში.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

ჩუმად უთხარით ერთ-ერთ მოსწავლეს სიტყვა და სთხოვეთ, ხმამაღლა დამარცვლით წარმოთქვას ეს სიტყვა. დანარჩენმა მოსწავლეებმა უნდა გაამთლიანონ მარცვლები, გამოიცნონ, რა სიტყვაა და დაასახელონ. დამარცვლილი სიტყვის გამთლიანების პროცესის წასახალისებლად კლასს მიეცით შემდეგი ინსტრუქცია, მაგ.: გამოიცანით, რა სიტყვას ამბობს დათო?

რეკომენდებულია, აქტივობაში თავდაპირველად გამოიყენოთ ორ- და სამმარცვლიანი სიტყვები და თანდათან გაზარდოთ მარცვალთა რაოდენობა.

დამარცვლისა და გამთლიანების პროცესი რომ მოსაწყენი არ გახდეს, შესაძლებელია მას სახალისო შეჯიბრის სახე მიეცეს და სახალისო პრიზებითაც დააჯილდოვოთ ჯგუფები.

თუ მოსწავლეს გაუჭირდება თქვენ მიერ მიწოდებული სიტყვის დამარცვლა, მეორე ცდაზე თავიდანვე უჩურჩულეთ უკვე დამარცვლილი სიტყვა და სთხოვეთ მისი ხმამაღლა გამეორება.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს უწევს თავისი თანაკლასელის მიერ დამარცვლილი სიტყვის გამოცნობა/გამთლიანება, მნიშვნელოვანია თავდაპირველად უკვე გავარჯიშებული სიტყვის გამოყენება, ხოლო შემდეგ ნაცნობი, მაგრამ ჯერ გაუვარჯიშებელი სიტყვის მიწოდება.

თუ მოსწავლეს უჭირს ვერბალურად მიწოდებული მარცვლების გამთლიანება, რეკომენდებულია ვიზუალური ობიექტების (საგანი, ფოტო, ნახატი) გამოყენება. მაგ., წინასწარ მაგიდაზე აწყობთ ბარათებს გამოსახულებებით, რომელთა შორის არის სამიზნე სიტყვის შესაბამისი გამოსახულებაც (მაგ., მგლის გამოსახულება). მისი თანატოლი დამარცვლით წარმოთქვამს სიტყვას - „მგე-ლი“, მოსწავლეს სთხოვთ, დაათვალიეროს მაგიდაზე წარმოდგენილი ბარათები, მიუთითოს შესაბამისი

გამოსახულება და წარმოთქვას ის სიტყვა მთლიანად, რომელიც დაასახელა თანაკლასელმა. ვიზუალურად მიწოდებული გამოსახულება დაეხმარება მას მარცვლების გამთლიანებაში.

იმისათვის, რომ ბარათებმა მოსწავლის მხარდამჭერი ფუნქცია შეასრულოს, წინასწარ დარწმუნდით, რომ მოსწავლე სწორად აღიქვამს მათ და შეუძლია მათი სახელდება.

აქტივობა 4. საგნების დახარისხება მარცვალთა რაოდენობის მიხედვით

აქტივობის მიზანი:

- სიტყვების დამარცვლა;
- სიტყვების კატეგორიზაცია მარცვალთა რაოდენობის მიხედვით.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).4

- სიტყვებს შლის მარცვლებად;
- მკაფიოდ გამოთქვამს მარცვლებს სიტყვაში;
- ახარისხებს სიტყვებს მარცვალთა რაოდენობის მიხედვით.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

ამ აქტივობის თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ მოსწავლისაგან რამდენიმე ოპერაციის შესრულებას მოითხოვს, კერძოდ, სიტყვის მარცვლებად დაშლას და სიტყვათა კატეგორიზაციას (დახარისხებას) შემადგენელი მარცვლების რაოდენობის მიხედვით. ამიტომ, სასურველია, ამ ტიპის (ანუ მრავალკომპონენტიან) აქტივობებს თამაშის სახე მისცეთ, რათა მოსწავლეებს მათი შესრულება გაუმარტივოთ.

მოტივაციის გასაზრდელად შესაძლებელია, თამაშს ჯგუფებს შორის შეჯიბრის სახე მიეცეს, რასაც მოსწავლეების სახალისო პრიზებით დაჯილდოებაც მოჰყვება.

თამაშის დაწყებამდე სასურველია, მოსწავლეებიც ჩავრთოთ მისი მომზადების პროცესში, მაგ., მათთან ერთად მოამზადეთ აქტივობისათვის საჭირო რესურსები (სათანადოდ მოაწყეთ სივრცე); პარალელურად აუხსენით, რისთვის დაგჭირდებათ ესა თუ ის საგანი / რა უნდა გააკეთოთ ამ რესურსების გამოყენებით და ა.შ.

აქტივობის გართულება შესაძლებელია მრავალმარცვლიანი სიტყვების შემოტანით და, შესაბამისად, ყუთების რაოდენობის გაზრდით.

1. მოსწავლეებთან ერთად მოამზადეთ სამი ყუთი (ყუთების რაოდენობა დამოკიდებულია სიტყვებში შემავალ მარცვალთა რაოდენობაზე). თითოეულ ყუთს დააწერეთ ის ციფრი, რამდენმარცვლიანი სიტყვისთვისაც არის ის განკუთვნილი (მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს შეეძლოთ აღნიშნული ციფრების ცნობა; თუ ეს ცოდნა მათ ჯერ არა აქვთ, გამოიყენეთ სიმბოლოები, მაგ., რკალები -)))))) ან მარტივი ნახატები, მაგ., მზე, ვარსკვლავი და სხვ.



ერთმარცვლიანი **ორმარცვლიანი** **სამმარცვლიანი**

შესაძლებელია, ყუთებს სიმბოლოების ან ციფრების ნაცვლად დახატული ან მიკრული ჰქონდეს ერთ-, ორ- და სამმარცვლიანი სიტყვის შესაბამისი გამოსახულებები. ერთმარცვლიანი სიტყვის გამოსახულება უცვლელად იქნება მიკრული ყუთზე, ხოლო ორ- და სამმარცვლიან ყუთებზე სურათი დანაწევრებული იქნება ორ ან სამ ნაჭრად. მაგ., ორმარცვლიანი ყუთისთვის კატის გამოსახულება დანაწევრდება ორად; სამმარცვლიანი ყუთისთვის კარადის გამოსახულება - სამად.



2. მოსწავლეებთან ერთად შეაგროვეთ რესურსი: პატარა საგნები / ნივთები, რომლებიც ჩაეტევა ყუთში (მაგ.: კალამი, ფანქარი, ბურთი, წიგნი, ჭიქა, კოვზი...); მარტივი გამოსახულების მქონე სურათები, მაგ.:

და ა.შ.

რესურსების შეგროვებისას დარწმუნდით, რომ ყველა ობიექტი ნაცნობია, მოსწავლე ობიექტებს აღიქვამს შესაბამისად, იცის მათი ფუნქცია და შეუძლია მათი სახელდება. სასურველია, წინასწარ შეფასდეს მოცემული რესურსების სახელდების უნარი.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს უჭირს გამოსახულებას აღქმა, შესთავაზეთ შესაბამისი ფოტოები. თუ მაინც გაუჭირდა მოსწავლეს მათი იდენტიფიკაცია, მაშინ სასურველია რეალური საგნების / ნივთების გამოყენება. ასეთ შემთხვევაში მოსწავლისთვის შესამაცნებელი ობიექტი უფრო ცხადად იქნება მოცემული, შესაბამისად, მისი აღქმაც სხვადასხვა არხის გამოყენებით მოხდება - ვიზუალურად, შეხებით.

3. გამოიყენეთ მოდელირების სტრატეგია და მოსწავლეებს აუხსენით თამაშის პრინციპი. აქტივობა გაითამაშეთ ერთ-ერთ მოსწავლესთან ერთად და დარწმუნდით, რომ სავარჯიშოს არსი ყველასთვის გასაგებია. საჭიროებისამებრ, თავიდან გაითამაშეთ აქტივობა იმ მოსწავლესთან ერთად, რომელსაც გაუჭირდა თამაშის პრინციპის გაგება.

4. ამის შემდეგ დაყავით მოსწავლეები ჯგუფებად. ჯგუფებს დაურიგეთ ყუთები და ყველა საჭირო რესურსი - სურათები, საგნები, ნივთები და განსაზღვრეთ თამაშის დრო.

მოსწავლეთა დაჯგუფებისა და მათთვის ნივთების / საგნების დარიგების შემდეგ მიეცით მათ დამატებითი დრო დარიგებული რესურსის გათავისებისა და შეცნობისათვის.

ამავდროულად, მოსწავლის ჯგუფში განაწილებამდე გაითვალისწინეთ მისი შესაძლებლობა. სასურველია, თავდაპირველად მოსწავლეს მისცეთ მოცემული ნივთებიდან მისთვის ნაცნობი ობიექტების ამორჩევის საშუალება. ამის შემდეგ სთხოვეთ ჯგუფის სხვა წევრებს, გადაინაწილონ დარჩენილი ობიექტები (მნიშვნელოვანია საგნების თანაბარი რაოდენობის მოგროვება ჯგუფის ყველა წევრისათვის).

შესაძლებელია აქტივობის სხვადასხვაგვარად წარმართვა, კერძოდ:

ა) მიეცით თითო ჯგუფს თითო ყუთი. ერთ ჯგუფს შეხვდება ერთმარცვლიანი სიტყვებისთვის განკუთვნილი ყუთი, მეორეს - ორმარცვლიანი სიტყვებისათვის, მესამეს კი - სამმარცვლიანებისათვის და ა.შ. მოსწავლეებმა დარიგებული მასალიდან უნდა შეარჩიონ და ყუთში მოათავსონ ის ნივთები, რომელთა აღმნიშვნელი სიტყვები შედგება ყუთზე მითითებული მარცვლების რაოდენობისგან.

ბ) მიეცით ჯგუფს რამდენიმე ან ყველა ყუთი ერთდროულად და სთხოვეთ, დარიგებული მასალა გადაახარისხონ ყუთებში სიტყვაში მარცვალთა რაოდენობის მიხედვით. ამისათვის შესაძლებელია, მოსწავლეს მისცეთ შემდეგი ინსტრუქცია: დამარცვლით წარმოთქვით, რა არის და შემდეგ ჩადეთ შესაბამის ყუთში!

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს უჭირს ორ- და სამსაფეხურიანი ინსტრუქციის დამახსოვრება და შესრულება, გაამარტივეთ ინსტრუქცია - დაშალეთ ის ეტაპებად და ისე მიაწოდეთ.

პირველ ეტაპზე სთხოვეთ - „მოძებნე შენთვის ნაცნობი საგნები/სურათები“ ან დაუსახელეთ კონკრეტული ნივთები, ფოტოები - „მოძებნე ხე, კალამი, მზე, ბურთი და სხვა“.

მეორე ეტაპზე მიუთითეთ კონკრეტულ საგანზე და მიეცით ახალი ინსტრუქცია - „ეს რა არის?“ დაელოდეთ პასუხს და შემდეგ სთხოვეთ - „მოდი, დამარცვლე ეს სიტყვა“.

მესამე ეტაპზე სთხოვეთ, ჩადოს შესაბამის ყუთში ის ნივთი ან გამოსახულება, რომელიც დამარცვლა.

შესაძლებელია, ამ მოსწავლეს მოეთხოვოს მხოლოდ სამიზნე ნივთის ან ფოტოს შესაბამისი სიტყვის დამარცვლა, ხოლო მის მეწყვილეს - შესაბამისი ყუთის მოძებნა და ყუთში მისი ჩადება.

შესაძლებელია, პირიქითაც წარიმართოს პროცესი. ეს დამოკიდებულია მოსწავლის შესაძლებლობაზე.

აქტივობა 5. მარცვლის ამოცნობა მარცვალთა ჩამონათვალში

აქტივობის მიზანი:

- ფონოლოგიური უნარების განვითარება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).4
- განარჩევს მითითებულ მარცვალს მარცვალთა წყებიდან;
- განარჩევს მსგავსი ჟღერადობის მარცვლებს.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

1. აქტივობის დაწყებამდე აუხსენით მოსწავლეებს აქტივობის პირობა: *მე ჩამოვთვლი მარცვლებს და თქვენ ტაში უნდა დაუკრათ, როცა გაიგონებთ მარცვალს - მა!*

2. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა კარგად დაიმახსოვრონ სამოდელო მარცვალი, რამდენჯერმე გაიმეორეთ ის ჯერ მარტო, შემდეგ - მოსწავლეებთან ერთად.

3. პირველ რიგში, დაიწყეთ აქტივობის მოდელირება: წარმოთქვით სამოდელო მარცვალი (**მა**), რომელიც უნდა ამოიცნონ მოსწავლეებმა მარცვალთა წყებაში (მაგ., *და, მო, ში,* ***მა****, თა, ჩა, მე,* ***მა****, მუ* და ა.შ.) და კიდევ ერთხელ გააფრთხილეთ მოსწავლეები, რომ ტაში დაუკრან ამ მარცვლის გაგონებისას.

> იმისათვის, რომ მოსწავლეს გაუადვილდეს სამიზნე მარცვლის ამოცნობა, შესაძლებელია მისი განსაკუთრებული ექსპრესიით წარმოთქმა.
>
> საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეს ინდივიდუალურად განახორციელებინეთ აქტივობის გამარტივებული ვარიანტი - შეამცირეთ მიწოდებულ მარცვალთა რაოდენობა, წარმოთქვით მხოლოდ ორი მარცალი და გაზარდეთ მათ შორის ინტერვალი. მიეცით მოსწავლეს დრო დასაფიქრებლად და სათანადო რეაქციისათვის.

4. გაიმეორეთ რამდენჯერმე, რათა დარწმუნდეთ იმაში, რომ ყველა მოსწავლემ კარგად გაიგო და დაიმახსოვრა თამაშის პირობა (პარალელურად ცვალეთ სამოდელო მარცვლები).

> იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდება მოცემული პირობის გაგება ან მარცვლის გაგონებაზე რეაგირება, შესაძლებელია წინ დაიყენოთ ის და ხელი ხელზე ტექნიკის გამოყენებით უბიძგოთ, დაუკრას ტაში სამიზნე მარცვლის გაჟღერებისას. შესაძლებელია, ტაშის დაკვრის შემდეგ ან მის პროცესში მოსწავლემ წარმოთქვას მოცემული მარცვალი. ეს უფრო შეუწყობს ხელს შესაბამისი უნარის განვითარებასა და განმტკიცებას. დროთა განმავლობაში, თუ შეატყობთ, რომ მოსწავლე სწორად იწყებს ტაშის დაკვრას, შეამცირეთ თქვენი დახმარება.

5. ამის შემდეგ დაიწყეთ თამაში. ყოველი ახალი მარცვლის შემოტანისას დარწმუნდით იმაში, რომ მოსწავლეებმა ამოსაცნობი მარცვალი დაიმახსოვრეს.

6. კარგად გავარჯიშების შემდეგ გაართულეთ აქტივობა ფონოლოგიურად მსგავსი მარცვლების მიჯრით წარმოთქმით: **ქუ / კუ / გუ; ჯი / ჩი / ჭი / ცი; ბა / ფა / პა** და ა.შ.

მნიშვნელოვანია, რომ პირველ ეტაპზე მარცვლები დაასახელოთ ნელა და გარკვევით. კარგად გავარჯიშების შემდეგ კი უკვე შესაძლებელია ტემპის უმნიშვნელო აჩქარება.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა დავალების შესრულება მხოლოდ ვერბალურ სტიმულზე დაყრდნობით, დაფაზე დაწერეთ სამიზნე მარცვალი - მაგ., „გუ“. დამატებითმა ვიზუალურმა სტიმულმა შესაძლებელია გაუმჯობესოს აქტივობის შესრულება.

იმისთვის, რომ დაწერილმა მარცვალმა, მხარდამჭერი ფუნქცია შეასრულოს, წინასწარ დარწმუნდით, რომ მოსწავლეს მისი ამოკითხვა შეუძლია.

აქტივობა 6. ნახატის შესაბამისი სიტყვის ბგერებად დაშლა

აქტივობის მიზანი:

- ფონოლოგიური უნარების განვითარება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).4

- სიტყვას შლის ბგერებად;
- მკაფიოდ გამოთქვამს ბგერებს სიტყვაში.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

1. დაფაზე დაკიდეთ სურათები და დაიწყეთ აქტივობის მოდელირება. მოდელირების სტრატეგიის გამოყენებით უნდა გააგებინოთ მოსწავლეებს ინსტრუქცია და აქტივობის მიზანი. ამისათვის მიუთითეთ სურათზე და დასვით შეკითხვა - *რა ხატია სურათზე?* დაასახელეთ და შემდეგ დაშალეთ ნახატის შესაბამისი სიტყვა ბგერებად.

პირველ რიგში, დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლე აღიქვამს თქვენ მიერ მიწოდებულ ვიზუალურ გამოსახულებებს (ფოტოებს, სურათებს) და შეუძლია მათი სახელდება. სასურველია, წინასწარ შეფასდეს მოცემული გამოსახულებების ვიზუალური აღქმა და შესაბამისი ლექსიკის ცოდნა.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს უჭირს შესაბამისი ნახატების აღქმა, შესთავაზეთ ფოტოები. თუ მოსწავლეს კვლავ გაუჭირდა ფოტოს იდენტიფიცირება, სასურველია, ჩაანაცვლოთ ის რეალური საგნით/ნივთით. რეალური საგნების გამოყენებით მოსწავლისთვის შესამაცნებელი ობიექტი უფრო ცხადად იქნება წარმოდგენილი და მარტივად მოხდება მისი აღქმა სხვადასხვა არხის გამოყენებით - ვიზუალურად, შეხებით.

ვიზუალური გამოსახულების მიწოდებისას მნიშვნელოვანია, რომ სურათზე ან პოსტერზე არ იყოს ბევრი ნახატი ერთდროულად წარმოდგენილი. თუ პლაკატი დატვირთულია, ეცადეთ ფურცლით ან სხვა საშუალებით დამალოთ არასამიზნე გამოსახულებები, რათა არ მოხდეს ყურადღების გადატანა მათზე.

2. დაუბრუნდით იმავე ნახატს და შეეცადეთ, თქვენთან ერთად ჩააბათ მოსწავლეები იმავე პროცესში: *რა ხატია სურათზე?* - (**მზე**); *აბა, დავშალოთ ეს სიტყვა ბგერებად!* - **მ-ზ-ე.**

ყურადღება მიაქციეთ, რომ ყველა მოსწავლემ მიიღოს მონაწილეობა აქტივობაში. დარწმუნდით, რომ ყველამ გაიგო, რას ითხოვენ მისგან. საჭიროების შემთხვევაში, დაუბრუნდით მოდელირების მეთოდს ახალი სურათის გამოყენებით და ცალკე გაიმეორეთ ეს ყველაფერი იმ მოსწავლეებთან ერთად, რომელთაც გაუჭირდათ დავალების არსის გაგება.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა მოცემული გამოსახულების შესაბამისი სიტყვის ბგერებად დაშლა, შესაძლებელია შემდეგი ადაპტაციები:

ა) ობიექტს ან მის გამოსახულებას დაუმატეთ მინიშნებები; მაგ., გამოსახულების ქვეშ დახატეთ იმდენი მზე ან წერტილი, რამდენი ბგერისგანაც შედგება ის. ყოველი ბგერის წარმოთქმისას მიუთითეთ შესაბამის მინიშნებაზე.

ბ) მინიშნებების ნაცვლად შესაძლებელია თავად სიტყვის მიწერა გამოსახულების ქვეშ და ბგერების წარმოთქმისას შესაბამის ბგერაზე მითითება.

გ) სცადეთ სამიზნე ბარათის იდენტური გამოსახულების დანაწევრება ბგერების რაოდენობის მიხედვით. ორივე გამოსახულება ერთდროულად მიაწოდეთ მოსწავლეს.

ვიზუალური მინიშნებები დაეხმარება მოსწავლეს, დასახელებამდე აღიქვას სიტყვაში შემავალი ბგერების რაოდენობა და აკონტროლოს ყველა ბგერის თანმიმდევრულად დასახელების პროცესი.

3. ამის შემდეგ მოსწავლეებს დამოუკიდებლად შეასრულებინეთ აქტივობა - თქვენ უთითებთ ნახატზე, ისინი ასახელებენ ნახატის შესაბამის სიტყვას და შემდეგ ბგერებად შლიან მას.

დაიწყეთ აქტივობა ერთ- და ორმარცვლიანი სიტყვების შესაბამისი ნახატებით და თანდათან გაართულეთ სამ- და მეტმარცვლიანი სიტყვებით. ნახატების ნაცვლად შეგიძლიათ გამოიყენოთ კლასში/ოთახში/გარეთ... არსებული საგნები, ნივთები და ა.შ.

იმისათვის, რომ მოსწავლე აქტიურად ჩაერთოს დავალების შესრულებაში, ჩართეთ ის მოტორულადაც. წაახალისეთ, ყოველი ბგერის დასახელებისას დაადოს თითი შესაბამის გამოსახულებას - მზეს, ასოს, გამოსახულების ნაწილს, ან დაუკრას ტაში. შესაძლებელია, დაგჭირდეთ ხელით-ხელზე ტექნიკის გამოყენება. ფიზიკური კონტაქტი თანმიმდევრულად შეამცირეთ.

აქტივობა 7. სიტყვების ბგერებად დაშლა

აქტივობის მიზანი:

- ფონოლოგიური უნარების განვითარება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).4

- სიტყვას შლის ბგერებად;
- მკაფიოდ გამოთქვამს ბგერებს სიტყვაში.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

1. თქვენ ასახელებთ სიტყვას და სთხოვთ მოსწავლეებს, დაშალონ ეს სიტყვა ბგერებად და ისე წარმოთქვან; მაგ., ქუდი / ქ-უ-დ-ი. მიეცით მოსწავლეებს შემდეგი ინსტრუქცია: დაშალე(თ) სიტყვა ბგერებად!

> მნიშვნელოვანია, რომ სიტყვის ბგერებად დაშლის შემდეგ თავიდან წარმოთქვათ ეს სიტყვა მთლიანად. ეს დაეხმარება მოსწავლეს ბგერების გამეორება-წარმოთქმისას ისევ იმ ხატთან დაბრუნებასა და ცალკეული ბგერების სიტყვად გამთლიანებაში.

2. ვიდრე უშუალოდ დაიწყებთ აქტივობის განხორციელებას, გამოიყენეთ მოდელირების სტრატეგია და თავად შეასრულეთ მიცემული აქტივობა. ვიდრე არ დარწმუნდებით, რომ ყველამ კარგად გაიგო, რა უნდა გააკეთოს, გაიმეორეთ რამდენჯერმე და ამ პროცესში თქვენთან ერთად ჩართეთ მოსწავლეებიც.

> იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს უჭირს სიტყვის ბგერებად დაშლა, გადაამოწმეთ, რამდენად შეუძლია მას სიტყვის დამარცვლა. შესაძლებელია, ჯერ დამარცვლის უნარის გამტკიცება იყოს საჭირო.
>
> დასაშვებია, რომ მოსწავლე არ იყოს მომწიფებული იმისათვის, სიტყვის ანალიზი მხოლოდ სმენითი (ვერბალური) ხატის საფუძველზე განახორციელოს; ამისათვის შესაძლებელია, დადგეს წინა აქტივობისა და შესაბამისი ადაპტაციების გამოყენების აუცილებლობა (იხ. აქტივობა 6. ნახატის შესაბამისი სიტყვის დაშლა ბგერებად). ვიზუალური ხატი დაეხმარება მოსწავლეს, მუდმივად ჰქონდეს ცნობიერების ველში (ამ შემთხვევაში - მხედველობის ველში) გამოსახულება ან სიტყვა, რომელზეც მუშაობს.

3. ამის შემდეგ მოსწავლეებს დამოუკიდებლად შეასრულებინეთ ეს აქტივობა.

მნიშვნელოვანია, რომ დასაწყისში გამოიყენოთ ერთ- და ორმარცვლიანი მარტივი სიტყვები და თანდათან გაართულოთ სამ- და მეტმარცვლიანი სიტყვებით. შეეცადეთ, პირველ ეტაპზე სიტყვა წარმოთქვათ ნელა და გარკვევით.

თუ მოსწავლეს გაუჭირდება დავალების დამოუკიდებლად შესრულება, თქვენ თავად წარმოთქვით სიტყვის პირველი ბგერები (ან მარცვლები) დანაწევრებით, ხოლო მოსწავლეს წარმოათქმევინეთ დანარჩენები, ანუ სთხოვეთ, დაასრულოს სიტყვა. ამ დროს შესაძლებელია იმუშაოს პირველი ან ბოლო სტიმულის ეფექტმა.

თუ მოსწავლე წარმატებით დაასრულებს მიწოდებულ სიტყვას, შეამცირეთ თქვენ მიერ წარმოთქმული ბგერების (მარცვლების) რაოდენობა.

აქტივობა 8. ბგერების გამთლიანება სიტყვებად

აქტივობის მიზანი:

- ფონოლოგიური უნარების განვითარება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).4

- ამთლიანებს ბგერებს სიტყვებად;
- მკაფიოდ გამოთქვამს ბგერებს სიტყვაში.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

ბგერების ერთ სიტყვად გამთლიანება, ანუ სიტყვის ხმოვანი ხატის სინთეზი უმნიშვნელოვანესი უნარია, რომელსაც მოსწავლე უნდა დაეყრდნოს სიტყვების წაკითხვისას - კითხვის დროს მოსწავლე ასოებს ახმოვანებს ბგერებად, ბგერებს აერთიანებს მარცვლებად და მარცვლებს ამთლიანებს სიტყვებად. ამიტომ ამ უნარის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ და მასზე მუშაობასაც სათანადო დრო დავუთმოთ.

1. დაკიდეთ დაფაზე/კედელზე ერთმარცვლიანი სიტყვების შესაბამისი ნახატები. მიუთითეთ სურათზე. წარმოთქვით ნახატის შესაბამისი სიტყვა, ჯერ ბგერებად დაშლილი (მაგ., **ტ-ყ-ე**), შემდეგ კი გაამთლიანეთ იგი სიტყვიერ ჯაჭვში (**ტყე**).

მნიშვნელოვანია, მუშაობა დაიწყოთ ჯერ ორ- და სამმარცვლიან მარტივ სიტყვებზე და ნელ-ნელა შემოიტანოთ მეტმარცვლიანი სიტყვები. ბგერები წარმოთქვით ნელა და გარკვევით. თავდაპირველად ბგერებს შორის მცირე ინტერვალი განსაზღვრეთ, შემდეგ გაზარდეთ იგი. აქტივობის გართულების მიზნით, შესაძლებელია ბგერებს შორის ტაშის დაკვრაც. სასურველია, აქტივობა შესრულდეს ჯერ მთელი კლასის მონაწილეობით, შემდეგ - ინდივიდუალურად.

2. გაიმეორეთ რამდენჯერმე: ჯერ სხვადასხვა ნახატის გამოყენებით, შემდეგ უკვე ნახატის გარეშე. ვიდრე არ დარწმუნდებით, რომ ყველამ გაიგო დავალების პირობა, თქვენთან ერთად ჩართეთ ამ პროცესში მოსწავლეებიც.

3. ამის შემდეგ შეასრულებინეთ მოსწავლეებს ეს აქტივობა დამოუკიდებლად - თქვენ ანაწევრებთ სიტყვას ბგერებად, მათ უნდა გამოიცნონ, რა სიტყვაა და დაასახელონ. მოსმენილი ბგერების სიტყვად გამთლიანების წასახალისებლად მიეცით მას შემდეგი ინსტრუქცია: მომისმინეთ ყურადღებით და გამოიცანი(თ), რა სიტყვას ვამბობ!

თუ მოსწავლეს უჭირს ვერბალურად მიწოდებული ბგერების გამთლიანება, რეკომენდებულია ვიზუალური ობიექტების (საგანი, ფოტო, ნახატი...) გამოყენება. მაგ., თქვენ ასო-ასო წარმოთქვამთ სიტყვას - „კატა“ და თუ მოსწავლეს უჭირს მისი გამთლიანება, აწვდით კატის გამოსახულებას. ვიზუალურად მიწოდებული გამოსახულება დაეხმარება მას მარცვლების გამთლიანებაში.

აქტივობის გართულება შეიძლება ორი გამოსახულების მიწოდებით. მაგ. ასო-ასო წარმოთქვამთ სიტყვას - „სკამი“, ხოლო აწვდით სკამისა და მაგიდის გამოსახულებებს. მოსწავლემ ვერბალურ სტიმულზე დაყრდნობით სწორი არჩევანი უნდა გააკეთოს ბარათებს შორის და გაამთლიანოს მარცვლები შესაბამის სიტყვად.

თუ დროთა განმავლობაში მოსწავლე გაიწაფა მარცვლების გამთლიანებაში, ისევ გამორიცხეთ ვიზუალური თვალსაჩინოება.

აქტივობა 9. ენისგასატეხებზე მუშაობა. სახალისო თამაში - გამოიცანი, დაიმახსოვრე და გაიმეორე!

აქტივობის მიზანი:

- ფონოლოგიური უნარების განვითარება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).4

- განარჩევს და ასახელებს მითითებულ ბგერას;
- მკაფიოდ გამოთქვამს სიტყვებს;
- პაუზით გამოყოფს სიტყვებს ერთმანეთისაგან.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

მოასმენინეთ მოსწავლეებს ენისგასატეხი. შესთავაზეთ ჯერ მისი ნელი ვარიანტი და სთხოვეთ, დაასახელონ, რომელი ბგერა ესმით ყველაზე ხშირად.

ამის შემდეგ თავიდან მოასმენინეთ კვლავ ნელი ვარიანტი და სთხოვეთ, შეეცადონ მის გამეორებას. გაიმეორეთ ეს პროცესი რამდენჯერმე - ჯერ მთელი კლასის, შემდეგ პატარა ჯგუფებისა და წყვილების მონაწილეობით; ბოლოს ინდივიდუალურად გაამეორებინეთ მოსწავლეებს ენისგასატეხი.

კარგად დამახსოვრების შემდეგ მოასმენინეთ მისი სწრაფი ვარიანტი და სთხოვეთ, თავადაც სწრაფად გაიმეორონ. შეგიძლიათ მოაწყოთ სახალისო შეჯიბრებები.

ენისგასატეხის სიგრძე შეამოკლეთ მოსწავლის სმენითი მეხსიერებისა და რეცეპტული მეტყველების მოცულობის გათვალისწინებით, მაგ., თუ მოსწავლეს ოთხსიტყვიანი ენის გასატეხის გამეორება უჭირს, შეამოკლეთ ის.

ამავდროულად შეარჩიეთ სიუჟეტური სურათი, რომელზედაც გამოსახული იქნება შეთავაზებული ენისგასატეხის შესაბამისი სიუჟეტი.

მოსწავლესთან ერთად აღწერეთ სიუჟეტური სურათი ჯერ მოსწავლის ლექსიკის გამოყენებით, შემდეგ ენისგასატეხში მოცემული სიტყვებით. სიუჟეტის აღწერის შემდეგ წარმოთქვით ენისგასატეხი და პარალელურად მიუთითეთ შესაბამის გამოსახულებებზე. წაახალისეთ მოსწავლე, თავადაც განახორციელოს იგივე.

მომდევნო ეტაპზე მხოლოდ მიუთითეთ გამოსახულებებზე, მოსწავლე კი წაახალისეთ, დამოუკიდებლად წარმოთქვას ენისგასატეხი.

ვიზუალური გამოსახულება დაეხმარება მოსწავლეს ენისგასატეხის შინაარსის წვდომაში, ხოლო მოტორული მინიშნებები - ენისგასატეხის წარმოთქმისას სიტყვების თანმიდევრობის დაცვაში.

1.3. აქტივობათა ნიმუშები სათანადო სამეტყველო ქცევის ჩამოსაყალიბებლად

პირველი კლასი

აქტივობა 1. მარტივ იმიტირებულ სიტუაციებში (როლურ თამაშებში) მონაწილეობა

აქტივობის მიზანი:

- სამეტყველო ქცევის ადეკვატური გამოყენება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).1
- სწორად რეაგირებს ნაცნობ სამეტყველო სიტუაციაში;
- გასაგებად გამოხატავს სათქმელს;
- ადეკვატურად ცვლის სამეტყველო როლებს.

ქართ.დაწყ.(I).4
- ამოიცნობს და სათანადოდ იყენებს სამეტყველო ეტიკეტის ენობრივ ფორმულებს (მისალმება, დამშვიდობება, ბოდიშის მოხდა, მადლობის გადახდა);
- მეტყველებისას იყენებს წინადადების მოდალობებს (შეკითხვას, თხოვნას);
- ადეკვატურად იყენებს აქტიურ ლექსიკას;
- მკაფიოდ გამოთქვამს სიტყვებს.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

როლური თამაში თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული და აქტიური ფორმაა, რომელიც ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფთან შეგვიძლია გამოვიყენოთ.

როლური თამაშები, გარდა სხვა ფუნქციებისა, მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარებასაც უწყობს ხელს. სიმულაციური სიტუაციების გათამაშება განსაკუთრებით სახალისოს ხდის სასწავლო პროცესს (სიმულაცია გულისხმობს რეალობის მსგავსი ხელოვნური სიტუაციების შექმნას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიმულაცია არის რეალობის გათამაშება).

ამ ასაკის მოსწავლეებს განსაკუთრებული დახმარება სჭირდებათ მეწყვილესთან დიალოგის გასათამაშებლად, ამიტომ მნიშვნელოვანია მასწავლებელმა გამოიყენოს მოდელირების სტრატეგია, რომელიც გულისხმობს შესასრულებელი აქტივობის პროცესის ჩვენებას მოსწავლეებისათვის, ანუ ერთ-ერთ მოსწავლესთან ერთად მსგავსი დიალოგის სანიმუშოდ გათამაშებას.

1. ა) უთხარით მოსწავლეებს, რომ ახლა მათ ერთ-ერთ თანაკლასელთან / მეგობართან ერთად გაითამაშებთ პატარა როლს. გამოიყვანეთ მოსწავლე და გასათამაშებელი სიტუაცია ახსენით ხმამაღლა, რათა ყველამ გაიგოს: *მე და გიორგი ახლა გავითამაშებთ ბიბლიოთეკის სცენას. მე ბიბლიოთეკარი ვარ (დააზუსტეთ, რას ნიშნავს ბიბლიოთეკარი - ის, ვინც ბიბლიოთეკაში მუშაობს და წიგნებს გასცემს). გიორგის უნდა, რომ ქართული ზღაპრების წიგნი გაიტანოს ბიბლიოთეკიდან, მოდის ჩემთან და მთხოვს წიგნს.*

ბ) სიტუაციის ახსნისა და როლების განაწილების შემდეგ შეახსენეთ მოსწავლეს (ამ შემთხვევაში, გიორგის), რომ საუბრისას არ უნდა დაავიწყდეს მისალმება, მადლობის გადახდა და დამშვიდობება (განსხვავებული სიტუაციის შეთავაზებისას, შესაბამისად, შეახსენეთ სხვა სოციალური აქტებიც (იხ., ზემოთ, გვ. 23 პრიორიტეტული სამეტყველო ფუნქციების ცხრილში მითითებული სარეკომენდაციო ჩამონათვალი).

გ) დაიწყეთ სიტუაციის გათამაშება. საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ მოსწავლეს საყრდენი შეკითხვებით (ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც მოსწავლეებთან პირველად იწყებთ მსგავსი იმიტირებული სიტუაციებისა და როლური თამაშების განხორციელებას; მაგ., *აბა, გიორგი, საუბარი რით უნდა დაიწყო? ახლა რა უნდა მკითხო? ხომ არაფერი დაგავიწყდა? დამშვიდობება ხომ არ დაგავიწყდა?* და ა.შ.). აუცილებლობის შემთხვევაში, ასევე დაეხმარეთ მოსწავლეებს, დაძლიონ შიში, სიმორცხვე, დაბნეულობა და ა.შ. იმისათვის, რომ დაარწმუნოთ საკუთარ ძალებში, წაახალისეთ და შეაქეთ ისინი.

დ) ამის შემდეგ გამოიყვანეთ სხვა მოსწავლე და მასთან ერთად გაითამაშეთ იგივე საკომუნიკაციო სიტუაცია როლების შეცვლით (*ის არის ბიბლიოთეკარი და თქვენ - ბავშვი*). სამეტყველო როლების შეცვლით, დაეხმარებით მოსწავლეებს ენობრივი რესურსების (მაგ., *წინადადებების მოდალობების - თხოვნა, შეკითხვა, ბრძანება; სამეტყველო ეტიკეტის ენობრივი ფორმულებისა* და ა.შ.) და მეტყველების ვერბალური და არავერბალური საშუალებების (*ინტონაციის, ჟესტის, მიმიკისა* და ა.შ.) სწორად შერჩევასა და გამოყენებაში.

ე) გამოიყვანეთ წყვილი, რომელიც თქვენი დახმარებით წარმართავს დიალოგს ახალ საკომუნიკაციო სიტუაციაში.

2. ბოლოს, მოსწავლეები დამოუკიდებლად ამუშავეთ წყვილებში. წყვილებს შესთავაზეთ ერთმანეთისაგან განსხვავებული სიტუაციები. ყოველი ახალი სიტუაციის შეთავაზებისას აუხსენით საკომუნიკაციო სიტუაცია - *ვის შორის მიმდინარეობს დიალოგი და ვინ არიან ისინი ერთმანეთისთვის, სად მიმდინარეობს ეს დიალოგი, რა არის საუბრის თემა* და ა.შ.

სასურველია, თავდაპირველად აქცენტი გაკეთდეს იმ ბუნებრივი და ყოველდღიური სიტუაციების გათამაშებაზე, რომლებიც მოსწავლეს ცხოვრებაში ხშირად შეხვდება. მაგ.: ურთიერთობა მაღაზიაში, ტრანსპორტში, თეატრში და ა.შ.

როლური თამაშებით მნიშვნელოვანია ისეთი უნარის დასწავლა, როგორიცაა დახმარების თხოვნა სხვადასხვა სიტუაციაში, მაგ., გზის აბნევისას, ტრანსპორტის

შერჩევისას, ფიზიკური დაზიანების მიღებისას და სხვა. მნიშვნელოვანია სხვადასხვა ინსტანციაში დაკავშირების სწავლება. მაგ., 112-სა და 08-ში დარეკვა, სასწრაფოს, სახანძროსა თუ პატრულის გამოძახება და სხვა.

შესაძლოა, ზოგიერთი მოსწავლისათვის რთული აღმოჩნდეს წარმოსახვითი სიტუაციის გაგება. ამ შემთხვევაში შექმენით რეალობასთან მიახლოებული სიტუაცია. ამისათვის შესაძლებელია დამატებითი ადამიანური რესურსის ჩართვა, რეკვიზიტის ორგანიზება და ა.შ.

წარმოსახვის გასააქტიურებლად (ზოგიერთ მოსწავლეს ეს განსაკუთრებით უჭირს, თუკი მსგავს სიტუაციაში ყოფნის გამოცდილება არ აქვს), გამოიყენეთ თვალსაჩინოებები - სიუჟეტური ნახატი, რომელზედაც ასახულია გასათამაშებელი სიტუაცია - მაგ., ბიჭი ესაუბრება გამყიდველს და სთხოვს მაცივრიდან რძის პროდუქტების მოწოდებას.

აქტივობის დაწყებამდე დარწმუნდით, რომ მოსწავლემ კარგად აღიქვა სურათზე გამოსახული სიტუაცია თავისი კონტექსტით. ამისათვის აღწერეთ ნახატი მასთან ერთად და შეკითხვების დასმით გადაამოწმეთ, ჩასწვდა თუ არა შინაარსს.

მნიშვნელოვანია მიღებული ცოდნისა და უნარების რეალურ სიტუაციაში გადატანა. ამისათვის კარგი იქნება, მაგ., მაღაზიაში ან სკოლის ბუფეტში წასვლა და ბუნებრივ გარემოში მათი გენერალიზება.

ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო იქნება ბუნებრივი გარემოსა და იქ მომუშავე პერსონალის წინასწარ მომზადება მოსწავლეთა მისაღებად. მნიშვნელოვანია, მოსწავლეთათვის წინასწარ შეიქმნას კეთილგანწყობილი და დაცული გარემო. მაგ., შესაძლებელია სკოლის მახლობლად მდებარე მაღაზიის გამყიდველის წინასწარ ინფორმირება მოსწავლეთა მოსალოდნელი ვიზიტის შესახებ; რეალური სატელეფონო საუბრის ორგანიზება ექსკურსიის დღეს მოსალოდნელი ამინდის პროგნოზის დასაზუსტებლად და ა.შ.

სიტუაციური დიალოგების გათამაშებისას მასწავლებელმა უნდა წაახალისოს მოსწავლის ჩართვა, მიუხედავად მისი საკომუნიკაციო უნარებისა. მასწავლებელმა მოსწავლის შესაძლებლობებს უნდა მოარგოს აქტივობა. აქტივობაში მონაწილეობა მოსახერხებელი უნდა იყოს მოსწავლისთვის და უნდა სრულდებოდეს მის ხელთ არსებული რესურსების გამოყენებით, თუმცა ამავდროულად აუცილებელია დიალოგში სიახლე და გამოწვევებიც იგრძნობოდეს.

თავდაპირველად შესაძლებელია, მასწავლებელმა დიალოგის ინიციატორის როლი მოირგოს და შესაბამისად წარმართოს დიალოგი. შეკითხვების შერჩევისა და ფორმულირებისას მან უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის შესაძლებლობები. შესაბამისად, მის მიერ დასმული შეკითხვა შეიძლება მოითხოვდეს:

- პასუხს სრული და გაბმული, რთული გრამატიკული კონსტრუქციის მქონე წინადადებით;
- პასუხს მარტივი წინადადებით;
- ერთსიტყვიან პასუხს;
- პასუხს კი/არა-ს გამოყენებით;
- არავერბალურ პასუხს (თავის დაქნევითა და გაქნევით ან მითითებით და ა.შ.).

ნიმუშის სახით გთავაზობთ რამდენიმე სიტუაციას მინიდიალოგების შესაქმნელად:

სიტუაცია 1: მიხვედი მეგობართან სახლში. კარი მეგობრის ბებიამ გაგიღო. მეგობრის ნახვა გინდა, მაგრამ ის სახლში არ არის. იკითხე, მალე იქნება თუ არა და სთხოვე ბებიას, რომ მეგობარმა დაგირეკოს. საუბრისას გამოიყენეთ შესაბამისი ენობრივი ფორმულები (მისალმება-დამშვიდობება, მოკითხვა, მადლობის გადახდა, ბოდიშის მოხდა) და სამეტყველო ეტიკეტის ნორმები.

სიტუაცია 2: თანაკლასელმა დაბადების დღეზე დაგპატიჟა. მადლობა გადაუხადე და შეპირდი, რომ აუცილებლად მიხვალ. გამოიყენეთ შესაბამისი ენობრივი ფორმულები (მისალმება-დამშვიდობება, დაპატიჟება, მადლობის გადახდა) და სამეტყველო ეტიკეტის ნორმები.

სიტუაცია 3: შესთავაზე: დახმარება უცნობ ქალს, რომელსაც მძიმე ჩანთა მიაქვს / შენს თანატოლს, რომელსაც ფეხი გადაუბრუნდა.

სიტუაცია 4: შემოიპატიჟე სახლში, მაგიდასთან მიიწვიე და ხილი შესთავაზე: ა) ოჯახის ნაცნობ უფროს ადამიანს, რომელიც პირველად ნახე; ბ) სტუმრად მოსულ შენს მეგობარსა და მის დას;

სიტუაცია 5: გამოიყენეთ მოცემული საკომუნიკაციო სიტუაციები და გაითამაშეთ სატელეფონო დიალოგები: ა) ხვალ შენი დაბადების დღეა და რეკავ კლასელთან, რომ დაპატიჟო. ყურმილს იღებს მისი უფროსი ძმა; ბ) შენი კლასელი არ იყო სკოლაში. რეკავ, რომ გაიგო მისი ჯანმრთელობის ამბავი. ესაუბრები მის ბებიას; გ) ხვალ აპირებ ზოოპარკში წასვლას და გაინტერესებს, წამოვა თუ არა შენი კლასელი შენთან ერთად. ის სახლში არ არის.

მასწავლებლის დაკვირვების ფურცელი

	I წყვილი	II წყვილი	III წყვილი
პირობასთან შესაბამისობა იცავენ შინაარსობრივ მოთხოვნებს - კი / არა			
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები **საუბრობენ:** • მკაფიოდ და გასაგებად - კი / არა • სათანადო პაუზებით - კი / არა • შესაბამისი ინტონაციის დაცვით - კი / არა • პარაზიტი ჩანართების გამოყენების გარეშე - კი / არა			
ენობრივი უნარ-ჩვევები **სწორად არჩევენ ენობრივ რესურსებს:** • ლექსიკას - კი / არა • წინადადებების მოდალობებს - კი / არა • სამეტყველო ეტიკეტის ენობრივ ფორმულებს - კი / არა			
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები ექსპრესიულად თამაშობენ როლს - კი / არა			

რეკომენდაციები ზოგად რუბრიკებთან დაკავშირებით:

- რუბრიკები უნდა დაკონკრეტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- შეფასების სქემაში აუცილებლად უნდა ფიგურირებდეს პირველი სამი კრიტერიუმი (*პირობასთან შესაბამისობა, კომუნიკაციური უნარ-ჩვევები და ენობრივი უნარ-ჩვევები*);
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების შემოწმება დამოკიდებულია დავალებასა და საგანმანათ-ლებლო პრიორიტეტებზე;
- ენობრივი სიზუსტის დაცვა მოსწავლეს მოეთხოვება მხოლოდ ნასწავლ მასალასთან მიმართებით. უცნობ ენობრივ მასალაში დაშვებული შეცდომის გამო მოსწავლეს ქულა არ უნდა დააკლდეს.

შენიშვნა: *მოცემული შეფასების სქემა შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერ კლასში დიალოგური მეტყველების (მინიდიალოგები, ინტერვიუები, ზეპირი კითხვარების შევსება და ა.შ.) შესამოწმებლად.*

რეკომენდაცია: *მინიინტერვიუების მოწყობა შესაძლებელია ნებისმიერ ნასწავლ ტექსტში მოცემული თემის გარშემო პირად გამოცდილებაზე გადატანით. მაგალითად, სასწავლო ტექსტი ეხება ცხოველების თემას. ტექსტზე მუშაობის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი ამზადებს მოსწავლეებს ამ თემაზე ერთმანეთთან მინიინტერვიუების მოსაწყობად. ა) შესაძლებელია მოსწავლეებთან ერთად წინასწარ კითხვარის შედგენა, რა ტიპის შეკითხვები შეიძლება დაუსვან ერთმანეთს, მაგ., უყვარს თუ არა ცხოველები? რომელი ცხოველი უყვარს / არ უყვარს და რატომ? ჰყავს თუ არა სახლში ცხოველი? რომელი ცხოველი ჰყავს, რა ჰქვია, როგორია? და ა.შ. ბ) მინიინტერვიუების მოწყობა შესაძლებელია: საკუთარი ნახატების გარშემო; საყვარელ ავტორთან, ნაცნობ პერსონაჟებთან (ერთ-ერთი მოსწავლე ირგებს „პერსონაჟის“ როლს, დანარჩენები უსვამენ შეკითხვებს ტექსტის შესახებ) და სხვა.*

აქტივობა 2. საუბარი საკუთარი ყოველდღიური საქმიანობის შესახებ კითხვარის მიხედვით

აქტივობის მიზანი:

- მონოლოგური მეტყველების უნარის განვითარება;
- მეტყველების ვერბალური და არავერბალური საშუალებების მიზნობრივი გამოყენების უნარის განვითარება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).1

- სწორად რეაგირებს ნაცნობ სამეტყველო სიტუაციაში;
- გასაგებად გამოხატავს სათქმელს; გადმოსცემს ფაქტებს;
- მიზნის შესაბამისად იყენებს ინტონაციას, ჟესტებს, მიმიკას.

ქართ.დაწყ.(I).4

- ადეკვატურად იყენებს აქტიურ ლექსიკას; წინადადების მოდალობას (თხრობას) საკავშირებელ სიტყვებს;
- წინადადების დასრულებას გამოხატავს პაუზით, თავს არიდებს პარაზიტი ჩანართების გამოყენებას, საუბრობს მკაფიოდ და გასაგებად.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

ამ აქტივობის განხორციელებამდე მოსწავლეებთან ერთად დაამუშავეთ კონკრეტული თემები (მაგ., *დღის რეჟიმი, ყოველდღიური აქტივობები, პირადი ჰიგიენის დაცვა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ჯანსაღი კვება; კომპიუტერი* და *ჯანმრთელობა* და ა.შ. იხ. საკომუნიკაციო თემების სარეკომენდაციო ჩამონათვალი, გვ. 20-22) როგორც შინაარსობრივი, ისე ენობრივი კუთხით (მაგ., *დროში ლოკალიზება - საათის მითითება, დღე-ღამის მონაკვეთების ქრონოლოგია, სიხშირე, თანადროულობა, ხანგრძლივობა; შესაბამისი ლექსიკა, ენობრივი კონსტრუქციები* და ა.შ.);

1. თემის სათანადოდ დამუშავების შემდეგ მოსწავლეებს დაურიგეთ წინასწარ მომზადებული კითხვარი შესავსებად. მიეცით მათ შემდეგი ინსტრუქცია: *წაიკითხეთ და მონიშნეთ შესაბამისი უჯრა.*

	ყოველთვის	ხშირად	იშვიათად	არასოდეს
ვიღვიძებ ადრე.				
ტელევიზორს მარტო საღამოს ვუყურებ.				
შუადღისას ვთამაშობ კომპიუტერს.				
ვსადილობ ორ საათზე.				
ვუსმენ მუსიკას.				
ვიძინებ გვიან.				
ვმეცადინეობ მეგობრებთან ერთად.				
ჭამის წინ ვიბან ხელებს.				
მარტო ვუყურებ მულტფილმებს.				
და ა.შ.				

შესაძლებელია კითხვარში მოცემული ინფორმაცია შეიცვალოს, შეივსოს ან, პირიქით, შემცირდეს. კითხვარის გამოყენება რეკომენდებულია ასევე დიალოგური მეტყველებისთვისაც წყვილებში სამუშაოდ. ასეთ შემთხვევაში ამ აქტივობას კიდევ ერთი მიზანი ექნება - რამდენად ახერხებს მოსწავლე სამეტყველო ქცევის ადეკვატურად შეცვლას. მოსწავლეები კითხვარზე დაყრდნობით დასვამენ და უპასუხებენ ერთმანეთის შეკითხვებზე, მაგ.: მე ყოველთვის ადრე ვიღვიძებ, შენ როდის იღვიძებ? მე ხშირად ვუსმენ მუსიკას, შენ რას აკეთებ ხშირად? და ა.შ.

3. საჭიროების მიხედვით, თქვენც შეავსეთ ერთი კითხვარი და მოდელირების სტრატეგიის გამოყენებით გააცანით მოსწავლეებს თქვენი ყოველდღიური საქმიანობა მასზე დაყრდნობით.

4. ამის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, გამოიყენონ საკუთარი კითხვარები და ისაუბრონ საკუთარი ყოველდღიური საქმიანობის შესახებ. საუბრის წასახალისებლად მიეცით მოსწავლეებს შემდეგი ინსტრუქცია: გამოიყენე შენი კითხვარი და ისაუბრე შენ შესახებ - რას აკეთებ ყოველდღე?

რეკომენდებულია, შეარჩოთ ისეთი დებულებები, რომლებიც მოსწავლის ყოველდღიურ საქმიანობას შეესაბამება.

თუ მოსწავლეს გაუჭირდება მსგავსი ცხრილით მანიპულირება, სცადეთ მისი ადაპტაცია მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით:

ა) თუ უჭირს წინადადების კითხვა და შინაარსის წვდომა (მაგ., კითხულობს ცალკეულ სიტყვებს, მაგრამ უჭირს მათი ერთმანეთთან დაკავშირება), წინადადება ჩაანაცვლეთ საკვანძო სიტყვით; მაგალითად, ნაცვლად წინადადებისა „შუადღისას ვთამაშობ კომპიუტერს“, ცხრილის შესაბამის სტრიქონში ჩაწერეთ მხოლოდ სიტყვა „კომპიუტერი“;

ბ) თუ საკვანძო სიტყვა არ იქნება საკმარისი შეკითხვის ფორმულირებისთვის, მას თან შესაბამისი სიუჟეტური სურათიც დაურთეთ; მაგალითად, წინადადებასთან „შუადღისას ვთამაშობ კომპიუტერს“ ან სიტყვასთან - „კომპიუტერი“ , ცხრილში დამატებით მოათავსეთ კომპიუტერის გამოსახულება.

გ) გახსოვდეთ, თუ აქტივობის მიზანი სიტუაციური დიალოგიის განხორციელებაა, შესაძლებელია, ამ აქტივობის ფარგლებში კითხვის აქტივობაზე (კითხვარის ამოკითხვაზე) უარის თქმა. შესაბამისად, თუ მოსწავლე ვერ კითხულობს, მიაწოდეთ მხოლოდ სიუჟეტური სურათები.

მიეცით მოსწავლეს შემდეგი ინსტრუქცია: „გამოიყენე მოცემული ბარათი და ისაუბრე შენ შესახებ - მომიყევი, რას აკეთებ ყოველდღე?“

სიუჟეტური სურათები ფურცელზე დაამაგრეთ იმ თანმიმდევრობით, რომელი თანმიმდებრობითაც გსურთ დიალოგში შეკითხვების დასმა. მიუთითეთ სიტყვაზე/ ბარათზე და დასვით შესაბამისი შეკითხვა, მაგ., თუკი ბარათზე ხატია გოგონა, რომელმაც ეს-ესაა გაიღვიძა, მიანიშნეთ ბარათზე და იკითხეთ - „შენ, როდის იღვიძებ ხოლმე?“ და ა.შ. მერე მიანიშნეთ სხვა ბარათზე და სთხოვეთ მოსწავლეს, დაგისვათ ბარათის შესაბამისი შეკითხვა. თუ კვლავ გაუჭირდა თქვენი თხოვნის შესრულება, ისევ თქვენ დასვით ახლა უკვე მეორე ბარათის შესაბამისი შეკითხვა. თავდაპირველად შესაძლებელია მოსწავლე მხოლოდ მოპასუხის როლში იყოს, თუმცა წაახალისეთ როლების ცვლილებაც.

თუ გსურთ კონკრეტული ლექსიკური ერთეულების ან გრამატიკული კონსტრუქციების წახალისება, გახსოვდეთ, ეს დიდწილად თქვენ მიერ დასმულ შეკითხვებზეა დამოკიდებული. მაგ., თუ გსურთ, რომ მოსწავლემ გამოიყენოს ინტენსივობის გამომხატველი ლექსიკა - „ყოველთვის“, „ხანდახან“ და სხვა, აუცილებელია თქვენს შეკითხვაში ეს სიტყვა ფიგურირებდეს. მაგ., „ყოველთვის უყურებ ტელევიზორს ძილის წინ?“ თუ მოსწავლეს გაუჭირდა კითხვაზე დამოუკიდებლად სრული პასუხის ფორმულირება, თავად გაეცით მას პასუხი - „მე ყოველთვის ვუყურებ ტელევიზორს ძილის წინ, შენ?“

შეკითხვების შერჩევისა და ფორმულირებისას მნიშვნელოვანია მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინება. ამგვარად, მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვა შეიძლება მოითხოვდეს მოსწავლისგან:

- პასუხს სრული და გაბმული, რთული გრამატიკული კონსტრუქციის მქონე წინადადებით;
- პასუხს მარტივი წინადადებით;
- ერთსიტყვიან პასუხს;

- პასუხს კი/არა-ს გამოყენებით;
- არავერბალურ პასუხს (თავის დაქნევას და/ან გაქნევას; მითითებით რეაგირებას და ა.შ.).

გახსოვდეთ, ზოგიერთი მოსწავლის მხრიდან დიალოგში მონაწილეობა შესაძლებელა მხოლოდ თავის დაქნევით ან ერთსიტყვიანი პასუხებით შემოიფარგლებიდეს. შესაძლოა, ეს საუკეთესო შედეგიც კი იყოს მისთვის.

მასწავლებლის დაკვირვების ფურცელი

	გიორგი	**ანა**	**დათო**
პირობასთან შესაბამისობა: იცავს შინაარსობრივ მოთხოვნებს - **კი / არა**			
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები **საუბრობს:** • მკაფიოდ და გასაგებად - **კი / არა** • სათანადო პაუზებით - **კი / არა** • პარაზიტი ჩანართების გამოყენების გარეშე - **კი / არა**			
ენობრივი უნარ-ჩვევები • იყენებს ადეკვატურ ლექსიკას - **კი / არა** • თხრობისას იცავს ლოგიკურ თანამიმდევრობას - **კი / არა** • იცავს ენობრივ გამართულობას - **კი / არა**			

შენიშვნა: *მოცემული შეფასების სქემა შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერ კლასში მონოლოგური მეტყველების შესამოწმებლად აღწერითი ტექსტის გადმოცემისას.*

აქტივობის მოთხოვნების ადაპტირების შემთხვევაში, მასწავლებელს მოუწევს დაკვირვების ფურცლის ადაპტირებაც მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით. მაგ., შესაძლებელია, მასწავლებელმა მოსწავლე შეაფასოს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- ჩართული და კონცენტრირებულია სიტუაციურ დიალოგზე;
- სწორად აღიქვამს მიმართულ შეკითხვებს;
- შეკითხვებს პასუხობს _____ (დააზუსტეთ - ჟესტებით, სხეულის ენით, ერთი სიტყვით, მარტივი წინადადებით და სხვა).

აქტივობა 3. ნახატების მიხედვით ამბის (ან ზღაპრის) ზეპირად შეთხზვა და გადმოცემა

აქტივობის მიზანი:

- საკომუნიკაციო (მონოლოგური მეტყველების) და შემოქმედებითი უნარების განვითარება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).1
- გასაგებად გამოხატავს სათქმელს;
- გადმოსცემს ფაქტებს თანმიმდევრულად.

ქართ.დაწყ.(I).4
- ადეკვატურად იყენებს აქტიურ ლექსიკას, წინადადების მოდალობას, საკავშირებელ სიტყვებს;
- წინადადების დასრულებას გამოხატავს პაუზით, თავს არიდებს პარაზიტი ჩანართების გამოყენებას;
- საუბრობს მკაფიოდ და გასაგებად.

ქართ.დაწყ.(I).5
- მიზნის შესაბამისად იყენებს საყრდენებს - ილუსტრაციებს, შეთავაზებულ მარტივ სქემას.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

გამოიყენეთ სერიული სიუჟეტური ნახატები (შემდგარი 3-4 ნაწილისგან) ან კომიქსები. განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში შეამცირეთ ნახატების რაოდენობა და გამოიყენეთ 1 ან 2-3 ნაწილისგან შემდგარი სიუჟეტური ნახატები. მნიშვნელოვანია, რომ იყოს მარტივი ტიპის სიუჟეტები, განთავისუფლებული ზედმეტი დეტალებისაგან.

შესაძლებელია ამ აქტივობას სახალისო კონკურსის სახე მისცეთ, დააწესოთ ნომინაციები და წინასწარ გააცნოთ ჯგუფებს შეფასების კრიტერიუმები, მაგ., დაჯილდოვდება: ა) ყველაზე სასაცილო ამბავი; ბ) ყველაზე უცნაური ისტორია; გ) ყველაზე შეკრული გუნდი (თანამშრომლობა); დ) ენობრივად ყველაზე გამართული ამბავი და ა.შ.

1. დაყავით კლასი ჯგუფებად და დაურიგეთ წინასწარ მომზადებული სერიული სიუჟეტური სურათები. ჯგუფებმა შესაძლებელია დაამუშაონ როგორც ერთი, ისე განსხვავებული სიუჟეტური სურათები.

აუხსენით მოსწავლეებს აქტივობის მიზანი - სიუჟეტურ სურათ(ებ)ზე დაყრდნობით ამბის სიუჟეტური ხაზის განვითარება; იმის განსაზღვრა, თუ *როგორ დაიწყო ამბავი, რა მოხდა შემდეგ და რით დამთავრდა.*

აქტივობის შესრულების წასახალისებლად მიეცით მოსწავლეებს შემდეგი ინსტრუქცია: „დააწყვეთ სურათები თანამიმდევრულად, სურათების მიხედვით მოიფიქრეთ ამბავი და მოგვიყევით!“

შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ არ დაავიწყდეთ როგორც სათაურის მოფიქრება, ასევე პერსონაჟებისთვის სახელების დარქმევა.

წარმართეთ მოსწავლეთა ყურადღება დაფაზე წინასწარ მიმაგრებულ სქემაზე და გააანალიზეთ ის მათთან ერთად. საჭიროებისამებრ, სქემა განავრცეთ საყრდენი ენობრივი ფორმულებით. აუხსენით, რომ ეს მხოლოდ ნიმუშია და შეუძლიათ ის შეცვალონ. დატოვეთ სქემა სამუშაოს დასრულებამდე.

სქემის ნიმუში:



2. დავალების შესრულების პროცესში აკონტროლეთ ჯგუფების მუშაობა და, საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ მათ. დააკვირდით ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობებს, თანამშრობლობას და ყველაფერი დააფიქსირეთ დაკვირვების ფურცელზე.

3. სამუშაოს დასრულების შემდეგ წაახალისეთ ჯგუფები, ცალ-ცალკე წარადგინონ საკუთარი დავალება კლასის წინაშე. სასურველია, ამბის გადმოცემაშიც ჯგუფის ყველა წევრმა თანაბრად მიიღოს მონაწილეობა, მაგ., ერთი იწყებს, სხვები აგრძელებენ და ა.შ.

მოსწავლის თავისებურებების გათვალისწინებით, შესაძლებელია, გაამარტივოთ დავალება და რესურსიც:

ა) თუ მოსწავლე ვერ უმკლავდება მოთხოვნას, სერიული ბარათების დათვალიერების შემდეგ აღმოაჩინოს სიუჟეტური ხაზი და სწორი თანმიმდევრობით დაალაგოს ბარათები (მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირებისა და ლოგიკური გამომდინარეობის აღმოჩენის საფუძველზე), მიეცით მას უკვე სწორად დალაგებული ბარათები.

ბ) თუ მოსწავლე დამატებითი სირთულეების გამო (მაგ., ყურადღების დაბალი კონცენტრაცია, გაფანტულობა და ა.შ.) ვერ გაჰყვება სერიული სიუჟეტური სურათების ხაზს, შეამცირეთ მათი რაოდენობა სიუჟეტის დაზარალების გარეშე (მოერიდეთ სურათის მექანიკურ გამოტოვებას, ან განახორციელეთ ეს ისე, რომ ძირითადი აზრი არ დაიკარგოს; შესაძლებელია, დაგჭირდეთ შესაბამისი შინაარსისა და საჭირო რაოდენობის მქონე ახალი სიუჟეტური სურათის მოძიება / შექმნა). მიაწოდეთ მოსწავლეს ორ- ან, მაქსიმუმ, სამნაწილიანი სიუჟეტი.

გ) თუ მოსწავლისთვის რთულია სერიული სურათების ერთმანეთთან დაკავშირება, მოამზადეთ მისთვის ერთბარათიანი სიუჟეტური სურათი.

დ) ყურადღების კონცენტრაციის სირთულის მქონე მოსწავლეებთან გაფილტრეთ სიუჟეტური სურათ(ებ)ი ზედმეტი დეტალებისგან. მიაქციეთ ყურადღება, რომ მასზე მკაფიოდ იყოს მოცემული მხოლოდ სიუჟეტის შინაარსის განმსაზღვრელი ძირითადი ელემენტები. თუმცა, თუკი აქტივობას დამატებითი მიზანი ექნება (მაგ., დეტალებზე დაყრდნობით სიუჟეტის შესახებ სწორი დასკვნის გამოტანა), შესაბამისი დეტალის გამოტოვება გაუმართლებელი იქნება.

ე) შესაბამისი შინაარსის სიუჟეტური სურათები შეარჩიეთ მოსწავლის წარმოსახვისა და აზროვნების უნარის გათვალისწინებით. აზრის წვდომის გასაადვილებლად, შესაძლებელია, სიუჟეტური სურათი ნაცნობიც იყოს, თუმცა შეიცავდეს სიახლის ელემენტებს (მაგ., მოცემული იყოს მისთვის ნაცნობი გმირები ახალ კონტექსტში ან უცნობი პერსონაჟები ნაცნობ გარემოში).

ვ) სიუჟეტის გადმოცემისას წაახალისეთ მოსწავლე როგორც ვერბალური („სწორია“, „შემდეგ“), ისე არავერბალური (თავის დაქნევა) ენის გამოყენებით. საჭიროებისამებრ, დაუსვით მიმანიშნებელი შეკითხვებიც:

- როგორ დაიწყო?
- მერე რა მოხდა?
- რით გაგრძელდა?
- რამე ხომ არ გამოგრჩა? როგორ დასრულდა?

ზ) თუ მოსწავლეს უჭირს გაბმული თხრობა, თქვენ მოუყევით შინაარსი და მითითებებით წარმართეთ მისი ყურადღება სიუჟეტის შესაბამისი დეტალისკენ (შესაძლებელია ხელით-ხელზე ტექნიკის გამოყენებაც). მხოლოდ ამის შემდეგ სთხოვეთ მას სიუჟეტის გამეორება. საჭიროებისამებრ, გამოიყენეთ კითხვა-პასუხის მეთოდი. შეკითხვები შეარჩიეთ მოსწავლის საჭიროებისა და აქტივობის მიზნის გათვალისწინებით (გამოიყენეთ ზემოთ წარმოდგენილ აქტივობაში განხილული რეკომენდაციები).

თ) თუ მოსწავლეს, კოგნიტური პროცესების გათვალისწინებით, გაუჭირდება წარმოდგენილი სიუჟეტის შინაარსის წვდომა და გადმოცემა (თუნდაც კითხვა-პასუხით), სთხოვეთ მხოლოდ სურათ(ებ)ის აღწერა:

ვინ არის მოცემული? როგორია? რას აკეთებს? (შესაძლებელია, თავდაპირველად თქვენ აღწეროთ სიუჟეტი და შემდეგ სთხოვოთ მოსწავლეს იგივეს გამეორება). ამ შემთხვევაში მას დაევალება სურათ(ებ)ზე კონკრეტული გამოსახულების მოძებნა და დასახელება.

ი) თუკი, მოსწავლის მეტყველების უნარის გათვალისწინებით, რთული ან შეუსაბამო იქნება ვერბალური პასუხები, წაახალისეთ რომ არავერბალური ენით (მითითება, თავის დაქნევა და/ან გაქნევა) უპასუხოს თქვენს შეკითხვებს.

გახსოვდეთ, შესაძლებელია, ზოგიერთი მოსწავლისთვის ეს თხრობის ერთადერთი გზა და საშუალება იყოს იმ ეტაპზე. ამავდროულად, არ დაივიწყოთ, რომ თქვენი მიზანი აღნიშნული შესაძლებლობის გაფართოებაა.

კ) მიუხედავად აქტივობის განსხვავებული ფორმით შესრულებისა, მაინც ჩართეთ მოსწავლე მოთხრობის სიუჟეტის ჯგუფურ წარდგინებაში. წინასწარ მოამზადეთ ის იმ შეკითხვისთვის, რომლის პასუხიც მოუწევს მას ჯგუფური პრეზენტაციისას.

მასწავლებლის დაკვირვების ფურცელი

	გიორგი	ანა	დათო
პირობასთან შესაბამისობა იცავს შინაარსობრივ მოთხოვნებს - **კი / არა**			
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები **საუბრობს:** • მკაფიოდ და გასაგებად - **კი / არა** • სათანადო პაუზებით - **კი / არა** • პარაზიტი ჩანართების გამოყენების გარეშე - **კი / არა**			
ენობრივი უნარ-ჩვევები • იყენებს ადეკვატურ ლექსიკას - **კი / არა** • თხრობისას იცავს ლოგიკურ თანამიმდევრობას - **კი / არა** • იცავს ენობრივ გამართულობას - **კი / არა**			
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები ავლენენ ფანტაზიის უნარს - **კი / არა**			
თანამშრომლობის უნარი • პატივს სცემენ ერთმანეთის აზრს - **კი / არა** • ერთმანეთს აცლიან აზრის გამოთქმას - **კი / არა**			

შენიშვნა: *მოცემული შეფასების სქემა შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერ კლასში მონოლოგური მეტყველების შესამოწმებლად (თხრობითი ტექსტის გადმოცემა) და ჯგუფური მუშაობის შესაფასებლად.*

მოსწავლის შესაძლებლობის გათვალისწინებით, შექმენით მისთვის შესაბამისი დაკვირვების ფურცელი (იხ. ზემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციები).

მეორე კლასი

აქტივობა 1. ინფორმაციის გაზიარება („მრგვალი მაგიდის“ მოწყობა)

აქტივობის მიზანი:

- საინფორმაციო ტექსტის გადაცემა.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).1

- ავლენს ინფორმაციის მოძიების უნარს;
- მიზნის შესაბამისად გადმოსცემს კონკრეტულ ინფორმაციას თანამიმდევრულად;
- მონაწილეობს ინტერაქციაში.

ქართ.დაწყ.(I).4

- ამბის გადმოცემის, აღწერა-დახასიათების დროს იყენებს მართებულ სიტყვაფორმებსა და მარტივ წინადადებებს;
- სწორად იყენებს კავშირებს, უარყოფით ნაწილაკებსა და ნაცვალსახელებს სათანადო კონტექსტში;
- საუბრობს გამართულად, მკაფიოდ და გასაგებად.

ქართ.დაწყ.(I).5

- იყენებს არავერბალური მეტყველების საშუალებებს, საყრდენებს - ილუსტრაციებს, სურათებს.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

1. მოსწავლეებთან ერთად შეარჩიეთ თემები თითოეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით.

აუცილებლად დარწმუნდით, რომ შერჩეული თემა მოსწავლისთვის საინტერესოა; რასაკვირველია, უმჯობესია, თუკი ის თავად დაასახელებს დასამუშავებელ საკითხს. თუ გაუჭირდება, მიეცით არჩევანის გაკეთების საშუალება იმ თემებს შორის, რომლებიც, თქვენი დაკვირვებით, მას შეიძლება აინტერესებდეს. თემები (მაქსიმუმ, ერთიდან სამამდე) მიაწოდეთ წინასწარ შემუშავებული თვალსაჩინოების თანხლებით, რათა მოსწავლეს თავიდანვე ნათელი წარმოდგენა შეექმნას დასამუშავებელ საკითხზე. თვალსაჩინოება მოსწავლისთვის იოლად აღქმადი უნდა იყოს.

2. მოცემული თემის ფარგლებში დაუსახელეთ მოსწავლეს, კონკრეტულად რა საკითხის შესახებ უნდა მოიძიოს ინფორმაცია (მაგ., თემა „ცხოველები“, საკითხი - „თეთრი სპილოები“: სად ბინადრობენ, რით იკვებებიან, როგორ ცხოვრობენ და ა.შ.). მოძიებული ინფორმაცია არ უნდა აღემატებოდეს 7-10 წინადადებას. მიეცით სათანადო დრო ინფორმაციის მოსაძიებლად და მოსამზადებლად. აქტივობის შესრულების წინ შესაძლებელია შემდეგი ინსტრუქციის მიწოდება: „მოიძიეთ საინტერესო ინფორმაცია და გაგვაცანით!“

მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით, ივარაუდეთ, რამდენად დამოუკიდებლად შეძლებს ის დავალების შესრულებას და / ან რა ტიპის დახმარება იქნება მისთვის საჭირო. მოარგეთ დავალების მოთხოვნა მის შესაძლებლობებს:

ა) განსასღვრეთ დასამუშავებელი მასალის მოცულობა და წინასწარ მოუმზადეთ ის მოსწავლეს. მოსთხოვეთ მისი გაცნობა (მულტფილმის ნახვა, ტექსტის წაკითხვა ან სურათის დათვალიერება), რათა თავად შეძლოს მისთვის საჭირო ან საინტერესო ინფორმაციის აღმოჩენა;

ბ) განსაზღვრეთ საპრეზენტაციო მასალის მოცულობა და ფორმატი (მაგ., მოსთხოვეთ მხოლოდ 3-4 ერთეული ინფორმაცია). შესაძლებელია, მოსწავლეს დაევალოს მხოლოდ ნახატის შექმნა ან / და მისი აღწერაც. წაახალისეთ მოსწავლე საპრეზენტაციო ფორმატის შერჩევისას. ჰკითხეთ, რა უფრო გაუიოლებს პრეზენტაციას: ნახატის შექმნა, თვალსაჩინოების შერჩევა და ამოჭრა, მოკლე ჩანაწერის გაკეთება თუ ტექსტის გეგმის შემუშავება საკვანძო სიტყვების ან თვალსაჩინო გამოსახულებების გამოყენებით.

გ) განსაზღვრეთ ოპტიმალური გზა, რათა მოსწავლემ შეძლოს დავალების მომზადება პრეზენტაციისთვის: დაამუშავეთ ინფორმაცია მასთან ერთად; ჩართეთ მისი ოჯახის წევრი და/ან დააწყვილეთ თანაკლასელთან.

მთავარია, აქტივობის მომზადებისას მოსწავლე არ დარჩეს პასიური და მის მაგივრად სხვამ არ შეასრულოს დავალება. მაქსიმალურად გააააქტიურეთ და გამოიყენოთ მისი რესურსები.

დ) დავალების მომზადების პროცესში მასთან ერთად დაათვალიერეთ ენციკლოპედიაში მონიშნული ფოტოები და/ან წაიკითხეთ მონიშნული ტექსტი; კითხვების დასმით წაახალისეთ სურათის აღწერა ან ტექსტის შინაარსის გადმოცემა. ჰკითხეთ, რა ინფორმაციის მოყოლას, გაზიარებას მოისურვებდა თანაკლასელებისთვის.

ე) მოამზადეთ შესაბამისი/დამხმარე კითხვები მოსწავლის პრეზენტაციისათვის და წინასწარ გააცანით მას, რომლებიც შესაძლოა დაუსვან მას თანაკლასელებმა. ეს საშუალებას მისცემს მოსწავლეს შესაბამისი პასუხების სათანადოდ მოფიქრებასა და მომზადებაში.

ვ) მოსწავლის სწავლის ტემპის გათვალისწინებით, სასურველია, რომ მოსამზადებელი აქტივობების დაწყება მასთან რამდენიმე დღით ან კვირით ადრე დაიწყოთ.

3. მოსწავლეებმა უნდა მოუსმინონ შემეცნებით ტელეგადაცემას, წაიკითხონ მითითებული საბავშვო ლიტერატურა, ჰკითხონ უფროსებს, მათი დახმარებით მოიძიონ საინტერესო ფაქტები და შესაბამისი ფოტოები ინტერნეტიდან და ა.შ.

4. „მრგვალი მაგიდის“ განხორციელების წინ მოსწავლეებთან ერთად მოაწყვეთ სივრცე - დაკიდეთ კედელზე ან შესაბამისად განათავსეთ მოსწავლეთა ნამუშევრები (ფოტოები, საკუთარი ნახატები და ა.შ.) და დაიწყეთ აქტივობის განხორციელება. გააფრთხილეთ მოსწავლეები, რომ მხოლოდ მასწავლებლის მითითებით ისაუბრებენ საკუთარი მასალის შესახებ და არ შეუშლიან ხელს ერთმანეთს. საჭიროების შემთხვევაში, მიეცით მოსწავლეებს საშუალება, დაუსვან შეკითხვები გამომსვლელს.

აქტივობა 2. სახალისო თამაში შემაჯამებელი დავალებისათვის - „რა ვიცი და რა შემიძლია?“

აქტივობის მიზანი:

- მოსწავლის ცოდნისა და ზეპირმეტყველების უნარების შემოწმება/შეფასება.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

სასურველია, კონკრეტული თემის (ან გარკვეული თემების) დასრულების შემდეგ ჩაატაროთ შემაჯამებელი აქტივობა და მას მისცეთ სახალისო თამაშის სახე. თამაშზე დაკვირვებით შეაფასეთ სასწავლო პროცესის დინამიკა - რამდენად აითვისეს მოსწავლეებმა მასალა და არიან თუ არა მზად ახალი საკითხ(ებ)ის / თემ(ებ)ის დასაწყებად. მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე, დაგეგმეთ სასწავლო პროცესის შემდგომი ეტაპი.

თამაშისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ქვემოთ მოცემული ნიმუში და მხოლოდ სასწავლო მიზნების გათვალისწინებით ცვალოთ მისი შინაარსი. შეეცადეთ, რომ დავალებები იყოს მრავალფეროვანი და იძლეოდეს სხვადასხვა სამეტყველო სიტუაციაში სამეტყველო ქცევის გამოვლენის საშუალებას.

მოცემული აქტივობის განსახორციელებლად გამოიყენეთ თაბახის ფურცელზე ან ფორმატზე მომზადებული „კითხვარი“ და კამათელი.

მკაფიოდ აუხსენით მოსწავლეებს თამაშის პირობა: „დადექით პირველ უჯრაზე, წაკითხეთ იქ მოცემული დავალება და შეასრულეთ; ამის შემდეგ გააგორეთ კამათელი და გადადით იმდენ უჯრაზე, რამდენი წერტილიც ხატია კამათელზე. შეასრულეთ იქ მოცემული დავალება და შემდეგ თავიდან გააგორეთ კამათელი. თამაშს გააგრძელებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დავალებას წარმატებით გაართმევთ თავს. თუ ვერ შეასრულებთ დავალებას, მაშინ დროებით შეწყვეტთ თამაშს და დაელოდებით თქვენს რიგს. როცა თქვენი რიგი მოვა, თამაშს იმავე უჯრიდან გააგრძელებთ, სადაც შეწყვიტეთ. თავიდან შეასრულებთ იმ დავალებას და შემდეგ გააგორებთ კამათელს. გამარჯვებული იქნება ის, ვინც პირველი გავა ბოლოში.“

შესაძლებელია, კამათელზე ასახული იყოს არა რიცხვები, არამედ სხვადასხვა ფერი. ასეთ შემთხვევაში თაბახის ფურცელზე უჯრების ფონი შესაბამისი ფერებით უნდა იყოს შეფერილი.

შენიშვნა: *არასწორი პასუხის (ან დავალების არცოდნის) შემთხვევაში, მიეცით მოსწავლეს საშუალება, რომ საკუთარი ძალებით ან სხვების დახმარებით მოემზადოს თამაშის გასაგრძელებლად - მოძებნოს პასუხი წიგნში, ჰკითხოს თანაკლასელს და ა.შ.*

აღნიშნული აქტივობის ფარგლებში განსაზღვრული თითოეული დავალება განიხილეთ მოსწავლის მიღწევებთან შესაბამისობაში. შესაძლებელია, დაგჭირდეთ ყველა ან ზოგიერთი დავალების დაკონკრეტება, მცირედი ცვლილება და/ან ჩანაცვლება მოსწავლის მიღწევების დონის გათვალისწინებით.

მაგ., მოსწავლეს შეიძლება მოსთხოვოთ კონკრეტული ლექსის წაკითხვა (6); ოთახის აღწერა ფოტოს საფუძველზე (15); ჰკითხოთ, საქართველოს რომელ კუთხეში მდებარეობს მისი სოფელი (7) და ა.შ.

მთავარია, თქვენ მიერ შერჩეული ალტერნატიული აქტივობები მოსწავლესთან დამუშავებული საკითხების შესაბამისი იყოს (ეს საკმაოდ სახალისო აქტივობაა, თუმცა მნიშვნელოვანია მას მოსწავლის შემაჯამებელი შეფასების ფუნქცია შეუნარჩუნოთ).

ალტერნატიული დავალებები შესაძლებელია ცალკე ნიმუშების სახით დაამზადოთ ან არსებულ ნიმუშებს დაამატოთ.

გამოიყენეთ მოდელირების სტრატეგია და პირველ ჯერზე თავად შეასრულეთ მოცემული აქტივობა. მოსწავლეები მხოლოდ მაშინ ჩართეთ, როცა დარწმუნდებით, რომ ყველამ კარგად გაიგო, რა უნდა შეასრულონ და როგორ.

გაამხნევეთ მოსწავლეები და დააწესეთ სახალისო პრიზები.

1
წარადგინე საკუთარი თავი

2
ისაუბრე შენს მეგობარზე:
1. რა ჰქვია, სად ცხოვრობს...?
2. აღწერე და დაახასიათე, როგორია.
3. რით ჰგავხართ და რით განსხვავდებით ერთმანეთისაგან?

3

ვინ არის და რა იცი მის შესახებ?
გაიხსენე მისი პირველი წერილი. რა დაგამახსოვრდა იქიდან და რატომ?

4
გვიამბე ზაფხულის არდადეგების ერთი დღის შესახებ.

5
რა გაინტერესებს ყველაზე მეტად და რატომ?

6
წაიკითხე ლექსი

7
საქართველოს რომელ კუთხეში ხარ ნამყოფი? რით დაგამახსოვრდა?

8
წელიწადის რომელი დრო გიყვარს და რატომ? რას აკეთებ იმ დროს?

9

გაითამაშე დიალოგები თანაკლასელებთან ერთად:
1. შესთავაზე ტრანსპორტში ადგილი მოხუცს.
2. დაპატიჟე მეგობარი კინოში.
3. ჰკითხე უფროსს, როგორ მიხვიდე უახლოეს გაჩერებამდე.

10
გაიხსენე ტექსტი ან ამბავი, რომელშიც ჭკუის სასწავლი გაკვეთილია მოცემული.

11
წაიკითხე ლექსი.

12
რას ნიშნავს ანდაზა -
„თავის ქება კიტრზე უარესიაო!“
გაიხსენე ამბავი, რომელიც ამ ანდაზას შეესაბამება.

13

მოგვიყევი შენი გეგმების შესახებ - რას აპირებ არდადეგებზე?

14
გაიხედე ფანჯრიდან - რას და ვის ხედავ? აღწერე იქაურობა.

15
აღწერე შენი სახლი / ოთახი

16
გაუკეთე რეკლამა შენს საყვარელ მოთხრობას/ზღაპარს. რატომ უნდა წავიკითხოთ ჩვენც?

17

გაიხსენე საინტერესო ამბავი მისი ცხოვრებიდან და მოგვიყევი.

18
გაიხსენე, რა მოხდა გუშინ სკოლაში და მოგვიყევი.

19
დაასახელე შენი საყვარელი წიგნი და გვესაუბრე მის შესახებ.

20
რა გინდა, გააკეთო ისეთი, რომ შენი სახელი დაამახსოვრდეს ხალხს? დაასაბუთე, რატომ ფიქრობ ასე.

მესამე კლასი

აქტივობა 1. მინიპრეზენტაციის გამართვა

აქტივობის მიზანი:

- შთაბეჭდილებების გაზიარება;
- პირად გამოცდილებასთან დაკავშირებული ამბების თხრობა.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).1

- თანმიმდევრულად გადმოსცემს ფაქტებს, მოვლენებს, შთაბეჭდილებებს, განცდებსა და ემოციებს;
- ჰყვება ამბავს პირადი გამოცდილებიდან;
- მიზნობრივად იყენებს ვერბალურ და არავერბალურ ენას.

ქართ.დაწყ.(I).4

- ავლენს შემოქმედებითობას; სათანადოდ იყენებს ლექსიკას, ავლენს შესაბამის გრამატიკულ ცოდნას;
- მიზნისა და სამეტყველო სიტუაციის გათვალისწინებით ირჩევს შესაბამის სამეტყველო სტილს;
- საუბრობს მკაფიოდ და გამართულად.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

1. შესაძლებელია, მინიპრეზენტაციების გამართვა სხვადასხვა რესურსის გამოყენებით. მთავარია, მოსწავლეებს წინასწარ გააგებინოთ საპრეზენცაციო თემისა და იმ სავალდებულო რესურსების შესახებ, რომელთა შექმნა და გამოყენებაც მოუწევთ პრეზენტაციაზე.

2. საპრეზენტაციო თემები შეარჩიეთ მოსწავლეებთან ერთად სასწავლო მიზნებისა და მათი ინტერესებისა და საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით.

აუცილებლად დარწმუნდით, რომ შერჩეული თემა საინტერესოა მოსწავლისთვის; რასაკვირველია, უმჯობესია, თუკი ის თავად დაასახელებს დასამუშავებელ საკითხს. თუ გაუჭირდება, მიეცით არჩევანის გაკეთების საშუალება იმ თემებს შორის, რომლებიც, თქვენი დაკვირვებით, მას შეიძლება აინტერესებდეს.

თემები (ერთიდან მაქსიმუმ სამამდე) მიაწოდეთ წინასწარ შემუშავებულ თვალსაჩინოებებთან ერთად, რათა მოსწავლეს იმთავითვე ნათელი წარმოდგენა შეექმნას დასამუშავებელ საკითხზე. თვალსაჩინოება მოსწავლისთვის იოლად აღქმადი უნდა იყოს.

3. მოსწავლეებთან ერთად შეადგინეთ (ან შეათანხმეთ მათთან) პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები.

4. მოსწავლეებთან ერთად შეთანხმდით პრეზენტაციის გამართვის დღეზე. ეს დამოკიდებულია იმაზე, რა დრო დასჭირდებათ მათ პრეზენტაციის მოსამზადებლად. საჭიროების შემთხვევაში, დაეხმარეთ მოსწავლეებს პრეზენტაციის მომზადების პროცესში - მათთან ერთად შეარჩიეთ რესურსები; ურჩიეთ, რომელი რესურსის გამოყენება იქნება უკეთესი მათთვის (მაგ., ნახატი თუ ფოტო, ჰერბარიუმის გაკეთება თუ საყვარელი ნივთების კოლექცია და ა.შ.). რესურსის შერჩევისას გაითვალისწინეთ:

ა) მოსწავლის სურვილი - რის მოყოლას აპირებს, რის შესახებ სურს საუბარი;

ბ) რომელი ამბავი უფრო საინტერესო იქნება თანაკლასელებისთვის და რატომ;

გ) მისი შემოქმედებითი უნარები და შესაძლებლობები, რათა უკეთ წარმოაჩინოს თავი და ა.შ.

5. თვალი ადევნეთ პრეზენტაციებზე მუშაობის პროცესს კონკრეტული მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე და, აუცილებლობის შემთხვევაში, შესთავაზეთ მას დახმარება. პერიოდულად გაამხნევეთ და მოუწონეთ გადაწყვეტილება, მაგ., *ეს ძალიან კარგი იდეაა! ეს ამბავი მართლაც საინტერესოა, ყველას მოეწონება! ყველაფერი კარგად გამოგდის! ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ შენს პრეზენტაციას*! და ა.შ.

მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით, ივარაუდეთ, რამდენად დამოუკიდებლად შეძლებს ის დავალების შესრულებას და / ან რა ტიპის დახმარება იქნება მისთვის საჭირო. მოარგეთ დავალების მოთხოვნა მის შესაძლებლობებს:

ა) განსასღვრეთ დასამუშავებელი მასალის მოცულობა და წინასწარ მოუმზადეთ ის მოსწავლეს. მოსთხოვეთ მისი გაცნობა (მულტფილმის ნახვა, ტექსტის წაკითხვა ან სურათის დათვალიერება), რათა თავად შეძლოს მისთვის საჭირო ან საინტერესო ინფორმაციის აღმოჩენა;

ბ) განსაზღვრეთ საპრეზენტაციო მასალის მოცულობა და ფორმატი (მაგ., მოსთხოვეთ მხოლოდ 3-4 ერთეული ინფორმაცია). შესაძლებელია, მოსწავლეს დაევალოს მხოლოდ ნახატის შექმნა ან / და მისი აღწერაც. წაახალისეთ მოსწავლე საპრეზენტაციო ფორმატის შერჩევისას. ჰკითხეთ, რა უფრო გაუიოლებს პრეზენტაციას: ნახატის შექმნა, თვალსაჩინოების შერჩევა და ამოჭრა, მოკლე ჩანაწერის გაკეთება თუ ტექსტის გეგმის შემუშავება საკვანძო სიტყვების ან თვალსაჩინო გამოსახულებების გამოყენებით.

გ) განსაზღვრეთ ოპტიმალური გზა, რათა მოსწავლემ შეძლოს დავალების მომზადება პრეზენტაციისთვის: დაამუშავეთ ინფორმაცია მასთან ერთად; ჩართეთ მისი ოჯახის წევრი და/ან დააწყვილეთ თანაკლასელთან.

მთავარია, აქტივობის მომზადებისას მოსწავლე არ დარჩეს პასიური და მის მაგივრად სხვამ არ შეასრულოს დავალება. მაქსიმალურად გააააქტიურეთ და გამოიყენოთ მისი რესურსები.

დ) დავალების მომზადების პროცესში მასთან ერთად დაათვალიერეთ ენციკლოპედიაში მონიშნული ფოტოები და/ან წაიკითხეთ მონიშნული ტექსტი; კითხვების დასმით წაახალისეთ სურათის აღწერა ან ტექსტის შინაარსის გადმოცემა. ჰკითხეთ, რა ინფორმაციის მოყოლას, გაზიარებას მოისურვებდა თანაკლასელებისთვის.

ე) მოამზადეთ შესაბამისი/დამხმარე კითხვები მოსწავლის პრეზენტაციისათვის და წინასწარ გააცანით მას, რომლებიც შესაძლოა დაუსვან მას თანაკლასელებმა. ეს საშუალებას მისცემს მოსწავლეს შესაბამისი პასუხების სათანადოდ მოფიქრებასა და მომზადებაში.

ვ) მოსწავლის სწავლის ტემპის გათვალისწინებით, სასურველია, რომ მოსამზადებელი აქტივობების დაწყება მასთან რამდენიმე დღით ან კვირით ადრე დაიწყოთ.

საპრეზენტაციო თემების ნიმუშები:

ა) **„ფოტოსურათის -** ან **„ერთი ნახატის ისტორია“** *(მასთან დაკავშირებული ამბავი - როდის და რატომ დახატა ეს სურათი / გადაიღო ეს ფოტო? რა მოხდა იმ დღეს? მასთან დაკავშირებული შთაბეჭდილებები და ემოციები და ა.შ.*);

ბ) **„ჩემი საყვარელი ნივთ(ებ)ი“** / **„ძველი სათამაშოები“** *(ამბები, რომლებსაც კონკრეტული ნივთები / სათამაშოები ახსენებენ და ამ ამბებთან დაკავშირებული შთაბეჭდილებები და ემოციები);*

გ) **ჩემი კოლექცია / ჰერბარიუმი** *(რატომ დაიწყო მისი შეგროვება, რას / ვის უკავშირდება; როდის დაიწყო, რომელი იყო პირველი ნივთი და ა.შ. ამ ამბებთან დაკავშირებული შთაბეჭდილებები და ემოციები);*

დ) **ჩემი საყვარელი წიგნების პერსონაჟები** ან **მულტფილმების გმირები** (ამბავი / ისტორია, რომელიც მათ უკავშირდება და ა.შ.).

დაკვირვების ფურცელი პრეზენტაციისათვის:

	გიორგი	**ანა**	**დათო**
პირობასთან შესაბამისობა • იცავს შინაარსობრივ მოთხოვნებს - **კი / არა** • იყენებს თვალსაჩინოებებს - **კი / არა** • იცავს დროის ლიმიტს - **კი / არა**			
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები • საუბრობს მკაფიოდ და გარკვევით - **კი / არა** • ამყარებს აუდიტორიასთან კავშირს (იყენებს მიმიკა-ჟესტიკულაციას, ინტონაციას) - **კი / არა**			
ენობრივი უნარ-ჩვევები • თანმიმდევრულად აღწერს/გადმოსცემს ფაქტებს, მოვლენებს - **კი / არა** • თხრობისას იცავს ლოგიკურ თანამიმდევრობას - **კი / არა** • იცავს ენობრივ გამართულობას - **კი / არა** • იყენებს ადეკვატურ ლექსიკას - **კი / არა**			
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები • ავლენს ფანტაზიის უნარს, ორიგინალურობას - **კი / არა** • იჩენს გაბედულებას - **კი / არა** • რესურსები ორიგინალური და საინტერესოა - **კი / არა**			

აქტივობა 2. სახალისო ვიქტორინებში მონაწილეობა

აქტივობის მიზანი:

- ვიქტორინის **(„რა, სად, როდის?“)** ორგანიზება და გამართვა.

შეფასების ინდიკატორები:

- ნასწავლი ცოდნის გამოყენების (ტრანსფერის) უნარი;
- ჯგუფური მუშაობის უნარი (თანამშრომლობა);
- პრობლემის გადაჭრის უნარი.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

1. მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრეთ ვიქტორინის ფორმატი, ორგანიზების ფორმა და მისი განხორციელების გზები.

2. კლასი დაყავით ჯგუფებად და ყველა ჯგუფთან ცალ-ცალკე იმუშავეთ ვიქტორინის შეკითხვების მომზადებაზე:

- შეკითხვები უნდა დაეფუძნოს მოსწავლეთა ცოდნას და ეხებოდეს სხვადასხვა საგნის ფარგლებში შეძენილ ინფორმაციას (შესაბამისად, ვიქტორინის მომზადებაში ქართულის მასწავლებელთან ერთად შესაძლებელია ჩაერთონ სხვა საგნების მასწავლებლებიც);
- შეკითხვების მომზადებაზე მუშაობაში ჩართული უნდა იყოს ჯგუფის ყველა წევრი - ისინი მასწავლებლის მითითებით აგროვებენ მასალას; შემდეგ თითოეული ჯგუფი მასწავლებელთან ერთად განიხილავს ამ მასალას და ერთობლივად ადგენს შეკითხვების საბოლოო ვარიანტებსა და რაოდენობას;
- შეკითხვები უნდა შეირჩეს სირთულის მიხედვით და მიენიჭოს სათანადო ქულები: მარტივი (1 ქულა), საშუალო (2 ქულა) და რთული (3 ქულა). შეკითხვის სირთულეს გასაზღვრავს მასწავლებელი (მომდევნო კლასებში შესაძლებელია, მასწავლებელთან ერთად თავად მოსწავლეებმაც მიიღონ ამ კუთხით გადაწყვეტილება);
- შეკითხვების საბოლოო ვარიანტს კიდევ ერთხელ ამოწმებს მასწავლებელი და ათავსებს კონვერტში ვიქტორინის დაწყებამდე.

3. ამის შემდეგ შეთანხმდით: რამდენი წუთი იქნება დრო მოსაფიქრებლად, ვინ იქნება წამყვანი, ვინ იქნებიან ჟიურის წევრები; ჯგუფიდან ვინ, როგორ და რამდენი მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას ვიქტორინაში და ა.შ.

4. მოაწყვეთ საკლასო სივრცე ვიქტორინისთვის და განახორციელეთ აქტივობა.

5. მოსწავლეებთან ერთად შესაძლებელია სხვადასხვა ნომინაციის დაწესებაც: ყველაზე მოხერხებული; ყველაზე ორიგინალური პასუხი; ყველაზე სწრაფი; ყველაზე მეტი სწორი პასუხის მქონე და ა.შ.

ვიქტორინის შეკითხვების მოფიქრებისას აუცილებლად წაახალისეთ ჯგუფი, ზუსტად შეარჩიონ შეკითხვა, რომელსაც დაუსვამენ თანაკლასელს მისი ცოდნის დონისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით.

შეკითხვებთან მიმართებაში ნუ გამოიყენებთ სიტყვებს - მარტივი ან რთული, არამედ წაახალისეთ ჯგუფები, რომ იფიქრონ კონკრეტული მოსწავლის შესაბამის შეკითხვაზე. შესაძლებელია, ყოველ ჯგუფს პირდაპირ ჰკითხოთ: „რა შეკითხვას დაუსვამდით ლევანს?"; „კიდევ როგორ შეიძლება ვკითხოთ?" თუკი მოსწავლეთა მოფიქრებული შეკითხვები შეუსაბამო მოგეჩვენებათ, მაინც შეაქეთ ისინი და შემდეგ შესთავაზეთ შეკითხვის კორექტირებული ვარიანტი.

გახსოვდეთ, თანაკლასელები საკმაოდ ობიექტურად აფასებენ ერთმანეთის შესაძლებლობებს, ამიტომ ნუ მოერიდებით, თავად შეარჩიონ თავიანთი მეგობრისთვის შესაბამისი შეკითხვა ან დავალება.

ასევე მნიშვნელოვანია, თავად მოსწავლეც ჩართოთ ვიქტორინის შეკითხვის მოფიქრების პროცესში. მთავარია, მისი მონაწილეობა ჯგუფურ აქტივობაში არ იყოს ფორმალური ხასიათის. აუცილებლად გამოიყენეთ მისი შეკითხვა ვიქტორინის მსვლელობისას.

იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლეს გაუჭირდება კითხვების ფორმულირება, განუსაზღვრეთ კონკრეტული ფუნქცია: მაგ., შეკითხვების ფურცელზე გადაწერა, შეკითხვების კონვერტებში მოთავსება და ა.შ.

მეოთხე კლასი

აქტივობა 1. მინიდისკუსიები - საბავშვო სპექტაკლის, ფილმის, მულტფილმის, მხატვრული ნაწარმოების განხილვა

აქტივობის მიზანი:

- პერსონაჟის დადებით და უარყოფით მხარეებზე არგუმენტირებული მსჯელობისა და საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარის განვითარება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).1

- ავლენს მსჯელობისა და საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარს;
- კორექტულად, ეტიკეტის დაცვით გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას დისკუსიის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს;
- ყურადღებით ისმენს სხვათა მოსაზრებებს. არ აწყვეტინებს მოსაუბრეს ლაპარაკს.

ქართ.დაწყ.(I).4

- ადეკვატურად იყენებს ენას საკომუნიკაციო მიზნისა და სიტუაციის შესაბამისად;
- ავლენს შესაბამის ლექსიკურ და გრამატიკულ ცოდნას;
- მეტყველებს მკაფიოდ და გარკვევით;
- იყენებს ინტონაციას სასვენი ნიშნების ფუნქციით.

ქართ.დაწყ.(I).5

- ადგენს მარტივი სახის მოკლე ჩანაწერებს დისკუსიების დროს (ჩაინიშნავს მნიშვნელოვან სიტყვას/სიტყვებს სხვათა და/ან საკუთარ მოსაზრებას, კონკრეტულ საკითხს და სხვ.).

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

1. მოსწავლეებთან ერთად დაგეგმეთ მინიდისკუსიის მოწყობა და განსაზღვრეთ სადისკუსიო თემა - მაგ., ქცევის წესები.

2. შეარჩიეთ მასალა, რომელზედაც იმსჯელებთ - მაგ., ყურშას ქცევის შეფასება (ქართული მულტფილმიდან „ყურშა გაყოყოჩდა“).

3. დაავალეთ მოსწავლეებს, რომ ნახონ ეს მულტფილმი (ან თავად უზრუნველყავით ერთობლივი ჩვენება) და მოამზადეთ მოსწავლეები სადისკუსიოდ. ამისათვის კლასში იმუშავეთ ჯერ მულტფილმის სიუჟეტი გაგებაზე:

განიხილეთ ცალკეული სიტუაცია:

- დაასახელეთ, რა გახდა კონკრეტულ სიტუაციაში ყურშას ამგვარი ქცევის წინაპირობა;
- რა შედეგი მოჰყვა კონკრეტულ ქცევას.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა ყურშას ქცევის ანალიზი, სთხოვეთ შინაარსის გადმოცემა მისი შესაძლებლობების შესაბამისად (თხრობისა და ამბის გადმოცემის წამახალისებელი სტრატეგიები დეატალურად არის განხილული წინა აქტივობებში).

სიტუაციის განხილვის ხელშესაწყობად შესაძლებელია, მოსწავლეს დაუსვათ მიმართულების მიმცემი შეკითხვები.

ამის შემდეგ განმეორებით აჩვენეთ მოსწავლეს მოცემული მონაკვეთი - ეს შესაძლებელია დაეხმაროს მას პერსონაჟის ქცევის ანალიზის პროცესში.

დაყავით ყურშას ისტორია მონაკვეთებად და შეადარეთ ერთმანეთს:

ყურშა ტყეში

ყურშა ქალაქში

ყურადღება მიაქციეთ:

- რა სიტუაციაში იწყება ყურშას გაყოყოჩება?
- თქვენი აზრით, რამ შეუწყო ხელი მას ამაში?
- რით დამთავრდა ეს ყველაფერი?
- იმსახურებდა თუ არა ყურშა ცემას? რატომ ფიქრობთ ასე?

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს მაინც უჭირს მოცემულ კითხვებზე პასუხების გაცემა, განსაზღვრეთ მისთვის შესაბამისი შეკითხვა, რომელიც მოცემულ ამბავს უკავშირდება.

4. ამის შემდეგ დაყავით კლასი ჯგუფებად, მიეცით სადისკუსიო საკითხი - *როგორი გმირია ყურშა - დადებითი თუ უარყოფითი?*

- ერთი ჯგუფი ისაუბრებს ყურშას დადებით მხარეებზე და გაამყარებს საკუთარ პოზიციას სათანადო არგუმენტებით;
- მეორე ჯგუფი ისაუბრებს ყურშას უარყოფით მხარეებზე და გაამყარებს საკუთარ პოზიციას შესაბამისი არგუმენტებით.

ჯგუფებში დაყოფისას შესაძლებელია, მოსწავლეს უფრო კონკრეტული კითხვები / საკითხები მიეცეს. მიაქციეთ ყურადღება, რომ ის ჩართული იყოს ჯგუფური მუშაობის პროცესში.

იმ შემთხვევაში, თუ მას უჭირს დისკუსია / მსჯელობის პროცესისათვის თვალყურის მიდევნება, შესაძლებელია, დაუჯდეთ გვერდით და მასთან ერთად დაამუშავოთ ის კითხვები, რომლებსაც უნდა უპასუხოს.

5. გააცანით მოსწავლეებს სათანადო სტრატეგიები, რომლებიც დაეხმარება მათ დისკუსიის დროს:

- შეადგინონ მარტივი სახის მოკლე ჩანაწერები - *ჩაინიშნონ მნიშვნელოვანი სიტყვები / მოსაზრებები, სათანადო ლექსიკა და ენობრივი ფორმულები, რომლებსაც გამოიყენებენ და ა.შ.*
- შეადგინონ საკუთარი გამოსვლის გეგმა, რომელსაც გაჰყვებიან მსჯელობის დროს.
- აწარმოონ ჩანიშვნები დისკუსიის პროცესში - *ვინ რას ამბობს, რა არგუმენტი მოჰყავს* და *ა.შ. ჩაინიშნონ დამატებითი არგუმენტები* და *ა.შ.*

მასწავლებლის დაკვირვების ფურცელი

	I ჯგუფი	II ჯგუფი
პირობასთან შესაბამისობა: • იცავს შინაარსობრივ მოთხოვნებს - **კი / არა** • მსჯელობს არგუმენტირებულად - **კი / არა** • აკეთებს დასკვნებს - **კი / არა**		
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები: • მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს - **კი / არა** • იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს (თვალით, ჟესტებით, ხმით) - **კი / არა** • კორექტულია ოპონენტის მიმართ, ისმენს და კონსტრუქციულად პასუხობს განსხვავებულ აზრს - **კი / არა**		
ენობრივი უნარ-ჩვევები: სწორად არჩევს ენობრივ რესურსებს: • ლექსიკას - **კი / არა** • წინადადებების მოდალობებს - **კი / არა** • სამეტყველო ეტიკეტის ენობრივ ფორმულებს - **კი / არა**		

აქტივობა 2. კონკურსი გამომსახველობით კითხვაში -„პოეზიის საღამო“

აქტივობის მიზანი:

- გამომსახველობითი კითხვის უნარ-ჩვევების განვითარება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).6

- კითხულობს უშეცდომოდ და შეუფერხებლად;
- სიტყვებს გამოთქვამს მკაფიოდ და გარკვევით;
- კითხულობს გამომსახველობით - ინტონაციით გამოხატავს ტექსტში ასახულ ემოციებს;
- ინტონაციას იყენებს სასვენი ნიშნების ფუნქციით.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

გამომსახველობითი კითხვა გულისხმობს წერილობითი ტექსტის შინაარსის სხვისთვის გადაცემას. ტექსტის შინაარსის ცოდნას თან უნდა ახლდეს ხმამაღალი კითხვის შესატყვისი უნარებიც (ინტონაცია, ექსპრესიულობა). რეკომენდებულია, მასწავლებელმა ხშირად მოასმენინოს მოსწავლეებს ქართველ მსახიობთა აუდიოჩანაწერები და ასაუბროს ისინი მიღებულ შთაბეჭდილებებზე.

1. მოსწავლესთან ერთად დაგეგმეთ კონკურსის მოწყობა. პირველ ჯერზე კონკურსში მონაწილეობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი, ამიტომ გაითვალისწინეთ მოსწავლეების სურვილი და ნუ დააძალებთ მონაწილეობას. ის, ვინც უარს იტყვის მონაწილეობაზე, შეიყვანეთ შემფასებელთა ჯგუფში (ჟიურიში).

აქტივობის შესასრულებლად მიეცით მოსწავლეებს შემდეგი ინსტრუქცია: „შეარჩიეთ ლექსები ან კონკრეტული ეპიზოდები თქვენთვის სასურველი ნაწარმოებებიდან, ისწავლეთ ზეპირად და მოემზადეთ კონკურსისათვის“.

> იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თავს შეიკავებს ლექსის ან მოთხრობის კლასის წინაშე დამოუკიდებლად მოყოლისაგან / წარმოთქმისაგან, შესაძლებელია, მასთან ერთად შეასრულოთ მიცემული დავალება.
>
> შეიძლება მოსწავლეს გაუჭირდეს ლექსის დაწყება, ხოლო მცირედი დახმარების შემდეგ მან დამოუკიდებლად გააგრძელოს და დაამთავროს ლექსი. შესაძლებელია ლექსის თქმისას აუდიოჩანაწერის სინქრონული გამოყენებაც.

2. ჟიურის წევრებთან ერთად შეიმუშავეთ კრიტერიუმები, რის მიხედვითაც შეაფასებენ ისინი კონკურსიის მონაწილეებს.

3. კონკურსის ჩატარება შესაძლებელია ორ ტურად: მონაწილეები ჯერ კითხულობენ (ზეპირად ამბობენ) ერთსა და იმავე ნაწარმოებს (როგორც პროზაულს, ისე პოეტურს), შემდეგ ტექსტს ირჩევენ საკუთარი სურვილით. მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრეთ საკონკურსო პირობები, მაგ., *საკუთარი სურვილით შერჩეული ტექსტების წაკითხვა.*

4. გააცანით მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმები და აუხსენით, რას მიაქციონ ყურადღება მომზადების პროცესში:

- წაკითხვამდე განსაზღვრონ, რისი აქცენტირება სურთ ტექსტში;
- ივარჯიშონ შესაბამის ინტონაციებზე, რომლითაც უნდა გამოხატონ ტექსტში მოცემული ემოციები;
- ყურადღება მიაქციონ სასვენ ნიშნებს; მეტყველების ტემპსა და ხმის ტემბრს;
- იმეტყველონ გარკვევით და მკაფიოდ;
- სათანადოდ გამოიყენონ არავერბალური ენა - მიმიკა და ჟესტები;
- შეეცადონ მხედველობითი კონტაქტის დამყარებას აუდიტორიასთან.

5. მოტივაციის გასაზრდელად, სასურველია, მოსწავლეები წაახალისოთ სხვადასხვა თვალსაზრისით; მაგ., ყველაზე კარგი გამოთქმის მქონე, ყველაზე მონდომებული და ა.შ. ნომინაციებზე შეთანხმდით მოსწავლეებთან ერთად.

შეფასების სქემა გამომეტყველებით კითხვაში:

კრიტერიუმები	**ნინო**	**სანდრო**	**ელენე**
მკაფიოდ და გარკვევით წარმოთქვამს სიტყვებს - **კი / არა**			
აქცენტებს აკეთებს საკვანძო სიტყვებზე - **კი / არა**			
ადეკვატურად იყენებს ლოგიკურ პაუზებს - **კი / არა**			
ინტონაციას იყენებს სასვენი ნიშნების ფუნქციით - **კი / არა**			
ხმის სიმაღლისა და ჟერადობით ზუსტად გადმოსცემს ავტორისეულ განწყობას - **კი / არა**			
ცდილობს აუდიტორიასთან მხედველობითი კონტაქტის დამყარებას - **კი / არა**			

2. წერა - კითხვის უნარის ფლობა

წერა-კითხვის უნარის დაუფლება, პირველ რიგში, გულისხმობს:

- ანბანური პრინციპის ცოდნას (წერილობითი კოდის გაშიფვრას - ასო-ბგერითი მიმართებების გაცნობიერებას, ასოთა ცოდნას);
- მთლიანი სიტყვების ცნობას (სიტყვის ორთოგრაფიული ხატის „ამოკითხვას“);
- გამართულ / გაწაფულ კითხვას;
- წერის მოტორიკის დაუფლებას (ნატიფი მოტორული უნარების განვითარებას);
- სიტყვების / წინადადებების / ტექსტების წერას.

2.1. სტანდარტის შედეგები და მათი განმარტებები

სტანდარტის შედეგები, რომლებიც უზრუნველყოფს წერა-კითხვის უნარის ფლობას სწავლების პირველ ეტაპზე:

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

ქართ.დაწყ.(I).6
გაწაფულად კითხვა;

ქართ.დაწყ.(I).12
კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად;

ქართ.დაწყ.(I).13
სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე;

ქართ.დაწყ.(I).14
ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ერთეულების ადეკვატურად გამოყენება**; კალიგრაფიისა** და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა;

ქართ.დაწყ.(I).15
წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

განმარტებები შედეგების მოთხოვნებთან დაკავშირებით:

გაწაფული / გამართული კითხვა ნიშნავს ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე და უშეცდომოდ (სწორად), გაბმულად (წყვეტის გარეშე), სწრაფად (იგულისხმება ზომიერი, ბუნებრივი სიჩქარე) და გამომეტყველებით (ინტონაციით, პროსოდიით) კითხვას. გაწაფული კითხვის დაუფლებამდე მოსწავლე, პირველ რიგში, წერა-კითხვის ტექნიკას უნდა დაეუფლოს. წერა-კითხვის ყველაზე მნიშვნელოვანი საყრდენია ანბანის ცოდნა, რომელიც გულისხმობს ასო-ბგერითი მიმართებების გაცნობიერებას, წერილობითი კოდის გაშიფვრას - ასოს ბგერად ქცევასა და, პირიქით, ბგერის ასოდ გარდაქმნას.

მართალია, ანბანზე მუშაობას წინ უძღვის ფონოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარება, თუმცა კითხვის სწავლის დაწყების შემდეგაც ეს ორი კომპონენტი პარალელურად ვითარდება. ფონოლოგიური უნარი, რომელიც ზეპირი სიტყვების მარცვლებად და ბგერებად დაშლასა და მათ გამთლიანებას გულისხმობს, ხელს უწყობს კითხვის დაუფლებას. ცნობილია, რომ ბავშვები, რომელთაც ჩამოყალიბებული აქვთ ფონემური ცნობიერება, მარტივად ეუფლებიან კითხვას.

2.2. წერა-კითხვის სწავლების ეტაპები

წერა-კითხვის სწავლება პარალელური პროცესია, რომელიც მოიცავს სამ ეტაპს: წინასაანბანო, საანბანო და ანბანის შემდგომ პერიოდებს. წერა-კითხვის ტექნიკის დაუფლებაზე მუშაობა, ძირითადად, წინასაანბანო და საანბანო პერიოდებში მიმდინარეობს (თუმცა, კონკრეტულ მოსწავლეთა სასწავლო მიზნებისა და საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით, შესაძლებელია, ეს პროცესი მათთვის ანბანის შემდგომ პერიოდშიც გაგრძელდეს პარალელურად).

წინასაანბანო პერიოდი - ეს არის მოსამზადებელი ეტაპი, რომელიც გულისხმობს: მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, წიგნთან მუშაობის საწყისი უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და ანბანის შესასწავლად მათ მომზადებას - ფონოლოგიური უნარ-ჩვევებისა და ნატიფი მოტორიკის (ვიზუალურ-სივრცითი გარჩევისა და ვიზუალურ-მოტორული უნარის) განვითარებას.

საანბანო პერიოდი - ამ ეტაპზე მიმდინარეობს წერა-კითხვის ტექნიკის დაუფლებაზე ინტენსიური მუშაობა: ოპერირება ასოებით, მარცვლებითა და სიტყვებით, ასო-ბგერითი მიმართებების გაცნობიერება, სიტყვებისა და მოკლე წინადადებების გაშიფვრა-წაკითხვა, ასოების გამოყვანა, სიტყვების გამოწერა/გადაწერა და ა.შ.

ვინაიდან სწავლების საწყის ეტაპზე წერის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია კითხვის უნარის გაუმჯობესებაა, ამიტომ სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს ისეთი დავალებები შესთავაზოს, სადაც მათ ერთი და იმავე ენობრივი მასალის წაკითხვაც მოუწევთ და წერაც.

საანბანე პერიოდის პრიორიტეტები კითხვაში:

კითხვა	
ასო-ბგერითი მიმართებები (აგრეთვე მიმართებები გრაფიკულ და აკუსტიკურ ხატებს შორის)	იგულისხმება ასოების ამოცნობა და მათი დაკავშირება შესაბამის ბგერებთან.
სიტყვის ორთოგრაფიული ხატის ამოცნობა, ასოების გამონაწევრება	გულისხმობს სიტყვის ასოებად დაშლისა (ანალიზი) და ასოების სიტყვებად გამთლიანების (სინთეზი) უნარს.
სიტყვების, მოკლე წინადადებების გაშიფვრა-წაკითხვა	ეს არის ნაწერი სიტყვის (ორთოგრაფიული ხატის) ხმოვან ხატად გარდაქმნა / კონვერტირება.
კითხვის მოქნილობა	გულისხმობს ნაწერი / ნაბეჭდი სიტყვების ავტომატური დეკოდირების უნარს.

საანბანე პერიოდის პრიორიტეტები წერაში:

წერა	
ნატიფი მოტორიკა (ვიზუალურ-სივრცითი გარჩევა და ვიზუალურ-მოტორული უნარი)	ასოების ნაწილების გააზრება (რკალი, რგოლი, სწორი ხაზი და ა.შ.) და მათი გამოსახვა.
ბადიანი რვეულის სივრცითი მიმართებები	ბადიან რვეულში ორიენტირება და სივრცითი მიმართებების გააზრება - შუა / ზედა / ქვედა
ასოების წერა	ასოთა გამოყვანა ოთხხაზოვან და ორხაზოვან სისტემებში. ცალხაზიან სისტემაზე გადასვლა.
სიტყვების გამოწერა, გადაწერა; წინადადებების გადაწერა; კარნახით / დამოუკიდებლად წერა	სიტყვების გადაწერა / ჩაწერა ინსტრუქციის მიხედვით, მაგ., მითითებულ ასოზე დაწყებული სიტყვები, ოთხასოიანი სიტყვები, თემატური სიტყვები და ა.შ.

2.3. აქტივობათა ნიმუშები

პირველი – მეორე კლასები

აქტივობა 1. კონტურული ფიგურებისა და ნახატების შექმნა

აქტივობის მიზანი:

- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარის განვითარება;
- ვიზუალური გამოსახულებებისა და მათი დეტალების აღქმა / გარჩევა;
- ფიგურების სწორად და შესაბამისად გამოყვანა.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).14

- ხელის სწორი მოძრაობით შესაბამისი მიმართულებით ავლებს ხაზებს და გამოჰყავს შესაბამისი გამოსახულებები (გეომეტრიული ფიგურები, კონტურული ნახატები).

აქტივობის აღწერა და მეთოდური მითითებები

მოდელირების მეთოდის გამოყენების პარალელურად, აუხსენით მოსწავლეებს, რაში მდგომარეობს მოცემული აქტივობების არსი - ისე უნდა შემოატარონ კონტურს საწერი საშუალება, რომ დაიცვან ხაზის სისწორე.

ამის შემდეგ მიეცით კონტურული სახით წარმოდგენილი გრაფიკული გამოსახულება / მარტივი ნახატი და გააცანით შესაბამისი ინსტრუქცია:

ა) შეაერთეთ გეომეტრიული ფიგურები:



ბ) შეაერთეთ და შემდეგ გააფერადეთ ნახატი:



კონტურზე საწერი საშუალების გადატარება შესაძლებელია (და სასურველია) მოხდეს ერთი ხელის მოსმით (წყვეტის გარეშე); თუმცა დასაშვებია მოსწავლემ შიგადაშიგ შეისვენოს გავლებული ხაზის მიმართულებისა და მისი სისწორისა შეფასების მიზნით.

- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს უჭირს ვიზუალურად მოცემული გამოსახულების აღქმა და გააზრება (ვერ ხვდება, რა ფიგურა უნდა მიიღოს) შესაძლებელია:

  პირველ ეტაპზე მისთვის კარგად ნაცნობი და შედარებით მარტივი დასრულებული გამოსახულების მიცემა, დასახელება - რომელი გეომეტრიული ფიგურაა / რა ხატია და მასთან ერთად აღწერა; ამის შემდეგ მისი კონტურულად გამოსახული ხატის მიწოდება: დასრულებულ და კონტურულ ნახატს ან ფიგურას შორის მსგავსების აღმოჩენა; იმის განმარტება, რომ ის სწორედ ამ ნახატზე / ფიგურაზე მუშაობს;

- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს ყურადღების კონცენტრაციის, ვიზუალური გარჩევის და/ან თვალისა და ხელის კოორდინირებული მუშაობის სირთულეების გამო უჭირს დავალების შესრულება (ხელის საჭირო მიმართულებით ამოძრავება), შესაძლებელია:
  - ვიზუალური გამოსახულებების (გეომეტრიული ფიგურების, კონტურული ნახატების) გამარტივება, მაგ., მხოლოდ ვერტიკალური, ჰორიზონტალური და/ან დიაგონალური ხაზების მოღება ორ წერტილის შეერთებით ან მკრთალ კონტურზე ხაზის გადატანებით;
  - ვიზუალური გამოსახულების გადიდება ან დაპატარავება;
  - შესაერთებელი წერტილების გამსხვილება;
  - წერტილებს შორის მანძილის გაზრდა ან შემცირება;
  - ნახატის გამოსახვა მკრთალი ხაზით (და არა წერტილებით);
  - ვიზუალური გამოსახულების კონტურის გამუქება, გამსხვილება. ასეთ შემთხვევაში, მოსწავლეს დაევალება კონტურზე საწერი საშუალების უბრალოდ გადატარება;
  - დაფაზე ცარცით მოცემული გამოსახულებების სველი ფუნჯით წაშლა, შეძლებისდაგვარად, ხელის ერთი მოძრაობით (შესაძლებელია, გამოსახულებები თავდაპირველად იყოს ძალიან მარტივი, მაგ., ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზები და თანდათან რთულდებოდეს). აქტივობის მოცემული ადაპტაცია რეკომენდებულია იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს სჭირდება მკვეთრი ვიზუალური საყრდენი (გამოსახულება) შესაბამისი მიმართულებით ხელის ასამოძრავებლად.
  - მკრთალ კონტურებზე ან წერტილებით მიღებულ გამოსახულებაზე საღებავიანი თითის გადატარება (ზოგჯერ მოზარდს მოძრაობის კონტროლი საწერი საშუალების გარეშე უკეთ გამოსდის და მას უფრო უადვილდება ხელის წარმართვა საჭირო მიმართულებით).

- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს ყურადღების კონცენტრაციის, ვიზუალური გარჩევის და/ან თვალისა და ხელის კოორდინირებული მუშაობის სირთულეების გამო უჭირს ნიმუშის გაფერადება (ვერ იცავს კონტურს), შესაძლებელია:
  - ვიზუალური გამოსახულების კონტურების რელიეფურად გამოსახვა (ამისათვის კონტურებს გადაატარეთ თხევადი წებო წვრილი ფუნჯით და კარგად გააშრეთ;
  - შაბლონის შექმნა, ვიზუალურ გამოსახულებაზე მოთავსება და მის შიგნით გაფერადება.

აქტივობა 2. ორიენტირება ბადიან რვეულში

აქტივობის მიზანი:

- ბადიან რვეულში ორიენტირების უნარის განვითარება და სივრცითი მიმართებების გააზრება - შუა / ზედა / ქვედა;
- ასოების შემადგენელი ნაწილების - რკალის, რგოლის, ვერტიკალური / ჰორიზონტალური ხაზის, ვიზუალური გარჩევა და ზუსტი გამოყვანა ხაზოვან სისტემაში;
- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარის განვითარება;
- ხაზის სიზუსტის დაცვა.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).14

- ხელის სწორი მოძრაობით და შესაბამისი მიმართულებით ავლებს ხაზებს ბადეში ხაზის სისწორის დაცვით;
- გავლებულ ხაზებს აძლევს შესაბამის (სასურველ) მოყვანილობას;
- ხაზვას იწყებს შესაბამისი წერტილიდან და ასრულებს შესაბამის ადგილას;
- იცავს დისტანციას გამოსახულებებს შორის; იცავს გამოსახულებების ზომას.

აქტივობის აღწერა და მეთოდური მითითებები

პირველ რიგში, მოსწავლეებს ყურადღება გაამახვილებინეთ ოთხხაზოვანი ბადის სტრუქტურაზე - რაში მდგომარეობს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზების ასეთი განლაგების არსი.

ა) რკალების, რგოლების, ხაზების გამოყვანა ხაზოვან სისტემაში:





მოსწავლეს მიეცით ფურცლები ხაზოვანი ბადით, სადაც სხვადასხვა ფორმით (მეტად თვალსაჩინოდ და ნაკლებ თვალსაჩინოდ) იქნება ნიმუშები მოცემული. მკაფიოდ განუსაზღვრეთ ინსტრუქცია - საწერი საშუალება გადაატაროს კონტურს ხაზის სისწორის დაცვით და შემდეგ გააგრძელოს ხაზის გავლება დამოუკიდებლად (კონტურის გარეშე).

საწყის ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ მოსწავლემ ხაზის გავლება დაიწყოს შესაბამისი წერტილიდან და დაასრულოს საჭირო ადგილას; ხაზებს შორის დისტანციის დასაცავად გამოტოვოს ერთი უჯრა.

კონტურზე საწერი საშუალების გადატარება შესაძლებელია (და სასურველია) მოხდეს ერთი ხელის მოსმით (ანუ, ხელის აღების გარეშე), თუმცა დასაშვებია, მოსწავლემ შიგადაშიგ შეისვენოს ხაზის სისწორისა და მისი მიმართულების შეფასების მიზნით.

- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს ყურადღების კონცენტრაციის, ვიზუალური გარჩევის, სივრცეში ორიენტაციის და/ან თვალისა და ხელის კოორდინირებული მუშაობის სირთულეების გამო უჭირს პირველი კლასის ბადიან რვეულში აქტივობის შესრულება, შესაძლებელია:
  - მთავარი საორიენტაციო ხაზის / ხაზების კონკრეტული ფერით (მაგ., წითელი) მონიშვნა; გამსხვილება; ან რელიეფურად გამოსახვა (ამისათვის ხაზებს გადაატარეთ თხევადი წებო და კარგად გააშრეთ);
  - ბადის ზომაში გაზრდა და, შესაბამისად, დიდი ზომის გამოსახულებებზე ვარჯიში;
  - პირველი კლასის ბადის გამარტივება (კერძოდ, მეორე კლასის ბადის, ცალხაზიანი ან უხაზო ფორმატის გამოყენება).
- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არ აქვს მოტივაცია (აქტივობა არ არის მისთვის საინტერესო), შესაძლებელია:
  - მარტივი ნახატის (ბალახი, ყვავილი, ცა, ჩიტი და ა.შ.) შექმნა მოცემული გამოსახულებების (ვერტიკალური, ჰორიზონტალური ხაზები, რკალები/წრეები) გამოყენებით. ამავე აქტივობის ფარგლებში მნიშვნელოვანია მიღებული ნახატის აღწერა, გამოსახული ხაზების გაშინაარსება - რომელია რკალი, ხაზი, რგოლი; რას გამოსახავს მოცემულ შემთხვევაში ვერტიკალური ხაზი (ბალახს).





- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს ვიზუალური გარჩევის, მოტორული კონტროლის და/ან მოძრაობათა კოორდინაციის გამო უჭირს საჭირო მიმართულების იდენტიფიცირება და ხაზების, რკალებისა და რგოლების შესაბამისად გამოსახვა, მნიშვნელოვანია:
  - მასწავლებლის მხრიდან საჭირო მიმართულების მითითება, ან მოსწავლის მიერ შესასრულებული მოქმედებების აღწერა, მაგ.: ვხატავთ ბალახს ზევიდან ქვევით; ღრუბელს ვხატავთ მარჯვნიდან მარცხნივ და ა.შ.
- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს უჭირს შესაბამისი მიმართულებით ხელის მოძრაობის კონტროლი და საჭირო კონტურის მიღება შესაძლებელია:
  - კონტურებზე ან წერტილებით მიღებულ გამოსახულებაზე საღებავიანი თითის გადატარება (მოზარდს მოძრაობის კონტროლი ზოგჯერ საწერი საშუალების გარეშე უკეთ გამოსდის და უფრო უადვილდება ხელის საჭირო მიმართულებით წარმართვა).

აქტივობა 3. ასოების გამოსახვა ბადიან რვეულში

აქტივობის მიზანი:

- ბადიან რვეულში ორიენტირების უნარის განვითარება;
- ასოების ვიზუალური გარჩევა და მათი ზუსტი გამოყვანა ხაზოვან სისტემაში;
- ასოების გამოსახვისას მათი ზომისა და მდებარეობის სიზუსტის დაცვა.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).14

- აღწერს კონკრეტული ასოს ზედა/ქვედა/შუა ნაწილებს (მაგ., სად არის სწორი ხაზი, რგოლი, რკალი, საით მრგვალდება რკალი, რამდენი რკალია და ა.შ.);
- იცავს ხაზოვან სისტემაში ასოების განლაგების პრინციპს.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

პირველი ეტაპი:

1. აჩვენეთ მოსწავლეებს ოთხხაზოვან ბადიან ფურცელზე გამოსახული ასოები. პირველ რიგში, ყურადღება ბადის სტრუქტურაზე - ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ხაზებზე მიაქცევინეთ. განმარტეთ, რაში მდგომარეობს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზების ამგვარი განლაგების პრინციპი;

2. დააკვირვეთ ასოებზე და დაუსვით შეკითხვები: *რომელი ასოები იწერება ორ ხაზში? სამ ხაზში? რომელი ასოები ჰგავს ერთმანეთს? რით ჰგავს? რა აქვს საერთო?* და ა.შ.

3. ყურადღება გაამახვილებინეთ მოსწავლეებს ასოთა მოხაზულობაზე - *საიდან იწყება და სად მთავრდება ასოს გამოსახვა; რომელი ასო რამდენ უჯრაში იწერება.*



მეორე ეტაპი:

აჩვენეთ მოსწავლეებს მორიგი ოთხხაზოვანი ბადიანი ფურცლები, სადაც ასოები (და ნაცნობი სიტყვები) მოცემულია ჯერ თვალსაჩინოდ, შემდეგ გამოსახულია წერტილებით და ბოლოს ნახევრად დასრულებული სახით. დავალების შესრულებამდე მკაფიოდ მიაწოდეთ ინსტრუქცია:

ა) დააკვირდით ნიმუშს და სწორი მიმართულებით გამოსახეთ მოცემული ასოები.



ბ) დაასრულეთ ასოების წერა ნიმუშის მიხედვით.



- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს ყურადღების კონცენტრაციის, ვიზუალური გარჩევის, სივრცეში ორიენტაციის და/ან თვალისა და ხელის კოორდინირებული მუშაობის სირთულეების გამო უჭირს პირველი კლასის ბადის ანალიზი, შესაძლებელია:
  - საორიენტაციო ხაზის/ხაზების კონკრეტული ფერით (მაგ., წითელი), მონიშვნა; გამსხვილება ან რელიეფურად გამოსახვა (ამისთვის ხაზებს გადაატარეთ თხევადი წებო წვრილ ფუნჯით და კარგად გააშრეთ).
  - სამგანზომილებიანი ასოების (გამოძერწილი ასოების) დიდ ფორმატზე დახაზულ ბადეში მოთავსება (ამ სახის მოტორულმა აქტივობამ შესაძლებელია, გააიოლოს ბადეში ასოთა ადგილმდებარეობის დამახსოვრება).
  - ბადის ზომაში გაზრდა და, შესაბამისად, დიდი ზომის ასოებზე ვარჯიში.
  - პირველი კლასის ბადის გამარტივება (კერძოდ, მეორე კლასის ბადის, ცალხაზიანი ან უხაზო ფორმატის გამოყენება).
  - უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლებელია, კომპრომისზე წასვლა და ასოთა ზომისა და ურთიერთმიმართების წესის დაცვაზე უარის თქმა.

- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს უჭირს ასოს ვიზუალური გამოსახულების ზედმიწევნით აღქმა, დამახსოვრება და ასოს გამოსაწერად ხელის საჭირო მიმართულებით წარმართვა, შესაძლებელია:
  - გამოწერამდე ასოების გამოსახვა სხვადასხვა საშუალებით: მავთულის დაგრეხვით, საძერწით და სხვა.
  - გამოყვანილი ასოს გამოსახულების მიწოდება და დავალებად მიცემა, გადაატაროს მასზე საწერი საშუალება; მოტორული უნარის გავარჯიშების პარალელურად, რეკომენდებულია, დავალების ეტაპობრივად გართულება: ასოების კონტურების გამკრთალება, წერტილებს შორის მანძილის გაზრდა.
  - დაფაზე ცარცით ნაწერი ასოების სველი ფუნჯით წაშლა, მატი გამოსახვის მიმართულების დაცვით.
  - კონტურებზე ან წერტილებით მიღებულ გამოსახულებაზე საღებავიანი თითის გადატარება, ან ასოების წერა ქვიშაში (მოძრაობის კონტროლი მოზარდს ზოგჯერ საწერი სასშუალების გარეშე უკეთ გამოსდის და საჭირო მიმართულებით ხელის წარმართვაც უფრო უადვილდება).
- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს უჭირს წერის აქტივობის ინიცირება, მნიშვნელოვანია, მოერიდოთ წერას ხელით-ხელზე ტექნიკის გამოყენებით, მაქსიმუმ, შესაძლებელია ეს ტექნიკა გამოიყენოთ ხელის სათანადო მოძრაობის დასაწყებად; არ დაწეროთ მოსწავლესთან ერთად ხელით-ხელზე ტექნიკით და არც მის ნაცვლად შეასრულოთ დავალება.

გ) შეავსეთ გამოტოვებული ასოები მოცემული სიტყვების დახმარებით.

აი ყაყაჩო



თუ მოსწავლეს აღნიშნული აქტივობის შესრულება გაუჭირდება ფონემატური ანალიზთან დაკავშირებული სირთულეების გამო, შესაძლებელია, მას მინიშნების სახით მიეწოდოს ქართული ენის ბადეში სრულად ჩაწერილი იგივე წინადადება. ეს დაეხმარება მას, აღმოაჩინოს ნაკლული ასო და ჩაწეროს.

აქტივობა 4. ნაცნობი სიტყვების წერა ნახატის დახმარებით

აქტივობის მიზანი:

- ნაცნობი სიტყვების დამოუკიდებლად წერა; ასოთა ზუსტი გამოყვანა ხაზოვან სისტემაში.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).14

- იცავს ხაზოვან სისტემაში ასოების განლაგების პრინციპს;
- ხელის სწორი მოძრაობით წერს ანბანის ყველა ასოს შესაბამისი მიმართულებით;
- დამოუკიდებლად წერს სიტყვებს, რომელთა ორთოგრაფიული ხატი მისთვის ნაცნობია.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

მიაწოდეთ მოსწავლეს ჩასაწერი სიტყვის შესაბამისი საგნის ვიზუალური ხატი (გამოსახულება) მოცემული წერტილების ან კონტურის სახით და მიეცით დავალება შემდეგი ეტაპების დაცვით:

1. შეაერთეთ წერტილები და ამოიცანით, რა ხატია;
2. დაასახელეთ, რა არის;
3. ჩაწერეთ ეს სიტყვა ბადეში.





- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ამოიცნობს და ასახელებს საგნის ვიზუალურ გამოსახულებას, მაგრამ არ შეუძლია ამ გამოსახულების შესაბამისი სიტყვის ორთოგრაფიული ხატის დამოუკიდებლად აღდგენა და ჩაწერა, შესაძლებელია. მისცეთ ორი სიტყვა, რომელთაგან ერთი გამოსახულების შესაბამისია, მეორე კი - არა, მაგ., „ხე“ და „ია“. მოსწავლემ სწორად უნდა აარჩიოს ნახატის შესაბამისი ორთოგრაფიული ხატი და გადაწეროს.
- აქტივობის სახეცვლილი ვერსიაა: საწყის ეტაპზე სთხოვეთ მოსწავლეს, კარნახით ჩაწეროს ან გადაწეროს თქვენ მიერ მიცემული სიტყვა. ამის შემდეგ მიეცით ორი ან სამი საგნის ვიზუალური გამოსახულება, რომელთაგან ერთია მხოლოდ ჩაწერილი სიტყვის შესაბამისი. სთხოვეთ მოსწავლეს, მოცემულ გამოსახულებებს შორის მიუთითოს, რომელი შეესაბამება დაწერილ სიტყვას.

აქტივობა 5. სიტყვის ორთოგრაფიული ხატის ცნობა

აქტივობის მიზანი:

- მითითებული სიტყვის ან ნახატის შესაბამისი სიტყვის პოვნა ნიმუშის მიხედვით.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).6

- სწორად ამოიცნობს, მიუთითებს მსგავსი ორთოგრაფიული ხატის მქონე სიტყვებს / მოცემული ვიზუალური გამოსახულების შესაბამის სიტყვას;
- თავისუფლად ცნობს ხშირად გამოყენებული სიტყვის ორთოგრაფიულ ხატს.

აქტივობის აღწერა და მეთოდური მითითებები

კითხვის მთლიანობითი მეთოდის გამოყენება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია კითხვის სწავლების შემამზადებელ ეტაპზე. მოსწავლე ვიზუალურად იმახსოვრებს სიტყვის ორთოგრაფიულ ხატს და პირდაპირი გზით ამოიცნობს მის მნიშვნელობას. კითხვის მთლიანობითი მეთოდი ხელს უწყობს მხედველობითი მეხსიერების განვითარებასა და ხედვითი აღქმის გაუმჯობესებას. ამ მეთოდით კითხვის სწავლებისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- სიტყვების გაშიფრვის წინმსწრებად მნიშვნელოვანია ფონოლოგიურ უნარებზე, განსაკუთრებით კი ბგერების გამთლიანებაზე მუშაობა.
- ასაკობრივთან ერთად თუ გავითვალისწინებთ მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ და ფიზიოლოგიურ თავისებურებებსაც, ამ მეთოდით კითხვის სწავლებისას ყველას თანაბარი მოთხოვნები არ უნდა წავუყენოთ.

1. წინასწარ მოამზადეთ ბარათები, სადაც მოცემულია სამიზნე (ამოსაკითხი) სიტყვა სათანადო სიტყვათა ჩამონათვალში.

დაურიგეთ ბარათები მოსწავლეებს და სთხოვეთ, ამოიკითხონ **მითითებული** (გამუქებული / ცალკე გატანილი / დიდი შრიფტით დაწერილი) სიტყვა. ამის შემდეგ მიეცით კონკრეტული დავალება - სიტყვათა ჩამონათვალში იპოვონ და შემოხაზონ იგივე სიტყვა.

ა)

მზე	კომპიუტერი	(მზე)	ბურთი

ბ)

მზე	ხე	(მზე)	ია	ზღვა	მზე	ბურთი	ტყე	ზღარბი	მზე

- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს უჭირს სამიზნე სიტყვის მნიშვნელობის წვდომა, მნიშვნელოვანია მას სამიზნე სიტყვასთან ერთად მივაწოდოთ შესაბამისი გამოსახულებაც. ამგვარად მოსწავლე ორიენტირებული იქნება მნიშვნელობის მატარებელი სიტყვის ძიებაზე და არა შინაარსს მოკლებული ორთოგრაფიული ხატის ამოცნობაზე.
- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს აქვს ყურადღებასთან დაკავშირებული სირთულეები, შესაძლებელია, შევამციროთ მიცემულ სიტყვათა რაოდენობა, რომელთა შორისაც უნდა იპოვოს სამიზნე სიტყვა.
- იმ შემთხვევაში, თუ გვინდა რომ დავტვირთოთ მოსწავლის ვიზუალური აღმისა და ანალიზის უნარი, შესაძლებელია, „სიტყვები“ ვიზუალურად დავამსგავსოთ სამიზნე სიტყვას, მაგ.:

მზე	ზმე	მზეეა	მზე	ეზმ	ხემზ	ემზე	მხე

2. ამის შემდეგ მიეცით მორიგი დავალება - გადახაზოს (ან მიუთითოს) **ზედმეტი** სიტყვა სიტყვათა ჩამონათვალში ნიმუშის მიხედვით.

ია	ია
ია	~~ბურთი~~
ია	ია

წიგნი	წიგნი
წიგნი	ვაშლი
წიგნი	ცხენი

3. კარგად გავარჯიშების შემდეგ ცოტა გაართულეთ დავალება. მიეცით სიტყვათა ჩამონათვალი და ერთ-ერთი (ამოსაკითხი / სამიზნე) სიტყვის შესაბამისი ნახატი. სთხოვეთ მოსწავლეებს, ჯერ დაასახელონ, რა ხატია და შემდეგ იპოვონ და მიუთითონ (ხაზით დააკავშირონ) მისი შესაბამისი სიტყვა სიტყვათა ჩამონათვალში.

ა)

თაგვი

კატა

კუდი

ძაღლი

- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს **უჭირს ვიზუალური გამოსახულების შესაბამისი სიტყვის ამოცნობა,** საწყის ეტაპზე ვიზუალურ გამოსახულებას ქვეშ მიუწერეთ შესაბამისი სიტყვა და სთხოვეთ მისი მსგავსი სიტყვის პოვნა მოცემულ სიტყვათა ჩამონათვალში:

თაგვი

კატა

კუდი

ძაღლი

მომდევნო ეტაპზე მოაცილეთ ნახატს სიტყვა და სთხოვეთ მოსწავლეს იმავე დავალების შესრულება.

მზე ტყე გზა მზე ზარი მზე მთა

- მოსწავლის უნარის გაწაფვის შემდეგ, შესაძლებელია, დავალების გართულება. სიტყვათა ჩამონათვალში დაამატეთ ის „სიტყვებიც“, რომლებიც შინაარსისაგან არის დაცლილი და მხოლოდ ორთოგრაფიულად ჰგვანან სამიზნე სიტყვას.

მზე ტყე გზა მზე ზარი მზე
მთა მზა აზმ მგა ეზმ ამზე

- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს აღენიშნება ყურადღებასთან დაკავშირებული სირთულეები, შეამცირეთ მიცემული სიტყვების რაოდენობა. შესაძლებელია, თავიდან მხოლოდ ორ სიტყვას შორის გააკეთოს არჩევანი და შემდეგ ეტაპობრივად გაზარდოთ სიტყვათა რაოდენობა.

ბ) შეგიძლიათ, დავალება გაართულოთ ყველა სიტყვის შესაბამის ნახატთან დაკავშირებით:



აქტივობა 6. ასო-ბგერების ცნობა-დასახელება

აქტივობის მიზანი:

- ასოების ვიზუალური გარჩევა, ამოცნობა და დასახელება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).6

- პოულობს მითითებულ ასოებს სიტყვათა ჩამონათვალში და ასახელებს;
- თავისუფლად კითხულობს ანბანის ყველა ასოს.

აქტივობის აღწერა და მეთოდური მითითებები

დაუსახელეთ მოსწავლეებს სამიზნე ასო (ან ასოები) და სთხოვეთ, იპოვონ ეს ასო (ან ასოები) სიტყვათა ჩამონათალში და/ან მოცემულ წინადადებებში და გააფერადონ. შესაძლებელია, სთხოვოთ მითითებული ხშირად გამეორებული ასოს მოძებნა და გაფერადება:

ა - წითლად ი - ყვითლად

ანი ია. ანი გია. ია, ანი მაია.

ზ

ზარი ზანზარებს უზარმაზარი,
ზარმაც ზაზუნებს დასცა თავზარი.

- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს უჭირს ყურადღების შესაბამისად მართვა, შეამცირეთ მიცემულ სიტყვათა რიგი ან წინადადებების სიგრძე. შესაძლებელია, დააფაროთ მომდევნო სიტყვებს ან წინადადებებს ფურცელი და ეტაპობრივად გამოაჩინოთ ისინი.
- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს აღენიშნება სირთულეები ნატიფ მოტორიკაში, რაც ართულებს ასოების გაფერადებას / შემოხაზვას, სთხოვეთ მხოლოდ ასოს მითითება (და შესაბამისი ფერის დასახელება).
- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს აღენიშნება სირთულეები ფერების აღქმაში (არ შეუძლია მათი სწორად ამოცნობა და/ან დასახელება), ყურადღება გაამახვილეთ მხოლოდ სამიზნე ასოების ამოცნობაზე - არ დაასახელებინოთ ფერი. ამავდროულად, მოსთხოვეთ ერთნაირი ასოების ერთი ფერით გაფერადება ან ერთი ფერის სტიკერით მათი მონიშვნა. ეს გააძლიერებს ასოების იდენტობის აღქმას.

პირველი - მეოთხე კლასები

აქტივობა 1. სიტყვის ამოცნობა (ანალიზი და სინთეზი); წერა

აქტივობის მიზანი:

- ასო-ბგერითი მიმართებების ცოდნა;
- მიჯრით მიწყობილ სიტყვებში სამოდელო სიტყვის ამოცნობა;
- ნახატის შესაბამისი სიტყვის სწორად ჩაწერა;
- მოცემული ასოებით სიტყვების შედგენა / შევსება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).6

- ცნობს ანბანის ყველა ასოს; ასოებს ამთლიანებს სიტყვებად;
- ამოიცნობს სიტყვაში გამოტოვებულ ასოს და სწორად აკავშირებს შესაბამის ბგერასთან;
- ასოთა სწორი თანმიმდევრობით აწყობს სამიზნე სიტყვას.

ქართ.დაწყ.(I).14

- დამოუკიდებლად წერს სიტყვებს, რომელთა ორთოგრაფიული ხატი მისთვის ნაცნობია.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

ა) მოცემული ასოებით სიტყვების შევსება.

მიეცით მოსწავლეებს საგნების ვიზუალური გამოსახულებები და შესაბამისი სიტყვები გამოტოვებული ასოებით. სთხოვეთ, ნახატებზე დაკვირვებით ჯერ დაასახელონ შესაბამის სიტყვებში გამოტოვებული ასოები და შემდეგ დააკავშირონ ბგერა შესაბამის ასოსთან (მიუთითონ, საყრდენებად მიცემული ასოებიდან რომელია). ბოლოს შეავსებინეთ ნაკლული სიტყვები.

აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ ასო-ბგერითი მიმართებების დასადგენად მნიშვნელოვანია, მინიმუმ, ორი ასოს შეთავაზება, საიდანაც მოსწავლემ სწორი არჩევანი უნდა გააკეთოს.

აქტივობის შესრულების საწყის ეტაპზე მიაწოდეთ გამოტოვებული ასოები, მომდევნო ეტაპზე წაახალისეთ მოსწავლეები, თავად შეარჩიონ გამოტოვებული ასოები და ისე ჩაწერონ (იხ. მომდევნო აქტივობა).

ვა_ლი

წ შ

_იგნი

ბ) ნახატის დახმარებით სიტყვაში გამოტოვებული ასოების ამოცნობა, სიტყვის შევსება.

მიეცით მოსწავლეებს ნაცნობი საგნის (საგნების) გამოსახულება (ნახატი) და მისი შესაბამისი ერთი/ორი ასოგამოტოვებული სიტყვის ორთოგრაფიული ხატი (გამოტოვებული ასოების რაოდენობა დამოკიდებულია მოსწავლის შესაძლებლობაზე). სთხოვეთ ჯერ დაასახელონ, რომელი ასო/ასოები აკლია მოცემულ სიტყვას და შემდეგ შეავსონ იგი.

ძაღ _ _

მ _ _

საა _ ი

მოცემული აქტივობა, შესაძლებელია, შესრულდეს როგორც ასოებთან, ისე მარცვლებთან მიმართებით.

პირველ ეტაპზე აუცილებლად დაასახელებინეთ მოსწავლეს, რა არის გამოსახული ნახატზე. ამის შემდეგ წაახალისეთ მოსწავლე და დაამარცვლინეთ ან ბგერებად დააშლევინეთ დასახელებული სიტყვები.

თუ სიტყვის ფონოლოგიური ანალიზის შემდეგ მოსწავლეს მაინც გაუჭირდება გამოტოვებული ასოების დამოუკიდებლად იდენტიფიცირება, ნახატთან და ასოგამოტოვებულ სიტყვასთან ერთად დამატებით მიეცით შესაბამისი სიტყვა სრულად.

სთხოვეთ მოსწავლეს, შეადაროს ნაკლული სიტყვა მის სრულ ვარიანტს, აღმოაჩინოს გამოტოვებული ასოები, დაასახელოს და ისე გადაწეროს ნაკლულ სიტყვაში.

თუკი მოსწავლეს გაუჭირდება ნაკლული ასოების დამოუკიდებლად იდენტიფიცირება, წინასწარ გაუხაზეთ ისინი და სთხოვეთ, მონიშნული ასოები გადაწეროს ნაკლულ სიტყვაში.

გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლეს საწყის ეტაპზე შესაძლებელია, უფრო გაუიოლდეს სიტყვაში გამოტოვებული საწყისი (ანუ, პირველი) ასოს იდენტიფიცირება.

გ) არეულად მოცემული ასოებით სიტყვების აწყობა საყრდენების დახმარებით.

1. საყრდენად გამოიყენეთ ასაწყობი სიტყვის ფოტოგრაფიული ხატი (ანუ, გამოსახულება). მიეცით მოსწავლეს არეულად მოცემული ასოები და სთხოვეთ ნახატის შესაბამისი სიტყვის აწყობა ასოების სწორი თანმიმდევრობით დალაგებით.



ხ ც ნ ე ი

_____

საწყის ეტაპზე, შესაძლებელია, მიზანშეწონილი იყოს აღნიშნული აქტივობის განხორციელება ერთმარცვლიან სიტყვებზე.

თავდაპირველად აუცილებლად დაასახელებინეთ მოსწავ-ლეს მოცემული ვიზუალური გამოსახულება, შემდეგ დაამარცვლინეთ და დააშლევინეთ ეს სიტყვა ბგერებად.

2. მეორე შემთხვევაში საყრდენად გამოიყენეთ ასაწყობი სიტყვის საწყისი ასო.

უ თ შ თ ი უ ი ყ **თ** _____

შესაძლებელია, ანალოგიური აქტივობა განხორციელდეს სიტყვის შემადგენელი მარცვლების არევითაც.

ყუ თი ში თუ **თუ** _____

- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს **მაინც გაუჭირდა ასოების სწორი თანმიმდევრობით გადალაგება,** დროებით მიაწოდეთ გამოსახულების შესაბამისი სიტყვის სწორი ჩანაწერი და სთხოვეთ მისი წაკითხვა. მომდევნო ეტაპზე მოაცილეთ აწყობილი სიტყვა და სთხოვეთ თავად ააწყოს ეს სიტყვა არეულად მოცემული ასოებისაგან ან მარვცლებისგან.
- სხვა შემთხვევაში შესძლებელი იქნება მოსწავლეს საყრდენად ასაწყობი სიტყვის განმარტება მისცეთ, მაგ., „ჩასაწერი სიტყვა ფრინველთა კატეგორიას განეკუთვნება“.

დ) კროსვორდის შევსება საყრდენების დახმარებით.

კროსვორდის შესავსებად გამოიყენეთ მოსწავლეებისათვის კარგად ნაცნობი სიტყვები და/ან მათი გამოსახულებები/ნახატები.



იმისათვის, რომ მოსწავლეს გაუიოლდეს მოცემული აქტივობის შესრულება, პირველ რიგში, დაასახელებინეთ მოცემული გამოსახულებები და დააააშლევინეთ სიტყვები ბგერებად.

შესაძლებელია, საჭირო გახდეს კროსვორდის გამარტივება მოსწავლის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

ზოგიერთ შემთხვევაში სასარგებლო იქნება, თუკი მოსწავლეს თავდაპირველად შევსებულ კროსვორდს წარუდგენთ, ამოაკითხებთ მასში მოცემულ სიტყვებს და მხოლოდ ამის შემდეგ სთხოვთ იმავე სიტყვებისგან შემდგარი კროსვორდის შევსებას საყრდენების საშუალებით.

ე) მიჯრით მიწყობილ სიტყვებში სამოდელო სიტყვის ამოცნობა და შემოხაზვა.

მიეცით მოსწავლეებს მიჯრით მიწყობილი სიტყვების რიგი და სთხოვეთ მოცემულ რიგში ნახატის შესაბამისი სიტყვის ამოცნობა და შემოხაზვა.

გაითვალისწინეთ, რომ მიჯრით მიწყობილი ყველა სიტყვა მარტივი და მათთვის ნაცნობი უნდა იყოს.

შესაძლებელია მსგავსი აქტივობის განხორციელება (სამოდელო სიტყვის ამოცნობა) მიჯრით მიწყობილ უშინაარსოდ დალაგებულ ასოებზეც.

მ ზ ე ზ ა რ ი ბ ა ი ა თ მ ა ი ა მ ზ ე

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდება სამიზნე სიტყვის ამოცნობა, გამოსახულებასთან ერთად ნიმუშის სახით მიაწოდეთ ამოსაცნობი სიტყვა (ორთოგრაფიული ხატი). ეს გაუადვილებს მას მოცემული დავალების შესრულებას.

ვ) მიჯრით მიწყობილი სიტყვების ხაზით გამოყოფა.

მიეცით მოსწავლეებს კვლავ მიჯრით მიწყობილი სიტყვების რიგი და სთხოვეთ, წაიკითხონ ყურადღებით და სიტყვებს შორის ჩამოუსვან ხაზი ნიმუშის მიხედვით.

ამ შემთხვევაშიც **გაითვალისწინეთ, რომ** მიჯრით მიწყობილი ყველა სიტყვა მარტივი და მათთვის ნაცნობი უნდა იყოს.

ტ ყ ე | ჩ ა ნ თ ა ვ ა რ დ ი ს კ ო ლ ა ს ო კ ო მ გ ე ლ ი ბ ი ჭ ი

- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს **გაუჭირდა სიტყვათა რიგში ჩამალული სიტყვების ამოცნობა,** წინასწარ, მოკლე დროით მიაწოდეთ საძიებო სიტყვების შესაბამისი გამოსახულებები და დაასახელებინეთ ისინი; უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლებელია, საჭირო გახდეს თავად საძიებო სიტყვების ორთოგრაფიული ხატების ხანმოკლე დროით მიცემაც. შემდეგ გადადით დავალების შესრულებაზე.
- ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია, საჭირო გახდეს გამოსახულებების სიტყვების ან ნახატების დატოვება დავალების მიმდინარეობისას.
- შესაძლებელია, რეკომენდებული იყოს სიტყვის რიგში სიტყვათა რაოდენობის შემცირება.

ზ) გრძელ სიტყვაში მოკლე სიტყვის ამოცნობა და გადაწერა.

სთხოვეთ მოსწავლეს მოცემული სიტყვის ჯერ ყურადღებით წაკითხვა და ამ სიტყვაში მოკლე სიტყვის ამოცნობა, შემდეგ კი ამ მოკლე სიტყვის გადაწერა. წინასწარ დარწმუნდით, რომ შეთავაზებული სიტყვები მისთვის ნაცნობია.

ყვავილი



ცხვირი



გთავაზობთ მსგავსი სიტყვების ნიმუშებს:

კურდღელი, **კუ**ზი, **კუ**დი, დე**და**, **დედა**ლი, **მამა**ლი, **ქვა**ბი, სავარც**ხელი**, ც**ხელი**, **ხე**ლი, სურ**ათი**; ფან**ქარი**, ალუ**ბალი**, **ბუ**რთი, **ტყე**მალი, **სკა**მი და ა.შ.

- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა მოკლე სიტყვის ამოცნობა, შესაძლებელია, მას მიაწოდოთ როგორც მოკლე სიტყვის შესაბამისი საგნის ვიზუალური გამოსახულება, ისე მოკლე სიტყვის ორთოგრაფიული ხატი ან ორივე ერთად. ჯერ დაასახელებინეთ გამოსახულება, შემდეგ სთხოვეთ მისი მოძებნა და ამოკითხვა გრძელ სიტყვაში. ეს პროცესი დაეხმარება მას გრძელი სიტყვის ანალიზსა და აქტივობის შესრულებაში.
- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს აღენიშნება წერასთან დაკავშირებული სირთულეები, სთხოვეთ მოკლე სიტყვის მხოლოდ შემოხაზვა ან დარჩენილი ასოების გადახაზვა.
- აღნიშნული აქტივობის სახეცვლილი ვარიანტია: მოსწავლეს აწვდით ცალკე ბარათზე დაწერილ გრძელ სიტყვებს, რომლებიც მოკლე სიტყვებსაც შეიცავს - მაგ., „ყვავილი“, „ცხვირი“. შემდეგ ეკითხებით, არის თუ არა ამ სიტყვებში „ყვავი“, „ვირი“? თანხმობის შემთხვევაში აწვდით ბარათს, რომელზეც წერია მოკლე სიტყვა „ვირი“, „ყვავი“ და სთხოვთ, დაადოს მოკლე სიტყვა გრძელ სიტყვას სწორად.

თ) რებუსის ამოხსნა.



- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა რებუსის ამოხსნა, თავდაპირველად მიაწოდეთ სიტყვა, რომელიც უნდა მივიღოთ რებუსის ამოხსნით და მისი შესაბამისი ვიზუალური გამოსახულება, მაგ., ჩაწერილი სიტყვა „ყვავილი“ და დახატული ყვავილი. ჯერ წააკითხეთ სიტყვა, შემდეგ მიეცით რებუსი და სთხოვეთ მისი ამოხსნა.
- თუ რებუსი რამდენიმე ნახატისაგან შედგება, ჯერ დაასახელებინეთ, რა არის გამოსახული ნახატებზე; შემდეგ სთხოვეთ, ნახატებს მიაწეროს შესაბამისი სიტყვები.
- თუ მოსწავლეს აღენიშნება წერის სირთულეები, მიაწოდეთ ბარათზე დაწერილი სიტყვა და სთხოვეთ მოათავსოს გამოსახულების ქვეშ. ანალოგიური დავალება შეასრულებინეთ რებუსის მეორე ნაწილზე, თუკი რებუსის მეორე ნაწილიც გამოსახულებისგან შედგება. ამის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეს, წაიკითხოს მოცემული სიტყვა.

ი) მოცემული სიტყვების მოძებნა ცხრილში და მონიშვნა.

მიეცით მოსწავლეებს ცხრილი, სადაც ვერტიკალური და ჰორიზონტალური მიმართულებით წერია მათთვის ნაცნობი სიტყვები, ზოგიერთი უჯრა კი შევსებულია შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული ასოებით. სთხოვეთ მოსწავლეებს სამიზნე სიტყვების მოძებნა და ცხრილში მონიშვნა (ან შემოხაზვა/უჯრის გაფერადება).

სოკო კაკალი კუ ეზო ზალი მზია ია

ყ	მ	ს	ნ	ზ	ვ
ე	ზ	ო	ჩ	ა	ზ
კ	ა	კ	ა	ლ	ი
უ	ყ	ო	რ	ი	ა

- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს უჭირს ამოკითხული სამიზნე სიტყვის ფიქსაცია და ცხრილში მისი მოძიება, შესაძლებელია, ამ სიტყვებს დაურთოთ შესაბამისი გამოსახულებები.
- საძიებო სიტყვის შესაბამისი გამოსახულება, შესაძლებელია, სამიზნე სიტყვის რომელიმე ასოსთანაც მოათავსოთ. ეს გაუადვილებს მოსწავლეს გამოსახულების მიმდებარედ ეძებოს სიტყვა. მიანიშნეთ მას, საძიებო სიტყვა ჰორიზონტალურად წერია თუ ვერტიკალურად; წაახალისეთ ხმამაღლა კითხვა.
- საჭიროების შემთხვევაში, გაამარტივეთ ცხრილი.

კ) სიტყვის სწორი დაწერილობის შემოხაზვა.

მიეცით მოსწავლეებს სწორად და შეცდომით დაწერილი ნაცნობი სიტყვები. სთხოვეთ, იპოვონ სწორად დაწერილი სიტყვა და შემოხაზონ.

ა. ცისართხელა	**ა. ჩიტი**	**ა. ჟოხი**
ბ. ცისარტყელა	**ბ. ჩითი**	**ბ. ჯოხი**

საწყის ეტაპზე, შესაძლებელია, მიზანშეწონილი იყოს აღნიშნული აქტივობის განხორციელება ერთმარცვლიან სიტყვებზე.

საჭიროებისამებრ, გამოიყენეთ სიტყვის შესაბამისი გამოსახულებები. ჯერ დაასახელებინეთ, რა ხატია, შემდეგ დაამარცვლინეთ და ბგერებად დააშლევინეთ ეს სიტყვები. მხოლოდ ამის შემდეგ სთხოვეთ სწორად დაწერილი სიტყვის იდენტიფიცირება.

აქტივობა 2. მითითებული სიტყვების ამოკითხვა და გადაწერა

აქტივობის მიზანი:

- სამიზნე სიტყვების იდენტიფიცირება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).6

- თავისუფლად ცნობს ხშირად გამოყენებული სიტყვის ორთოგრაფიულ ხატს;
- თავისუფლად კითხულობს ნაცნობ სიტყვებს და ესმის მითითებული სიტყვების მნიშვნელობა.

ქართ.დაწყ.(I).14

- სწორად გადაწერს მითითებულ სიტყვებს; იცავს კალიგრაფიის საბაზისო პრინციპებს .

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

ა) მითითებული სიტყვების მოძიება ჩამონათვალ სიტყვებში და მათი გადაწერა.

მიეცით მოსწავლეებს სიტყვათა ჩამონათვალი და გააცანით ისინი. დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლემ იცის მოცემული სიტყვების მნიშვნელობა.

მეგობარი მგელი დათვი ვარდი კლასელი ჩანთა წიგნი
სახლი მეზობელი ბებია ლომი ენძელა ჩაქუჩი იასამანი

ამის შემდეგ გააცანით დავალება - სიტყვების ამ ჩამონათვალიდან უნდა ამოწერონ ის სიტყვები, რომლებიც ქვემოთ მოცემულ ინსტრუქციაშია მითითებული.

ხმამაღლა წააკითხეთ პირველი ინსტრუქცია (ან თავად წაუკითხეთ ის). ჯერ ზეპირად შეასრულებინეთ მოცემული დავალება და შემდეგ სთხოვეთ მისი შესრულება წერილობით.

ა) გადაწერე ყვავილები: _____

შეამოწმეთ შესრულებული დავალება და ამის შემდეგ გადადით მორიგ დავალებებზე:

ბ) გადაწერე ყველა სულიერი: _____

გ) გადაწერე სიტყვები, რომლებსაც დაესმის კითხვა - ვინ? _____

გაამზადეთ ამოსაკითხი სიტყვების შესაბამისი ვიზუალური გამოსახულებები, სიტყვის წაკითხვის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეს, მოძებნოს მისი შესაბამისი გამოსახულება. ამის შემდეგ სთხოვეთ მას სიტყვა-გამოსახულებების გადაჯგუფება მოთხოვნის შესაბამისად: „ერთად დააჯგუფე ყველა ყვავილი“; „დააჯამე ყველა სულიერი“.

შესაძლებელია, აქტივობის ეს ეტაპი მოსწავლემ განახორციელოს არა სიტყვათა ამოკითხვის არამედ, გამოსახულების (ნახატების) აღქმის საფუძველზე.

დამატებითი დავალების მიწოდებისას არ დაგავიწყდეთ მოსწავლის კოგნიტური უნარების გათვალისწინება - რამდენად შეუძლია მას საგნების ამა თუ იმ ნიშნით გაერთიანება, მაგ., სულიერი და უსულო ობიექტების სწორად განსაზღვრა. შესაძლებელია, მოსწავლეს მოსთხოვოთ სიტყვა-გამოსახულებების დაჯგუფება მისთვის ნაცნობი ნიშნის მიხედვით.

ბ) ორი ტექსტის შედარებით მითითებული სიტყვების მოძიება ტექსტში და გადმოწერა.

იმუშავეთ იმგვარი თანმიმდევრობის დაცვით, როგორც წინა აქტივობშია მითითებული - ჯერ ტექსტები გააცანით მოსწავლეებს ცალ-ცალკე (წააკითხეთ ხმამაღლა და ყურადღებით).

ამის შემდეგ შეადარებინეთ ეს ორი ტექსტი ერთმანეთს შეკითხვების დახმარებით: *როგორ იწყება პირველი ტექსტი? როგორ იწყება მეორე? წაიკითხეთ მეორე წინადადება პირველ ტექსტში, მეორე ტექსტში. რა განსხვავებაა მათ შორის?* საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ დამატებითი შეკითხვით: *რომელი სიტყვა არ წერია მეორე ტექსტში?* და ა.შ.

პირველი ტექსტი	**მეორე ტექსტი**
ერთმა ქორმა იხვი დაიჭირა. ამ დროს **მონადირისაგან** შეშინებულმა კაკაბმა თავზე გადაუფრინა. ქორი წაეტანა, ამასაც დავიჭერო. იხვმა იდროვა, ქორს **კლანჭებიდან** გაუსხლტა **და თავს უშველა.**	ერთმა ქორმა იხვი დაიჭირა. ამ დროს შეშინებულმა კაკაბმა თავზე გადაუფრინა. ქორი წაეტანა, ამასაც დავიჭერო. იხვმა იდროვა **და** ქორს გაუსხლტა. **ქორმა ვერც კაკაბი დაიჭირა და იხვიც დაკარგა!**

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს აღენიშნება წაკითხული ტექსტის შინაარსის წვდომის სირთულეები, პირველ რიგში, გადაამოწმეთ, რამდენად ზუსტად გაიაზრა ტექსტის შინაარსი.

დაამუშავეთ ჯერ ერთი ტექსტი. სთხოვეთ, ხმამაღლა წაიკითხოს ყველა წინადადება. გადაამოწმეთ, სწორად აღიქვა თუ არა მისი შინაარსი.

ამისათვის, ყოველი წინადადებისათვის წინასწარ მოამზადეთ ორ-ორი სიუჟეტური ბარათი: ერთ ბარათზე უცვლელად უნდა იყოს ასახული წინადადებაში მოცემული შინაარსი, მეორე ბარათზე კი მიახლოებით უნდა იყოს გადმოცემული ამ წინადადების შინაარსი. ყოველი წინადადების წაკითხვის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეს, მიუთითოს ის ბარათი, რომელიც ზუსტად გამოხატავს წაკითხული წინადადების შინაარსს.

ანალოგიურად დაამუშავეთ მეორე ტექსტიც.

ტექსტების გაცნობის შემდეგ აუხსენით მოსწავლეებს დავალების პირობა და შეასრულებინეთ ჯერ პირველი ინსტრუქცია:

ა) ამოწერეთ ის სიტყვები, რომლებიც არის პირველ ტექსტში და არ არის მეორეში:

შეამოწმეთ შესრულებული დავალება და გადადით შემდეგ ინსტრუქციებზე:

ბ) ამოწერეთ ის სიტყვები, რომლებიც დამატებულია მეორე ტექსტში:

_____

გ) ამოწერეთ პირველი ტექსტიდან მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები:

დაიჭირა, _____

> იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ინსტრუქციები მოსწავლისთვის რთული იქნება, შეარჩიეთ მისთვის შესაბამისი დავალებები.

ა) მოძებნე პირველ ტექსტში ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვა და გადმოწერე:

_____

ბ) მოძებნე მეორე ტექსტში ფრინველების სახელები და გაუსვი ქვეშ ხაზი (ან გადმოწერე).

აქტივობა 3. უცნობი ტექსტის კითხვა (კითხვის მოქნილობა)

აქტივობის მიზანი:

- მოსწავლეთა გავარჯიშება კითხვაში (კითხვის ტექნიკის დაუფლება);
- მოსწავლეთა გაწაფულად კითხვის უნარის შეფასება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).6

- ხმამაღლა (მთლიანი სიტყვებით ან დამარცვლით) კითხულობს და იგებს მარტივი წინადადებებით შედგენილ მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის ტექსტებს;
- ხმამაღლა კითხვისას სწორად მონიშნავს წინადადების საზღვრებს ტექსტში, იცავს პაუზას;
- ცდილობს სათანადო ინტონაციით გამოხატოს წინადადების მოდალობა (თხრობითი და კითხვითი წინადადებების).

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

ეს აქტივობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს, გაიგოს, რამდენად ავტომატიზებულია მოსწავლეთა დეკოდირების უნარი, რამდენად აქვთ მათ განვითარებული კითხვის მოქნილობა.

შესაბამისად, მსგავსი აქტივობები მასწავლებელს დაეხმარება, განსაზღვროს, რა სახის პრობლემები აქვთ მოსწავლეებს კითხვაში იმისათვის, რომ სათანადოდ დაგეგმოს კითხვის სწავლების შემდგომი პროცესი. შესაძლებელია ამ აქტივობის შეთავაზება სხვადასხვა ვარიანტით.

> **შენიშვნა:** *მსგავსი აქტივობები შეგიძლიათ შეასრულებინოთ მოსწავლეებს როგორც პირველ და მეორე, ისე მესამე და მეოთხე კლასებშიც. ტექსტის შერჩევისას გაითვალისწინეთ, რომელი კლასისთვის არის ის განკუთვნილი და ისე განსაზღვრეთ მისი მოცულობა.*

პირველი ვარიანტი:

შესთავაზეთ მოსწავლეებს მათთვის ნაცნობი და მარტივი სიტყვებისაგან შემდგარი ტექსტი, თუმცა სიტყვებს შორის მანძილი უნდა იყოს საკმაოდ არაბუნებრივი და არათანაბარი:

გლეხს მგელი და თხა მიჰყავდა, თან თივაც მიჰქონდა. მიადგა ერთ მდინარეს. გაღმა ნავით უნდა გასულიყო. ეს ნავი ისეთი პატარა იყო, რომ კაცის გარდა მხოლოდ ერთ-ერთს დაიტევდა. ამიტომ გლეხს მგელი და თხა ცალ-ცალკე უნდა გაეყვანა, მაგრამ ის კი უნდა მოეხერხებინა, რომ არ დაეტოვებინა მგელი თხასთან და თხა - თივასთან. გლეხმა ბევრი იფიქრა და ბოლოს მშვიდობით გადავიდა იქითა ნაპირას: თივაც გადაიტანა, თხა და მგელიც გადაიყვანა.

აქტივობის **პირველი ვარიანტის** საფუძველზე შეფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს თავისუფლად და შეუფერხებლად წაიკითხოს ტექსტი, სადაც სიტყვები გაფანტულადაა დაწერილი / დაბეჭდილი მიუხედავად იმისა, რომ მათი მნიშვნელობა მისთვის გასაგებია. თუ მოსწავლე სიტყვათა შორის ზედმეტი დაშორების გამო შეფერხებებით კითხულობს, აკეთებს პაუზებს, მასწავლებელს ექნება საფუძველი ივარაუდოს, რომ მოსწავლეს ჯერ კიდევ სჭირდება მუშაობა კითხვის მოქნილობის დასახვეწად.

- თუ აღნიშნულ აქტივობას მივანიჭებთ მოსწავლის უნარის შეფასების ფუნქციას, შესაძლებელია, უარი ვთქვათ მის ადაპტაციაზე, რადგან იმისათვის, რომ მოსწავლის კითხვაში გაწაფულობა შეფასდეს, მას სტანდარტული მოთხოვნები უნდა წავუყენოთ და ამასთან მიმართებით უნდა გაანალიზდეს მისი მიღწევის დონეც.
- თუ გვაინტერესებს მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესი, მაშინ დასაშვებია მოცემული ტექსტის ადაპტირება მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით. პირველ რიგში, შესაძლოა, საჭირო გახდეს ტექსტის გამარტივება - თუკი ზოგიერთი სიტყვა კონკრეტული მოსწავლისთვის უცნობი და რთული აღმოჩნდა; ან რთული წინადადებები შეიცვალოს მარტივით - თუკი მოსწავლეს მხოლოდ მარტივი წინადადებების კითხვის გამოცდილება აქვს. შესაძლებელია ტექსტის მოცულობის შემცირებაც, ასევე ტექსტის შერჩევა მისთვის ნაცნობი თემების გათვალისწინებით.
- იმისათვის, რომ კითხვის პროცესი უფრო მოქნილი გავხადოთ, შესაძლებელია, მიზანშეწონილი იყოს მოსწავლესთან ერთად ტექსტის შესაბამისი სიუჟეტური სურათის წინასწარ დათვალიერება, აღწერა, კითხვა-პასუხის გამოყენებით მისი შინაარსის გააზრება და გადმოცემა. ტექსტის შინაარსის წინასწარმა ცოდნამ, შესაძლოა, გააიოლოს ამოკითხვის პროცესი, ვინაიდან მოსწავლეს აღარ მოუწევს ინტენსიური კონცენტრაცია წაკითხულის შინაარსის გასააზრებლად.

მეორე ვარიანტი:

შესთავაზეთ მოსწავლეებს ტექსტი, რომელშიც სიტყვების უმეტესობა მათთვის სრულიად უცნობი და გაუგებარია (შეგიძლიათ გამოიყენოთ დარგობრივი ენით დაწერილი ნაშრომი):

„წარმოიდგინეთ, ერთ დღეს გაიღვიძეთ და მიხვდით, რომ სინამდვილეში კომპიუტერული თამაშის რეალობაში ცხოვრობთ“ - აცხადებს მარკ ვან რაამსდონკი და აღწერს იმ ხმას, რომელიც სამეცნიერო-ფანტასტიკური ფილმისთვის გამოდგება. თუმცა, ვანკუვერის ბრიტანული კოლუმბიის უნივერსიტეტის ფიზიკოსის - მარკ ვან რაამსდონკისთვის ეს სცენარი წარმოადგენს საშუალებას, რათა რეალობის შესახებ იფიქროს. თუ ეს სიმართლეს შეესაბამება, როგორც იგი აცხადებს, ეს ჩვენს სამყაროს, თავისი სამი სივრცული განზომილებითურთ იმ სუბსტრატისგან პროექტირებულ ე.წ. ჰოლოგრამად აქცევს, რომელიც მხოლოდ გაცილებით დაბალ განზომილებებში არსებობს.

მეორე ვარიანტის საფუძველზე შეფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს თავისუფლად და შეუფერხებლად წაიკითხოს ტექსტი, რომლის სიტყვების მნიშვნელობა და, შესაბამისად, შინაარსიც მას არ ესმის. მოქნილად კითხვისთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს შეეძლოს ავტომატურად და სწორად ამოიკითხოს მისთვის თუნდაც სრულიად უცხო და გაუგებარი სიტყვები.

აქტივობის მეორე ვერსიის შეთავაზებისას დასაშვებია, მიზანშეწონილად განისაზღვროს ამგვარი ტექსტის გამარტივება, თუმცა საჭიროა სირთულის დონის შენარჩუნება. მაგ., შესაძლებელია წინადადებაში მხოლოდ ორი ან სამი უცხო სიტყვის შეპარება; ტექსტის მოცულობის შემცირება და ა.შ.

აქტივობა 4. ტექსტის ხმამაღლა კითხვა (კითხვის მოქნილობა)

ხმამაღლა კითხვის მეთოდის გამოყენება ნებისმიერ კლასში პრიორიტეტულია, თუმცა მისი შემოწმების ზოგადი კრიტერიუმები უნდა მოვარგოთ შესაბამისი კლასის მოთხოვნებს. შესაბამისად, ქვემოთ წარმოვადგენთ შეფასების კონკრეტულ ინდიკატორებს შესაბამის კლასთან მიმართებაში:

აქტივობის მიზანი:

- მოსწავლეთა გავარჯიშება კითხვაში (კითხვის ტექნიკის დაუფლება);
- მოსწავლეთა გაწაფულად კითხვის უნარის შეფასება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).6

პირველი კლასი:

- ხმამაღლა (მთლიანი სიტყვებით ან დამარცვლით) კითხულობს და იგებს მარტივი წინადადებებით შედგენილ მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის ტექსტებს;
- ხმამაღლა კითხვისას სწორად მონიშნავს წინადადების საზღვრებს ტექსტში, იცავს პაუზას;
- ცდილობს სათანადო ინტონაციით გამოხატოს წინადადების მოდალობა (თხრობითი და კითხვითი წინადადებების);
- აგრძელებს სხვის მიერ დაწყებულ კითხვას სათანადო ადგილიდან.

მეორე კლასი:

- თავისუფლად ამოიცნობს ნაცნობ სიტყვებს;
- დამარცვლით კითხულობს უცნობ სიტყვებს;
- სათანადო ინტონაციით გამოხატავს წინადადების მოდალობას (თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი);
- პოულობს და კითხულობს ტექსტში მასწავლებლის მიერ მითითებულ ადგილებს
- კითხულობს ხმამაღლა და გარკვევით.

მესამე კლასი:

- თავისუფლად კითხულობს ნაცნობ და უცნობ სიტყვებს, ცდილობს დაიცვას სათანადო ტემპი;
- ხმამაღლა, თავისუფლად კითხულობს მასწავლებლის მიერ მითითებულ ეპიზოდს, მცირე ზომის ტექსტებს;
- ხმამაღლა კითხვისას იცავს პაუზას სასვენ ნიშნებთან.

მეოთხე კლასი:

- გაბმულად (შეფერხებების გარეშე), სათანადო ტემპითა და შესაბამისი ინტონაციით ხმამაღლა კითხულობს ნაცნობ და უცნობ ტექსტებს/ტექსტების მონაკვეთებს;
- ხმამაღლა კითხულობს კლასის წინაშე სასურველ / შერჩეულ ნაწყვეტს ნაცნობი ტექსტიდან და ინტონაციით გამოხატავს ტექსტში ასახულ ემოციებს.

მეთოდური მითითებები

ტექსტის ხმამაღლა კითხვა არის სწავლების მეთოდი, რომელიც ხორციელდება გამართული, გაწაფული კითხვის ხელშესაწყობად. ხმამაღალი კითხვის შემოწმების ზოგადი კრიტერიუმებია:

- კითხულობს უშეცდომოდ და შეუფერხებლად;
- სიტყვებს გამოთქვამს მკაფიოდ და გარკვევით;
- კითხულობს გამომსახველობით - ინტონაციით გამოხატავს ტექსტში ასახულ ემოციებს;
- ინტონაციას იყენებს სასვენი ნიშნების ფუნქციით.

ხმამაღალ კითხვაზე მუშაობისას მნიშვნელოვანია შემდეგი სტრატეგიების გამოყენება (მით უფრო, პირველ და მეორე კლასებში აუცილებელია გუნდური და წყვილებში კითხვა):

- **გუნდური კითხვა** - მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად ხმამაღლა კითხულობენ ტექსტს რამდენჯერმე; ჯერ მასწავლებელი კითხულობს ნელა და გარკვევით და შემდეგ მთელი კლასი იმავე ტექსტს კითხულობს რამდენჯერმე;
- **წყვილებში კითხვა** - მოსწავლეები ერთად ან რიგრიგობით კითხულობენ ტექსტს ხმამაღლა (წყვილებში მუშაობის დროს კარგი იქნება, თუკი მასწავლებელი დააწყვილებს ძლიერი-სუსტის პრინციპით);
- **ინდივიდუალური კითხვა** - როცა ერთი მოსწავლე კითხულობს ტექსტს თავიდან ბოლომდე ან კითხულობს მითითებულ ადგილს. აქვე შემოდის გაგრძელებებით წაკითხვაც, როცა მასწავლებელი აწყვეტინებს მოსწავლეს კითხვას და აგრძელებინებს მეორეს.

იმ შემთხვევაში, თუ კლასისთვის ან ჯგუფისთვის შერჩეული ტექსტი კონკრეტული მოსწავლისთვის რთული იქნება, ტექსტიდან შერჩიეთ შედარებით იოლი (მისთვის შესაბამისი) მონაკვეთი (სიტყვა, წინადადება) და მოსწავლეს მისი წაკითხვა დაავალეთ.

კითხვის დროს იდექით მასთან ახლოს. შესაძლებელია, დაგჭირდეთ თითის გაყოლება, სანამ ის კითხულობს.

3. სხვადასხვა ტიპის ტექსტის გაგება-გააზრება და გადმოცემა

ტექსტის გაგება-გააზრება ამ ეტაპზე გულისხმობს:

- სამეტყველო სიტუაციისა და ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის ამოცნობას;
- სხვადასხვა ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირებას და ამის საფუძველზე ლოგიკური დასკვნების გამოტანას; მოვლენათა / მოქმედებათა განსაზღვრას დროსა და სივრცეში; სათაურისა და ტექსტის აზრობრივ/შინაარსობრივი ურთიერთკავშირების დანახვას;
- ტექსტის ენობრივ-სტრუქტურული მახასიათებლების აღქმასა და გაგებას;
- სათანადო სტრატეგიების ფლობასა და გამოყენებას და ა.შ.

მოსწავლემ მასწავლებლის დახმარებით ან დამოუკიდებლად უნდა შეძლოს სხვადასხვა გზით ინფორმაციის დამუშავება, ოპერატიული რესურსების (მაგ., *ანბანური/თემატური ლექსიკონების, პლაკატების, მარტივი სქემების, დიაგრამების, კითხვარების...*) შექმნა და, საჭიროებისამებრ, მათი გამოყენება; ტექსტის გაგება-გააზრებისათვის მოსწავლეებს ასევე მოეთხოვებათ სათანადო ენობრივი კომპეტენციების ფლობა, რაც გულისხმობს ოთხწლედის სტანდარტით განსაზღვრული ენის სემანტიკური და სტრუქტურული კანონზომიერებების ცოდნასა და ამ ცოდნის მიზნობრივ გამოყენებას.

დაწყებითი საფეხურის სტანდარტით მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება ეფუძნება სხვადასხვა სახის მხატვრულ, არამხატვრულ და მულტიმედიურ ტექსტს:

მხატვრული	პროზაული და პოეტური ნაწარმოებები, ფოლკლორის ნიმუშები: ლექსები, ზღაპრები, თქმულებები, ლეგენდები, მითები, ენის გასატეხები, გამოცანები, ანდაზები, კომიქსები და სხვ.
არამხატვრული	ა) პრაგმატული ტექსტები: რეკლამა, რეცეპტი, განრიგი, ტელეპროგრამა, მოსაწვევი ბარათი, სია, სამახსოვრო წესები, ცხრილი, გეგმა, ინსტრუქცია, გამაფრთხილებელი წარწერა / აბრა, ღია ბარათი, ინტერვიუ, განცხადება (მაგ., საყმაწვილო ჟურნალში), წერილი (მაგ., მეგობრული); ბ) ასაკის შესაბამისი სირთულის საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები: სტატიები საბავშვო ენციკლოპედიიდან, ჟურნალიდან, გაზეთიდან და სხვ. გ) დიდაქტიზებული ტექსტები (საანბანო, სასაუბრო და სხვ.).
მულტიმედიური	მულტფილმი, საბავშვო სიმღერა, კინოფილმი, სასწავლო-შემეცნებითი ფილმი, სხვადასხვა სახის ვიდეო-, აუდიო-, აუდიოვიდეომასალა (რეკლამა, ანონსი, რეპორტაჟი, სლაიდშოუ), საბავშვო სპექტაკლი; სტატიები საბავშვო ვებგვერდიდან, ვებპორტალიდან, მიმიკური მიზანსცენა და სხვ.

მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ოთხწლედის ფარგლებში პრიორიტეტულია:

- ზრუნვა ლექსიკური მარაგის შევსება-გამდიდრებაზე;
- კითხვის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება;
- კოგნიტური და მეტაკოგნიტური უნარების განვითარება საწყის დონეზე;
- შინაარსის გადმოცემა საკვანძო სიტყვებზე / ილუსტრაციებზე დაყრდნობით; ეპიზოდების თხრობა; შინაარსის გადმოცემა ვრცლად და მოკლედ.

3.1. სტანდარტის შედეგები და მათი განმარტებები

სტანდარტის შედეგები, რომლებიც უზრუნველყოფს **მოსასმენი ტექსტის** გაგება-გააზრებისა და გადმოცემის უნარის განვითარებას:

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

ქართ.დაწყ.(I).2
სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა;

ქართ.დაწყ.(I).3
პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა;

ქართ.დაწყ.(I).4
ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა;

ქართ.დაწყ.(I).5
ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

ოთხწლედის სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნები - რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტულ კლასში *მოსასმენი ტექსტების გაგება-გააზრებისა და გადმოცემისათვის*:

პირველი კლასი	• ამოიცნობს: კონკრეტულ ინფორმაციას; ფაქტების / მოქმედებების თანამიმდევრობას ტექსტში; მოსმენილი მხატვრული ტექსტის პერსონაჟის ემოციურ მდგომარეობას; ზღაპარს დასაწყისსა და დასასრულის ფორმულების მიხედვით; • აკავშირებს: კონკრეტულ ინფორმაციას ერთმანეთთან (მასწავლებლის დახმარებით ან დამოუკიდებლად); მოსმენილ ტექსტს ილუსტრაციებთან; • ილუსტრაციებს განალაგებს მოქმედებათა თანამიმდევრობის მიხედვით; • აფასებს: მოსმენილს, პერსონაჟსა და მის საქციელს და ცდილობს ნათქვამის ახსნას; • გადმოსცემს ნაცნობი ტექსტის / ტექსტის ეპიზოდის შინაარსს (მარტივი საყრდენების გამოყენებით ან მათ გარეშე).

მეორე კლასი	• ამოიცნობს სამეტყველო სიტუაციას (ადრესანტს - ვინ ლაპარაკობს, ადრესატს - ვის ელაპარაკებიან და საუბრის თემას); • სვამს / პასუხობს შეკითხვებს მოსმენილ ტექსტთან დაკავშირებით; • ასათაურებს ტექსტს; • ტექსტზე დაყრდნობით ახასიათებს პერსონაჟებს (მათ გარეგნობას, ნიშან-თვისებებს); • გამოხატავს: პირად დამოკიდებულებას მხატვრული ტექსტების პერსონაჟისა და მისი მოქმედების მიმართ, კონკრეტული პერსონაჟის ქმედებით აღძრულ ემოციებს; • აკავშირებს მოსმენილ ტექსტში ასახულ ამბავს პირად გამოცდილებასთან; • საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ნაცნობი ტექსტის ეპიზოდის შინაარსს (ილუსტრაციების, სხვა საყრდენების გამოყენებით); • აგრძელებს სხვის მიერ დაწყებულ თხრობას სათანადო ადგილიდან.
მესამე კლასი	• ამოიცნობს: პრაგმატული ტექსტების ადრესატსა და მიზანს (გაფრთხილება, რჩევის მიცემა, აკრძალვა, ინტერესის / სურვილის აღძვრა და სხვ.); ტექსტის თემას; ტექსტის შინაარსს (სათაურის მიხედვით); • ასახელებს: ტექსტში ასახულ ფაქტებს, პერსონაჟებს; კონკრეტულ ინფორმაციას; • აღწერს და ახასიათებს პერსონაჟებს თვალსაჩინო ნიშნების მიხედვით; • ავლებს პარალელს მოსმენილ ტექსტში ასახულ ამბავსა და პირად / ლიტერატურულ გამოცდილებას შორის; • მარტივი გამოთქმებით აფასებს ნაწარმოებს, პერსონაჟებს, მათ საქციელს და ცდილობს საკუთარი მოსაზრების ახსნას; • საკუთარი სიტყვებით, თანამიმდევრულობისა და აზრობრივი შესაბამისობის დაცვით გადმოსცემს ტექსტის შინაარსს.
მეოთხე კლასი	• ამოიცნობს და განარჩევს: სასაუბრო ტექსტების სახეებს (აღწერას, თხრობას, დიალოგს); ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთში ექსპლიციტურად მოცემულ სხვადასხვა ინფორმაციას, მათ შორის არსებულ ლოგიკურ კავშირებს; • ახარისხებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას კონკრეტული ნიშან-თვისებების მიხედვით; • მსჯელობს მხატვრულ ნაწარმოებში ასახულ ამბავსა და პერსონაჟებზე; აფასებს გმირის საქციელს და განმარტავს თავის დამოკიდებულებას; პერსონაჟის მოქმედებას უკავშირებს პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებას და იხსენებს მსგავს სიტუაციებს; • მონაწილეობს მხატვრული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში; აზრის გამოთქმისას/მსჯელობისას ცდილობს მისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი ასპექტის გამოკვეთას; • მიჰყვება მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტურ ხაზს და თანამიმდევრულად გადმოსცემს ფაქტებსა და მოვლენებს; შინაარსის გადმოცემისას ერთმანეთს ანაცვლებს თხრობასა და აღწერას.

სტანდარტის შედეგები, რომლებიც უზრუნველყოფს **წასაკითხი ტექსტის** გაგება-გააზრებისა და გადმოცემის უნარის განვითარებას:

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

ქართ.დაწყ.(I).7
სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთადაკავშირება;

ქართ.დაწყ.(I).9
წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება;

ქართ.დაწყ.(I).10
სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მაორგანიზებელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა;

ქართ.დაწყ.(I).11
სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება;

ქართ.დაწყ.(I).12
კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

ოთხწლედის სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნები - რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტულ კლასში *წასაკითხი ტექსტების გაგება-გააზრებისა და გადმოცემისათვის*:

პირველი კლასი	• ამოიცნობს: მარტივი სახის პრაგმატული ტექსტების დანიშნულებას, ადრესატს; ტექსტში მოცემულ კონკრეტულ ინფორმაციას; • გამოაქვს დასკვნა ნაწარმოებში წამოწეულ ზნეობრივ და მორალურ საკითხებზე / თემებზე; • იგებს მარტივი ენით დაწერილ სამ- ან ოთხსაფეხურიან ინსტრუქციებს; სავარჯიშოს / დავალების პირობას; • მასწავლებლის დახმარებით ან დამოუკიდებლად ერთმანეთთან აკავშირებს ტექსტში მოცემულ კონკრეტულ ინფორმაციებს, ინფორმაციასა და ილუსტრაციას; • წაკითხული ტექსტის მიმართ გამოხატავს პირად დამოკიდებულებას; აფასებს პერსონაჟის საქციელს; • გადმოცემულ ამბავს უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას (მაგ., როგორ მოვიქცეოდი / მოვიქეცი მე ანალოგიურ სიტუაციაში);
მეორე კლასი	• განარჩევს თხრობასა და დიალოგს, მოიძიებს რეპლიკების ავტორებს; • ტექსტის კონკრეტულ მონაკვეთში მოიძიებს მითითებულ სიტყვას / წინადადებას; პოულობს ილუსტრაციის შესაბამის ეპიზოდს; • ამოკრებს კონკრეტულ ინფორმაციას; • აჯგუფებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას კონკრეტული ნიშნების მიხედვით (მასწავლებლის დახმარებით ან დამოუკიდებლად);

	• გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ნაწარმოებში გადმოცემული მოვლენისადმი / პერსონაჟისადმი; • თანამიმდევრულობის დაცვით, საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს წაკითხული ტექსტის / ტექსტის მონაკვეთის შინაარსს;
მესამე კლასი	• ამოიცნობს ტექსტის თემას, სწვდება დედააზრს (მთავარ იდეას); პერსონაჟების მოქმედებებს, გრძნობებს, ემოციებს, მათ ურთიერთობებს; ტექსტში მოცემულ სხვადასხვა ინფორმაციას შორის არსებულ მიზეზშედეგობრივ კავშირებს და გამოაქვს სათანადო დასკვნა; • აკავშირებს ერთმანეთთან ექსპლიციტურად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს; ეძებს და პოულობს, რომელ რუბრიკას / ქვესათაურს უკავშირდება ილუსტრაცია, წარწერა; აჯგუფებს ინფორმაციას კონკრეტული ნიშნით; • განსაზღვრავს: მოქმედებათა დროსა და ადგილს; რეპლიკის ავტორს, ადრესატსა და მიზანს; ასევე: რა იცის / რა არ იცის ცალკეულმა პერსონაჟმა; • გამოყოფს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს (დასაწყისს, ამბის შუა ნაწილს, დასასრულს); • გამოხატავს წაკითხული ტექსტით აღძრულ ემოციებს, განცდებს; • ტექსტში მოცემულ ინფორმაციას აკავშირებს პირად გამოცდილებასთან და გამოაქვს დასკვნა; • ასახელებს: საყვარელ პერსონაჟს და ხსნის საკუთარ არჩევანს; ნაწარმოების გმირების მოქმედების მოტივს (რატომ მოიქცა ასე) და აფასებს მათ საქციელს; • აკვირდება მხატვრული ტექსტების ენას, მწერლის ლექსიკას; • საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას;
მეოთხე კლასი	• გამოყოფს ტექსტის მთავარ საკითხს, ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას; • აკავშირებს ერთმანეთთან ექსპლიციტურად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები; • ამოიცნობს ტექსტში გადმოცემულ მოვლენებს, ფაქტებს, მოქმედებებს შორის არსებულ ქრონოლოგიურ და ლოგიკურ კავშირებს; • ასახელებს მხატვრული ნაწარმოების მოქმედ პირებს, განსაზღვრავს ხედვის კუთხეს (ვისი თვალით არის აღქმული მოვლენები); აკვირდება პერსონაჟთა ქცევას, მოქმედებას, თვისებებს და დაკვირვების საფუძველზე გამოაქვს სათანადო დასკვნა მათი აზრების, განზრახვების, განცდების შესახებ; • განარჩევს ერთმანეთისგან: ფაქტსა და სურვილს/ოცნებას, ავტორისა და პერსონაჟების სიტყვებს, დიალოგსა და მონოლოგს; • ავლენს მხატვრული ტექსტების ესთეტიკური და ეთიკური შეფასების სურვილს; • აკავშირებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას საკუთარ გამოცდილებასთან, გამოკვეთს მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებას, გამოაქვს სათანადო დასკვნა; • საკუთარი შეხედულების/შეფასების დასასაბუთებლად იყენებს შესაბამის ადგილებს წაკითხული ტექსტიდან ან მაგალითებს პირადი გამოცდილებიდან; • მიუთითებს, რით დაინტერესდა / რა მოეწონა ტექსტში (ამბავი, პერსონაჟის საქციელი, ბუნების აღწერა, დიალოგები თუ სხვა); • მონაწილეობს წაკითხულის შესახებ გამართულ დისკუსიებში; საკუთარი შეხედულების დასასაბუთებლად იყენებს შესაბამის ადგილებს წაკითხული ტექსტიდან ან მაგალითებს პირადი გამოცდილებიდან; • საუბრობს სათაურისა და ტექსტის აზრობრივ/ შინაარსობრივ ურთიერთკავშირზე.

ზოგადი რეკომენდაციები:

1. მოსასმენი და/ან წასაკითხი ტექსტის გაგება-გააზრებისათვის მუშაობა უნდა წარიმართოს კონკრეტული ეტაპების დაცვით:

პირველი ეტაპზე სრულდება მოსამზადებელი აქტივობები, რომლებიც, ერთი მხრივ, ცნობისმოყვარეობას უღვიძებს მოსწავლეებს და ზრდის მათ მოტივაციას და, მეორე მხრივ, ეხმარება მათ ტექსტის შინაარსის უკეთ გაგებასა და გააზრებაში; ასეთია: *თემასთან/კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული მაპროვოცირებელი კითხვების დასმა მოსწავლეთა წინარე ცოდნის გასააქტიურებლად, პირად გამოცდილებაზე გასაყვანად; მუშაობა ტექსტის სათაურსა და ილუსტრაციებზე* და სხვა.

მეორე ეტაპი გულისხმობს უშუალოდ ტექსტის მოსმენას / წაკითხვას. მოსწავლეები მიზანმიმართულად უნდა მივიყვანოთ ტექსტთან კონკრეტული მოსასმენი / საკითხავი ამოცანებით. ეს შეიძლება იყოს: *კონკრეტული ინფორმაციის მოძიება და ამოკრება; პერსონაჟებზე დაკვირვება; ტექსტში მოცემული ინფორმაციების ერთმანეთთან დაკავშირება და ამის საფუძველზე კონკრეტული დასკვნების გამოტანა; ტექსტის გააზრება ენობრივ და სტრუქტურულ მახასიათებლებზე დაკვირვებით* და სხვა.

2. შეთავაზებული ამოცანები უნდა იყოს დაძლევადი და ითვალისწინებდეს როგორც მოცემული ეტაპის სტანდარტის მოთხოვნებს, ისე ცალკეული მოსწავლის უნარსა და შესაძლებლობებს.

3. მაქსიმალურად უნდა უზრუნველვყოთ მოსწავლეების დამოუკიდებლად მუშაობის პროცესი, წავახალისოთ და დავარწმუნოთ საკუთარ ძალებში. დავალების დამოუკიდებლად შესრულების შემდეგ აუცილებელია მიღებული პასუხების ერთობლივი შედარება-გაანალიზება და სწორი პასუხების შეჯერება.

4. მასწავლებელმა გარკვეული დრო უნდა დაუთმოს შესაბამისი სტრატეგიების დაუფლებასა და მათ მიზნობრივ გამოყენებაზე მუშაობასაც. დავალების შესრულებისას მიეცით მოსწავლეებს საშუალება, თქვენ მიერ შეთავაზებული სტრატეგიებიდან თავად შეარჩიონ მათთვის უფრო მოსახერხებელი, დავალების დასრულების შემდეგ კი სთხოვეთ აღწერონ, რა გზით მოახერხეს ამა თუ იმ ამოცანის გადაჭრა; ჰკითხეთ მათ: *რომელი სტრატეგია აირჩიეს და რატომ? რა სირთულეებს წააწყდნენ მუშაობის პროცესში და როგორ გადაჭრეს პრობლემა? ხომ არ იქნებოდა უკეთესი სხვა სტრატეგიის გამოყენება და თუ იქნებოდა, - რატომ?* შეადარებინეთ სხვების მიერ შერჩეულ ხერხთან / სტრატეგიასთან - თავად გაარკვიონ, რომელი მიდგომა იყო უფრო ეფექტური და რატომ.

ზეპირმეტყველების სტრატეგიები (ქართ.დაწყ.(I).5):

	ზეპირმეტყველების სტრატეგიები
პირველი კლასი	• სვამს შეკითხვებს უცნობი სიტყვის მნიშვნელობის, კონკრეტული ფაქტის / ინფორმაციის დასაზუსტებლად; • მიზნის შესაბამისად იყენებს საყრდენებს (მაგ., მინიშნებებს, ილუსტრაციებს, შეთავაზებულ მარტივ სქემას, ინსტრუქციასა და სხვ.).
მეორე კლასი	• იყენებს არავერბალური მეტყველების საშუალებებს.
მესამე კლასი	• იყენებს საყრდენებს / მინიშნებებს (მაგ., შეთავაზებულ მარტივ გრაფიკულ მაორგანიზებლებს) ინფორმაციის დასახარისხებლად; • იყენებს ნიმუშებს, საყრდენებს საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქცევის წარსამართავად.
მეოთხე კლასი	• ადგენს მარტივი სახის მოკლე ჩანაწერებს დისკუსიების დროს (ჩაინიშნავს მნიშვნელოვან სიტყვას / სიტყვებს სხვათა და/ან საკუთარ მოსაზრებას, კონკრეტულ საკითხს და სხვ.).

კითხვის სტრატეგიები (ქართ.დაწყ.(I).12):

	კითხვის სტრატეგიები
პირველი კლასი	• სიტყვის / წინადადების / მონაკვეთის უკეთ გასაგებად უბრუნდება წაკითხულს; • კონტექსტზე დაყრდნობით ცდილობს ამოიცნოს უცნობი სიტყვის მნიშვნელობა ან მიმართავს მასწავლებელს / მშობელს; • ილუსტრაციაზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს, რაზე/ვისზე შეიძლება იყოს ნაწარმოები; • საჭიროებისამებრ, იყენებს საყრდენებს / მინიშნებებს (ილუსტრაციას, მარტივ გეგმას და სხვ.); მულტიმედიურ რესურსებს (ნეტბუქის მასალას).
მეორე კლასი	• უბრუნდება წაკითხულს კონკრეტული ინფორმაციის მოსაძიებლად, ტექსტის უკეთ გასააზრებლად; • სვამს კითხვებს ტექსტში მოცემული ინფორმაციის დასაზუსტებლად; • იყენებს სათაურსა და ილუსტრაციას ტექსტის შესაძლო შინაარსის ამოსაცნობად; • იყენებს მარტივ გრაფიკულ სქემებს, გრაფიკულ მაორგანიზებლებს ინფორმაციის დასაჯგუფებლად; • უცნობი სიტყვების მნიშვნელობის ამოსაცნობად აკვირდება კონტექსტს, იყენებს ტექსტის შემდეგ მოცემულ სიტყვათა განმარტებებს ან მიმართავს მასწავლებელს / მშობელს.
მესამე კლასი	• წაკითხული შინაარსის უკეთ გაგების მიზნით გონებაში, წარმოსახვაში აცოცხლებს მას; • კონკრეტული ინფორმაციის მოძიებისას საყრდენებად იყენებს ტექსტის სიტყვიერ და არასიტყვიერ მაორგანიზებელ ელემენტებს, სტრუქტურულ მახასიათებლებს; • აღწერს, რა ხერხს მიმართა დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად; • მასწავლებლის დახმარებით ადგენს ტექსტის მარტივ გეგმას მისთვის სასურველი ფორმით (სიტყვიერად ან ნახატებით).

მეოთხე კლასი	• ამოიცნობს უცნობი სიტყვების / გამოთქმების მნიშვნელობას ნაცნობი ელემენტების (ილუსტრაციების, ნაცნობი ფუძის, კონტექსტისა და სხვ.) დახმარებით; • ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით სვამს კითხვებს წაკითხულთან დაკავშირებით; • უბრუნდება ტექსტის შესაბამის / სათანადო მონაკვეთს იმ საკითხების დასაზუსტებლად, რაშიც არ არის დარწმუნებული; • აცნობიერებს სხვადასხვა ხერხს, რომლებიც ტექსტის გაგებას უწყობს ხელს (ტექსტში გადმოცემული ამბის ინსცენირება, ტექსტის ცალკეული მონაკვეთის გადმოცემა საკუთარი სიტყვებით...); • ადეკვატურად იყენებს საბავშვო წიგნში გამოყენებულ პირობით ნიშნებს (ლოგოს, რუბრიკას, სქემას), ილუსტრაციებს, დამხმარე ცხრილებსა და მარტივ დიაგრამებს.

3.2. აქტივობათა ნიმუშები

პირველი კლასი

აქტივობა 1. მუშაობა ტექსტის მაორგანიზებელ და სტრუქტურულ ელემენტებზე

აქტივობის მიზანი:

- სხვადასხვა ტიპის ტექსტის მაორგანიზებელი ელემენტების ამოცნობა.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).10

- განარჩევს ერთმანეთისაგან წიგნის გარეკანს, თავფურცელს, სათაურს, ძირითად ტექსტს, ავტორის გვარსა და სახელს, ტექსტის ბოლოს მოცემულ კითხვებს და სხვ.;
- ამოიცნობს ტექსტის მაორგანიზებელ ელემენტებს (სათაურს, ილუსტრაციას, აბზაცს, წარწერას, ლოგოს, ტიპოგრაფიულ მახასიათებლებს, მაგ., მსხვილ შრიფტს და სხვ.);
- ამოიცნობს ტექსტის, აბზაცის, სტროფის, წინადადების დასაწყისსა და დასასრულს;
- განარჩევს მარტივი სახის პრაგმატული ტექსტების (წერილის, მისალოცი ბარათის, სხვ.) სტრუქტურულ ელემენტებს (მიმართვას, ძირითად ტექსტს, ხელმოწერას), ამოიცნობს მათ ფუნქციას.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

1. დაკიდეთ დაფაზე ნიმუშები და დაიწყეთ მუშაობა მათ ვიზუალურ მხარეზე დაკვირვებით (ჯერ დაკიდეთ 2-3 ნიმუში, დაამუშავეთ, შემდეგ შეცვალეთ სხვებით. ნიმუშები ცვალეთ სხვადასხვა მიზნის გათვალისწინებით - ერთი ტიპის, მაგრამ განსხვავებული ფუნქციისა და დანიშნულების

ტექსტები, *მაგ., მისალოცი და მოსაწვევი ბარათები; სხვადასხვა ტიპის ტესტები, მაგ., ლექსი, ბარათი და გამაფრთხილებელი ნიშანი;* სხვადასხვა ტიპის, მაგრამ თითქმის მსგავსი დანიშნულების ტექსტები, *მაგ., მოსაწვევი ბარათი* და *აფიშა* და ა.შ. წაახალისეთ დისკუსია შემდეგი მითითებებით და შეკითხვებით: *დააკვირდით და მაჩვენეთ / მითხარით, რომელია აქ მისალოცი ბარათი? როგორ გამოიცანი? რომელია ლექსი? რომელია რეკლამა? საიდან მიხვდი?* და ა.შ. საჭიროების შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტულ დეტალზე, წარწერაზე, ლოგოსა და ტექსტის სხვა მაორგანიზებელ თუ სტრუქტურულ ელემენტებზე, დაეხმარეთ საორიენტაციო შეკითხვებით, მაგ., *ეს რა ლოგოა? რაზე მიანიშნებს ნიღბების ლოგო, რის შესახებ გვაძლევს ინფორმაციას? შენი აზრით, რატომ აწერია ტელეფონის ნომერი? აბა, ნახეთ აქ რა წერია? – „გეპატიჟებით დაბადების დღეზე“* და ა.შ.

შეკითხვების დახმარებით ყურადღება გაუმახვილეთ ტექსტის მაორგანიზებელ ელემენტებზე: *აბა, მაჩვენეთ, რომელია სათაური და წაიკითხეთ. როგორი შრიფტით წერია სათაური? სად წერია ლექსის ავტორი? სად იწყება წინადადება და სად მთავრდება?* და ა.შ.





იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა დაფაზე მოცემული ნიმუშის ვიზუალურ მხარეზე დაკვირვებით და ნაწერის ამოკითხვით ტექსტის ტიპის და ფუნქციის ამოცნობა, შესაძლებელია, საჭირო გახდეს მათი მიწოდება რეალური პუბლიკაციების სახით (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არა პლაკატების სახით წარმოჩენა, არამედ რეალური ფორმატის მიწოდება ხელში, - იმისათვის, რომ მოსწავლემ უკეთესად აღიქვას ის და დააკავშიროს წინარე გამოცდილებასთან). შესაბამისად, მიაწოდეთ მოსწავლეს რეალური საბავშო წიგნი, მისალოცი ბარათი, გამაფრთხილებელი ნიშანი და ა.შ.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს უჭირს ვიზუალური გამოსახულებების აღქმა და სიუჟეტის ამოცნობა მათი ზოგადი დათვალიერების საფუძველზე, შესაძლებელია საჭირო გახდეს მასთან ერთად სიუჟეტის დეტალური გარჩევა, გამოსახული საგნების და მოქმედებების დასახელება / მითითება, მათი თვისებების აღწერა.

იმისათვის, რომ მოსწავლე ზუსტად გაერკვეს მოცემული ნიმუშების ფუნქციებსა და დანიშნულებაში, წაახალისეთ როლური და სიმულაციური თამაშებით. მაგ., ერთი მოსწავლე მეორეს პატიჟებს დაბადების დღეზე, უკითხავს მისთვის მომზადებული ღია ბარათის ტექსტს და აწვდის მოსაწვევს; ექსკურსიაზე მყოფი ერთი მოსწავლე აფრთხილებს მეორეს ქვის ჩამოგორების საფრთხის თაობაზე და მიუთითებს შესაბამის გამოსახულებაზე.

- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდება ნიმუშის ტიპის და დანიშნულების ამოცნობა კითხვასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, სხვა მოსწავლეს სთხოვეთ ტექსტის ამოკითხვა. ამავდროულად მოსწავლის ყურადღება წარმართეთ ტექსტის იმ მონაკვეთისკენ, რომელსაც მისი თანაკლასელი კითხულობს.

2. წარწერების დაკავშირება ილუსტრაციებთან.

ფრთხილად, საშიშია! გილოცავ დაბადების დღეს!
გიწვევთ სადღესასწაულო ცენტრში! დაგვირეკეთ ახლავე!
არ მიეკარო, დაგარტყამს! და ა.შ.

- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს აქვს ყურადღებასთან დაკავშირებული სირთულეები, სამუშაოდ ერთ ჯერზე მიაწოდეთ ერთი ბარათი წარწერით.
- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს კითხვასთან დაკავშირებული სირთულეების გამო გაუჭირდა წარწერის ამოკითხვა და მისი შინაარსის გაგება, თავად წაიკითხეთ წარწერა ან მეორე მოსწავლეს სთხოვეთ ამის გაკეთება, მოსწავლე კი წაახალისეთ, მიწოდებული ორი ნიმუშიდან (ორი ვიზუალური გამოსახულებიდან, რომელთაგან ერთი წარწერის შესაბამისია, მეორე კი არა) ამოარჩიოს შესაბამისი (და დააწყვილოს წარწერასთან).
- თუ მოსწავლეს უჭირს წარწერისა და ნიმუშის დაკავშირება საწყის ეტაპზე რამდენჯერმე ერთდროულად მიაწოდეთ ნიმუში (ვიზუალური გამოსახულება) და ვერბალური მინიშნება. გადაეცით მოსაწვევი და უთხარით „გიწვევთ სადღესასწაულო ცენტრში“; მოსწავლემ ბარათი უნდა გამოგართვათ და მის გვერდზე მჯდომს უნდა გადასცეს იმავე ფრაზის გამოყენებით. ამგვარად, ბარათმა შესაძლებელია მოსწავლეთა წრე შემოიაროს. ამის შემდეგ გადადით მეორე ბარათზე და ა.შ.

3. დააწყვილეთ მოსწავლეები და მოამზადეთ დავალების დამოუკიდებლად შესასრულებლად. გამოიყენეთ მოდელირების ხერხი და მოსწავლეებთან ერთად შეასრულეთ დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალების ნიმუში. დაწერეთ დაფაზე წინადადება და ქვეშ მიუწერეთ შემოსახაზი ვარიანტები:

გეპატიჟებით სადღესასწაულო ცენტრში!

ა. გაფრთხილება *ბ. მილოცვა* *გ. მიპატიჟება* *დ. სურვილი*

აუხსენით მოსწავლეებს დავალების პირობა: *„წაიკითხეთ ეს წინადადება და მითხარით, ამ ჩამოთვლილი ვარიანტებიდან რომელს გამოხატავს - გაფრთხილებას, მილოცვას, მიპატიჟებასა თუ სურვილს?“* პასუხის შემდეგ ჰკითხეთ, *როგორ გამოიცნეს? რომელი სიტყვა დაეხმარათ?*

მას შემდეგ, რაც დარწმუნდებით, რომ ყველამ გაიგო, რა უნდა გააკეთოს და როგორ, დაურიგეთ ფურცლები (თითო წყვილს თითო ფურცელი ორ-ორი წინადადებით) და შეასრულებინეთ მსგავსი დავალებები დამოუკიდებლად. დავალების დასრულების შემდეგ შეაჯერეთ სწორი პასუხები.

ნიმუშები:

რას გამოხატავს ეს წინადადება? შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

გისურვებთ ჯანმრთელობას!

ა. სურვილი ბ. მილოცვა გ. მიპატიჟება დ. გაფრთხილება

ფრთხილად, ეზოში ავი ძაღლია!

ა. სურვილი ბ. რჩევა გ. გაფრთხილება დ. მიპატიჟება

- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს აქვს ინფორმაციის აღქმასა და გაგებასთან დაკავშირებული სირთულეები ან სიტყვათა მწირი მარაგის გამო შესაძლებელია არ იცოდეს რომელიმე სიტყვის მნიშვნელობა, პირველ რიგში, იმუშავეთ ამ მიმართულებით. დააზუსტეთ მათი მნიშვნელობა და კონტექსტში გამოყენება.

საწყის ეტაპზე შესაძლებელია მოცემულ დავალებაში შესაბამისი სიტყვების ერთნაირად მონიშვნა, რაც დაეხმარება მოსწავლეს მათი კავშირის დადგენაში. მაგ.:

გისურვებთ ჯანმრთელობას!

ა. **სურვილი** ბ. მილოცვა გ. მიპატიჟება დ. გაფრთხილება

ფრთხილად, ეზოში ავი ძაღლია!

ა. სურვილი ბ. რჩევა გ. **გაფრთხილება** დ. მიპატიჟება

აქტივობა 2. მარტივი სახის პრაგმატული ტექსტების გაგება-გააზრება (ღია ბარათები)

აქტივობის მიზანი:

- მისალოცი და მოსაწვევი ბარათების წაკითხვა და გაგება-გააზრება;
- შესაბამისი ენობრივი და სტილისტური მახასიათებლების ამოცნობა.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).7

- ამოიცნობს მარტივი სახის პრაგმატული ტექსტების დანიშნულებას, ადრესატს, კონკრეტულ ინფორმაციას;
- ერთმანეთთან აკავშირებს ინფორმაციებს, ინფორმაციასა და ილუსტრაციას.

ქართ.დაწყ.(I).10

- ამოიცნობს ტექსტების მაორგანიზებელ და სტრუქტურულ ელემენტებს.

ქართ.დაწყ.(I).11

- განარჩევს წინადადებათა მოდალობებს (თხრობით, კითხვით, ბრძანებით წინადადებებს);
- ამოიცნობს სასვენ ნიშნებს.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

1. საილუსტრაციოდ აჩვენეთ მოსწავლეებს სხვადასხვა ღია ბარათი და კიდევ ერთხელ მიაქცევინეთ ყურადღება მათ მაორგანიზებელ და სტრუქტურულ მახასიათებლებზე: *რომელია მისალოცი ბარათი? რომელია მოსაწვევი? როგორ მიხვდით? მაჩვენეთ, სად წერია მიმართვა, ხელმოწერა? რომელია ძირითადი ტექსტი? როგორ იწყება მისალოცი ბარათის / მოსაწვევი ბარათის ძირითადი ტექსტი? რომელ ბარათზეა მითითებული მისამართი? კიდევ რა არის მითითებული მოსაწვევ ბარათზე? და ა.შ.*

იმისათვის, რომ მოსწავლეს გაუმყარდეს ცოდნა სხვადასხვა ღია ბარათის ტიპსა და ფუნქციაზე, წინასწარ მოამზადეთ (შეაგროვეთ) მოსაწვევი და მისალოცი ბარათები. სასურველია, გქონდეთ მათი საკმარისი რაოდენობა.

ა) წაახალისეთ მოსწავლე გადააჯგუფოს ბარათები საკვანძო სიტყვის პოვნის და ამოკითხვის საფუძველზე: ეს სიტყვა შეიძლება იყოს - ერთ შემთხვევაში „გილოცავ, გისურვებ“, ხოლო მეორე შემთხვევაში „გიწვევ, გეპატიჟები, გელოდები“.

ბ) წაახალისეთ მოსწავლე, იპოვოს ბარათების ავტორი სქემაში მისი ადგილის (ბარათის ტექსტის დასასრულს, ქვევით) მინიშნების საფუძველზე. სთხოვეთ მოსწავლეს, გახაზოს ავტორი ყველა ბარათზე.

გ) შეასრულეთ ანალოგიური სამუშაო ადრესატთან, მისამართსა და სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით.

2. დაუბრუნდით საილუსტრაციო ბარათებს. ცალ-ცალკე წააკითხეთ მოსწავლეებს ბარათები და დაუსვით შეკითხვები, მიეცით სათანადო ინსტრუქციები:

ა) *წაიკითხეთ მოსაწვევი ბარათი და უპასუხეთ შეკითხვებს:*



ა) ვინ არის ბარათის ავტორი?

ბ) ვისთვის წერს თამუნა ამ ბარათს?

გ) საიდან ჩანს, რომ ეს მოსაწვევი ბარათია? რომელი სიტყვა მიგანიშნებთ ამაზე?

დ) რაზე ეპატიჟება თამუნა მეგობრებს?

ე) სად და როდის იხდის ის დაბადების დღეს?

ვ) სად მდებარეობს გასართობი ცენტრი?

ზ) რომელია: მიმართვა, ძირითადი ტექსტი, დასასრული?

თ) დააკვირდით მიმართვას, რომელი სასვენი ნიშანი წერია მიმართვის ბოლოს?

ბ) წაიკითხეთ მისალოცი ბარათი და უპასუხეთ შეკითხვებს:



ა) საიდან ჩანს, რომ ეს მისალოცი ბარათია?

ბ) ვინ არიან ბარათის ავტორები?

გ) ვის ულოცავენ ისინი დაბადების დღეს?

დ) რას უსურვებენ მეგობრები თამუნას?

ე) დააკვირდით ძირითად ტექსტს:

- *რომელი სასვენი ნიშანი წერია პირველი წინადადების ბოლოს?*
- *რომელი სასვენი ნიშანი უნდა დავსვათ ტექსტის ბოლოს?*

იმისათვის, რომ მოსწავლეს გაუიოლდეს ანალოგიურ შეკითხვებზე პასუხი, შესაძლებელია, საჭირო გახდეს ღია ბარათის, მოსაწვევის და / ან მისალოცის დამზადება რეალური გარემოების გათვალისწინებით. წაახალისეთ მოსწავლე, თავად შექმნას ღია ბარათი, დაეხმარეთ მას ღია ბარათის ტექსტის ჩამოყალიბებაში კითხვების დასმით:

- როდის არის შენი დაბადების დღე?
- ვის გაუგზავნი მოსაწვევს?
- სად იკრიბებით?
- რა მისამართზე?
- რომელ საათზე?
- სად დაწერ შენს სახელს (შენ ხომ ბარათის ავტორი ხარ!)?

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს შეუძლია ვერბალურად ჩამოყალიბებული პასუხების ჩაწერა, წაახალისეთ ეს პროცესი. თუკი მოსწავლეს აქვს წერასთან დაკავშირებული სირთულეები, მის თანაკლასელს სთხოვეთ ჩანაწერის გაკეთება ან თქვენ ჩაერთეთ ამ პროცესში.

აქტივობა მეტად სახალისო გახდება, თუკი კომპიუტერზე აკრეფთ მოსწავლის მიერ ღია ბარათისთვის განსაზღვრულ ტექსტს და ამობეჭდავთ. ამობეჭდილი ტექსტის ინფორმაციული ერთეულები (ადრესატი, ავტორი, მისამართი, დრო, შეხვედრის ადგილი) ცალკე ვიწრო ზოლად მაკრატლით მოჭერით. წაახალისეთ მოსწავლე (და მისი თანაკლასელები), მოახდინონ ინფორმაციული ერთეულების ორგანიზება ღია ბარათზე.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე აქტიურად ჩართოთ ჩანაწერის ორგანიზების პროცესში. მასთან ერთად დაათვალიერეთ ბარათის ფორმატი, შეარჩიეთ ადგილები შესაბამისი ინფორმაციების ჩასაწერად. ამისათვის შესაძლებელია სხვა, დამზადებული ღია ბარათი გამოიყენოთ. წაახალისეთ მოსწავლე, ჯერ იქ დააკვირდეს, სად წერია მისამართი, ავტორი, შემდეგ კი თავის ბარათზე განსაზღვროს შესაბამისი ინფორმაციისთვის გამსაზღვრული ადგილები.

აღნიშული ტიპის აქტივობების განხორციელების შემდეგ მოსწავლეს გაუიოლდება უკვე დამზადებული ღია ბარათების ანალიზი და კითხვებზე სწორი პასუხების გაცემა.

ამავდროულად, იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს აქვს მწირი ლექსიკა, ტექსტის შინაარსის ამოსაცნობად შესაძლებელია საჭირო გახდეს ღია ბარათის ტექსტის ლექსიკური ერთეულების ჩანაცვლება მისთვის ნაცნობი სიტყვებით.

3. ამის შემდეგ დააწყვილეთ მოსწავლეები, დაურიგეთ ფურცლები და იქ მოცემული დავალებები შეასრულებინეთ დამოუკიდებლად. აკონტროლეთ მუშაობის პროცესი და, საჭიროების შემთხვევაში, დაეხმარეთ მათ.

ა) *წაიკითხეთ წინადადება, რომელიც ზედმეტია ბარათში.*

პატივცემულო გიორგი!

გამარჯობა, როგორ ბრძანდებით? გიწვევთ ჩვენი კლასის ზეიმზე.

Ia კლასის მოსწავლეები

თარიღი: *14 აპრილი*

დრო: *3.00 საათი*

იმისათვის, რომ მოსწავლეს გაუიოლდეს აღნიშნული დავალების შესრულება, მას და მის მეწყვილეს თავდაპირველად მიაწოდეთ მისთვის კარგად ნაცნობი ღია ბარათი, სადაც ერთი ზედმეტი წინადადება ან ინფორმაციული ერთეული იქნება დამატებული; მაგ., ზედმეტი ტექსტი დაამატეთ იმ ბარათს, რომელიც თავად შექმნა. კარგად ნაცნობ ტექსტში მას უფრო გაუიოლდება უცნობი და ზედმეტი ერთეულის ამოცნობა. აუცილებლად იმსჯელეთ, რატომ არის მოცემული ინფორმაცია ზედმეტი.

ბ) *გადახაზეთ ზედმეტი სიტყვა ან წინადადება. დაასახელეთ, რას გამოხატავს ერთნაირი ფრაზები?*

1. სალამი! გამარჯობა! საღამო მშვიდობისა! ნახვამდის!

2. როგორ ხარ? როგორ ბრძანდებით? როგორ სწავლობ?

აღნიშნული დავალების შესრულება მოსწავლისგან მოითხოვს სხვადასხვა ტიპის სააზროვნო ოპერაციას: მსჯელობას, შედარებას, კლასიფიცირებას. ამ პროცესების საფუძველზე მან მოცემული ერთეულები უნდა გააერთიანოს გარკვეული ნიშნით და განსაზღვროს ზედმეტი ერთეული.

შესაბამისად, მიზანშეწონილია, მოსწავლის სასწავლო პროცესი დატვირთული იყოს მსგავსი ტიპის სავარჯიშოებით / აქტივობებით, სადაც ის ჯერ საგნებს ან გამოსახულებებს შორის ზედმეტ ობიექტს თვალსაჩინო ნიშნების საფუძველზე განსაზღვრავს, შემდეგ კი - არსებით ნიშნებზე დაყრდნობით აარჩევს ზედმეტ ერთეულს; მომდევნო ეტაპზე შესაძლებელია ნაცნობი საგნის გამოსახულებების ნაცვლად მათი აღმნიშვნელი ნაცნობი სიტყვების მიწოდება, ბოლოს კი უფრო აბსტრაქტულ ერთეულებზე მსჯელობა (ამის ნიმუშია ზემოთ წარმოდგენილი სავარჯიშო). რასაკვირველია, ყოველ მომდევნო ეტაპზე გადასვლა წინა ეტაპის განმტკიცების საფუძველზე უნდა ხდებოდეს.

გ) *შემოხაზეთ, რა აკლია ამ ბარათს.*

_____

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დადგომას!

_____

_____

_____

ა. მიმართვა

ბ. მისალმება

გ. მილოცვა

დ. დაპატიჟება

ე. სურვილი

ვ. დასასრული

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს **გაუჭირდება მიწოდებული სავარჯიშოს შესრულება,** შესაძლებელია მას დაუსრულებელ (ნაკლულ) ღია ბარათთან ერთად მიეწოდოს დასრულებული ღია ბარათი. ორი ბარათის შედარების საფუძველზე წაახალისეთ, რომ აღმოაჩინოს ნაკლული ინფორმაცა და შეავსოს (გადაწეროს) ის.

შემდეგ ეტაპზე მიაწოდეთ მხოლოდ ნაკლული ბარათი და ფრაზების ჩამონათვალი, საიდანაც უნდა აარჩიოს ღია ბარათის შესაბამისი ტექსტი. საწყის ეტაპზე მიაწოდეთ ერთი გამოტოვებული ინფორმაცია და ორი ან სამი არჩევანი.

_____

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დადგომას!

ა. ძვირფასო ბავშვებო

ბ. შეჩერდით

დ. ძილი ნებისა

მომდევნო ეტაპზე გამოტოვეთ ერთზე მეტი ერთეული და გაზარდეთ ფრაზათა ჩამონათვალი, საიდანაც უნდა აირჩიოს შესაბამისი ერთეული.

_____

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დადგომას!

_____

_____

ა. ძვირფასო ბავშვებო

ბ. შეჩერდით

გ. ისწავლეთ ბეჯითად

დ. ძილი ნებისა

აქტივობა 3. მხატვრული ტექსტის დამუშავება კითხვის ეტაპების დაცვით („კოღო და ლომი“, I კლასის სახელმძღვანელო, ავტორები: ნინო გორდელაძე, გვანცა ჩხენკელი)

აქტივობის მიზანი:

- ტექსტის შინაარსის გაგება კითხვის სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით, კონკრეტული ინფორმაციების ამოცნობა და მათი დაკავშირება;
- დაკვირვება ტექსტის ენობრივ და სტრუქტურულ მახასიათებლებზე.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).7

- ამოიცნობს ტექსტში მოცემულ კონკრეტულ ინფორმაციას;
- მასწავლებლის დახმარებით ან დამოუკიდებლად აკავშირებს ერთმანეთთან ტექსტში წარმოდგენილ კონკრეტულ ინფორმაციებს, ინფორმაციასა და ილუსტრაციას.

ქართ.დაწყ.(I).11

- ცდილობს უცნობი ლექსიკური ერთეულების, ენობრივი ფორმების მნიშვნელობის გააზრებას (სხვათა დახმარებით).

ქართ.დაწყ.(I).12

- ილუსტრაციაზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს, რაზე / ვისზე შეიძლება იყოს ნაწარმოები;
- საჭიროებისამებრ იყენებს საყრდენებს/მინიშნებებს.

კოღო და ლომი

კოღომ ლომი საომრად გამოიწვია. ლომს ეს სასაცილოდაც არ ეყო. კოღომ იწყინა, გაგულისდა, გაექანა, შიგ ცხვირში ეცა და დაუწყო კბენა ტიტველ ცხვირსა და ტუჩებზე. ლომი გამწარდა. იწყო ფეხების ცემა ცხვირ-პირზე. ეგონა, კოღოს მოვახვედრებ და მოვკლავო. ლომმა ბრჭყალებით თავ-პირი სულ დაიკაწრა, კოღო კი ვერ მოიშორა. ბოლოს დაღლილ-დაქანცული ლომი უღონოდ დაეცა მიწაზე.

გამარჯვებულმა კოღომ მხიარული სიცილით გასწია შინისაკენ, მაგრამ გზაზე ობობას ქსელს წააწყდა და შიგ გაება. მოვიდა ობობა და მსხვერპლს დააცხრა. კვდებოდა კოღო და ამბობდა: „ძლიერ ლომს მოვერიე და, დახე, ციცქნა ობობასაგან კი ვიღუპებიო!“

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

1. მოსწავლეთა შემზადება ტექსტის წასაკითხად:

ა) *მუშაობა ტექსტის ილუსტრაციასა და სათაურზე:* მოსწავლეები აკვირდებიან სურათს და პასუხობენ მასწავლებლის შეკითხვებს (კოღოს ამოსაცნობად მიმართეთ ტექსტის სათაურს).

სავარაუდო შეკითხვები:
რას ხედავთ სურათზე? რა ჰქვია ამ ცხოველს?
ვის უნახავს ლომი? ეს რა არის? (მიუთითეთ კოღოზე)
რა არის კოღო - ფრინველია თუ მწერი?
რას აკეთებს ლომი? როგორი ცხოველია ლომი?
კოღო როგორი მწერია? რას აკეთებს სურათზე ლომი / კოღო? და ა.შ.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე არ იჩენს პასუხის გაცემის ინიციატივას როდესაც კითხვით მიმართავთ მთელ კლასს, მიუახლოვდით მას, პირადად მიმართეთ და მიეცით დრო პასუხის მოსაფიქრებლად.

თუ მოსწავლეს უჭირს ყურადღების კონცენტრაცია სიუჟეტურ ნახატზე, კითხვის, შეკითხვის დასმასთან ერთად მიუთითეთ გამოსახულების შესაბამის დეტალზე. დაუსვით მოსწავლეს მისი შესაძლებლობის შესაბამისი შეკითხვა. ჰკითხეთ, რას ხედავს, სთხოვეთ დაასახელოს ნაცნობი გამოსახულებები, რა მოქმედებას ხედავს, რა თვისებებით გამოირჩევიან მოცემული ობიექტები და ა. შ.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს აქვს ექსპრესიული მეტყველების სირთულეები (მწირი ლექსიკური მარაგი), იმისათვის, რომ ის არ გამოაკლდეს აქტივობის აღნიშნულ ეტაპს, შეცვალეთ მისთვის კითხვების ფორმულირება და კითხვა დასვით იმგვარად, რომ მოსწავლემ ვერბალურის ნაცვლად პასუხი გაგცეთ მითითებით, ჩვენებით ან თავის დაქნევითა და გაქნევით:

„მე ვხედავ ლომს, სად ხატია ის?“	- ნაცვლად კითხვისა -	*„რას ხედავ სურათზე?“*
„ლომს ძლიერი თათები აქვს, შეგიძლია მაჩვენო?“	- ნაცვლად კითხვისა -	*„როგორი ცხოველია ლომი?“*
„გინახავს ლომი ზოოპარკში ან ცირკში?“	- ნაცვლად კითხვისა -	*„ვის უნახავს ლომი?“*

ბ) რა ვიცით ლომისა და კოღოს შესახებ? შეავსეთ დაფაზე აზრობრივი სქემები მოსწავლეების დახმარებით (მიაწერეთ ყველა სიტყვა, რომლებსაც დაასახელებენ მოსწავლეები და რომლებიც მათ უკავშირდება):





მოცემული სიტყვების გამოყენებით აღწერეთ და დაახასიათეთ ისინი მოსწავლეებთან ერთად.

> იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეს გაუჭირდება ლომის ვერბალური დახასიათება და შესაბამისი ლექსიკის გამოყენება, მიაწოდეთ მას ვარიანტები (ორი/სამი დაწერილი სიტყვა), საიდანაც უნდა აარჩიოს შესაბამისი. მაგ.: ძლიერი - სუსტი; ტყეში ცხოვრობს - ბუდეს იკეთებს.
>
> თუ მოსწავლეს შეუძლია მიწოდებული ინფორმაციის კითხვა, წაახალისეთ ეს პროცესი; სხვა შემთხვევაში თქვენ თვითონ წაუკითხეთ მახასიათებლები ან ჩაანაცვლეთ ისინი თვალსაჩინო გამოსახულებებით. ამისათვის მიაწოდეთ მას ბარათები სხვადასხვა გამოსახულებებით: მაგ.: ტყე - ბუდე; თაგვზე დიდი ლომი - თაგვზე პატარა ლომი; ყავისფერი ლომი - ლურჯი ლომი და ა.შ. მიწოდებულ ბარათებს შორის მოსწავლემ უნდა გააკეთოს სწორი არჩევანი. ბარათი მოსწავლეს მიამაგრებინეთ აზრობრივ სქემებზე შესაბამის ადგილას.

გ) *ვარაუდები ტექსტის შინაარსთან დაკავშირებით:* გამოიყენეთ მაპროვოცირებელი შეკითხვები და გამოათქმევინეთ მოსწავლეებს ვარაუდები შინაარსთან დაკავშირებით:

> *ვიცით, რომ ეს ამბავი კოღოსა და ლომს ეხება, მაგრამ არ ვიცით, რა მოხდა მათ შორის. რა საერთო შეიძლება ჰქონდეთ ლომსა და კოღოს ერთმანეთთან? როგორ ფიქრობთ, ისინი ერთმანეთის მეგობრები არიან თუ მტრები?* და ა.შ.

კარგი იქნება, თუკი თავადაც გამოთქვამთ თქვენს მოსაზრებას. ამით გაუმძაფრებთ მოსწავლეებს ინტერესს და გაუჩენთ წასაკითხი ტექსტის მიმართ მოლოდინს:

> *მე მგონია, რომ ისინი ერთმანეთის მეგობრები არიან. კოღოს გაუჭირდა და ლომი მას დაეხმარა. თქვენ როგორ ფიქრობთ? ვინ მეთანხმება? ვინ არ მეთანხმება? ვის აქვს განსხვავებული აზრი? და ა.შ.*

გააცანით მოსწავლეებს ტექსტის დასაწყისი და უფრო ახლოს მიიყვანეთ შესაძლო შინაარსთან - **„კოღომ ლომი საომრად გამოიწვია“.** ჯერ გაარკვიეთ, ესმით თუ არა, რას ნიშნავს „საომრად

გამოწვევა“ და დააზუსტეთ მისი მნიშვნელობა - *საომრად ანუ ომში*. შემდეგ გამოათქმევინეთ ვარაუდები: *როგორ ფიქრობთ, რა მოხდება ლომსა და კოღოს შორის? ლომი უფრო ძლიერია თუ კოღო? ...* შეადარეთ მოსწავლეების ვარაუდები ერთმანეთს: *უმრავლესობა ფიქრობს, რომ ლომი გაიმარჯვებს, მარტო დათოსა და ელენეს მიაჩნიათ, რომ მართალია, ლომი ძლიერია, მაგრამ კოღოს ვერაფერს უზამს* და ა.შ.

> იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს უჭირს წარმოსახვითი მსჯელობა, გაუმეორეთ მას თანაკლასელების ვარაუდი და ჰკითხეთ, რომელ ვერსიას ეთანხმება. მაგ.: „გიორგი თვლის, რომ ლომი და კოღო მეგობრები არიან, ნინი კი ფიქრობს, რომ ისინი ვერ იმეგობრებენ. შენ რას ფიქრობ?“
>
> დაუსვით მოსწავლეს კონკრეტული შეკითხვები; წაახალისეთ მისი მხრიდან არჩევანის გაკეთება. შესაძლებელია მას ვიზუალური ბარათებიც კი მიაწოდოთ, სადაც გამოსახულია სიუჟეტის განვითარების შესაძლო ვერსიები: მაგ., ა) ლომს მრავალი კოღო ესხმის თავს; ბ) ლომს კოღო თათზე აზის; გ) ლომი მას სხვა მწერებისგან იცავს.
>
> დაათვალიერეთ მოსწავლესთან ერთად სიუჟეტური სურათები და ჰკითხეთ, - მისი აზრით, როგორ განვითარდება მოვლენები?

დ) *ტექსტის მაორგანიზებელ ელემენტებზე დაკვირვება:* ვარაუდების გამოთქმისა და დაზუსტების შემდეგ ყურადღება გაუმახვილეთ ტექსტის მაორგანიზებელ ელემენტებზე: *აბა, მაჩვენეთ, რომელია სათაური? როგორი შრიფტით წერია სათაური? აბა, დააკვირდით და დაითვალეთ, რამდენი აბზაცისაგან შედგება ტექსტი? მაჩვენეთ, რომელია პირველი / მეორე აბზაცი? სად იწყება პირველი აბზაცი? სად მთავრდება? რომელი წინადადებით იწყება მეორე აბზაცი? რომელი სიტყვით მთავრდება ტექსტის ბოლო წინადადება?*

> იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს სჭირდება მეტი თვალსაჩინო მინიშნება ტექსტის მაორგანიზებელი ელემენტების ანალიზისთვის, წინასწარ დაამუშავეთ ტექსტი. გაამკვეთრეთ სათაური, გამოყავით აბზაცები ერთმანეთისგან, აბზაცი დაიწყეთ მკვეთრად დაწერილი სიტყვით (ან მკვეთრი პირველი ასოთი) და ა.შ.

2. ამის შემდეგ წააკითხეთ ტექსტი.

გამოიყენეთ დიფერენცირებული მიდგომა და იმ მოსწავლეებს, რომლებსაც უჭირთ მთლიანი ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა და გაგება, მიეცით მარტივი საკითხავი ამოცანები და, საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ მათ გადაჭრაში:

- *„იპოვეთ და შემოხაზეთ სხეულის აღმნიშვნელი სიტყვები პირველ აბზაცში.“*
- *„იპოვეთ ნახატების შესაბამისი წინადადებები ტექსტში.“* (ნახატები წინასწარ მოამზადეთ ხატვის მასწავლებლის დახმარებით):

ა) აჩვენეთ ჯერ პირველი ნახატი და დაუსვით შეკითხვები: *რა არის ამ სურათზე გამოსახული? რას აკეთებს ლომი? კიდევ რას ხედავ სურათზე? რა ჰქვია ლომის ფეხებს?* და ა.შ. ყურადღება მიაქცევინეთ მოსწავლეებს იმაზე, რომ *ლომს თათები უდევს ცხვირ-პირზე*: *აბა, მაჩვენეთ ლომის თათები! რაზე უდევს ლომს თათები?*

ილუსტრაციის დამუშავების შემდეგ მიეცით დავალება: *იპოვეთ ამ აბზაცში წინადადება, რომელიც მოცემულ ნახატს შეესაბამება და წაიკითხეთ* (წინადადება - „იწყო ფეხების ცემა ცხვირ-პირზე“);

ბ) გადადით მეორე ნახატზე და გაიმეორეთ იგივე პროცესი: *როგორი სახე აქვს ლომს ამ სურათზე? რას აკეთებს აქ ლომი?* შემდეგ მიეცით დავალება: *ახლა ამ ნახატის შესაბამისი წინადადება იპოვეთ შერჩეულ აბზაცში და წაიკითხეთ* („დაღლილ-დაქანცული ლომი უღონოდ დაეცა მიწაზე“).

- ბარათების ვიზუალური დათვალიერებისას შესაძლებელია, მიზანშეწონილი გახდეს მოსწავლესთან დისტანციის შემცირება, მასთან მიახლოება; კითხვის დასმასთან ერთად ბარათის შესაბამის ელემენტზე მითითება (მაგ., თუკი ეკითხებით: „რა დასტრიალებს ლომს თავზე?“, შესაძლებელია, საჭირო გახდეს თითით კიღოზე მინიშნება და ჟესტის გამოყენებით მოსწავლის ყურადღების წარმართვა შესაბამისი მიმართულებით); კითხვის მორგება მოსწავლის შესაძლებლობებზე.

თუ იცით, რომ მოსწავლეს უჭირს ღია შეკითხვებზე სრული და ვრცელი პასუხი, დაუსვით მას შეკითხვა ისე, რომ ერთსიტყვიანი წინადადებით შეძლოს პასუხის გაცემა; თუ ერთსიტყვიანი პასუხებიც გარკვეულ სირთულებს უკავშირდება, დაუსვით დახურული შეკითხვა, რაც კი/არა პასუხს ან თავის დაქნევა-გაქნევას მოითხოვს (შესაძლებელია კითხვის იმგვარად ფორმულირება, რომ მოსწავლეს მხოლოდ მითითება, ჩვენება დაავალოთ. მთავარია, მოსწავლეს ადეკვატური სირთულის დავალება მისცეთ და მოთხოვნა არც ძალიან გაამარტივოთ და არც ძალიან გაართულოთ.

- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდება ტექსტში ბარათის შესაბამისი წინადადების მოძებნა, შესაძლებელია შემდეგი ქვეაქტივობების განხორციელება:

  ა) მიაწოდეთ მოსწავლეს ორი ბარათი სიუჟეტური გამოსახულებით. ერთ ბარათზე გამოსახული სიუჟეტი უნდა შეესაბამებოდეს ტექსტის ერთ-ერთ წინადადებას, მეორე ბარათზე მოცემული გამოსახულება უნდა იყოს მცდარი და არ უნდა შეესაბამებოდეს ტექსტის არცერთ წინადადებას;

  სთხოვეთ მოსწავლეს, აარჩიოს ტექსტის შესაბამისი ბარათი. თუ შესაძლებელია, წაახალისეთ, აღწეროს, რა ხატია ბარათზე;

  ბ) შემდეგ ეტაპზე მიაწოდეთ მოსწავლეს ორი, ცალ-ცალკე ბარათზე დაწერილი წინადადება და სთხოვეთ, ამოკითხვის შემდეგ წინადადებები შეუსაბამოს მოცემულ სიუჟეტურ სურათებს.

  გ) ამის შემდეგ სთხოვეთ მას იპოვოს იგივე წინადადება ტექსტში და გახაზოს.

გ) გადადით მეორე აბზაცზე და მიეცით დავალება: *წაიკითხეთ მეორე აბზაცი და დახატეთ!* სამუშაოს დასრულების შემდეგ სთხოვეთ, აღწერონ, რა დახატეს. დაეხმარეთ შეკითხვებით. აჩვენეთ მათი ნახატები დანარჩენებს.

- რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, რომ ყველა მოსწავლე ჩაერთოს ხატვის პროცესში.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს აქვს ხატვასთან დაკავშირებული სირთულეები, სთხოვეთ მას მეორე აბზაცის შესაბამისი კონტურული ნახატის ამორჩევა წინასწარ დამზადებელ სურათებს შორის და გაფერადება.

- თუ მოსწავლეს აქვს ნახატის შინაარსის გადმოცემის სირთულეები, სთხოვეთ გამოსახულებების, მათი მოქმედებების, თვისებების დასახელება კითხვების შესაბამისად დასმით.

- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს აქვს კითხვასთან დაკავშირებული სირთულეები, უჭირს რთული სინტაქსითა და ლექსიკით დაწერილი ტექსტის გაგება (და აღნიშნული ტექსტი მისთვის რთულად შეიძლება შეფასდეს), გაამარტივეთ ის, ანუ, გადაწერეთ ტექსტი მისი შინაარსის შეცვლის გარეშე და მისთვის უცნობი, რთული სიტყვები და წინადადებები ჩაანაცვლეთ უფრო იოლითა და ნაცნობით.

გასათვალისწინებელია, რომ ასე იმ შემთხვევაში ვიქცევით, როდესაც მიზანი ტექსტის დამოუკიდებლად კითხვა და გაგებაა. თუკი მიზანი ლექსიკის გაფართოება იქნება, შესაძლებელია ტექსტში მოსწავლისთვის ერთი-ორი უცნობი სიტყვის დატოვება (დამატება) და მოსწავლის ყურადღების გამახვილება ახალი სიტყვის მიმართულებით. ამავდროულად, საყურადღებო იქნება, ეს ერთეული უცნობი სიტყვები მოახდენს თუ არა გავლენას ტექსტის ზოგადი შინაარსის წვდომაზე. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები ტექსტის სხვადასხვა ნაწილს კითხულობენ, განსაზღვრეთ კონკრეტული მონაკვეთი, რომლის ამოკითხვასაც სთხოვთ კითხვის გარკვეული სირთულეების მქონე მოსწავლეს. თუკი რომელიმე მოსწავლე აღნიშნული ეტაპისთვის არ კითხულობს, მიეცით მას ტექსტის მოსმენის დავალება. მისი ჯერის მოსვლის დროს, ნაცვლად კითხვისა, სთხოვეთ მოსმენილი წინადადების შინაარსის გადმოცემა ან პასუხის გაცემა თქვენ მიერ დასმულ შეკითხვაზე.

- იმისათვის რომ გაიგოთ, რამდენად მოხდა ტექსტის შინაარსის წვდომა, კითხვის დასრულების შემდეგ მიაწოდეთ მოსწავლეს ორი სიუჟეტური სურათი, რომელთაგან ერთ-ერთი ამოკითხული ტექსტის შესაბამისი იქნება, მეორე კი - მცდარი. სთხოვეთ, მოსწავლეს სიუჟეტური სურათების დათვალიერება და სწორი არჩევანის გაკეთება, განსაზღვრა, რომელი ნახატი შეესაბამება მოსმენილ ტექსტს. მოსწავლის შესაძლებლობის გათვალისწინებით შესაძლებელია დავალების გართულება:

  ა) მიეცით მოსწავლეს მეტი ბარათი და სთხოვეთ მიუთითოს, რომელი ნახატი შეესაბამება ტექსტს;

  ბ) მოწოდებულ ბარათებში ასახულ სიუჟეტებს შორის იყოს მცირე განსხვავებები.

- იმის გადასამოწმებლად, რამდენად სწორად გაიგო მოსწავლემ სიუჟეტის განვითარება, შეგიძლიათ გამოიყენოთ იმავე ტექსტის შესაბამისი სერიული სიუჟეტური სურათები, მიაწოდოთ ისინი არასწორი თანმიმდევრობით და სთხოვოთ მათი სწორად დალაგება. თუ ეს დავალება მოსწავლისთვის რთული იქნება, მიაწოდეთ მას სწორად და შეცდომით დალაგებული სიუჟეტური სურათები და სთხოვეთ აირჩიოს სწორად დალაგებული.

- ზოგადად, შესაძლებელია, ბარათების გამოყენებით გადამოწმდეს ყოველი წაკითხული წინადადების შინაარსის წვდომა. ანუ, დასაშვებია, მოსწავლეს/ მოსწავლეებს ყოველი წინადადების ამოკითხვის შემდეგ მიაწოდოთ ბარათები, რომლებიც ამოკითხულ წინადადებას მცდარად და სწორად ასახავენ და სთხოვოთ არჩევანის გაკეთება.

ტექსტის შინაარსის წვდომის გადამოწმების ეს მეთოდი მოითხოვს მოსწავლის მხრიდან შესაბამისად განვითარებულ ვიზუალურ აღქმას (უნდა მოხდეს გამოსახული ობიექტების, მათი მოქმედებების, თვისებების აღქმა) და გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის ექსპრესიული მეტყველების თავისებურების გამო მასწავლებელს გაუჭირდება შეკთხვის დასმით გადაამოწმოს, მოხდა თუ არა ამოკითხული ტექსტის შინაარსის წვდომა.

3. *ტექსტის წაკითხვის შემდეგ* გაახსენეთ მოსწავლეებს მათი ვერსიები და შეადარეთ ტექსტის შინაარსთან - *ვისი ვარაუდი გამართლდა* და *ვისი - არა.* ამის შემდეგ დაუსვით მოსწავლეებს ფრონტალური კითხვები ტექსტის გარშემო:

ა. რა გააკეთა კოღომ?

ბ. როგორ უპასუხა ლომმა კოღოს? რა გააკეთა მან?

გ. რით დამთავრდა კოღოსა და ლომის „ბრძოლა“? რომელმა აჯობა?

დ. საითკენ გასწია გამარჯვებულმა კოღომ?

ე. როგორ ხასიათზე იყო კოღო?

ვ. რას წააწყდა გზაზე?

ზ. რა მოუვიდა კოღოს?

თ. რა თქვა კოღომ სიკვდილის წინ?

საჭიროებისამებრ, კონკრეტულად მიმართეთ ამა თუ იმ მოსწავლეს შედარებით მარტივი შეკითხვით, მაგ., *ლაშა, სად უკბინა კოღომ ლომს? ნათია, ლომმა მოიშორა კოღო თუ ვერ მოიშორა? რას ქსოვს ობობა? კოღო გაება ობობას ქსელში თუ ლომი? კოღომ თქვა თუ ლომმა - „ციცქნა ობობასაგან ვიღუპებიო“?* და ა.შ.

თუ საჭირო იქნება, გამოიყენეთ ბარათები, რომლებსაც დაეყრდნობა მოსწავლე სწორი პასუხის შესარჩევად (იხ. ზევით მოცემული რეკომენდაციები).

4. დაუბრუნდით ტექსტს და ამუშავეთ მოსწავლეები კონკრეტულ ინფორმაციებზე. გთავაზობთ სანიმუშო დავალებებს:

ა) *დაასახელეთ, რომელია - კოღო, ლომი თუ ობობა?* (არასწორი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ ეპიზოდი და მოაძებნინეთ სწორი პასუხი):

- თავ-პირი სულ დაიკაწრა.
- შიგ ცხვირში ეცა და კბენა დაუწყო.
- მხიარული სიცილით გასწია შინისაკენ.
- მოვიდა და მსხვერპლს დააცხრა.

დავალების პირობის აღსაქმელად მიაწოდეთ მოსწავლეს დასრულებული წინადადებების ვარიანტები - სწორი და მცდარი წინადადებები; სთხოვეთ ყურადღებით წაიკითხოს და გახაზოს / მიუთითოს სწორად მოცემული ფრაზა:

- ლომმა თავ-პირი სულ დაიკაწრა;
- კოღომ თავ-პირი სულ დაიკაწრა;
- ობობამ თავ-პირი სულ დაიკაწრა.

ბ) *დაასრულეთ წინადადებები* (დაიწყეთ ფრაზა და სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ დაასრულონ. შესაძლებელია ამ დავალების გამარტივება კონკრეტული ვარიანტების შეთავაზებით. ასეთ შემთხვევაში, ჩამოწერეთ ვარიანტები დაფაზე, რომ ყველა ხედავდეს):

- კოღოს ეწყინა იმიტომ, რომ ლომმა მას ... (ა. დასცინა; ბ. ბრძოლაზე უარი უთხრა);
- ლომი გამწარდა იმიტომ, რომ კოღომ ... (ა. დასცინა; ბ. კბენა დაუწყო);
- კოღომ სახლამდე ვერ მიაღწია იმიტომ, რომ ... (ა. დაიღალა; ბ. ობობას ქსელში გაება).

მიაწოდეთ მოსწავლეს დასრულებული წინადადებები, სთხოვეთ არჩევანი გააკეთოს:

- კოღოს ეწყინა იმიტომ, რომ ლომმა მას დასცინა;
- კოღოს ეწყინა იმიტომ, რომ ლომმა მას ბრძოლაზე უარი უთხრა.

- ლომი გამწარდა იმიტომ, რომ კოღომ კბენა დაუწყო;
- ლომი გამწარდა იმიტომ, რომ კოღომ დასცინა.

მოსწავლის შესაძლებლობის გათვალისწინებით, ნაწერის შინაარსის აღქმის ხელშეწყობად შესაძლებელია, მას მივაწოდოთ შესაბამისი ვიზუალური გამოსახულების მქონე ბარათები.

გ) *გადახაზეთ ზედმეტი.*

- **ლომი იყო:** გამწარებული დაქანცული დაკბენილი გამარჯვებული
- **კოღო იყო:** გახარებული გამარჯვებული ნაწყენი დაკბენილი

ამ შემთხვევაშიც, თუ მოსწავლეს გაუჭირდება წინადადებების დამოუკიდებლად (წარმოსახვით) აწყობა და ტექსტთან გადამოწმება, მიაწოდეთ უკვე დასრულებული ვარიანტები და სთხოვეთ აირჩიოს შესაბამისი.

აქტივობა 4. მხატვრული პერსონაჟების ქცევის შეფასება („დათუნა და ბაჭია“, I კლასის სახელმძღვანელო, ავტორები: ნათელა მაღლაკელიძე, ელენე მაღლაკელიძე)

აქტივობის მიზანი:

- მარტივი დასკვნების გაკეთება ინფორმაციების დაკავშირების საფუძველზე;
- პერსონაჟების საქციელის შეფასება;
- პირადი დამოკიდებულების გამოხატვა.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).7

- ამოიცნობს კონკრეტულ ინფორმაციას;
- ერთმანეთთან აკავშირებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას;
- გამოაქვს დასკვნა ნაწარმოებში წამოწეულ ზნეობრივ და მორალურ საკითხებზე/თემებზე.

ქართ.დაწყ.(I).9

- წაკითხული ტექსტის მიმართ გამოხატავს პირად დამოკიდებულებას;
- აფასებს პერსონაჟის საქციელს; გადმოცემულ ამბავს უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას.

ქართ.დაწყ.(I).12

- ილუსტრაციაზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს;
- საჭიროებისამებრ, იყენებს საყრდენებს/მინიშნებებს.

დათუნა და ბაჭია

ტყის პირას მეზობლებმა - დათვმა და კურდღელმა - სახლის აგება გადაწყვიტეს. მოზიდეს აგური, სილა და სახლის შენებას შეუდგნენ. მშობლებმა შვილებიც დაიხმარეს.

კურდღელმა ბაჭიას ფიცრის მოზიდვა დაავალა, დათვმა კი თავის ბელს უთხრა:

– წადი და აგურები მოზიდე!

ბაჭია ასრულებდა დედის ნათქვამს, გულმოდგინედ ეხმარებოდა მას, დათუნია კი ზარმაცობდა და არაფერს აკეთებდა. ყველა რომ მუშაობაში იყო გართული, მან დრო იხელთა, ღობეზე გადაძვრა და თაფლის მოსაპარად სკებისკენ გაუხვია.

საღამოს შვილის საქციელით გახარებულმა კურდღელმა ბაჭია ხილითა და ბოსტნეულით დაასაჩუქრა, ფუტკრების დაკბენილ დათუნიას კი თავ-პირი დაუსივდა.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

ტექსტის წაკითხვის შემდეგ დაუბრუნდით ტექსტს და იმუშავეთ პერსონაჟებზე.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს აქვს კითხვასთან დაკავშირებული სირთულეები, მისთვის წინასწარ დაამზადეთ ტექსტის შესაბამისი სერიული სიუჟეტური სურათები. სთხოვეთ მოსწავლეს, უსმინოს ტექსტს, რომელსაც მისი თანაკლასელები კითხულობენ და ბარათზე თვალი ადევნოს სიუჟეტის განვითარებას.

ამ დროს შესაძლებელია, საჭირო გახდეს მოსწავლესთან ახლოს მისვლა, რათა გარედან მართოთ მისი ყურადღება. სიუჟეტის თანმიმდევრული აღქმისთვის შესაძლებელია უკეთესი იყოს, თუკი მოსწავლეს სერიულ სიუჟეტურ სურათებს არა ერთდროულად, არამედ თანმიმდევრულად, ტექსტის გახმოვანების პარალელურად მიაწოდებთ. მაგ., თანაკლასელი კითხულობს: „მან დრო იხელთა, ღობეზე გადაძვრა და თაფლის მოსაპარად სკებისკენ გაუხვია“. მოსწავლეს ამ დროს აწვდით ბარათს, სადაც დახატულია აღნიშნული შინაარსის შემცველი გამოსახულება - დათუნია მიიპარება სკებისკენ.

1. მოცემული ფრაზები დაწერეთ ცალ-ცალკე სტიკერებიან ბარათებზე და დაალაგეთ თქვენს მაგიდაზე.

მის ნაშიერს ბაჭია ჰქვია. მის ნაშიერს დათუნა ჰქვია. ის გულმოდგინედ მუშაობდა. ის ზარმაცობდა. ის შვილის საქციელმა ძალიან გაახარა. მას შვილის საქციელმა გული ატკინა. ის ფუტკრებმა დაკბინეს. ის ხილითა და ბოსტნეულით დაასაჩუქრეს. ის არაფერს აკეთებდა. ის თაფლის მოსაპარად წავიდა. მან დედის ნათქვამი შეასრულა. მას თავ-პირი დაუსივდა. მან კურდღელთან ერთად სახლის აგება გადაწყვიტა. როცა ყველა მუშაობდა, ის ჩუმად გაიპარა. ის არ ზარმაცობდა. ის უფროსებს ეხმარებოდა და ა.შ.

მის ნაშიერს ბაჭია ჰქვია.	მის ნაშიერს დათუნა ჰქვია.	ის გულმოდგინედ მუშაობდა.	ის ზარმაცობდა.

დაფაზე დაწერეთ პერსონაჟების სახელები (**მამა დათვი, კურდღელი, დათუნა, ბაჭია**) ან დაკიდეთ შესაბამისი ნახატები/ფოტოები.

დავალების პირობა: გამოდის ჯერ ერთი მოსწავლე, იღებს ბარათს, კითხულობს და აკრავს შესაბამის სურათთან.



აუხსენით მოსწავლეებს დავალება და შეასრულებინეთ ბარათების ამოწურვამდე. სასურველია, რომ ბარათები ყველა მოსწავლეს შეხვდეს.

- კითხვის სირთულეების შემთხვევაში, მოსწავლე დააწყვილეთ თანაკლასელთან, რომელიც ამოიკითხავს წინადადება, მოსწავლე კი წაახალისეთ, ყურადღებით მოუსმინოს ამონარიდს და განსაზღვროს შესაბამისი სურათი.
- მოსწავლისთვის განსაზღვრეთ ის დავალება, რომელსაც ის მეტი ვარაუდით გაუმკლავდება. შესაძლებელია, საჭირო გახდეს მოსწავლისთვის დამატებითი შეკითხვების დასმა: მაგ.: „ის ფუტკრებმა დაკბინეს; ვინ დაკბინეს ფუტკრებმა?“ თუ მოსწავლეს გაუჭირდა პასუხის გაცემა, მიუთითეთ ორ ბარათზე და წაახალისეთ არჩევანის გაკეთებისკენ.

ბარათების დასრულების შემდეგ დაფაზე დატოვეთ მხოლოდ დათუნასა და ბაჭიას სურათები შესაბამისი ბარათებით.



ის ზარმაცობდა.	ის ფუტკრებმა დაკბინეს.
ის არაფერს აკეთებდა.	ის თაფლის მოსაპარად წავიდა.
მას თავ-პირი დაუსივდა.	ის ჩუმად გაიპარა.

ის გულმოდგინედ მუშაობდა.	მან დედის ნათქვამი შეასრულა.
ის არ ზარმაცობდა.	ის უფროსებს ეხმარებოდა.
ის დაასაჩუქრეს.	

წაიკითხეთ ფრაზები ჯერ დათუნას შესახებ და დასვით შეკითხვა: - როგორია დათუნა? იგივე გაიმეორეთ ბაჭიასთან მიმართებითაც.

2. დაწერეთ დაფაზე სიტყვები: ***ზარმაცი შრომისმოყვარე დამჯერი მსუნაგი;*** ჰკითხეთ მოსწავლეებს, ესმით თუ არა მნიშვნელობები (შეკითხვები სხვადასხვა ფორმით დასვით):

- *როგორ ადამიანს ეძახიან ზარმაცს?*
- *რას ეძახიან მას, ვისაც შრომა არ უყვარს?*
- *ვისაც შრომა უყვარს, იმას რას ეძახიან?*
- *როგორი ადამიანია მსუნაგი?*
- *როგორი ადამიანია შრომისმოყვარე?*
- *როგორია ის, ვინც ასრულებს უფროსის ნათქვამს?* და ა.შ.

- იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლისთვის უცნობია აღნიშნულ სიტყვათა მნიშვნელობა, მიდით მასთან ახლოს და სთხოვეთ გაიმეოროს თანაკლასელის მიერ კითხვაზე სწორად გაცემული პასუხი. მიაქციეთ ყურადღება, რომ არ მოხდეს წინადადების მექანიკური გამეორება; ან მიმართეთ თანაკლასელის ნათქვამის პერეფრაზირებას.

საუკეთესო შემთხვევაში, შესაძლებელია ნახატების გამოყენება, სადაც გამოსახულია სხვადასხვა პერსონაჟი, რომელთაგან ზოგს სძინავს, ზოგი მეცადინეობს, ალაგებს, ბარავს, აუთოებს, ზოგიც წევს; სთხოვეთ მოსწავლეს განსაზღვროს, რომელია, მისი აზრით, ზარმაცი და რომელი - შრომისმოყვარე. წაახალისეთ, რომ გადააჯგუფოს ბარათები.

3. *ბაჭიასა და დათუნას საქციელის შეფასება:* შეკითხვების დახმარებით შეაფასებინეთ მოსწავლეებს ბაჭიასა და დათუნას საქციელი. შეფასებამდე დაწერეთ ეს შეკითხვები დაფაზე და გააცანით მოსწავლეებს.

როგორ მოიქცა?

რატომ ფიქრობ ასე - რა გააკეთა?

დაახასიათე, როგორია?

შენ როგორ მოიქცეოდი მის ადგილზე?

თუ მოსწავლეს გაუჭირდა პასუხების დამოუკიდებლად ფორმულირება, მიაწოდეთ შესაძლო ვერსიები. ჰკითხეთ: „კურდღელი კარგად მოიქცა თუ ცუდად?“ „რა გააკეთა დათუნამ, იზარმაცა თუ იმუშავა?“. აღნიშნული შეკითხვა პასუხს მოიცავს, მოსწავლეს დასჭირდება მხოლოდ არჩევანის გაკეთება.

ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს შეეძლოს მსგავსი კონსტრუქციის მქონე წინადადებების შინაარსის წვდომა.

4. აქტივობის ბოლოს დაწერეთ დაფაზე ანდაზა: **„კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო!“** ჰკითხეთ მოსწავლეებს აზრი მის შესახებ: *„როგორ გესმით ეს ანდაზა? ვის ეხება იგი - დათუნას თუ ბაჭიას? რატომ ფიქრობთ ასე?“*

თუკი მოსწავლემ ვერ მიიღო მონაწილეობა ანდაზის განმარტების პროცესში, მიმართეთ მოსწავლეთა ვარაუდების პერეფრაზირებას და შესაბამისი შეკითხვების დასმით აუცილებლად გადაამოწმეთ, გაიგო თუ არა მან ანდაზის შინაარსი.

მეორე კლასი

აქტივობა 1. პერსონაჟის ქცევის გააზრება („მთვარე და მკერავი“, II კლასის სახელმძღვანელო, ავტორები: ნინო გორდელაძე, თინათინ კუხიანიძე)

აქტივობის მიზანი:

- პერსონაჟთა ქცევის მოტივაციის განსაზღვრა;
- ტექსტის ინფორმაციების ერთმანეთთან დაკავშირების საფუძველზე მარტივი დასკვნების გამოტანა;
- პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ნაწარმოებში გადმოცემული მოვლენისადმი / პერსონაჟებისადმი;
- კავშირი პირად გამოცდილებასთან;
- გრაფიკული სქემების შედგენა და გამოყენება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).7
- ტექსტის კონკრეტულ მონაკვეთში მოიძიებს მითითებულ სიტყვას / წინადადებას;
- ამოკრებს კონკრეტულ ინფორმაციას.

ქართ.დაწყ.(I).9
- წაკითხული ტექსტის მიმართ გამოხატავს პირად დამოკიდებულებას;
- აფასებს პერსონაჟის საქციელს;
- გადმოცემულ ამბავს უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას.

ქართ.დაწყ.(I).12
- უბრუნდება წაკითხულს კონკრეტული ინფორმაციის მოსაძიებლად, ტექსტის უკეთ გასააზრებლად;
- ინფორმაციის დასაჯგუფებლად იყენებს მარტივ გრაფიკულ სქემებს.

მთვარე და მკერავი

I. ერთხელ ნახევარმთვარე მკერავთან მივიდა:

– სადღესასწაულო კაბა შემიკერე, მინდა, ვარსკვლავების ზეიმზე ყველაზე ლამაზი ვიყო, – სთხოვა მკერავს მთვარემ.

– ეგ საქმე მე მომანდე, – უთხრა მკერავმა. მაშინვე დატრიალდა, აუღო ზომები, გაამზადა თარგი და ერთი კვირის შემდეგ დაიბარა.

II. ამასობაში მთვარე ვეებერთელა ბურთს დაემსგავსა და, რა თქმა უნდა, კაბა ვიწრო მოუვიდა. მკერავი ლამის ატირდა და ზომები კიდევ ერთხელ აუღო. მთელი დღეები ჭრიდა, ლამბავდა და კერავდა.

III. ის იყო, კერვა დაამთავრა კიდეც, რომ სარკმელთან ნამგალა მთვარე გამოჩნდა.

ახლა კი გაბრაზდა მკერავი:

– შენი ვერაფერი გამიგია, ხან ბურთივით მრგვალი ხარ, ხანაც - ნამგალივით წვრილი. არაფერსაც არ შეგიკერავ! – უთხრა გაჯავრებულმა და კაბის გარეშე დატოვა უცნაური კლიენტი.

სამუელ მარშაკის მიხედვით

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

1. ტექსტის გააზრება: წაკითხვის შემდეგ დაუბრუნდით ტექსტს და საკომუნიკაციო სიტუაციის დაზუსტების შემდეგ (*ვინ არიან პერსონაჟები, რის შესახებ არის ტექსტში საუბარი*) დასვით შეკითხვები: რისთვის მიდის მთვარე მკერავთან? რა სურს მას? რამდენჯერ შეკერა მკერავმა კაბა მისთვის? რატომ შეკერა ხელმეორედ? თქვენი აზრით, რატომ გადაწყვიტა მკერავმა, უკვე მესამედ უარი ეთქვა მისთვის კაბის შეკერვაზე? (მკერავს არ უნდოდა, რომ ისევ ტყუილად ემუშავა; საჭიროებისამებრ, წააკითხეთ მკერავის ბოლო რეპლიკა და ყურადღება გაუმახვილეთ სიტყვებზე - *შენი ვერაფერი გამიგია, ხან ბურთივით მრგვალი ხარ, ხანაც - ნამგალივით წვრილი. არაფერსაც არ შეგიკერავ!*).

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს აქვს ვერბალურად მიწოდებული დიდი მოცულობის ინფორმაციის აღქმის სირთულეები, თითოეულ აბზაცს დაურთეთ შესაბამისი სიუჟეტური გამოსახულება. სიუჟეტურ გამოსახულებას მიანიჭეთ იგივე ნომერი, რაც წინ უძღვის სათანადო აბზაცს.

2. მთვარის ქცევა და მკერავის რეაქციების შეფასება: დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვა - როგორი კლიენტი აღმოჩნდა მთვარე? რაში მდგომარეობს მისი უცნაურობა? პასუხების შემდეგ დაყავით ტექსტი მონაკვეთებად და დაწერეთ დაფაზე ეს მონაკვეთები (I. **ნახევარმთვარის ეპიზოდი;** II. **სავსე მთვარის ეპიზოდი;** III. **ნამგალა მთვარის ეპიზოდი**). გააკეთეთ მარტივი გრაფიკული სქემები:







ა) დაყავით მოსწავლეები პატარა (3-4-კაციან) ჯგუფებად და თითო ჯგუფს თითო ეპიზოდი მიეცით სამუშაოდ. მოსწავლეებმა მოცემული სქემების გამოყენებით უნდა მოიძიონ შესაბამისი ინფორმაცია მითითებული მონაკვეთიდან და მოცემული ქცევისა და რეაქციის მიხედვით დაახასიათონ მკერავი (დაფაზე ჩამოწერეთ საყრდენები - თვისებები, რომლებიც შეუძლიათ გამოიყენონ!). სამუშაოს დაწყებამდე ჯერ იმუშავეთ ამ საყრდენებზე:

შრომისმოყვარე	*ფიცხი*	*უსაქმური*
კეთილი	*გულისხმიერი*	*ზარმაცი*
სამართლიანი	*ბოროტი*	*მშვიდი*
საქმიანი	*უსამართლო*	

- როგორ გესმით მათი მნიშვნელობა? *როგორ ადამიანს უწოდებენ ...? რას აკეთებს / როგორ იქცევა უსამართლო ადამიანი?* და ა.შ.
- მოძებნეთ ერთმანეთის **საპირისპირო მნიშვნელობის** მქონე სიტყვები და გადმოწერეთ: *სამართლიანი - უსამართლო* და ა.შ.
- მოძებნეთ მათი **მსგავსი მნიშვნელობის** მქონე სიტყვები და მიუწერეთ: *გამრჯე --------; მუყაითი -------; წყნარი -------; ბრაზიანი -------; თანამგრძნობი / ყურადღებიანი ----------;*

მოსწავლისთვის წინასწარ გაამზადეთ მოცემული სავარჯიშოს ალტერნატიული ვარიანტი.

- შეკითხვებს მიუწერეთ პასუხების ორი ვარიანტი, რომელთა წაკითხვის შემდეგ მოსწავლემ უნდა აირჩიოს შესაბამისი ვარიანტი. მაგ.: *როგორ ადამიანს უწოდებენ შრომისმოყვარეს?*
  - *რომელიც დაუღალავად შრომობს;*
  - რომელსაც შრომა არ უყვარს.
- ფურცელზე წინასწარ ერთმანეთის გასწვრივ ჩამოწერეთ საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები, სთხოვეთ მოსწავლეს მისი ამოკითხვა. განუმარტეთ, რომ ისინი საწინააღმდეგო აზრს, შინაარსს გამოხატავენ, ჰკითხეთ, რომელ სიტყვაშია პოზიტიური შინაარსი.

ამის შემდეგ წაიკითხეთ ეს სქემები ხმამაღლა, დააზუსტეთ ცალკეული კითხვები, საჭიროებისამებრ, გაეცით რამდენიმე მათგანს პასუხი და შემდეგ ამუშავეთ მოსწავლეები დამოუკიდებლად. აკონტროლეთ მუშაობის პროცესი და, საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ მათ კონკრეტული მითითებებით, მაგ., - *აბა, წაიკითხეთ ეს წინადადება, რაზე მიუთითებს? - ამ სიტყვას მიაქციეთ ყურადღება, აქ კარგად ჩანს მისი რეაქცია, ხასიათი* და ა.შ. სამუშაოს დასრულების შემდეგ განიხილეთ სქემები, შეადარეთ მოსწავლეების პასუხები ერთმანეთს და დააზუსტებინეთ, რატომ ფიქრობენ ასე.

იმისათვის, რომ მოსწავლეს გაუადვილდეს სასწავლო აქტივობაში ჩართულობა, შეუერთდით იმ ჯგუფს, სადაც განაწილდა მოსწავლე. მისი აქტიურობის წასახალისებლად საჭირო დროს მიაწოდეთ შესაბამისი სიუჟეტური სურათი, მიეცით დრო დასათვალიერებლად და დაუსვით კონკრეტული შეკითხვა. მაგ.: -„როგორი რეაქცია ჰქონდა მთვარეს?“ თუკი მოსწავლეს გაუჭირდა პასუხების დამოუკიდებლად ჩამოყალიბება, შესთავაზეთ მას პასუხების ალტერნატიული ვარიანტები: „ტირილი მოუნდა, თუ ბევრი იცინა?“ (II ეპიზოდი)

ბ) მოსწავლეთა ნაწილს, მათი შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, შეგიძლიათ მისცეთ განსხვავებული დავალება მოცემულ მონაკვეთების დამუშავებისას, კერძოდ, *წააკითხოთ კონკრეტული ეპიზოდი და დაახატვინოთ შესაბამისი ილუსტრაცია.*

გ) დაუბრუნდით III ეპიზოდს და შეაფასებინეთ მოსწავლეებს პერსონაჟთა ქცევები:

- სამართლიანად მოექცა თუ არა მკერავი მთვარეს? ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე;
- იყო თუ არა მთვარე დამნაშავე? განმარტეთ თქვენი მოსაზრება.

აუცილებლად გადაამოწმეთ, რამდენად მიჰყვება (აღიქვამს) მოსწავლე თანაკლასელთა მოსაზრებებს, სწვდება მათ შინაარსს, ეთანხმება თუ არა მათ. განახორციელეთ ეს შესაბამისი შეკითხვების დასმით; სთხოვეთ თანაკლასელის მოსაზრების პერიფრაზირება, საკუთარი დამოკიდებულების დამატება. საჭიროებიდან გამომდინარე (თუკი მოსწავლეს უჭირს აქტივობის აღნიშნულ ეტაპში მონაწილეობა), გაუზიარეთ მას თქვენი მოსაზრებები.

2. კავშირი წინარე ცოდნასა და პირად გამოცდილებასთან:

ა) დახატეთ, როგორია ცა დღისით და როგორია ღამით? დავალების შესრულების შემდეგ გამოფინეთ ნახატები, შეადარეთ ერთმანეთს - *ვინ რა და როგორ დახატა; ასაუბრეთ საკუთარ ნახატებზე* და ა.შ.

იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლეს უჭირს ნახატის დამოუკიდებლად შესრულება, შეაწყვილეთ ის თანაკლასელთან ან მიეცით შესაბამისი შინაარსის გასაფერადებელი. საჭიროებიდან გამომდინარე, დააზუსტეთ, რატომ აირჩია მოსწავლემ კონკრეტული ფერები.

ბ) მიაბრუნეთ მოსწავლეები ტექსტთან და მიეცით შემდეგი დავალება: *განმარტეთ, რა არის ამ ამბავში ნამდვილი და რა - გამოგონილი?* დააფიქსირეთ მოსწავლეთა პასუხები დაფაზე (მათ შორის, მცდარებიც. თუ ერთსა და იმავე მოსაზრებას ზოგი სინამდვილედ ჩათვლის და ზოგი - მოგონილად, შეიტანეთ ორივე სვეტში) და დატოვეთ გაკვეთილის ბოლომდე.

„მთვარე და მკერავი“

სინამდვილე	მოგონილი

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს უჭირს ტექსტის თანმიმდევრული აღდგენა და მისი „მცდარი-ნამდვილი“ კრიტერიუმით შეფასება, ან ვერ იხსენებს ეპიზოდს, რომელიც შესაძლებელია ამ ნიშნებით შეფასდეს, ტექსტიდან მიაწოდეთ კონკრეტული ინფორმაცია და ჰკითხეთ მისი მოსაზრება. მაგ., „როგორ ფიქრობ, მთვარეს მართლა შეუძლია ხან ვეებერთელა ბურთივით იყოს, ხან კი ნამგლის ფორმის, რკალისებური?“; „მართლა შეიძლება მთვარეს კაბა შევუკეროთ?“ და ა.შ.

გ) გააააქტიურეთ მოსწავლეთა წინარე ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება; **რა იცით მზის, მთვარისა და ვარსკვლავების შესახებ?** დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვები: *სად მიდის მზე ღამით? სად არიან მთვარე და ვარსკვლავები დღისით? გინახავთ ცა ღამით? დაგითვლიათ ვარსკვლავები ცაზე? რამდენი ვარსკვლავია? ხშირად უყურებთ ცას ღამით?*

აქცენტი გადაიტანეთ მთვარეზე: *როგორი მთვარე გახსოვთ ყველაზე ხშირად - სავსე, ნახევარმთვარე თუ ნამგალა? რატომ იცვლის მთვარე ფორმებს?* (მთვარის ფორმებზე საუბრისას, სასურველია, გამოიყენოთ ვიზუალური მასალაც) - *რატომ არის ის ხან მრგვალი, ხან რკალისებური (ნამგალა), ხანაც - ნახევრად წრიული?*

სავსე მთვარე

ნახევარმთვარე

ნამგალა მთვარე

პასუხების შემდეგ აჩვენეთ მოსწავლეებს წინასწარ მოძიებული ფოტომასალა და მიაწოდეთ მარტივი ინფორმაცია, მაგ., *მთვარე დედამიწის გარშემო ბრუნავს. მზე არა მხოლოდ დედამიწას, არამედ მთვარესაც ანათებს და რომელ ნაწილსაც მზის შუქი ხვდება, ჩვენც თურმე იმ ნაწილს ვხედავთ ხოლმე - როცა მზე მთლიანად ანათებს მთვარეს, მაშინ ჩვენ სავსე მთვარეს ვხედავთ, როცა მთვარის რკალივით ვიწრო ნაწილს ანათებს, მაშინ ნამგალა მთვარეს ვხედავთ.*



შესაძლებელია, მოსწავლეს წინასწარ გაუმზადოთ სიუჟეტური ბარათები, სადაც მთვარის, მზისა და ვარსკვლავების კონტექსტუალურად შეუსაბამო, მცდარი გამოსახულებებია. მაგ., დღისით ბავშვები თამაშობენ, ანათებს მზე და ვარსკვლავები; ბავშვებს სძინავთ, ცაზე კი ანათებს მზეც და მთვარეც.

ჰკითხეთ მოსწავლეს, რა შეუსაბამობას ხედავს ნახატებზე. განმარტოს ან მიუთითოს.

დ) დაუბრუნდით დაფას და მოსწავლეების აქტიურობით გაასწორეთ ცხრილში შეტანილი მოსაზრებები - *რა არის მთვარისა და მკერავის ამბავში ნამდვილი და რა - გამოგონილი?* ამის შემდეგ თავიდან დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვა - *იყო თუ არა მთვარე დამნაშავე?* - სთხოვეთ გამოთქმული მოსაზრებების განმარტება.

ე) ყველას ინდივიდუალურად შეავსებინეთ ცხრილი (მსგავსი ცხრილების შევსება ასევე საშუალებას მოგცემთ მოიძიოთ მათთვის საინტერესო თემები და საკითხები).

რა ვიცოდი მთვარის შესახებ?	**რა გავიგე ახალი?**	**კიდევ რისი გაგება მინდა?**

4. დამატებითი სახალისო აქტივობა:

გაახსენეთ, ვინ არის მთვარე ტექსტის მიხედვით - *მამაკაცი თუ ქალი და საიდან ჩანს ეს?* წაუკითხეთ ქართული ხალხური ლექსი - „მზე დედაა ჩემი...“ და დასვით კითხვა: ვინ არიან ლექსის მიხედვით მზე და მთვარე. მიაწოდეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქართულ მითებში ქალი ყოველთვის მზეა, მთვარე კი მამაკაცია. ასწავლეთ ხალხური **ლექსი** - „მზე დედაა ჩემი...“ მოასმენინეთ **სიმღერა**. შესაძლებელია, სიმღერის გაკვეთილზე ასწავლოთ მოსწავლეებს ეს მელოდიაც და შემდეგ ამღეროთ.

აქტივობა 2. ერთ თემაზე შექმნილ სხვადასხვა ტიპის ტექსტებზე მუშაობა

თემა: **წელიწადის დროები** (მხატვრული ტექსტი - „ცა“, ლექსი - „ნეკერჩხალი“: მეორე კლასის სახელმძღვანელო, ავტორები: ვ. როდონაია, მ. მირიანაშვილი, ლ. ვაშაკიძე, ა. არაბული; პრაგმატული ტექსტი - როგორ შევქმნათ ყვავილების ჰერბარიუმისაგან აპლიკაციები)

აქტივობის მიზანი:

- სხვადასხვა ტექსტის გაგება-გააზრება;
- მუშაობა წელიწადის დროებთან დაკავშირებულ ლექსიკაზე;
- ჯგუფური (თანამშრომლობითი) და შემოქმედებითი უნარების განვითარება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).7

- ტექსტის კონკრეტულ მონაკვეთში მოიძიებს მითითებულ სიტყვას/ წინადადებას;
- ამოკრებს კონკრეტულ ინფორმაციას;
- ქმნის აპლიკაციებს.

შენიშვნა: *თემის დამუშავებას უნდა დაეთმოს რამდენიმე გაკვეთილი. მისი ხანგრძლივობა განისაზღვრება საგანმანათლებლო საჭიროებებით, რომლებსაც თავად მასწავლებელი განსაზღვრავს.*

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

1. წინარე ცოდნის გააქტიურება: დაყავით მოსწავლეები ოთხ ჯგუფად, პირობითად, I ჯგუფი იქნება „გაზაფხული“, II ჯგუფი - „ზაფხული“, III – „შემოდგომა“ და IV – „ზამთარი“. ყველა ჯგუფს მიეცით ერთნაირი სამუშაო:

ა) დახატონ წელიწადის შესაბამისი დრო;

ბ) გაიხსენონ ამ სეზონთან დაკავშირებული ერთ-ერთი ნასწავლი ლექსი ან მოთხრობა და შექმნან ამ ტექსტის სიუჟეტური ნახატი. შესაძლებელია ამ ორი სამუშაოს გადანაწილება ჯგუფის წევრებზე - ნაწილი ასრულებს პირველ დავალებას, ნაწილი ქმნის ტექსტის სიუჟეტურ ნახატს;

გ) უნდა მოიფიქრონ და შეავსონ კითხვარი (ნიმუშისთვის გთავაზობთ მასალას ერთი სეზონისთვის. მსგავსი კითხვარები გაკეთდება დანარჩენებისთვისაც):

1. ჩაწერეთ სამი სიტყვა, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერება გაზაფხულს:

_____

2. ისაუბრეთ მის შესახებ მოცემული სქემის მიხედვით:



იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეს აქვს ხატვასთან დაკავშრებული სირთულეები და აღნიშნულ ეტაპზე გსურთ წაახალისოთ ინდივიდუალური მუშაობა, მიაწოდეთ მას სპეციალურად მისთვის მომზადებული ილუსტრაციები (რეპროდუქციები ან/და ფოტომასალა ჟურნალებიდან) და სთხოვეთ დავალებული სეზონის შესაბამისი გამოსახულებების შერჩევა.

ა) მოსწავლის შესაძლებლობის გათვალისწინებით, შეარჩიეთ მიწოდებული გამოსახულებების რაოდენობა (არ უნდა იყოს ძალიან ბევრი, რომ არ დაიბნეს); გამოსახულებები თვალსაჩინოდ უნდა ასახავდეს კონკრეტულ სეზონს / სეზონებს.

ბ) თავდაპირველად წაახალისეთ მოსწავლის დამოუკიდებლად მუშაობა მთელი კლასისთვის მიცემული საერთო ინსტრუქციის საფუძველზე. თუკი მიცემული ინსტრუქცია არ იქნა საკმარისი, მასალის თვალიერების პარალელურად დაეხმარეთ მიმანიშნებელი შეკითხვებით: რა არის გამოსახული? როგორი ამინდია? შენი აზრით, რა სეზონია გამოსახული? გაზაფხული თუ შემოდგომა? გამოგვადგება ეს ნახატი?

გ) ღია თუ დახურული შეკითხვები შეარჩიეთ მოსწავლის შესაძლებლობის გათვალისწინებით. გახსოვდეთ, მასწავლებლის შეკითხვასა და მის ფორმულირებაზეა დამოკიდებული, რა სირთულის და დონის სააზროვნო და სამეტყველო ფუნქციის გამოყენება დასჭირდება მას დავალების შესასრულებლად.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ვერ ახერხებს ნასწავლი ლექსებისა და ტექსტების აქტუალიზებას (ვერ იხსენებს ან არ იცის), მიაწოდეთ მას წინასწარ გამზადებული მცირე ზომის მასალა (ლექსი ან ტექსტი) და სთხოვეთ, მათი წაკითხვის საფუძველზე შეარჩიოს ის, რომელიც მის მიერ შერჩეული ნახატის შესაბამის სეზონს ასახავს.

თუ მოსწავლეს აქვს კითხვასთან დაკავშირებული სირთულეები, თავად წაუკითხეთ, სთხოვეთ ყურადღებით გისმინოთ და პარალელურად დაათვალიეროს შერჩეული ვიზუალური გამოსახულება.

იმისათვის, რომ მიიღოს გადაწყვეტილება, შეესაბამება თუ არა წაკითხული ტექსტი ან მისი ცალკეული წინადადება ნახატს, წინადადების ბოლოს შეწყვიტეთ კითხვა და გადაამოწმეთ, ხედავს თუ არა გამოსახულებაზე მსგავს რამეს. საჭიროების შემთხვევაში (იმისათვის, რომ წარმართოთ მისი ყურადღება), თითით მიანიშნეთ იმ გამოსახულებებზე, რომლებიც ემთხვევა ტექსტში მოცემულ ინფორმაციებს.

დავალების შესრულების იმ ეტაპზე, როდესაც თანაკლასელები დახატავენ მათ მიერ გახსენებული ტექსტის შესაბამის ნახატებს, მოსწავლეს სთხოვეთ ჟურნალების დახმარებით შექმნას აპლიკაცია. ამ დროს შესაძლებელია, წაახალისოთ მისი წყვილში მუშაობა თანაკლასელთან ერთად.

იმისათვის, რომ მოსწავლეს გაუადვილდეს მოცემულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა, შესაძლებელია სხვადასხვა გზით წაახალისოთ დავალების შესრულება:

- მიაწოდეთ სიუჟეტური სურათები, რომლებიც დასმულ კითხვაზე საჭირო პასუხს ასახავს. წაახალისეთ მოსწავლე, კითხვას გამოსახულების საფუძველზე გასცეს პასუხი;
- კითხვის დასმასთან ერთად მიაწოდეთ მოსწავლეს ორი გამოსახულება, რომელთაგანაც ერთ-ერთი ასახავს პასუხს დასმულ კითხვაზე. მაგ., წაახალისეთ იგი, გააკეთოს არჩევანი და მიუთითოს ის გამოსახულება, რომელიც ასახავს ადამიანების საქმიანობას გაზაფხულზე.
- კითხვებთან ერთად მიაწოდეთ ვერბალური (წერილობითი ან ზეპირი) პასუხების ალტერნატიული ვარიანტები, სთხოვეთ აარჩიოს წორი პასუხი.
- კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ სთხოვეთ დაასახელოს სამი რამ, რაც მოცემულ სეზონს უკავშირდება (პირველი დავალება).

დავალებების შესრულების ამ თანმიმდევრობამ, შესაძლებელია, უკეთესი შედეგი გამოიღოს მოსწავლისთვის.

სამუშაოს დასრულების შემდეგ ჯგუფები წარადგენენ თავ-თავიანთ ნამუშევრებს: აღწერენ ნახატებს, ჰყვებიან ლექსს / მოთხრობას, რომლის სიუჟეტური ნახატიც შექმნეს და ნახატს აკავშირებენ ტექსტთან - *რა არის ტექსტში და რა დახატეს მათ...* სქემის მიხედვით საუბრობენ წელიწადის კონკრეტული დროის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდება გაბმული თხრობა და შესრულებული სამუშაოს აღწერა (თანაკლასელებისთვის გაზიარება), დაუსვით მას კონკრეტული შეკითხვები. შეკითხვები შეარჩიეთ მისი შესაძლებლობის გათვალისწინებით - დახურული, ღია, ვრცელი და ნაკლებგავრცობილი პასუხებით.

იმისათვის, რომ თანაკლასელთათვის მოსწავლის მიერ განხორციელებული სამუშაო ნათელი და სიახლის შემცველი იყოს, თავად დაამატეთ საჭირო ინფორმაცია. გააცანით მხატვარი, რომლის რეპროდუქციაც შეარჩია მოსწავლემ, წაიკითხეთ ნაწარმოები, რომელიც დაამუშავეთ და ა.შ.

2. ამის შემდეგ წააკითხეთ მოსწავლეებს ტექსტი:

ცა

ცაზე ვარსკვლავები ცხოვრობენ. ღამღამობით ისინი თითქოს სიყვარულით გვიყურებენ.

დილით მზე ამოვა და ყველას გაგვიღიმებს.

მოწმენდილი ცის ნახვას არაფერი ჯობია, მაგრამ ცა მაშინაც ლამაზია, როცა მოიღრუბლება. საავდრო ღრუბლები მას გაჯავრებულ კაცს ამსგავსებენ. უეცრად ელვა ჩამუქებულ ცას გაანათებს და გაწვიმდება. ზემოდან ტკაპატკუპით ცვივა წვიმის მსხვილი წვეთები. ცა რუხრუხებს და რუხრუხებს, თითქოს ვიღაცას ემუქრებაო. წვიმა კი თანდათან ძლიერდება: ასველებს ქუჩებს, სახლის სახურავებს, მაღაზიის ვიტრინებს, ხეებს.

ბოლოს წვიმა გადაიღებს, ცაზე მზე გამოიხედავს და მთიდან მთაზე ლამაზი ცისარტყელა გადაირკალება.

ნუგზარ შატაიძე

იმისათვის, რომ მოსწავლეს გაუიოლდეს მოცემული ტექსტის შინაარსის დეტალური აღქმა და წვდომა, კითხვის პარალელურად (შესაბამისი წინადადების გახმოვანებისას) მიაწოდეთ მას შესაბამისი ვიზუალური გამოსახულება, რომელიც ასახავს ამოკითხულ წინადადებას. მაგ.:

პირველი წინადადება - „ცაზე ვარსკვლავები ცხოვრობენ. ღამღამობით ისინი თითქოს სიყვარულით გვიყურებენ“: მოსწავლეს მერხზე დაუდეთ შესაბამისი გამოსახულება.

მეორე წინადადება - „დილით მზე ამოვა და ყველას გაგვიღიმებს“: პირველი გამოსახულების გვერდით დაუდეთ შესაბამისი გამოსახულება და ა.შ. წარმართეთ მისი ყურადღება გამოსახულებებისკენ.

აღნიშნული ტექსტი ძალიან კარგ საშუალებას იძლევა, გამოსახულებების საშუალებით მოხდეს მისი გააზრება. ტექსტის მიწოდების ეს გზა შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს მთელი კლასისთვის. მაშინ გამოსახულებები უმჯობესია დაფაზე განათავსოთ, რომ თვალსაჩინო იყოს ყველასთვის.

შეასრულეთ შემდეგი დავალებები:

ა) დაუსვით **შეკითხვები ტექსტის გარშემო:** *წელიწადის რომელი დროა ტექსტში? საიდან მიხვდით, როგორ გამოიცანით? რას ნიშნავს მოწმენდილი და მოღრუბლული ცა? როდის ვამბობთ, რომ ცა მოწმენდილია, მოღრუბლულია? აბა, გაიხედეთ ფანჯრიდან, როგორი ცაა ახლა - მოწმენდილი თუ მოღრუბლული? რას ნიშნავს „საავდრო ღრუბლები“? რა ფერია საავდრო*

ღრუბლები? კიდევ რა ფერისაა ღრუბლები? რა გაანათებს ხოლმე ჩამუქებულ ცას? გინახავთ ელვა? როგორია? ელვას რა მოჰყვება ხოლმე? როგორია გაზაფხულის წვიმა? რას აკეთებს წვიმა? რა ამშვენებს გაზაფხულის წვიმის შემდეგ ცას?

გათვალსაჩინოებული ტექსტი დაეხმარება მოსწავლეს კითხვებზე პასუხის გაცემაში. დაუსვით მას მისი ცოდნის შესაბამისი შეკითხვა; ამავდროულად, წარმართეთ მისი ყურადღება იმ კითხვასა და პასუხზე, რომელიც მისთვის ახალი ინფორმაციის შემცველია. მაგ., თუკი მისთვის სიახლეა ცისარტყელა, სთხოვეთ ყურადღებით მოუსმინოს თანაკლასელს, შემდეგ მას დაუსვით იგივე შეკითხვა, სთხოვეთ გაგცეთ პასუხი, მიუთითოს ცისარტყელას გამოსახულებაზე, მიაწოდეთ მას მეტი ინფორმაცია ამ მოვლენაზე და ა.შ.

ბ) დაახატვინეთ ტექსტის ილუსტრაცია და შემდეგ შეადარეთ ნახატები (ვინ რა ეპიზოდს დახატავს? - ღამის ცას, მოწმენდილ ცას დილით, საავდრო ღრუბლებით ჩამუქებულ ცას ელვასა და წვიმასთან ერთად თუ წვიმის შემდგომ სურათს?). ჰკითხეთ, რატომ შეარჩია ეს ეპიზოდი?

თუ მოსწავლისთვის რთული იქნება ნახატის დამოუკიდებლად შექმნა, სთხოვეთ ნახატის გაფერადება ტექსტზე დაყრდნობით. მაგ., მიაწოდეთ ნაცრისფერი ფანქარი და ჰკითხეთ, რას გააფერადებდა ამ ფერით, რატომ და ა.შ. მიაწოდეთ შვიდი ფერი, უთხარით, რომ ამ ფერებით ერთი გამოსახულება უნდა გაფერადდეს და ჰკითხეთ, - რომელი?

თუ მოსწავლეს უჭირს ფერების შესაბამის გამოსახულებებთან მიკუთვნება, გასაფერადებელი იყოს ნაწილობრივ გაფერადებული, სთხოვეთ მას გააგრძელოს გამოსახულებების შესაბამის ფერად გაფერადება. მაგ.: ყვითლად დაწყებული მზე; რუხად დაწყებული ღრუბელი; შვიდ ფერში ნაწილობრივ გამოსახული ცისარტყელა და ა.შ.

გ) იმუშავეთ **ტექსტის ლექსიკაზე:**

- შეავსებინეთ ცხრილი კითხვებზე დაყრდნობით (შეგიძლიათ ცხრილი წინასწარ მოამზადოთ ფორმატზე ან დახაზოთ დაფაზე). ცხრილის პირველი სვეტი შევსებულია, მოსწავლეებმა უნდა მოძებნონ მათთან დაკავშირებული ზედსართავები ტექსტში:

რა?	**როგორი?**
ცა	მოწმენდილი, ლამაზი, მოღრუბლული, ჩამუქებული, რუხრუხა
ღრუბლები	საავდრო

- მსგავსად იმუშავეთ ზმნებზე.

რა?	**რას შვრება?**
ცა	იღრუბლება, რუხრუხებს
წვიმა	ძლიერდება, ასველებს, გადაიღებს

თუ მოსწავლისთვის რთულია ტექსტში სიტყვების ძიება, ცხრილშივე ჩაუწერეთ შესაბამისი სიტყვები და რამდენიმე შეუსაბამო პასუხი. სთხოვეთ სწორი პასუხების მონიშვნა. თუ ლექსიკა მისთვის რთულია, მიაწოდეთ მისთვის ნაცნობი სიტყვები.

იმ შემთხვევაში, თუ მიზანი სწორედ ლექსიკის გაფართოებაა, მიაწოდეთ ერთი-ორი ახალი სიტყვა და გაამახვილეთ მათზე განსაკუთრებული ყურადღება.

- მოაძებნინეთ და დააკავშირებინეთ წყვილები ხაზით:

საავდრო	ცა
მოღრუბლული	წვეთები
მსხვილი	ღრუბლები

ცისარტყელა	მოიღრუბლება
ცა	გაანათებს
ელვა	გადაირკალება

- დაასრულებინეთ და/ან შეავსებინეთ წინადადებები:

ა) ელვა ცას _____?_____

ბ) ციდან წვიმის მსხვილი წვეთები _____?_____

გ) ცაზე _____?_____ გამოიხედავს.

დ) მთიდან მთაზე _____?_____ _____?_____ გადაირკალება

საწყის ეტაპზე ამ შემთხვევაშიც მიაწოდეთ პასუხების ალტერნატიული ვარიანტები. შემდეგ სთხოვეთ, დამოუკიდებლად გაიხსენოს შესაბამისი სიტყვა და ჩაწეროს. თუკი სიტყვის დამოუკიდებლად ჩაწერისას თავს იჩენს სირთულეები (მაგ., ასოების გამოტოვება), სთხოვეთ სიტყვა გადაწეროს.

3. ვისწავლოთ **ჰერბარიუმის გაკეთება და აპლიკაციების შექმნა:**

ა) აჩვენეთ ჰერბარიუმისაგან შექმნილი აპლიკაციები - *გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება, მოსწონთ თუ არა, რა მოსწონთ; ისაუბრონ, რისგან არის ეს აპლიკაციები შექმნილი* და ა.შ.

ჩამოატარეთ ჰერბარიუმი კლასში; მიეცით მოსწავლეს საკმარისი დრო მის დასათვალიერებლად, ცალკე მიაწოდეთ ის საგანი (ფოთოლი), რომლითაც ჰერბარიუმია დამზადებული.

ჰკითხეთ, *რა არის ჰერბარიუმი? სმენიათ თუ არა ეს სიტყვა?* ჩამოწერეთ ვარიანტები დაფაზე და სთხოვეთ, კიდევ ერთხელ დააკვირდნენ აპლიკაციებს და დაასახელონ, ამ ვარიანტებიდან, მათი აზრით, რომელია ჰერბარიუმი (ვარიანტები წაიკითხეთ ნელა და გარკვევით) და ახსნან, რატომ ფიქრობენ ასე:

ა) სპეციალურად შეგროვებული სხვადასხვა ყვავილი;

ბ) სპეციალურად შეგროვებული და გამხმარი მცენარეების კოლექცია;

გ) ახლად მოკრეფილი ყვავილების თაიგული.

სწორი პასუხის დაზუსტების შემდეგ გადადით შემდეგ შეკითხვაზე:

როგორ ამზადებენ ჰერბარიუმს?

ა) წიგნის ფურცლებს შორის დებენ და ახმობენ;

ბ) მზეზე აწყობენ და ახმობენ;

გ) მაგიდაზე შლიან და ახმობენ.

ბ) ვარაუდების გამოთქმის შემდეგ წააკითხეთ ტექსტი და შეამოწმებინეთ საკუთარი ვერსიები.

შემოდგომაზე, როცა ფოთლები სხვადასხვაფრად შეფერადდება, შეგიძლიათ შეაგროვოთ, გაახმოთ და შემდეგ მათგან ლამაზი სურათები ან მისალოცი ბარათები შექმნათ. ამისთვის აიღეთ სქელი ქაღალდი, გადაკეცეთ, ჩადეთ შიგ ფოთლები და შემდეგ წიგნში შეინახეთ. რამდენიმე ხნის შემდეგ ფოთლები გახმება. ასევე შეგიძლიათ გაახმოთ ყვავილები ზაფხულში. განსაკუთრებით პატარა გვირგვინიანი ყვავილები. ასე მიიღებთ მდიდარ ჰერბარიუმს.

ყვავილების ჰერბარიუმისაგან სურათების გასაკეთებლად შეარჩიეთ ნებისმიერი ფორმის ფერადი ქაღალდი, უმჯობესია მუქი ფერის ხავერდი, რომელსაც ფონად გამოიყენებთ. ფონზე დაალაგეთ სხვადასხვა ფერისა და ზომის გამხმარი ყვავილები და ფოთლები ისე, რომ ლამაზი ორნამენტი, ცხოველი, თაიგული და ა.შ. გამოვიდეს. როდესაც სასურველ შედეგს მიიღებთ, აწყობილი სურათი მიაწებეთ ფონს. ბოლოს სურათს პატარა მუყაოს ჩარჩო გაუკეთეთ და კედელზე დაკიდეთ.

ასეთი სურათები შეგიძლიათ მისალოც ბარათებადაც გამოიყენოთ.

მასალა აღებულია ნელი ოქროპირიძის წიგნიდან
„ფანტაზია და მარჯვე ხელები“

ტექსტის უკეთ გასააზრებლად აღნიშნული ტექსტი დაყავით ერთეულებად. გამოყავით თითოეული ერთეული აბზაცით, მიანიჭეთ შესაბამისი ნომერი, დატოვეთ გვერდით სივრცე გამოსახულებისთვის.

თითოეული ერთეულისთვის დაამზადეთ შესაბამისი სიუჟეტური სურათი (ისე, რომ გამოგივიდეთ სერიული სიუჟეტი). განათავსეთ თითოეული გამოსახულება ტექსტის ყოველი ერთეულის გასწვრივ, შესაბამისი წინადადების / წინადადებების წარმოთქმის პარალელურად.

ტექსტის მოსმენის შემდეგ მოსწავლეს ისევ მიაწოდეთ სიუჟეტური გამოსახულებები, ახლა უკვე არეული თანმიმდევრობით და სთხოვეთ მათი სწორად დალაგება. შეცდომების დაშვების შემთხვევაში დაეხმარეთ სერიის სწორად დალაგებაში, კიდევ ერთხელ გაუმეორეთ ჰერბარუმის შექმნის წესები და საჭირო მოქმედებების თანმიმდევრობა.

გრაფიკული სქემის გამოყენებით სთხოვეთ მოსწავლეებს, გაიხსენონ ინფორმაცია ჰერბარიუმის შესახებ:



მოცემულ კითხვებზე პასუხების გასაცემად გამოიყენეთ თქვენს მიერ დამზადებული სერიული სიუჟეტური სურათები.

გ) როგორ გავაკეთოთ ჰერბარიუმისაგან აპლიკაციები? ჯერ დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვები ტექსტის გარშემო: *რა არის საჭირო აპლიკაციისთვის?* - გამხმარი ფოთლები და ყვავილები; *კიდევ რა დაგვჭირდება? რაზე უნდა დავალაგოთ ფოთლები და ყვავილები?* - ქაღალდის ფურცელი; *რა ჰქვია ამ ქაღალდის ფურცელს აპლიკაციაში?* - ფონი; *კარგი, ვიღებთ ფონს და შემდეგ რას ვაკეთებთ?* - ვალაგებთ ფოთლებსა და ყვავილებს და ვაწყობთ სურათს; *რისთვის გვჭირდება წებო? ბოლოს რა შეგვიძლია გავუკეთოთ სურათს? რისთვის შეგვიძლია ამ აპლიკაციების გამოყენება?*

იმისათვის, რომ მოსწავლეს გაუჩნდეს ტექსტზე მუშაობის ჩვევა, გაამუქეთ ის სიტყვები, რომლებიც დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად გამოდგება. ამავდროულად, ზუსტად მონიშნეთ (ვერბალურად ან მითითებით), ტექსტის რომელ ნაწილში (ერთეულში) უნდა ეძებოს პასუხი.

დ) მომდევნო ეტაპზე ვურიგებთ ფურცლებს და ვასრულებინებთ შემდეგ დავალებას: *„წაიკითხე ფურცელზე მოცემული ინფორმაცია და დაალაგე ეს ინფორმაცია თანამიმდევრულად - რა უნდა გააკეთო პირველად, რა - შემდეგ და რა - ბოლოს.“*

- ☐ განალაგე ნახატზე გამხმარი მცენარეები და ნახე, მოგწონს თუ არა.
- ☐ დახატე ფანქრით ქაღალდზე ესკიზი.
- ☑ 1 აიღე ფერადი ქაღალდი.
- ☐ შეარჩიე შესაფერისი ყვავილები და ფოთლები.
- ☐ გაუკეთე სურათს მუყაოს ჩარჩო.
- ☐ დააწებე განლაგებული მასალა სათითაოდ.

> საჭიროების გათვალისწინებით, შეამცირეთ მოსწავლისთვის მოცემულ აქტივობათა ჩამონათვალი. ექვსის მაგივრად მიაწოდეთ სამი. აქტივობები გაამსხვილეთ და მათი ფორმულირებისას შეეცადეთ, ისინი მკვეთრად ასახავდნენ საჭირო რიგითობას:
> - ყვავილები და ფოთლები მოათავსე გადაკეცილ ფურცელსა და წიგნში;
> - მოიძიე ყვავილები და ფოთლები მინდორში;
> - დააწებე ფოთლები და ყვავილები ფონზე.

ე) *წინასწარ მოამზადეთ ჰერბარიუმი (თუ წელიწადის შესაფერისი დროა, ჰერბარიუმი მოამზადეთ მოსწავლეებთან ერთად) და შემდეგ წინა დავალებაში მოცემული ინსტრუქციის დახმარებით გააკეთებინეთ მსგავსი აპლიკაციები.*

მესამე კლასი

აქტივობა 1. გრაფიკული სქემების/დიაგრამების გამოყენება საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრებისათვის

(„კავკასიური მურა დათვი“, III კლასის სახელმძღვანელო, ავტორები: ვ. როდონაია, მ. მირიანაშვილი, ლ. ვაშაკიძე, ა. არაბული)

აქტივობის მიზანი:

- დაკვირვება საინფორმაციო ტექსტის სტრუქტურულ და ენობრივ მახასიათებლებზე;
- ტექსტის თემისა და კონკრეტული ინფორმაციის ამოცნობა;
- მიზეზშედეგობრივი კავშირების ამოცნობა.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).7

- ამოიცნობს ტექსტის თემას, სწვდება მთავარ იდეას;
- აკავშირებს ერთმანეთთან ექსპლიციტურად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს;
- აჯგუფებს ინფორმაციას კონკრეტული ნიშნით.

ქართ.დაწყ.(I).10

- მთლიანობაში აკვირდება ტექსტის სტრუქტურას, მის სიტყვიერ და არასიტყვიერ მაორგანიზებელ ელემენტებს.

ქართ.დაწყ.(I).11

- კითხვების (რა? ვინ? როგორი? რამდენი? რას აკეთებს?) გამოყენებით განასხვავებს შესაბამის მეტყველების ნაწილებს.

კავკასიური მურა დათვი

1. კავკასიური მურა დათვი მტაცებელი ცხოველია. იგი დიდი ტანისაა. სიგრძეში ზოგჯერ 2 მეტრს აჭარბებს, იწონის დაახლოებით 300 კილოგრამს. აქვს განიერი თავი, მსხვილი და მოკლე კისერი, პატარა თვალები და მოკლე კუდი.



2. შემოდგომაზე, როცა ველური ხილი მწიფს, დათვები ქვემოთკენ ეშვებიან. მცენარეული საკვების გარდა, დათვი ეტანება ნადირის ხორცსაც. იგი ხშირად აზიანებს სიმინდისა და ხორბლის ნათესებს. თავს ესხმის შინაურ პირუტყვს - ხარს, ძროხას, ცხვარსა და ღორს. ძალიან უყვარს თაფლი. ზოგჯერ დათვი მდინარეში დაჭერილი თევზითაც იგემრიელებს პირს.

3. დედა დათვი შვილებთან ერთად ძნელად მისაგნებ ბუნაგში ცხოვრობს. ცივ და თოვლიან ზამთარს ისინი ძილში ატარებენ. გაზაფხულზე ბუნაგიდან სიფრთხილისთვის პირველად დედა დათვი გამოდის, შვილები მას უკან მოჰყვებიან. ნაზამთრალი დათვი დასუსტებულია, ძლივს დადის, ბუჩქებსა და ხეებს ეჭიდება. მერე ნელ-ნელა მოღონიერდება და ისევ მრისხანე ნადირად იქცევა.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

1. ტექსტის მაორგანიზებელ ელემენტებზე დაკვირვება: სთხოვეთ, დააკვირდნენ სათაურს, რუბრიკას, ილუსტრაციებს და მათი დახმარებით გამოთქვან ვარაუდები, - *რის შესახებ იქნება ტექსტში მოცემული ინფორმაცია და რატომ ფიქრობენ ასე.*

თუ მოსწავლე პასიურობს (როდესაც ზოგადად მიმართავთ კლასს), შესაძლებელია მიზანშეწონილი გახდეს, მას პირადად მიმართოთ, მიაუახლოვდით და დაუსვით კონკრეტული, მისი შესაძლებლობის ადეკვატური შეკითხვა. კითხვის ფორმულირებისას გაითვალისწინეთ მისი ვერბალური შესაძლებლობები. მიეცით დრო პასუხისთვის, საჭიროების შემთხვევაში მიუთითეთ ილუსტრაციის იმ მონაკვეთზე, რომელიც დაეხმარება პასუხის ჩამოყალიბებაში.

2. შეავსებინეთ ცხრილი: *რა იციან დათვის შესახებ და კიდევ რისი გაგება სურთ*. დასრულების შემდეგ წააკითხეთ, ვინ რა დაწერა; შეადარებინეთ ერთმანეთს მსგავსება-განსხვავების დაფიქსირების მიზნით.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა თავისი ინტერესთა სფეროს შეფასება და განსაზღვრა იმისა, დამატებით რისი გაგება სურს დათვზე, დაუსვით კონკრეტული შეკითხები. ჰკითხეთ, იცის თუ არა / აინტერესებს თუ არა, რას აკეთებს დათვი ზამთარში, რით იკვებება ის. კითხვები დასვით იმგვარად, რომ მოსწავლეს არ ჰქონდეს განცდა იმისა, რომ სხვები კრიტიკულად აფასებენ მის ცოდნას და არცოდნას.

დავალების ეს ეტაპი გათვალისწინებულია იმისათვის, რომ მოსწავლეს გაუღვიძოს თავისი შესაძლებლობების კრიტიკული შეფასების უნარი, დააფიქროს შემდეგზე - „რა ვიცი მე?“; „ვიცი თუ არა ამის შესახებ?“; „მინდა თუ არა ამის გაგება?“

აუხსენით, რომ დღეს მას ექნება ამ ახალი ინფორმაციის გაგების შესაძლებლობა. ამავდროულად წაახალისეთ, სცადოს ცოდნის გააქტიურება, გახსენება.

თუკი არსებობს წერისათვის საკმარისი უნარ-ჩვევები, წაახალისეთ მოსწავლე, შეავსოს ცხრილი.

3. დაურიგეთ მოსწავლეებს ამობეჭდილი ტექსტები და მარკერები და მიეცით დავალება: *„გამოყავით/გახაზეთ ტექსტში თქვენთვის საჭირო, ძირითადი ინფორმაცია მურა დათვების შესახებ.“*

მიცემული ტექსტის კითხვისას გამოიყენეთ ზემოთ (წინა აქტივობებში) მოცემული სტრატეგიები. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არ სჭირდება ვიზუალური გამოსახულებები ტექსტის შინაარსის ზუსტად წვდომისთვის, გაამუქეთ ტექსტში ის ინფორმაცია, რომელიც ძირითადია და სთხოვეთ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მას.

სამუშაოს დასრულების შემდეგ გაეცანით მოსწავლეების ნამუშევარს - ვინ რომელი ინფორმაცია მონიშნა, რომელი ინფორმაცია აღმოჩნდა მისთვის საჭირო, რომელს მიიჩნევს ძირითად ინფორმაციად და რატომ? შეადარებინეთ, ტექსტში მონიშნული ინფორმაცია ემთხვევა თუ არა ცხრილში ჩაწერილ საკუთარ ინფორმაციებს. მონიშნეს თუ არა ისეთი რამ, რომლის გაგებაც აინტერესებდათ და ა.შ.

4. ტექსტის ცალკეული აბზაცის ძირითადი სათქმელი. დააბრუნეთ მოსწავლეები ტექსტთან, წააკითხეთ პირველი აბზაცი და ჰკითხეთ, რის შესახებ არის პირველ აბზაცში საუბარი. დასვით კონკრეტული შეკითხვები პირველ აბზაცში მოცემულ ინფორმაციებთან დაკავშირებით: *როგორი ცხოველია მურა დათვი? სად არის გავრცელებული? რომელი სიტყვა მიანიშნებს ამაზე? საშიში ცხოველია თუ არა მურა დათვი? რომელი სიტყვა მიანიშნებს ამაზე? კიდევ რომელი მტაცებელი ცხოველები იცით? ადამიანზე დიდია თუ არა მურა დათვი? საიდან ჩანს?* და ა.შ. შემდეგ გადადით მეორე აბზაცზე და ა.შ.

ტექსტის ცალკეული აბზაცი დაამუშავეთ ზემოთ (წინა აქტივობებში) მოცემული სტრატეგიების გამოყენებით. საჭიროების შემთხვევაში ჩართეთ გამოსახულებები, ტესტური პასუხები და ა.შ.

სამივე აბზაცის დამუშავების შემდეგ ჩამოწერეთ დაფაზე რუბრიკები და სთხოვეთ მოსწავლეებს, დააკავშირონ შესაბამის აბზაცებთან:

ა) საკვები; **ბ)** ფიზიკური მონაცემები; **გ)** ცხოვრების წესი.

ამ შემთხვევაში დააზუსტეთ, ნაცნობია თუ არა მოსწავლისთვის აღნიშნული ტერმინები, საჭიროების შემთხვევაში ჩაანაცვლეთ ისინი უფრო მარტივი ფრაზებით:

ა) საკვები - რას ჭამს დათვი?

ბ) ფიზიკური მონაცემები - როგორია დათვი?

გ) ცხოვრების წესი - როგორ ცხოვრობს დათვი?

5. ამის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, კიდევ ერთხელ დააკვირდნენ ტექსტს და დაასახელონ, რა ტიპის ტექსტია (ვარიანტები ჩამოწერეთ დაფაზე) და დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრება:

ა) მოთხრობა ბ) წერილი გ) რეკლამა დ) საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტი

თუ მოსწავლისთვის რთულია მოცემულ ხუთ ვარიანტს შორის შესაბამისის არჩევა, შეამცირეთ შესაძლო პასუხები, დატოვეთ სამი ან ორი პასუხი.

6. დაფაზე გააკარით პოსტერი, რომელზედაც მოცემულია ,,გონებრივი იერიშის“ რუკის სქემა და შეავსეთ მოსწავლეთა დახმარებით.



დაუსვით მოსწავლეს შეკითხვა, რომელიც მის შესაძლებლობას შეესაბამება და ამავდროულად გამოწვევაც იქნება მისთვის, მოითხოვს დაფიქრებას. მიაქციეთ ყურადღება, რომ მოსწავლეს მოუწიოს ოპერირება არა მხოლოდ ნაცნობი მასალით, - დაუსვით ისეთი შეკითხვები, რომლებიც მოითხოვს კარგად ნაცნობი ფაქტების და ახლის დაკავშირებას და ამის საფუძველზე ახალი ცოდნის კონსტრუირებას.

7. ამის შემდეგ მოსწავლეებს შესთავაზეთ მარტივი <u>ენობრივი სავარჯიშოები:</u>

ა) ცხრილის შევსება კითხვების დახმარებით. პირველ რიგში, გააააქტიურეთ მოსწავლეთა წინარე ენობრივი ცოდნა. ამისათვის დაწერეთ დაფაზე სიტყვები და შესაბამისი კითხვითი სიტყვები და სთხოვეთ, დააკავშირონ ერთმანეთთან, მაგ.,



ამის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, თავად მოიფიქრონ და დაასახელონ შესაბამისი მეტყველების ნაწილები. მცირეოდენი გავარჯიშების შემდეგ დაურიგეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი და მიეცით დავალება: ამოწერეთ ტექსტიდან შესაბამისი სიტყვები და შეავსეთ ცხრილი.

რა?	როგორი?	რამდენი?	როდის?	სად?

ბ) არსებითი სახელების დაჯგუფება სხვადასხვა ნიშნით. მიეცით სიტყვათა ჩამონათვალი და სთხოვეთ, გადაახარისხონ ეს სიტყვები კონკრეტული ნიშნის მიხედვით. ეს შეიძლება იყოს, **გრამატიკული ნიშანი**: სულიერი და უსულო არსებითი სახელები; სახელები და ზმნები; **ლექსიკური ნიშანი**: შინაური და გარეული ცხოველები; ცხოველები და მცენარეები და ა.შ. მათი საჭიროების მიხედვით განსაზღვრეთ, რა ნიშნით დაახარისხონ მიცემული სიტყვები. შესაძლებელია, მათ ინდივიდუალურადაც განუსაზღვროთ დავალება - ნაწილს სთხოვეთ სიტყვების კლასიფიკაცია კონკრეტული გრამატიკული ნიშნით, ნაწილს - ლექსიკის მიხედვით და ა.შ.

გთავაზობთ სიტყვათა ჩამონათვალს ტექსტიდან:

დათვი	**ცხოველი**	**თავი**	**თვალები**	**ნათესები**	**ნადირი**
ხილი	**ხორბალი**	**სიმინდი**	**თევზები**	**ცხვარი**	**შვილები**
ბუჩქები	**ხარი**	**ძროხა**	**ხეები**	**საკვები**	**კუდი**	**ხორცი**

გ) წინადადებების შევსება. მიეცით სიტყვები და სთხოვეთ, გაანაწილონ ნაკლულ წინადადებებში კონტექსტის მიხედვით:

ესხმის იგემრიელებს აზიანებს მწიფს ეტანება

- დათვი _____ ნადირის ხორცსაც.
- შემოდგომაზე ველური ხილი _____.
- ზოგჯერ დათვი თევზითაც _____ პირს.
- დათვი ხშირად _____ ნათესებს.
- ის თავს _____ შინაურ პირუტყვს.

დ) მიზეზშედეგობრივი კავშირების ამოცნობა. მოძებნეთ ტექსტში ინფორმაცია, რომელიც მოცემულ დებულებას დაადასტურებს და ამოწერეთ.

დებულება	საიდან ჩანს?
მურა დათვი საშიში მტაცებელი ცხოველია.	
მურა დათვი მზრუნველი დედაა.	
ხანგრძლივი ძილის შემდეგ ძალიან სუსტდება.	

საჭიროების შემთხვევაში, მოუნიშნეთ მოსწავლეს ტექსტში ის არე, სადაც უნდა ეძიოს დებულების შესაბამისი ინფორმაცია.

8. შესაჯამებლად გააკეთეთ ახალი დიაგრამა და შეავსეთ მოსწავლეებთან ერთად: ა) რა ტიპის ტექსტია; ბ) რა არის ცალკეული აბზაცის ძირითადი სათქმელი; გ) კონკრეტულად რა ინფორმაციაა თითოეულ აბზაცში:



კონკრეტული ინფორმაციის შესავსებად შესაძლებელი სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება:

- მიაწოდეთ შესაბამისი სიუჟეტური სურათი (მესამე აბზაციდან, მაგ., ზამთარში ძილს მიცემული დათვი) და სთხოვეთ მოსწავლეს მასზე დაყრდნობით შეავსოს მესამე სქემა;
- მიაწოდეთ მოსწავლეს საკვანძო სიტყვები და სთხოვეთ მოსწავლეს მოგაწოდოთ ინფორმაცია დათვის ფიზიკურ მონაცემებზე. საკვანძო სიტყვები დაუწერეთ ბარათზე: 2 მეტრი; კისერი; კუდი; 300 კილოგრამი.
- დაუსვით მოსწავლეს კონკრეტული შეკითხვები.

9. ყველას ინდივიდუალურად შეავსებინეთ ცხრილი (მსგავსი ცხრილების შევსება ასევე საშუალებას მოგცემთ მათთვის საინტერესო თემებისა და საკითხების მოძიებაში).

რა ვიცოდი დათვის შესახებ?	რა გავიგე ახალი?	კიდევ რისი გაგება მინდა?

ინდივიდუალურად გადაამოწმეთ მოსწავლესთან, რა გაიგო მან დათვის შესახებ ახალი.

აქტივობა 2. გრაფიკული სქემების/დიაგრამების გამოყენება მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრებისათვის („თეთრი დათვი და მურა დათვი“, ავტორი თამარ ფხაკაძე)

აქტივობის მიზანი:

- გრაფიკული სქემების/დიაგრამების მიზნობრივი გამოყენება (პერსონაჟების შედარებითი დახასიათება / მათი ისტორიების შედარება);
- ამბის ქრონოლოგიური თანმიმდევრობის აღდგენა;
- მუშაობა დიალოგზე.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).7

- ამოიცნობს ტექსტის თემას, სწვდება დედააზრს (მთავარ იდეას);
- ამოიცნობს პერსონაჟების მოქმედებებს, გრძნობებს, ემოციებს;
- აკავშირებს ერთმანეთთან ექსპლიციტურად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს;
- ამოიცნობს ტექსტში მოცემულ სხვადასხვა ინფორმაციას შორის არსებულ მიზეზშედეგობრივ კავშირებს, გამოაქვს სათანადო დასკვნა;
- განსაზღვრავს მოქმედებათა დროსა და ადგილს;
- გამოყოფს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს.

თეთრი დათვი და მურა დათვი

1. ერთხელ თეთრი დათვი უზარმაზარ ყინულზე წამოგორდა და დაიწყო ფიქრი. ხან პინგვინებზე იფიქრა, ხან ზღვის ლომებზე, ხან რაზე და ხან რაზე, მაგრამ ბოლოს აი რა მოიფიქრა:

– მომბეზრდა აქ! აქეთ ყინული! იქით ყინული! აქეთ პინგვინი! იქით პინგვინი! საჭმელიც - სულ თევზი და თევზი! წავალ, უკეთეს ადგილს მოვძებნი! დედამიწა დიდია, ადგილების მეტი რა არის?!

ასეც მოიქცა. წამოიზლაზნა და გაუდგა გზას.

სწორედ ამ დროს, ერთ თბილ ქვეყანაში მურა დათვი უღრანი ტყის პირას, ხასხასა მოლზე წამოგორებულიყო და ფიქრობდა.

– უჰ! მომბეზრდა! აქეთ ტყე, იქით ტყე! აქეთ შინდი! იქით პანტა! ყოველდღე თაფლი და თაფლი! ფუღუროებში ძრომიალი და ფუტკრებისგან დაკბენა! მომეწყინა! დედამიწა დიდია! ადგილების მეტი რა არის! წავალ და უკეთეს სამყოფელს მოვძებნი!

ბევრი აღარ უფიქრია, გაუდგა ბაჯბაჯით გზას.

2. იარა თეთრმა დათვმა. ბევრი იარა. იარა მურა დათვმა. ბევრი იარა. შუა გზაზე ერთმანეთს შეხვდნენ.

– ჰეი, ძმობილო! საით გაგიწევია? – დასძახა თეთრმა დათვმა.

– მომეწყინა. სხვა ადგილი უნდა ვნახო! – უპასუხა მურამ – შენ საით მიდიხარ, ძმობილო?

– მეც მომეწყინა, – მიუგო თეთრმა დათვმა, – წავალ, უკეთეს ადგილს ვნახავ. ადგილების მეტი რა არის!

3. იარა მურა დათვმა და ჩავიდა ყინულოვან ქვეყანაში. მიიხედა, მოიხედა, - მოეწონა. ხან პინგვინს გაეკიდა, ხან ზღვის ლომს გაეთამაშა, მაგრამ ყველა გაურბოდა. მურა დათვი არასდროს ენახათ და შეეშინდათ. სულ მარტო დარჩა მურა. სიცივისგან კანკალი დაიწყო. მერე, მოშივდა კიდეც. თვალებში სულ შინდი, პანტა და თაფლი ელანდებოდა, მაგრამ ყინულების მეტი არაფერი იყო! ყინულებს ხომ არ შეჭამდა? დაჰკრა ფეხი და წამოძუნძულდა უკან, თავის მხარეში.

4. იარა თეთრმა დათვმა, იარა და მიადგა უღრან ტყეს. მიიხედა, მოიხედა - მოეწონა. მზე ჩახჩახებდა. ირგვლივ კი ყინულის ნატამალი არ იყო! ხან კურდღელს გაეთამაშა, ხან ზღარბს, მაგრამ ყველა გაურბოდა. თეთრი დათვი არასდროს ენახათ და შეეშინდათ. სულ მარტო დარჩა თეთრი დათვი. საშინლად დასცხა. მერე, მოშივდა კიდეც. თვალებში სულ ყინულივით ცივი და სლიკინა თევზი ელანდებოდა! მაგრამ ხეების მეტი არაფერი იყო! ხეები კი, შენც კარგად იცი, თევზებს არ ისხამენ! დაჰკრა ფეხი თეთრმა დათვმაც და წაძუნძულდა უკან, თავის მხარეში.

5. შუა გზაზე ისევ შეხვდნენ ერთმანეთს.

– საით გარბიხარ, ძმობილო? – დასძახა მურამ.

– საით და ჩემი ყინულები მომენატრა! – უპასუხა თეთრმა დათვმა – შენ საით გარბიხარ ასე კისრისტეხით, ძმობილო?

– საით და, მეც ჩემი უღრანი ტყე მომენატრა! - მიუგო მურამ.

დაემშვიდობნენ ერთმანეთს და განაგრძეს გზა. რომ იცოდე, როგორ მიეჩქარებოდათ!

თამარ ფხაკაძე

1. დაყავით ტექსტი მონაკვეთებად სიუჟეტის განვითარების საფეხურების (ან ეპიზოდების) მიხედვით და დანომრეთ. მოსწავლეებს ყურადღება მიაქცევინეთ მონაკვეთებად დაყოფილ ტექსტზე: *რამდენი მონაკვეთისაგან შედგება ტექსტი? სად იწყება და სად მთავრდება პირველი მონაკვეთი? მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე მონაკვეთები?* გამოიყენეთ გაგრძელებითი კითხვის მეთოდი და ცალ-ცალკე წააკითხეთ მოსწავლეებს ტექსტის მონაკვეთები.

2. ამის შემდეგ დაურიგეთ მოსწავლეებს არეულად მოცემული ტექსტის სიუჟეტური ნახატები და სთხოვეთ, დაალაგონ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით:



სამუშაოს დასრულების შემდეგ შეადარეთ მოსწავლეთა ნამუშევრები, შემდეგ წაიკითხეთ ტექსტი (ან წააკითხეთ თავად მოსწავლეებს) და შეამოწმებინეთ მოსწავლეებს შესრულებული დავალება.

ქრონოლოგიურ ჭრილში ამბის აღსადგენად შეგიძლიათ გამოიყენოთ არეულად მოცემული ინფორმაციის თანმიმდევრულად დალაგება – *როდის რა მოხდა:*

- ☐ დათვები ისევ ხვდებიან ერთმანეთს.
- ☐ თეთრი დათვი თბილ ქვეყანაშია.
- ☐ დათვები უკან ბრუნდებიან.
- ☑ 1 დათვები თავიანთი ქვეყნებიდან მიდიან.
- ☐ დათვები ხვდებიან ერთმანეთს და საუბრობენ.
- ☐ მურა დათვი ყინულოვან ქვეყანაშია.

3. გადადით ტექსტის ცალკეული მონაკვეთის დამუშავებაზე გრაფიკული სქემების გამოყენებით.

ა) დააკვირდით სქემას. წაიკითხეთ შეკითხვები და ამოწერეთ სათანადო ინფორმაცია I ეპიზოდიდან:

I ეპიზოდი

ვინ არიან პერსონაჟები?

1. _____

2. _____

სად ცხოვრობენ ისინი?

1. _____

2. _____

რითი იკვებებიან დათვები?

1. _____

2. _____

იმისათვის, რომ წაახალისოთ მოსწავლის მხრიდან სწორი პასუხები, შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის სტრატეგიის გამოყენება:

- თითოეული შეკითხვის გასწვრივ შესთავაზეთ მოსწავლეს შესაბამისი გამოსახულება.

ამ შემთხვევაში მოსწავლეს ევალება გამოსახულების ამოცნობა, დასახელება და ვერბალური პასუხის ჩაწერა.

- თითოეული შეკითხვის გასწვრივ შესთავაზეთ რამდენიმე პასუხი - მცდარი და სწორი გამოსახულებები. შემოიტანეთ ისეთი ინფორმაცია, როგორიც ტექსტში არ არის. მაგ., ვინ არიან პერსონაჟები? თეთრი დათვი, მგელი, მურა დათვი, მელა. ამ შემთხვევაში მოსწავლეს ევალება სწორი გამოსახულების ამოცნობა და მონიშვნა.
- თითოეული შეკითხვის გასწვრივ შესთავაზეთ რამდენიმე პასუხი - მცდარი და სწორი ჩანაწერები. ამ შემთხვევაშიც შეგიძლიათ შემოიტანოთ ინფორმაცია, რომელიც ტექსტში არ არის. მაგ., რითი იკვებებიან დათვები: თევზებით, ფრინველებით, მწერებით, შინდით. ამ შემთხვევაში მოსწავლეს ევალება პასუხების ამოკითხვა და ჩაწერა.

ბ) შეადარეთ მოსწავლეების ნამუშევრები და დააზუსტეთ ამოწერილი ინფორმაცია ტექსტის მიხედვით. ამის შემდეგ მოსწავლეებს მიეცით მორიგი დავალება: *დაუბრუნდით I ეპიზოდს* და *ამოწერეთ დამატებითი ინფორმაცია დათვების შესახებ:*

	თეთრი დათვი	**მურა დათვი**
რას ფიქრობს?		
რას ამბობს?		
რა გადაწყვიტა?		

ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია იმავე სტრატეგიის გამოყენება. მიაწოდეთ მოსწავლეს რამდენიმე წერილობითი პასუხი თითოეული შეკითხვის გასწვრივ. სთხოვეთ გადაშალოს არასწორი პასუხები.

	თეთრი დათვი	**მურა დათვი**
რას ფიქრობს?	მობეზრდა ყინულზე ცხოვრება. მოსწონს უდაბნოში ცხოვრება.	
რას ამბობს?		
რა გადაწყვიტა?		

გ) *წაიკითხეთ და დაალაგეთ თანამიმდევრულად* – რა მოხდა: **პირველად, შემდეგ** და **ბოლოს.**

ა. დათვები სხვა ქვეყანაში წავიდნენ.

ბ. დათვებმა ფიქრი დაიწყეს.

გ. დათვებმა წასვლა გადაწყვიტეს.

წინადადებები შესაძლებელია, ჩაანაცვლოს სიუჟეტურმა სურათებმა.

დ) გადადით მეორე ეპიზოდზე. შინაარსობრივ კითხვებზე პასუხების გაცემის შემდეგ იმუშავეთ დიალოგზე. დაკიდეთ დაფაზე დიდ ფორმატზე დაწერილი დიალოგი და სთხოვეთ მოსწავლეებს, დასვან შესაბამისი სასვენი ნიშნები (ყურადღება მიაქციეთ, რომ სამუშაოს შესრულებისას წიგნები დახურული ჰქონდეთ). პარალელურად ჰკითხეთ, რატომ სვამენ ამა თუ იმ ნიშანს ამ ადგილას, მაგ., *რატომ დასვი ჰეი'ს შემდეგ მძიმე? რატომ დასვი აქ წერტილი? ამ წინადადების ბოლოს კითხვის ნიშანი რატომ დასვი?* ჩართეთ სხვა მოსწავლეებიც - ეთანხმებით გვანცას? აქ მძიმე უნდა იყოს? განსხვავებული აზრი ხომ არ აქვს ვინმეს? და ა.შ. სამუშაოს დასრულების შემდეგ დაკიდეთ მეორე ფორმატიც და შეადარებინეთ მოსწავლეებს, სწორად შეასრულეს თუ არა დავალება.

- ჰეი ძმობილო საით გაგიწევია
- მომეწყინა. სხვა ადგილი უნდა ვნახო შენ საით მიდიხარ ძმობილო
- მეც მომეწყინა წავალ უკეთეს ადგილს ვნახავ ადგილების მეტი რა არის

- ჰეი, ძმობილო! საით გაგიწევია?

- მომეწყინა. სხვა ადგილი უნდა ვნახო! შენ საით მიდიხარ, ძმობილო?

- მეც მომეწყინა, წავალ, უკეთეს ადგილს ვნახავ. ადგილების მეტი რა არის!

წააკითხეთ დიალოგი მეწყვილეებს სათანადო ინტონაციის დაცვით. მსგავსად დაამუშავეთ ბოლო მონაკვეთში მოცემული დიალოგიც.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა შესაბამისი სასვენი ნიშნის განსაზღვრა, წარმოთქვით წინადადება შესაბამისი ინტონაციით, იყავით განსაკუთრებულად ექსპრესიული. ამავდროულად დაფაზე დიდად დაწერეთ სასვენი ნიშნები და სთხოვეთ მოსწავლეს მიუთითოს. რომელი სასვენი ნიშანი უნდა დასვას ამ წინადადების შემდეგ. ბოლოს სთხოვეთ სასვენი ნიშნის პლაკატზე დაწერა.

ე) ამის შემდეგ დაუბრუნდით ტექსტს, წააკითხეთ დარჩენილი ეპიზოდები და შეადარებინეთ მურა დათვისა და თეთრი დათვის ამბები ერთმანეთს: *მოძებნეთ მსგავსება და განსხვავება მურა დათვისა და თეთრი დათვის ამბებს შორის და დაასახელეთ, რითი ჰგვანან და რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან. მსგავსება უფრო მეტია თუ განსხვავება?*

4. გამოსახეთ დაფაზე ვენის დიაგრამა და აუხსენით მოსწავლეებს მისი გამოყენების წესი: სად უნდა ჩაიწეროს მათ შორის არსებული მსგავსება და სად - განსხვავება. რა ინფორმაციაზე უნდა იფიქრონ? - გარეგნობა, თავისი საცხოვრებელი ადგილი / გარემო, საკვები, ფიქრები და სურვილები, გადაწყვეტილების მიღება, უცხო გარემოსთან შეგუების პრობლემა, საკუთარი მხარის მონატრება.

დაყავით მოსწავლეები ჯგუფებად. სამუშაოს დამთავრების შემდეგ შეადარეთ ჯგუფების ნამუშევრები ერთმანეთს.



მოსწავლეს მიაწოდეთ ქაღალდის ცალკეულ ზოლზე დაწერილი ცალკეული ინფორმაცია მურა დათვსა და თეთრ დათვზე. სთხოვეთ ინფორმაციების განთავსება ვენის დიაგრამაზე. ინფორმაციის გადალაგების შემდეგ სთხოვეთ დააკვირდეს, რა მიიღო.

მეოთხე კლასი

აქტივობა 1. მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრებაზე მუშაობა კითხვის სამივე ეტაპის დაცვით („ცასწავალა“, გოდერძი ჩოხელი, IV კლასი, ავტორები: მაღლაკელიძე, ყურაშვილი)

აქტივობის მიზანი:

- ტექსტის გააზრების საფუძველზე პერსონაჟთა ქცევის შეფასება და დასკვნების გაკეთება;
- საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირება;
- ემოციებისა და შთაბეჭდილებების გამოხატვა და ახსნა;
- წარმოსახვის, შემოქმედებითი უნარების განვითარება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).7

- გამოყოფს ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას;
- აკავშირებს ერთმანეთთან ექსპლიციტურად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები;
- ამოიცნობს ტექსტში გადმოცემულ მოვლენებს, ფაქტებს, მოქმედებებს შორის არსებულ ქრონოლოგიურ და ლოგიკურ კავშირებს;
- აკვირდება პერსონაჟთა ქცევას, მოქმედებას, თვისებებს და დაკვირვების საფუძველზე გამოაქვს სათანადო დასკვნა მათი აზრების, განზრახვების, განცდების შესახებ;
- საუბრობს სათაურისა და ტექსტის აზრობრივ/ შინაარსობრივ ურთიერთკავშირზე.

ქართ.დაწყ.(I).11

- დამოუკიდებლად პოულობს ტექსტში სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებსაც ავტორი იყენებს პერსონაჟების, ფაქტებისა და მოვლენების აღსაწერად.

ცასწავალა

(შემოკლებით)

ცასწავალა ღობემძვრალაზე ოდნავ დიდი თუ იქნება. ძალიან პატარა ფრთები აქვს, ძალიან პატარა ნისკარტი.

ცასწავალა ერთი აყვავებული მთის ფერდობზე ცხოვრობდა და ცაში მაღლა აფრენის სურვილი არ ასვენებდა. ამიტომაც ერქვა ეს სახელი. ასე სჩვეოდა ხოლმე: ბალახიდან ამოფრინდებოდა, ცაში აიჭრებოდა და თან წკრიალა ხმით იძახდა: „ცას წავალ! ცას წავალ!“ ამ დროს ყველა მას შესცქეროდა: წიფლისჩიტები, ჩიტბატონები, ჩხიკვები, ორბები. ყვავილებიც კი იშმუშნებოდნენ. ასე იფრენდა ერთხანს, რაღაც ზღვარს მიაღწევდა, ღონე გამოეცლებოდა, ისევ დაბლა დაეშვებოდა და ბალახებში გაუჩინარდებოდა.

ბალახებში ჩავარდნილი ახლა ამას იძახდა: „ვტყუი, ვტყუი!“ ამით თავის უღონობას მალავდა, რათა სხვებს არ გაეგოთ, რომ ცაში წასვლა არ შეეძლო.

ფრთოსნებმა ითმინეს, ითმინეს და ბოლოს საწყენად მიიღეს ეს ამბავი. გადაწყვიტეს, სასამართლო მოეწყოთ ჩიტისთვის.

მოვიდა ყველა ჯურის ფრინველი. ეტყობა, თავისებური უმავთულო ტელეფონი აქვთ, თორემ როგორ გააგებინეს ასე უცებ ერთიმეორეს! მოდიოდნენ და მოდიოდნენ, ათასნაირად ჩაცმულები. როცა ყველანი შეიკრიბნენ, რაღაც ითათბირეს და გაისუსნენ.

მიმინოებმა ცასწავალა გაკოჭეს და გორაზე შეკრებილ ფრთოსნებს მიჰგვარეს. მოსამართლე ყვავმა თავისი ადგილი დაიკავა და დაიწყო:

– მოქალაქე ცასწავალა, თქვენ ბრალი გედებათ აქ შეკრებილი საზოგადოების მოტყუება. მითხარით, ვინ გყავთ ცაში?

– არავინ, - თქვა სევდიანად ცასწავალამ.

– ვაა! - აღმოხდა ყვავს, - როგორ თუ არავინ! მაშ, ვისთან მიდიოდი?

– ისე, ცაში მინდოდა წასვლა.

– ვისთან, ვინ დაგპატიჟათ, რა მიზეზით?

– არა, არავის დავუპატიჟებივარ, მაგრამ...

– სახლში ვინა გყავს?

– არავინ.

– ობოლი ხარ?

– დიახ... - თქვა საბრალო ცასწავალამ და თავი მუხლებში ჩამალა.

ბოლოს ფრთოსნებმა ცასწავალას ერთი დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, ბაბუაწვერაზე თოკით მიაბეს და დაიშალნენ. მოლაღური შემორჩა იმ ადგილს, კარგა ხანს იდგა დაფიქრებული, მერე ცასწავალას ფოთლები დააფარა, ღამით რომ არ გაყინულიყო და მელას არ შეეჭამა. შემდეგ თვითონაც გაფრინდა.

შუადღისას ისევ შეიკრიბნენ ფრთოსნები და ახსნეს, ჯერ უგონოდ დაეცა, ეტყობა ფრთები ეტკინა. მოლაღურმა ნისკარტით წყაროს წყალი მოარბენინა და მოასულიერა ცასწავალა.

– გაგვითავისუფლებიხარ, ცასწავალავ, ოღონდ ერთი პირობით: მეტი აღარ მოიტყუო, - უთხრა ყვავმა.

– არა, აღარ მოვიტყუებ, - პირობა მისცა ცასწავალამ.

წავიდ-წამოვიდნენ ფრთოსნები და ახლომახლო აყვავებულ ბალახებში ჩასხდნენ.

ცაზე მსუბუქად მოცურავდა ყვითელი მზე. ლურჯი, ძალიან ლურჯი ცა თითქოს თავის სიღრმეში სანავარდოდ იხმობდა ყველას.

ცასწავალა კარგა ხანს იჯდა დაფიქრებული. მერე, ეტყობა, მოსწყინდა ასე ყოფნა, ფრთები გაშალა და ცაში აიჭრა:

– ცასწავალ! ცასწავალ! ცასწავალ! - იძახდა ცასწავალა და ისე მაღლა წავიდა, ოდნავღა ჩანდა, გასცდა იმ ზღვარს, სადამდისაც ადრე მიდიოდა ხოლმე - უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებდა და ერთი სურვილით შეპყრობილი, მიწაზე დარჩენილ ფრთოსნებს ჩამოსძახოდა: ცასწავალ! ცასწავალ! ცასწავალ!

ყველანი მას შეჰყურებდნენ.

ის წერტილივით ჩანდა.

უკანასკნელი ამოსუნთქვისთვისღა ეყო ღონე და გული გაუსკდა.

უკან მსუბუქად და მდუმარედ ეშვებოდა. მერე ასევე მსუბუქად დაეცა თავის საყვარელ ბალახებში.

საწყალი ცასწავალა ფრთოსნებმა იმ გორაკზე დაასაფლავეს, სადაც გუშინ სასამართლო მოუწყვეს. ყვავმა გრძელი სიტყვა წარმოთქვა. მოლაღულმა ბევრი იტირა, სხვებიც ვიშვიშებდნენ, თავს აქეთ-იქით აქნევდნენ. მერე დაიშალნენ და დარჩა გორზე პატარა სასაფლაო. ეს ოდნავ ცისკენ ამოწეული მიწა ზემოთ დარჩენილთ თითქოს იმას მიანიშნებდა, რომ მის ქვეშ ზეცაში წასვლის სურვილით შეპყრობილი ცასწავალა იწვა, და ვინც კი ნახავდა, გული სწყდებოდა: ეს სურვილი ხომ მეტ-ნაკლებად ყველას გვაქვს, ზოგი ვამჟღავნებთ, ზოგი გულში ვიმარხავთ სამუდამოდ.

გოდერძი ჩოხელი

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

I ეტაპი - ტექსტის წაკითხვამდე:

1. *ფოტოებზე მუშაობა განწყობისათვის:*

ა) აჩვენეთ მოსწავლეებს ფოტოები და ასაუბრეთ მათ შესახებ. დაეხმარეთ საკვანძო შეკითხვებით:

- რა არის ცალკეულ ფოტოზე გამოსახული?
- საითკენ მიფრინავენ ფრინველები პირველ ფოტოზე? რას აკეთებენ ადამიანები? რატომ შეჰყმუის მგელი ცას? და ა.შ.
- ყველა ამ ფოტოს ერთმანეთთან რაღაც აერთიანებს. როგორ ფიქრობთ, რა აქვთ მათ საერთო? (ცისკენ ლტოლვა)

მიეცით მოსწავლეს იმდენი დრო სურათების შესამეცნებლად, აღსაქმელად, რამდენიც მას ესაჭიროება. შესაძლებელია, საჭირო გახდეს გამოსახულებების არა შორიდან ჩვენება, არამედ ახლო მანძილიდან მიწოდება. მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე, განსაზღვრეთ, რამდენი გამოსახულების ჩვენება იქნება მიზანშეწონილი გამოსახულებების საერთო იდეის აღსაქმელად. შესაძლებელია, ერთ შემთხვევაში რეკომენდებული იყოს გამოსახულებების ცალ-ცალკე მიწოდება, სხვა შემთხვევაში კი - ერთდროულად. ეს დამოკიდებულია მოსწავლის შემეცნებით ფუნქციებზე - აღქმაზე, ყურადღებასა და აზროვნებაზე.

გამოსახულებების მიწოდებისას წაახალისეთ ობიექტების, მოქმედებების, მათი თვისებების დასახელება, მითითება.

იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლეს გაუჭირდება გამოსახულებების დამოუკიდებლად აღწერა, აღწერეთ თავად ან ჩართეთ მისი თანაკლასელი ამ პროცესში. სურათების აღწერისას ხაზი გაუსვითიმ იდეას, რომელიც გამოსახულებებს აერთიანებს.

ბ) წაუკითხეთ მოთხრობის დასაწყისი „ცასწავალადან“ - *„მეტნაკლებად ყველას აქვს ცაში წასვლის სურვილი. პოეტები ვარსკვლავებს უმღერიან, ხეები ზეცას შეჰღაღადებენ, დამშეული მგლებიც ცას შეჰყმუიან. ყველას აქვს ზეცაში ამაღლების სურვილი“* - და დაუბრუნდით შეკითხვებს: *ვის ჰქონია ჩიტივით ცაში ფრენის სურვილი? ვის უნატრია ჩიტად ყოფნა და რატომ? გიოცნებიათ იმაზე, რომ ფრთები გქონოდათ? რას იზამდით, ფრთები რომ გქონდეთ?*

წაახალისეთ მოსწავლეები, იოცნებონ, თამამად გამოხატონ სათქმელი. შესაძლებელია, ნახატების შექმნა და შემდეგ გამოფენის მოწყობა თემაზე - *„მე რომ ფრთები მქონდეს...“*

2. *მუშაობა ტექსტის სათაურზე:*

ა) დაუსვით შეკითხვა სათაურის გარშემო: *რა არის, თქვენი აზრით, ცასწავალა - ფრინველი, ცხოველი თუ პატარა მწერი? იქნებ არცერთია, თქვენ როგორ გგონიათ?*

ვარაუდების გამოთქმის შემდეგ წააკითხეთ ერთ-ერთ მოსწავლეს სახელმძღვანელოში მოცემული შემოკლებული ვარიანტის დასაწყისი (*„ცასწავალა ღობემძვრალაზე ოდნავ დიდი თუ იქნება. ძალიან პატარა ფრთები აქვს, ძალიან პატარა ნისკარტი“*); დააზუსტეთ სწორი პასუხი (ღობემძვრალაზე ოდნავ დიდი ჩიტი) და შეადარეთ მოსწავლეების ვერსიებს.

ბ) აქცენტი გააკეთებინეთ სახელზე - რატომ ჰქვია ამ ჩიტს **ცასწავალა**? – დაშალეთ მოცემული სიტყვათშეხამება და დაწერეთ დაფაზე:

ცაში წავალ ⟶ *ცას წავალ* ⟶ *ცასწავალა*

განუმარტეთ მოსწავლეებს, რომ ეს ჩიტი ბეღურისებრთა ოჯახიდანაა, ვინაიდან ღობემძვრალაზე ოდნავ დიდია. ღობემძვრალა კი ბეღურისებრთა ოჯახში შედის. თავად სახელი კი მწერლის შერქმეული უნდა იყოს. ამის შემდეგ ჰკითხეთ მოსწავლეებს: *რატომ ერქვა ამ ჩიტს ცასწავალა? რისი თქმა უნდოდა ამით ავტორს?* ვარაუდების გამოთქმის შემდეგ წააკითხეთ მომდევნო აბზაცის დასაწყისი და შეადარებინეთ გამოთქმულ ვერსიებთან (*„ცასწავალა ერთი აყვავებული მთის ფერდობზე ცხოვრობდა და ცაში მაღლა აფრენის სურვილი არ ასვენებდა. ამიტომაც ერქვა ეს სახელი. ასე სჩვეოდა ხოლმე: ბალახიდან ამოფრინდებოდა, ცაში აიჭრებოდა და თან წკრიალა ხმით იძახდა: „ცას წავალ! ცას წავალ!“*).

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა ცასწავალას სახელის გააზრება მხოლოდ ვერბალური ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია მიზანშეწონილ იყოს მისთვის დამატებით ვიზუალური გამოსახულების მიწოდება, სადაც ეს ფრინველი მთის ფერდობიდან ან ბალახებიდან აფრენილა და გაიძახის: „ცას წავალ! ცას წავალ!“

3. *ტექსტის მოსმენა განწყობის შესაქმნელად:*

ა) სათაურზე დაყრდნობით გამოათქმევინეთ ვარაუდი ტექსტის შინაარსთან დაკავშირებით და შემდეგ მოასმენინეთ ტექსტი: **ცასწავალა - გოდერძი ჩოხელი -** *www.myvideo.ge/v/2127844*; რეჟისორი - ბექა ელბაქიძე, ხმის რეჟისურა და მასტერინგი - ალექსანდრე ღონღაძე.

აუდიოჩანაწერი მიაწოდეთ მოსწავლეს მისი შესაძლებლობების გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში, ჩანაწერი მოასმენინეთ რამდენჯერმე, როგორც მთლიანად, ისე შესვენებებით. შუალედებში გააანალიზეთ მოსმენილი მონაკვეთი, დაუსვით შეკითხვები, მიეცით განმარტებები. თუკი გაკვეთილზე გართულდა აუდიოჩანაწერის რამდენჯერმე მოსმენა, სთხოვეთ მოსწავლეს მოთხრობის სახლში მოსმენა.

იმ შემთხვევაში, თუ მოთხრობის აუდიოჩანაწერის მოსმენა არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ მოსწავლემ ზედმიწევნით აღიქვას მისი შინაარსი, მიზანშეწონილი იქნება მისთვის დამატებით ვიზუალური გამოსახულების (სერიული სიუჟეტური სურათების) მიწოდება. ზოგიერთ შემთხვევაში, გარდაუვალი იქნება თავად ტექსტის ადაპტირებაც - მისი სინტაქსური კონსტრუქციებისა და ლექსიკის გამარტივება.

ბ) სთხოვეთ მოსწავლეებს, ისაუბრონ საკუთარ შთაბეჭდილებებზე: *გამართლდა თუ არა მათი მოლოდინი? რა დაემთხვა და რა - არა? მოეწონათ თუ არა მოთხრობა? იმოქმედა თუ არა პატარა ჩიტის ისტორიამ მათზე? რამ იმოქმედა განსაკუთრებით? რომელი ეპიზოდი დაამახსოვრდათ ყველაზე მეტად და რატომ? მათი ნება რომ ყოფილიყო, შეცვლიდნენ თუ არა რამეს? რას შეცვლიდნენ და რატომ?* და ა.შ.

საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური შეკითხვით მიმართეთ მოსწავლეს. კითხვის შერჩევისას გაითვალისწინეთ მისი შესაძლებლობები - შეკითხვა არ იყოს ზედმეტად რთული, არ მოხდეს მოსწავლის ფრუსტრირება; არც ზედმეტად მარტივი კითხვაა გამართლებული, რომელზე პასუხის გაცემაც მოსწავლისთვის მექანიკური და იმდენად იოლი იქნება, რომ არ მოითხოვს შემეცნებითი ოპერაციების გაქტიურებას. კითხვის შერჩევისა და ფორმულირებისას გაითვალისწინეთ, რომ შეკითხვამ მოსწავლის სააზროვნო პროცესების პროვოცირება და სტიმულირება მოახდინოს, რის საფუძველზეც მან ახალი რამ უნდა აღმოაჩინოს, ახალი იდეა უნდა დაებადოს და/ან ახალ გადაწყვეტილებამდე მივიდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეკითხვა სიახლისა და გამოწვევის შემცველი უნდა იყოს.

გ) სთხოვეთ მოსწავლეებს, დახატონ ტექსტის ილუსტრაციები (შესაძლებელია, ამ დავალების შესასრულებლად მოსწავლეთა დაჯგუფება და მისი შესრულება საერთო ძალებით. ასევე შესაძლებელია ამ დავალების შესრულება ხატვის გაკვეთილზე მასწავლებელთან წინასწარი შეთანხმებით). შეადარებინეთ ნახატები ერთმანეთს - *ვინ რა დახატა და როგორ*. ასაუბრეთ მოსწავლეები საკუთარი ნახატების გარშემო - *რატომ დახატა ასე, რომელი ეპიზოდი / მონაკვეთი დახატა, რისი თქმა უნდოდა ამ ნახატით* და ა.შ. მოცემული ნახატების გამოყენებით მოსწავლეებთან ერთად ააწყვეთ ტექსტი - დაალაგეთ თანამიმდევრულად და ნახეთ, ყველა ეპიზოდი დაიხატა თუ არა. მოინიშნეთ, რომელი ეპიზოდი დარჩა ილუსტრაციის გარეშე.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწაველს უჭირს ხატვასთან დაკავშირებული აქტივობების შესრულება, სთხოვეთ მას შესაბამისი ნახატის გაფერადება. შეეცადეთ, გაფერადებას არ ჰქონდეს მექანიკური ხასიათი, წახალისეთ მოსწავლემ აღწეროს მოცემული მონაკვეთი, წინასწარ განსაზღვროს ფერები, რომლითაც გამოხატავდა სიუჟეტს უფრო ზუსტად და მიყვეს განსაზღვრულ გეგმას.

II ეტაპი - ტექსტის წაკითხვა და მისი გააზრება:

1. მიეცით მოსწავლეებს კონკრეტული საკითხავი ამოცანები და ისე წააკითხეთ ტექსტი, კერძოდ:

- დააწყვილეთ მოსწავლეები (შესაძლებელია, მათი დაყოფა 3-4 კაციან ჯგუფებადაც) და სთხოვეთ, აზრობრივ მონაკვეთებად დაყონ ტექსტი და დაასათაურონ (მაგ., *ცასწავალას ახირება, ფრინველთა თათბირი, სასამართლოზე, განაჩენი, უკანასკნელი გაფრენა* და ა.შ.). შემდეგ შეადარეთ მათი ნამუშევრები ერთმანეთს - *ვინ რამდენ ეპიზოდად დაყო, რომელი ეპიზოდები გამოყო, სად დაიწყო და სად დამთავრდა ესა თუ ის ეპიზოდი, რატომ/რის მიხედვით შეურჩია ესა თუ ის სათაური* და ა.შ.

> იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლისთვის მოცემული დავალება ზედმეტად რთული იქნება, შესაძლებელია მისი ადაპტირება სხვადასხვა დონეზე:
>
> - მიაწოდეთ მას უკვე მონაკვეთებად დაყოფილი ტექსტი და სთხოვეთ, ყურადღებით წაკითხვის შემდეგ მისი მონაკვეთებისთვის სათაურების მოფიქრება;
> - მიაწოდეთ მოსწავლეს მონაკვეთებად დაყოფილი ტექსტი და გამზადებული სათაურები, დაავალეთ, შერჩეული სათაური დაუკავშიროს ტექსტის შესაბამის მონაკვეთს;
>
> მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე, განსაზღვრეთ, სჭირდება მოსწავლეს თქვენ მიერ შემუშავებული სათაურების მიწოდება, თუ ის თავად შეძლებს მათ მოფიქრებას. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს აქვს წერილობით მიწოდებული ინფორმაციის წაკითხვისა და გააზრების სირთულეები, ტექსტის მონაკვეთებთან ერთად მიაწოდეთ შესაბამისი სიუჟეტური სურათები.
>
> შესაბამისი შეკითხვებითა და სტრატეგიებით წაახალისეთ მოსწავლე, აღწეროს რომელიმე ეპიზოდი.

- დაამუშავებინეთ მთლიანი ტექსტი / ცალკეული ეპიზოდი სხვადასხვა სტრატეგიის, მათ შორის, ცხრილებისა და აზრობრივი სქემების გამოყენებით. გთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს.

ა) კონკრეტული ინფორმაციის მოძიება მითითებულ ეპიზოდში:

- *სწორია თუ არა მოცემული ინფორმაცია?*
  მონიშნეთ ცხრილში სათანადო უჯრა I ეპიზოდის მიხედვით.

	სწორია	**არ არის სწორი**	**არ ჩანს I ეპიზოდში**
ცასწავალა მარტო ცხოვრობდა.			✓
ცასწავალა ღონის გამოცლამდე მიფრინავდა ცისკენ.	✓		
ცასწავალას ცაში აჭრას მხოლოდ ფრთოსნები ადევნებდნენ თვალს.		✓	

პასუხის გაცემის პროცესის გასამარტივებლად მიაწოდეთ მოსწავლეს შესაბამისი სიუჟეტური სურათები და განსაზღვრეთ ის ინფორმაცია, რომლის სისწორის გადამოწმებას მოსწავლე სიუჟეტურ სურათზე დაყრდნობით იოლად შეძლებს.

- *შემოხაზეთ სწორი ვარიანტი პირველი ეპიზოდის მიხედვით და თქვენი პასუხი გაამყარეთ ტექსტიდან ამოწერილი ინფორმაციით.*

ცასწავალას ცაში აჭრას მხოლოდ ფრთოსნები ადევნებდნენ თვალს. კი (არა)

_____ *ყვავილებიც კი იშმუშნებოდნენ.* _____

იმ შემთხვავაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა მხოლოდ მოწოდებულ წერილობით წინადადებაზე დაყრდნობით პასუხის გაცემა, შესაძლებელია დამატებით სიუჟეტური სურათის გამოყენება.

ამავდროულად, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა პროფესიული მსჯელობის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება გამოიყენოს თუ არა სიუჟეტური სურათები ამ ტიპის დავალებებისას. თუ მასწავლებლის მიზანია, ნაწერის სწორი ანალიზის და მისი შინაარსის ზედმიწევნით წვდომის საფუძველზე გაავარჯიშოს მოსწავლე სათანადო დასკვნების გამოტანაში, შეიძლება უპრიანი იყოს სწორედ წერილობით წინადადებებზე კონცენტრირება (სიუჟეტური სურათების შემოტანის გარეშე), ოღონდ მათი სირთულის დონის სწორად შერჩევა.

ბ) პერსონაჟთა დახასიათება და მათი ქცევის გააზრება (ლოგიკური კავშირების ამოცნობა, დასკვნის გაკეთება):

- *შეავსეთ ცხრილის მეორე სვეტი - „**რატომ** იქცევიან ასე“.*

რას აკეთებდნენ / რა გააკეთეს?	**რატომ?**
ცასწავალა ბალახიდან ამოფრინდებოდა და ცაში აიჭრებოდა ხოლმე.	
ბალახებში ჩავარდნილი ცასწავალა იძახდა: „ვტყუი, ვტყუი!“	
მოლაღურმა ბაბუაწვერაზე თოკით მიბმულ ცასწავალას ფოთლები დააფარა.	
ფრთოსნებმა ცასწავალა გაათავისუფლეს, ოღონდ ერთი პირობით, მეტი აღარ მოიტყუოო.	
ცასწავალას დასაფლავების დროს მოლაღურმა ბევრი იტირა, სხვებიც ბევრს ვიშვიშებდნენ, თავს აქეთ-იქით აქნევდნენ.	

საჭიროების შემთხვევაში, მიმართეთ მოსწავლეს ინდივიდუალურად მისთვის განსაზღვრული შეკითხვით. შეკითხვის შერჩევისას გაითვალისწინეთ ზემოთ მოცემული რეკომენდაციები.

შეკითხვების ფორმულირებისას იხელმძღვანელოეთ მოსწავლის შესაძლებლობებით - როგორ შეძლებს მოსწავლე პასუხების ფორმულირებას: მრავალსიტყვიანი წინადადებებით, ერთსიტყვიანი წინადადებით, კი/არა პასუხით, მითითებით.

მიეცით მას საკმარისი დრო პასუხის მოსაფიქრებლად.

საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია პასუხების ორი ვარიანტი მისცეთ და სთხოვოთ არჩევანის გაკეთება.

- *ჩაწერეთ, როგორია და მიუთითეთ, საიდან ჩანს.*

რეკომენდაცია: საქმის გასამარტივებლად შეგიძლიათ, დაფაზე ჩამოწეროთ თვისების გამომხატველი ზედსართავი სახელები, რომლებსაც მოსწავლეები გამოიყენებენ დავალების შესრულებისას: *მამაცი, მშიშარა, ძლიერი, სუსტი, უსამართლო, სამართლიანი, მიზანდასახული, გულგრილი, კეთილი, დაუნდობელი, მორჩილი, ჯიუტი, ღონიერი, მატყუარა...*

როგორია?	**საიდან ჩანს?**
ცასწავალა:	
მოლაღური:	
ყვავი:	

2. მოსწავლეთა ნაწილს მათი შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შეგიძლიათ მისცეთ განსხვავებული სამუშაო, კერძოდ:

- წააკითხეთ ილუსტრაციის გარეშე დარჩენილი თქვენ მიერ მონიშნული ეპიზოდი და შეაქმნევინეთ მარტივი ნახატი. საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ დავალების შესრულებაში.
- მიეცით თანაკლასელების მიერ შექმნილი ერთ-ერთი ნახატი და სთხოვეთ, მოძებნოს ტექსტში შესაბამისი ეპიზოდი.
- პერსონაჟთა დასახასიათებლად - შემოხაზოს მისთვის მისაღები ვარიანტი (ჰკითხეთ, რატომ ფიქრობს ასე), მაგ., *ცასწავალა არის: ა) ძლიერი ბ) სუსტი; მოლაღური არის: ა) კეთილი ბ) ბოროტი* და ა.შ.
- დაასრულებინეთ წინადადებები, მაგ., ცასწავალა მთის ფერდობზე --*ცხოვრობდა*--; მთის ფერდობი იყო --*აყვავებული*--; ცასწავალა თავის უღონობას მალავდა, როცა ამბობდა, --*ვტყუი, ვტყუიო*--; ყვავმა თავისი ადგილი დაიკავა. ის იყო --*მოსამართლე*-- და ა.შ.

III ეტაპი - ტექსტის დამუშავების შემდეგ:

ა) დაუბრუნდით მოსწავლეთა მიერ ტექსტის შეფასებას კონკრეტულ ეპიზოდთან / მთლიან ამბავთან / კონკრეტული პერსონაჟის ქცევებთან, განზრახვებსა და განცდებთან მიმართებით. გრძნობებისა და ემოციური დამოკიდებულებების გამოხატვის გარდა, მნიშვნელოვანია, სთხოვოთ მათ საკუთარი მოსაზრების არგუმენტირება; იმის დასაბუთება, რამ გამოიწვია მათში ესა თუ ის გრძნობა; ჰკითხეთ, რატომ ფიქრობენ ასე - პერსონაჟის

რომელმა ქცევამ, აზრმა... განაპირობა მათი თანაგრძნობა ან, პირიქით, აღშფოთება; რამ აღუძრა ეს ემოცია და ა.შ.

იმისათვის, რომ მოსწავლეებს გაუმარტივოთ ამოცანა, ჩამოწერეთ დაფაზე გრძნობებისა და ემოციების გამომხატველი სიტყვები, მაგ., აღშფოთება, აღფრთოვანება, სიბრალული, თანაგრძნობა, გაბრაზება, მოწონება და ა.შ.

ბ) ამის შემდეგ მოსწავლეებს გააცანით „ცასწავალას“ ავტორი. მოიძიეთ საინტერესო ინფორმაციები გოდერძი ჩოხელის შესახებ (მოგონებები, ცხოვრებისეული ისტორიები, საინტერესო ფაქტები და ა.შ. https://www.facebook.com/Goderzichekholi/)

გ) შეგიძლიათ აჩვენოთ დოკუმენტური ფილმები (ან თქვენ მიერ შერჩეული ნაწყვეტები ამ ფილმებიდან) გოდერძი ჩოხელზე: „მე ვარ გოდერძი ჩოხელი“ “Me var Goderdzi Chokheli“ - https://www.youtube.com/watch?v=OmYIqZehZE4; ცასწავალა /http://kids.ge/story?id=40

აქტივობა 2. დარგობრივ-შემეცნებითი ტექსტის გაგება-გააზრებაზე მუშაობა კითხვის სამივე ეტაპის დაცვით (ბავშვთა უფლებების კონვენცია, IV კლასი, ავტორები: როდონაია, მირიანაშვილი, ვაშაკიძე)

აქტივობის მიზანი:

- ტექსტის ძირითადი სათქმელის გაგება;
- საკუთარი აზრის გადმოცემა და არგუმენტირება, შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).7

- გამოყოფს ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას;
- აკავშირებს ერთმანეთთან ექსპლიციტურად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები.

ბავშვთა უფლებების კონვენცია (საერთაშორისო შეთანხმება)

საუკუნეების განმავლობაში მსოფლიომ მრავალი ომი და გაჭირვება გამოიარა. განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა მეორე მსოფლო ომი. სისასტიკემ იმსხვერპლა მეომრებიც და მშვიდობიანი მოსახლეობაც.

მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე, 1945 წელს, შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია **(გაერო)**, რომელმაც მიზნად დაისახა უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი მოსახლეობის გადარჩენა, დანგრეულის აღდგენა.

გაერომ საგანგებოდ იზრუნა ბავშვთა უფლებების დაცვაზე. 1989 წლის 30 ნოემბერს დამტკიცდა **ბავშვთა უფლებების კონვენცია (კონვენცია** საერთაშორისო შეთანხმებას ნიშნავს).

კონვენციაში გარკვევით არის ნათქვამი, რომ **ბავშვს აქვს უფლებები. სახელმწიფო და საზოგადოება ვალდებულია დაიცვას ეს უფლებები.** სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველომაც იკისრა ამ ვალდებულებების შესრულება.

ბავშვთა უფლებების კონვენციაში ნათქვამია, რომ სახელმწიფო იცავს ბავშვს მაშინაც კი, როდესაც ფიქრობენ, რომ მან დანაშაული ჩაიდინა. არ შეიძლება ბავშვის ღირსების შელახვა. დაუშვებელია იგი ჩაითვალოს დამნაშავედ მანამ, სანამ არ დაუდასტურდება დანაშაული. დანაშაულის ჩადენის დადასტურების შემთხვევაშიც მისი საქმის განხილვაში უნდა ჩაერთოს მშობელი ან მასზე მზრუნველი პირი; ბავშვს უნდა ჰყავდეს დამცველი. აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბავშვის ასაკი.

რეკომენდაცია: *ტექსტის სირთულიდან გამომდინარე (მიუხედავად იმისა, რომ ეს თემა ამ ასაკშიც მნიშვნელოვანი და აქტუალურია), სასურველია, ტექსტის წაკითხვამდე მუშაობა წარვმართოთ ბავშვთა გრძნობა-ემოციებსა და მათ გამომწვევ მიზეზებზე, თანატოლებს შორის ურთიერთობებზე, მათ მიმართ უფროსების დამოკიდებულებაზე.*

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

I ეტაპი - ტექსტის წაკითხვამდე:

1. *მუშაობა ბავშვების ემოციებზე.*

ა) აჩვენეთ ბავშვების ემოციების ამსახველი ფოტოები და სთხოვეთ დაასახელონ, რომელ ფოტოზე რომელი ემოციაა აღბეჭდილი. მიეცით საშუალება მოსწავლეებს, თავად დაარქვან სახელები ამ ემოციებს, ბავშვების განცდებს. მნიშვნელოვანია, ვინ რას და როგორ აღიქვამს თითოეულ ფოტოზე. დაუსვით კითხვები კონკრეტულ ფოტოსთან მიმართებით, მაგ., *რატომ ფიქრობ, რომ ამ ფოტოზე ბავშვი სიხარულს გამოხატავს? რა ჩანს ამ ბიჭის თვალებში? როგორ/რით გამოხატავენ ადამიანები შიშს, ტკივილს...?* და ა.შ. საჭიროებისამებრ, დაწერეთ დაფაზე გრძნობების / ემოციების გამომხატველი სიტყვები და სთხოვეთ მათ, დააკავშირონ ისინი შესაბამის ფოტოებთან (მაგ., *შიში, უიმედობა, სიბრაზე, მრისხანება, აგრესია, პროტესტი, ბედნიერება, სიხარული, უმწეობა, მწუხარება, სევდა, აღფრთოვანება, სიმორცხვე* და ა.შ.).

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა დაფაზე დაწერილი ემოციების ამსახველი სიტყვების ამოკითხვა, თავად წაუკითხეთ და სთხოვეთ მიუთითოს შესაბამის ფოტოზე ან თავად გამოხატოს ესა თუ ის ემოცია.

ბ) ჰკითხეთ, თავადაც თუ გამოუხატავთ მსგავსი ემოციები. სთხოვეთ, გაიხსენონ, როდის და რატომ იყვნენ მოწყენილი, შეშინებული, გახარებული, გაბრაზებული, აგრესიული და ა.შ. რა ფორმით ჯობია, გამოვხატოთ ჩვენი უარყოფითი ემოციები სხვების მიმართ? ყოველთვის ვართ თუ არა მართლები? გვინანია თუ არა, როცა ერთმანეთს გულს ვტკენთ, ტკივილს ვაყენებთ, დავცინით...?

იმისათვის, რომ მოსწავლე ჩაერთოს მიმდინარე დისკუსიაში, მიმართეთ მას პირადად შესაბამისი შეკითხვით. კითხვის ფორმულირებისას გაითვალისწინეთ ზემოთ მოცემული ინსტრუქციები. მიეცით დრო რეაგირებისთვის.

გ) შესთავაზეთ ექსპერიმენტი: *მე გაჩვენებთ ფოტოს. თქვენ უნდა დაასახელოთ, რას გრძნობს ბავშვი და გამოიცნოთ, რა სიტუაციაში იმყოფება ის; რამ გამოიწვია ბავშვის ემოცია.*




ვარაუდების გამოთქმის შემდეგ აჩვენეთ სრული ფოტოები და შეადარეთ მათ ვერსიებს:

აღწერეთ მოსწავლესთან ერთად ფოტოების წყვილები (პირველი ვერსია და მისი სრული გამოსახულება). დაასახელებინეთ მიმდინარე მოქმედებები, ასახული ემოციები, მისი პირადი დამოკიდებულება მოცემული ფოტოს მიმართ.

დ) დისკუსია კლასში. ჩამოწერეთ დაფაზე შეკითხვები და სთხოვეთ აზრის გამოთქმა: *რატომ ჩაგრავენ დიდები პატარებს, უფროსები ბავშვებს? რატომ ექცევიან თანატოლები ერთმანეთს აგრესიულად? რატომ ჩაგრავენ ერთმანეთს? რატომ დასცინიან* და ა.შ. ჰკითხეთ, *თავად თუ შესწრებიან მსგავს სიტუაციებს? როგორ მოიქცნენ ასეთ სიტუაციაში?* ჰკითხეთ: *თავად თუ დაუჩაგრავთ ვინმე? დაუცინიათ სხვისთვის?* შეაფასებინეთ საკუთარი და სხვისი საქციელი. *რას შეცვლიდნენ, იმ სიტუაციაში თავიდან რომ აღმოჩენილიყვნენ? ან როგორ მოიქცევიან, მსგავს სიტუაციაში კიდევ რომ აღმოჩნდნენ?* და ა.შ.

2. აჩვენეთ ფილმი და განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად: მოეწონათ თუ არა, რა მოეწონათ/ რა არ მოეწონათ და რატომ? და ა.შ.

ა) მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზუზუ“ (ირაკლი ლომოური მოთხრობის - „რიგითი რაიანის გადასარჩენად“ - მიხედვით; ფილმში მოთხრობილია პატარა ბიჭის სულიერი განცდები; სამყარო, რომელშიც ის ცხოვრობს, უბიძგებს მას მიიღოს გადაწყვეტილებები და იმოქმედოს დამოუკიდებლად...) https://www.youtube.com/watch?v=-FgSyKVSHvQ

ბ) შეკითხვები განსჯისათვის: *ეთანხმებიან თუ არა მხატვრული ფილმის პერსონაჟს? როგორ იქცევიან მისი ოჯახის წევრები? როგორ უმკლავდება თანატოლების აგრესიას? რას გრძნობს ხიდზე მდგომი ბიჭი და რას ფიქრობს? როგორ გამოხატავს ის საკუთარ პროტესტს? თავად როგორ მოიქცეოდა მის ადგილას და რატომ?* და ა.შ.

3. რას ფიქრობენ მოსწავლეები საკუთარ უფლებებზე (მუშაობა ჯგუფებში).

ა) დაყავით მოსწავლეები ჯგუფებად და ყველა ჯგუფს მიეცით ერთი და იგივე სამუშაო. დაურიგეთ ჯგუფებს წინასწარ შედგენილი ცხრილი და შეავსებინეთ.

რისი უფლება გვაქვს?	**რისი უფლება არ გვაქვს?**

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა პასუხების დამოუკიდებლად მოფიქრება და არც ჯგუფის წევრობა დაეხმარა მას განესაზღვრა თუნდაც ერთი საკითხი, რომლის უფლება აქვს და/ან არა აქვს, მიაწოდეთ მის ჯგუფს უფლებათა ჩამონათვალი, წაუკითხეთ ან სთხოვეთ თითოეული პაუხის ამოკითხვა და შეფასება, - აქვს ბავშვს შესაბამისი უფლება თუ არა.

შეთანხმდით, რა სიმბოლოთი აღნიშნავთ უფლებას, რომელიც აქვთ ბავშვებს და რა სიმბოლოთი უფლებას, რომელიც არა აქვთ.

წაახალისეთ მოსწავლე, თითოეული საკითხის გასწვრივ მოათავსოს შესაბამისი აღნიშვნა (სიმბოლო); მიეცით რამდენიმე საკითხი დამოუკიდებლად შესაფასებლად და აღსანიშნად.

ბ) გადაიტანეთ ჯგუფების მოსაზრებები დაფაზე (ან „ფლირჩატზე“). ცალკე ჩაწერეთ ის, რაც ყველა ჯგუფისთვის საერთოა და ცალკე - განსხვავებული:

ყველას აზრით	**I ჯგუფის აზრით**
აქვთ უფლება:	აქვთ უფლება: არ აქვთ უფლება:
	II ჯგუფის აზრით
	აქვთ უფლება: არ აქვთ უფლება:
არ აქვთ უფლება:	**III ჯგუფის აზრით**
	აქვთ უფლება: არ აქვთ უფლება:

ჯერ წაიკითხეთ მოსწავლეთა საერთო შეხედულებები. ყურადღება მიაქციეთ, რას მოიაზრებენ უფლებებში, რაზე აკეთებენ აქცენტებს, რა არის ყველასთვის მნიშვნელოვანი, მთავარი და ა.შ. შემდეგ გადადით ცალკეული ჯგუფის იმ მოსაზრებებზე, რომლებიც არ დაემთხვა სხვებისას. გააცანით ამა თუ იმ ჯგუფის პოზიცია სხვებს და ჰკითხეთ, ეთანხმებიან თუ არა... შეთანხმებული ვერსიები გადაიტანეთ ცხრილის პირველ სვეტში და შეჯერებული ვარიანტი შეინახეთ.

გ) ამის შემდეგ ჰკითხეთ მოსწავლეებს, *ყველა ბავშვი ერთნაირად უნდა სარგებლობდეს თუ არა იმ უფლებებით, რომლებიც მათ ჩამოწერეს? ყველა ბავშვი იმსახურებს თუ არა ერთნაირ მოპყრობას უფროსებისა და თანატოლების მხრიდან?* და ა.შ.

პასუხების შემდეგ შესთავაზეთ იუნისეფის მიერ მომზადებული ვიდეორგოლი (UNICEF Social Experiment | იუნისეფის სოციალური ექსპერიმენტი - როგორია საზოგადოების დამოკიდებულება ბავშვის მიმართ; https://www.youtube.com/watch?v=cjQqRfEhvzA). წინასწარ განუმარტეთ, რომ ეს არის ექსპერიმენტი და გოგონა, რომელიც ამ ვიდეორგოლის მთავარი გმირია, ექსპერიმენტში მონაწილეობს. ვიდეორგოლის დასრულების შემდეგ ჰკითხეთ აზრი მოსწავლეებს, *რატომ ექცევიან ამ გოგონას ერთსა და იმავე სიტუაციაში სხვადასხვაგვარად? მათი აზრით, რა არის ამ ვიდეორგოლის მთავარი სათქმელი?*

4. ამის შემდეგ *გადადით კვლავ დისკუსიაზე.*

ა) დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვა: *შეიძლება თუ არა, შეიცვალოს ადამიანის ცხოვრება ცუდიდან კარგისკენ და პირიქით, კარგიდან ცუდისაკენ და რამ შეიძლება შეცვალოს ეს ცხოვრება?* ვარაუდების გამოთქმისას წაახალისეთ მოსწავლეები, მოიყვანონ კონკრეტული მაგალითები ფილმებიდან, პირადი ან სხვისი ცხოვრებიდან / გამოცდილებიდან და ა.შ.

ბ) მოსწავლეებს შესთავაზეთ ახალი ვიდეორგოლის ჩვენება, რომელიც ეხება პატარა გოგონას, და სთხოვეთ, გამოთქვან აზრი ვიდეორგოლში გადმოცემული ამბის გარშემო (https://www.youtube.com/watch?v=jj9E6ZEsjuw) საერთაშორისო ორგანიზაციის „გადავარჩინოთ ბავშვები“ (Save the Children) მიერ შექმნილი რგოლი - შეცვლილი ცხოვრება: ომამდე და ომის შემდეგ).

დაეხმარეთ მოსწავლეებს სათანადო შეკითხვებით: *რა ხდება ვიდეორგოლში? როგორ (რისკენ) შეიცვალა მისი ცხოვრება? რა ცვლის გოგონას ცხოვრებას? ნახეთ თავიდან, დააკვირდით მის*

ემოციებს, როგორ იცვლება გოგონას ემოციები? რა იკითხება მის სახეზე ბოლო კადრში? რატომ აღარ აქვს რეაქცია? რატომ აღარ უხარია დაბადების დღის აღნიშვნა?

გ) ამის შემდეგ დაუსვით მოსწავლეებს მორიგი შეკითხვები: *თქვენ თუ გქონიათ ან ახლა გაგიჩნდათ სურვილი, შეცვალოთ სხვების ცხოვრება? როგორ / რით მოახერხებთ ამას?*

განიხილეთ მათი წინადადებები და შემდეგ შესთავაზეთ მცირე ფრაგმენტი ფილმიდან „გადაუხადე სხვას (PAY IT FORWARD; https://www.youtube.com/watch?v=lcIardBIG_o)“. ამსჯელეთ პატარა ბიჭის იდეის გარშემო: *როგორ აპირებს ეს პატარა ბიჭი შეცვალოს სამყარო? რის გაკეთებას აპირებს და რატომ? რისი იმედი აქვს ბიჭს? რას ფიქრობენ მისი თანაკლასელები? თქვენ რას ფიქრობთ - ეს მართლაც კარგი აზრია თუ სისულელეა? რატომ ჰგონიათ სხვებს, რომ ბიჭის იდეა უტოპიურია, ანუ, მიუღწეველია, შეუძლებელია მისი განხორციელება? რაზე დგას სრულყოფილი სამყარო პატარა ბიჭის აზრით? როგორია თქვენი აზრი? ვინ ეთანხმება ბიჭს და რატომ? ვინ იზიარებს მისი თანაკლასელების პოზიციას და რატომ?*

სთხოვეთ მოსწავლეებს, საკუთარი პოზიციები გაამყარონ არგუმენტებით, კონკრეტული მაგალითებით.

დ) დისკუსიის დასრულების შემდეგ აჩვენეთ მორიგი ვიდეორგოლი, როგორ იცვლება ცხოვრება პატარა ბიჭისა, რომელიც შემდეგ თავად ცვლის სხვის ცხოვრებას (სიკეთე ყოველთვის ბრუნდება; https://www.youtube.com/watch?v=8lppX_TNWKQ) და ასაუბრეთ ვიდეორგოლის გარშემო: *რა დანაშაული ჩაიდინა ბიჭმა? რამ აიძულა ბიჭი, წამლები მოეპარა? ვინ დაიცვა ბიჭი? როგორ შეიცვალა მისი ცხოვრება? რა მოხდა წლების შემდეგ? ვინ გახდა ეს პატარა ბიჭი? როგორ გადაიკვეთა ამ ბიჭისა და იმ კაცის გზები? რა არის ამ ვიდეორგოლის მთავარი სათქმელი?*

II ეტაპი - ტექსტის წაკითხვა:

1. დაწერეთ დაფაზე - „**ბავშვთა უფლებების კონვენცია**“ და განუმარტეთ, რას ნიშნავს სიტყვა - კონვენცია: ეს არის სპეციალურ საკითხზე დადებული ხელშეკრულება, შეთანხმება. ბავშვთა უფლებების კონვენცია კი ნიშნავს ბავშვთა უფლებების დაცვაზე შეთანხმებას, ანუ, ადამიანები შეთანხმდნენ, რომ ბავშვთა უფლებები უნდა დავიცვათ.

2. ამის შემდეგ დაწერეთ 3 შეკითხვა დაფაზე: ***ვინ მიიღო*** *ბავშვთა უფლებების კონვენცია?* ***რომელ წელს მიიღეს*** *ეს კონვენცია?* ***ვინ არის ვალდებული*** *დაიცვას ბავშვის უფლებები?* წაიკითხეთ ეს შეკითხვები ხმამაღლა, ყურადღება გაამახვილეთ საკვანძო სიტყვებზე და სთხოვეთ მოსწავლეებს, მოძებნონ შესაბამისი პასუხები ტექსტში (ამუშავეთ მოსწავლეები წყვილებში ან მცირე ჯგუფებში). პასუხების შეჯერების შემდეგ თავიდან მიაბრუნეთ ტექსტთან და აქცენტი გააკეთებინეთ ცალკეული აბზაცის ძირითად სათქმელზე:

რის შესახებ არის საუბარი პირველ აბზაცში? თქვენი აზრით, რატომ იწყება ტექსტი ომზე საუბრით? რა კავშირი აქვს ომს გაეროსთან? რომელ აბზაცშია საუბარი საქართველოზე? კონკრეტულად რა წერია საქართველოს შესახებ? რის შესახებ არის საუბარი ბოლო აბზაცში?

III ეტაპი - ტექსტის წაკითხვის შემდეგ:

ა) დაუბრუნდით მოსწავლეების მიერ ჩამოწერილი უფლებების შეჯერებულ ვარიანტს, თავიდან წაიკითხეთ (რაზე აკეთებენ ისინი აქცენტებს) და დაუსვით შეკითხვები მოსწავლეებს: *თქვენი აზრით, უფროსებიც იმავეს ფიქრობდნენ თუ არა, რასაც თქვენ, როცა „ბავშვთა უფლებების კონვენციაზე“ მუშაობდნენ? თქვენი აზრით, რა უფლებები ჩაწერეს კონვენციაში?*

ბ) მოსწავლეთა პასუხების შემდეგ აჩვენეთ 154-ე საჯარო სკოლის მიერ მომზადებული ვიდეორგოლი ბავშვთა უფლებებზე (https://www.youtube.com/watch?v=6XCHhwEqES8, მასწავლებელი ეკატერინე შარაშიძე). შემდეგ დაკიდეთ დაფაზე წინასწარ გამზადებული

ამონარიდები ბავშვთა უფლებების კონვენციიდან, შეადარეთ მოსწავლეების მიერ ჩამოწერილ უფლებებს და ერთად მოძებნეთ მათ შორის კავშირები.

- ყველა ბავშვს აქვს განათლების უფლება;
- ყველა ბავშვს აქვს უფლება, დაცული იყოს შრომითი ექსპლუატაციისგან;
- ყველა ბავშვი თანასწორია მისი კანის ფერის მიუხედავად;
- ყველა ბავშვს აქვს უფლება, იცხოვროს ოჯახურ გარემოცვაში;
- ყველა ბავშვს აქვს უფლება, დაცული იყოს ძალადობისა და სასტიკი მოპყრობისაგან;
- ყველა ბავშვს აქვს უფლება, ისარგებლოს სამედიცინო მომსახურებით;
- ყველა ბავშვს აქვს თამაშისა და გართობის უფლება;
- ყველა ბავშვს აქვს აზრის გამოხატვისა და გადაწყვეტილების მიღების უფლება, თუკი ეს არ არის მისთვის და სხვისთვის საზიანო.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს აღენიშნება კითხვასთან დაკავშირებული სირთულეები, გამოიყენეთ შესაბამისი ბარათები - ფოტო გამოსახულებები ან ნახატები, სადაც თვალსაჩინოდ არის მოცემული სიტუაციები, სადაც ბავშვთა უფლებები დაცულია და სადაც დარღვეულია. თხოვეთ მოსწავლეს გაეცნოს მოცემულ ბარათებს და გადააჯგუფოს ისინი.

გ) ყველას ინდივიდუალურად შეავსებინეთ ცხრილი (მსგავსი ცხრილების შევსება მოგცემთ ასევე მათთვის საინტერესო თემებისა და საკითხების მოძიების საშუალებას).

რა ვიცოდი ბავშვთა უფლებების შესახებ?	**რა გავიგე ახალი?**	**კიდევ რისი გაგება მინდა?**

4. სხვადასხვა ტიპის მარტივი ტექსტის შექმნა

წერის უნარის განვითარების თვალსაზრისით, მოსწავლემ ოთხწლედის ბოლოს უნდა შეძლოს:

- სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე;
- ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება;
- კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა;
- წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

4.1. სტანდარტის შედეგები და მათი განმარტებები

სტანდარტის შედეგები, რომლებიც უზრუნველყოფს **ტექსტის** შექმნის უნარის განვითარებას:

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

ქართ.დაწყ.(I).13.
სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე;

ქართ.დაწყ.(I).14.
ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა;

ქართ.დაწყ.(I).15.
წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

ოთხწლედის სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნები - რას უნდა აკმაყოფილებდეს მოსწავლე კონკრეტულ კლასში **ტექსტების შექმნის** თვალსაზრისით:

პირველი კლასი	• წერს მცირე ზომის ტექსტებს ნაცნობ თემებზე, გასაგებად გადმოსცემს აზრს; • წერს და აფორმებს მარტივი სახის პრაგმატულ ტექსტებს (მოდელის, საყრდენების, მინიშნებების გამოყენებით).
მეორე კლასი	• ადგენს პრაგმატულ ტექსტებს, სათანადოდ აფორმებს მათ მოდელის შინაარსობრივი და სტრუქტურულ-კომპოზიციური მახასიათებლების გათვალისწინებით; • ადგენს პირადი გამოცდილების ამსახველ ტექსტს მითითებების / საყრდენების გათვალისწინებით.
მესამე კლასი	• წერს ინსტრუქციებს, გასაგებად და თანამიმდევრულობის დაცვით წარმოადგენს საჭირო ინფორმაციას; • გადმოსცემს კონკრეტულ ფაქტს/მოვლენას საკუთარი ცხოვრებიდან; • ადგენს მარტივ დიალოგებს; • თანამიმდევრულობის დაცვით აგებს თხრობას; გადმოსცემს ნაცნობი ტექსტის / ეპიზოდის შინაარსს;
მეოთხე კლასი	• ადგენს მარტივ დარგობრივ / ინფორმაციულ ტექსტებს, მიზნის შესაბამისად წარმოადგენს სათანადო ინფორმაციას; • ადგენს მცირე ზომის ტექსტებს ცხოვრებისეული და/ან ლიტერატურული გამოცდილების საფუძველზე; • ადგენს აღწერით ტექსტებს, ცდილობს მნიშვნელოვანი დეტალების წარმოჩენას; • გამოხატავს საკუთარ მოსაზრებას / დამოკიდებულებას, ცდილობს მის ახსნას.

ზოგადი რეკომენდაციები:

სხვადასხვა სახისა და ტიპის ტექსტების შედგენა ამ ეტაპზე ითვალისწინებს მუშაობას მასწავლებლის ხელმძღვანელობით, საყრდენების / მინიშნებების გამოყენებით თუ მოდელის მიხედვით. მნიშვნელოვანია მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობა წერის სამივე ეტაპზე: წერის დაწყებამდე, წერის პროცესში და წერის შემდეგ.

წერითი მეტყველებისას სამეტყველო ქცევის ზოგადი პარამეტრებია**:**

- აზრის გასაგებად და თანმიმდევრულად ჩამოყალიბება;
- სასვენი ნიშნების ფუნქციური გამოყენება.

შესასრულებელი სამუშაო ჯერ ზეპირად უნდა დამუშავდეს მაგალითის/მოდელის ჩვენებით და შემდეგ მოვთხოვოთ მოსწავლეებს მისი წერილობით შესრულება.

4.2. აქტივობათა ნიმუშები

პირველი კლასი

აქტივობა 1. მარტივი სახის პრაგმატული ტექსტების შექმნა და გაფორმება (მისალოცი და მოსაწვევი ბარათები, გამაფრთხილებელი აბრები)

აქტივობის მიზანი:

- მოდელის, საყრდენების გამოყენებით მარტივი სახის პრაგმატული ტექსტის შედგენა და მისი გაფორმება;
- შემოქმედებითი უნარების განვითარება;
- სასვენი ნიშნების ადეკვატური გამოყენება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).13

- წერს მარტივ წინადადებებს, ფრაზებს, გასაგებად გადმოსცემს აზრს;
- ავსებს ტექსტში ნაკლულ ინფორმაციას;
- წარწერას უკეთებს ილუსტრაციას;
- წერს და აფორმებს მარტივი სახის პრაგმატულ ტექსტებს (მოდელის, საყრდენების, მინიშნებების გამოყენებით).

რეკომენდაცია: *სასურველია, ზოგადად, ისეთი ტექსტების შექმნა, როგორებიცაა მისალოცი და მოსაწვევი ბარათები, დაუკავშიროთ წინასწარ განსაზღვრულ რეალურ სიტუაციებს, მაგ., ახალი წლის მოახლოებას; საკლასო ზეიმზე / მინისპექტაკლზე სტუმრების მოწვევა / დაპატიჟებას; თანაკლასელის / მასწავლებლის... დაბადების დღეს* და ა.შ.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

1. მისალოცი / მოსაწვევი ბარათების შედგენა

ბარათის შედგენამდე მოსწავლეების ყურადღება კიდევ ერთხელ გაამახვილეთ ბარათის სტრუქტურაზე: *რისგან შედგება იგი, სად იწერება მიმართვა, სად არის ძირითადი ტექსტი და სად - დასასრული.*

ამის შემდეგ გაახსენეთ შესაბამისი ბარათების შინაარსი (*რა იწერება მისალოც ბარათში? - მილოცვა, სურვილი; რა იწერება მოსაწვევ ბარათში? - მოპატიჟება / მოწვევა კონკრეტულ ღონისძიებაზე, ღონისძიების გამართვის დრო და ადგილი*) და სამეტყველო სიტუაციის შესაბამისი ენობრივი ფორმულები.

ბარათის სტრუქტურის გასაანალიზებლად მიაწოდეთ მოსწავლეს რეალური ბარათები (და არა მათი სქემატური გამოსახულებები); დიალოგი წარმართეთ რეალურ, გაფორმებულ და შევსებულ ბარათებზე დაყრდნობით. სთხოვეთ მოსწავლეს მიუთითოს, რომელია მიმართვა, ძირითადი ტექსტი, დასასრული. შესაძლებელია, ერთ-ერთ ბარათზე შესაბამისი მინიშნებებიც დაამატოთ.

მიაწოდეთ მოსწავლეს რამდენიმე ბარათი და სთხოვეთ, გადააჯგუფოს ისინი შინაარსის გათვალისწინებით - ცალ-ცალკე განათავსოს მისალოცი და მოსაწვევი ბარათები.

მისალოცი ბარათი:



რას ვულოცავთ?	ვის ვულოცავთ?	რას ვუსურვებთ?	ენობრივი ფორმულები
ახალ წელს	მეგობარს მასწავლებელს ნათესავებს ბებიას / ბაბუას და ა.შ.	კარგად ყოფნას, წარმატებებს, ჯანმრთელობას, სიხარულს, ბედნიერებას ...	ჩემო ... საყვარელო ... ძვირფასო ... გილოცავ ... / გილოცავთ ... გისურვებ ... / გისურვებთ ... შენი / თქვენი ... სიყვარულით ... პატივისცემით ...
დაბადების დღეს			
და ა.შ.			

იმისათვის, რომ მოსწავლეს გაუადვილდეს მისალოცი ბარათის შინაარსის განსაზღვრა, შესაძლებელია ცხრილში წარწერებთან ერთად ან მათ ნაცვლად შესაბამისი გამოსახულებების მოთავსება. ეს მიზანშეწონილი იქნება შემდეგი სვეტებისთვის - რას ვულოცავთ? ვის ვულოცავთ?

მოსაწვევი ბარათი:



რაზე ვეპატიჟებით?	**ვის ვეპატიჟებით?**	**სად და როდის ვეპატიჟებით?**	**ენობრივი ფორმულები**
ახალი წლის ღონისძიებაზე	მეგობრებს მასწავლებლებს ოჯახის წევრებს საბავშვო მწერლებს და ა.შ.	კლასში, სკოლის ბიბლიოთეკაში, გასართობ ცენტრში... კონკრეტული თარიღი და საათი	ჩემო ... ძვირფასო ... ბატონო / ქალბატონო ... გეპატიჟებით ... გთხოვთ, მობრძანდეთ ... პატივისცემით ...
დაბადების დღეზე			
და ა.შ.			

ბარათების შექმნამდე მოსწავლეები ჯერ ცალკეული წინადადებების შედგენაზე ამუშავეთ (მაგ., რას და როგორ ვულოცავთ თანატოლს, უფროსს; რაზე, სად და როდის ვეპატიჟებით / ვიწვევთ თანატოლებს, უფროსებს, ნაცნობებს / უცნობებს და ა.შ.).

ა) შეავსებინეთ წინადადებები:

- გიორგი, _____ დაბადების დღეს!
- ნათია, _____ დაბადების დღეზე!
- გთხოვთ, _____ ჩვენი კლასის ღონისძიებაზე!
- და ა.შ.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდება ნაკლული წინადადების დამოუკიდებლად შევსება, მიაწოდეთ მას ჩასასმელი სიტყვების ვარიანტები, რომელთა შორის უნდა გააკეთოს სწორი არჩევანი.

შესაძლებელია, გამოიყენოთ ბარათები, რომლებზე ცალ-ცალკე სიტყვებია მოცემული და სთხოვოთ მოსწავლეს ბარათების სწორი თანმიმდევრობით დალაგება.

ცალკე იმუშავეთ სასვენი ნიშნების სათანადოდ გამოყენებაზე.

ბ) შეავსებინეთ ნაკლული ბარათები:

ლელა მასწავლებელო!

_____ ახალ წელს.
_____ ჯანმრთელობასა და
_____.

თქვენი მოსწავლე
ბექა გოცირიძე

_____ გიორგი!

25 დეკემბერს _____
საახალწლო ღონისძიებაზე.

პატივისცემით, _____.

დასაწყისი: _____

_____ : 22-ე საჯარო სკოლა

ამის შემდეგ განუსაზღვრეთ კონკრეტული სამეტყველო სიტუაცია (ადრესატი, მიზანი, დანიშნულება) და სთხოვეთ მოდელის გამოყენებით შესაბამისი ბარათის შექმნა. გააფორმებინეთ ბარათები სათანადო ნახატებით.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა ბარათების დამოუკიდებლად შევსება, თავდაპირველად მიაწოდეთ უკვე შევსებული ანალოგიური ბარათი. სთხოვეთ წაიკითხოს იგი, მისი შინარსის გასააზრებლად (გადმოსაცემად) დაუსვით შესაბამისი შეკითხვები.

ამის შემდეგ მიაწოდეთ ნაკლული ბარათები და სთხოვეთ მისი შევსება. შესაძლებელია, ასევე ორ მოსწავლეს სთხოვოთ სიტუაციური დიალოგის გათამაშება ბარათზე მოცემული შინაარსის გათვალისწინებით, მესამეს კი დაავალოთ თვალ-ყური ადევნოს დიალოგს და შესაბამისად შეავსოს ბარათი.

2. გამაფრთხილებელი აბრების შექმნა

გამაფრთხილებელ აბრებზე მუშაობის შემდეგ შესთავაზეთ მოსწავლეებს, თავად შექმნან მსგავსი აბრები და გაუკეთონ შესაბამისი წარწერები.

ა) დაიწყეთ მარტივი ვარიანტით: მიეცით სიტუაციური სურათი (ან გამაფრთხილებელი ნიშანი) და თემასთან დაკავშირებული არეულად მოცემული სიტყვები. მოსწავლეებმა სიტყვების სწორად დალაგებით უნდა ააწყონ გამაფრთხილებელი წარწერა, მაგ.: *მხოლოდ გადასასვლელით მიწისქვეშა ისარგებლეთ (ისარგებლეთ მხოლოდ მიწისქვეშა გადასასვლელით).*

მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს შეგიძლიათ უფრო გაუმარტივოთ დავალება, კერძოდ, დაასრულებინეთ დაწყებული წარწერა: ისარგებლეთ მხოლოდ მიწისქვეშა ----?---. ჯერ ზეპირად შეასრულებინეთ მიცემული დავალება და შემდეგ სთხოვეთ მისი დაწერა.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა წარწერების დასრულება, გაამახვილეთ ყურადღება თავად ბარათზე მოცემულ გამოსახულებაზე, აღწერეთ ან სთხოვეთ მას ბარათზე მოცემული შინაარსის გადმოცემა.

თუკი ბარათის აღწერაც არ დაეხმარა მას წარწერის დასრულებაში, მიაწოდეთ სრული წარწერა, სთხოვეთ მისი წაკითხვა. ამის შემდეგ მიაწოდეთ დაუსრულებელი ან ნაკლული წარწერა და წაახალისეთ მოსწავლე, შეავსოს ის.

ამავდროულად, სხვა შემთხვევაში შესაძლებელია, მოსწავლეს მიაწოდოთ ბარათები და წარწარწერები ცალ-ცალკე და სთხოვოთ წარწერების დაწყვილება ბარათებთან. შესაძლებელია, თქვენ წაიკითხოთ წარწერა, მოსწავლეს კი სთხოვოთ შესაბამისი ბარათის ჩვენება. ბოლო ეტაპზე მიუთითეთ ბარათზე და სთხოვეთ მოსწავლეს შესაბამისი წარწერის ფორმირება.

გთავაზობთ სანიმუშო ვარიანტებს სხვადასხვა სიტუაციისათვის შესაბამისი სავარაუდო გამაფრთხილებელი წარწერებით:

ქუჩის სიტუაციები

გადადით, როცა მწვანე აინთება!

ისარგებლეთ ზებრა გადასასვლელით!

ცხოველები

ფრთხილად, ეზოში ავი ძაღლია!

ახლოს ნუ მიხვალთ!

ექსკურსიაზე



ახლოს არ მიხვიდეთ, სახიფათოა!

გაუფრთხილდით ბუნებას!
ნუ დაყრით ნაგავს!

ბ) მიეცით კონკრეტული სიტუაცია (მაგ., *ქუჩის პირას, სახლის შესასვლელთან დგას უცხო მანქანა; ბავშვები აწვალებენ ცხოველს; ბავშვი წვიმის დროს ხეს აფარებს თავს; პატარა ბიჭი ასანთით თამაშობს* და ა.შ.) და სთხოვეთ ამ სიტუაციის შესაბამისი გამაფრთხილებელი წარწერის მოფიქრება.

თუ მოსწავლეს გაუჭირდა გამაფრთხილებელი წარწერების დამოუკიდებლად მოფიქრება, მიაწოდეთ წარწერის რამდენიმე ვარიანტი, რომელთაგან ზოგიერთი სიტუაციის შესაბამისია, ზოგიერთი კი არა. სთხოვეთ, აირჩიოს შესაბამისი წარწერა.

ბარათებისა და დავალების მიცემისას გაითვალისწინეთ, რამდენად ზედმიწევნით აღიქვა მოსწავლემ მოცემული სიტუაცია და მიხვდა ბარათის შინაარსს. მაგ., თუკი მისთვის უცნობია საფრთხე, რაც თან ახლავს ჭექა-ქუხილის დროს ხისთვის თავის შეფარებას, არ მიაწოდოთ ეს ბარათი; ან პირიქით, გამოიყენეთ ეს ბარათი იმისათვის, რომ გაამდიდროთ მოსწავლის ცოდნა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში უნდა გქონდეთ საკმარისი დრო მისთვის დამატებითი განმარტებების მისაცემად.

აქტივობა 2. მარტივი წერითი დავალებები ნახატის / ფოტოს / ილუსტრაციის გამოყენებით

აქტივობის მიზანი:

- ვიზუალური ინფორმაციის წერილობით წარმოდგენის უნარ-ჩვევების განვითარება
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).13

- წერს მარტივ წინადადებებს, ფრაზებს, მცირე ზომის ტექსტებს ნაცნობ თემებზე, გასაგებად გადმოსცემს აზრს;
- ავსებს ტექსტში ნაკლულ ინფორმაციას;
- წარწერას უკეთებს ილუსტრაციას.

ქართ.დაწყ.(I).14

- სათანადოდ იყენებს საგნების, მათი თვისებებისა და მოქმედების გამომხატველ სიტყვებს;
- სიტყვების დასაკავშირებლად მართებულად იყენებს კავშირებს (და, მაგრამ...);
- სათანადოდ იყენებს სასვენ ნიშნებს წინადადების ბოლოს (წერტილს, კითხვის ნიშანს).

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

ილუსტრაციების გამოყენებით შესაძლებელია მოსწავლეებს სხვადასხვა წერითი დავალება შევთავაზოთ, კერძოდ:

- ნახატის აღწერა;
- ილუსტრაციის დასათაურება და შესაბამისი წარწერის გაკეთება;
- ნაკლული ტექსტის შევსება ნახატის მიხედვით;
- მარტივი წინადადებების, ფრაზების შედგენა;
- მარტივი ტექსტის შექმნა;
- წერილობითი კომენტარის გაკეთება (შეფასება-დამოკიდებულების წერილობით გამოხატვა).

გაითვალისწინეთ! წერის დაწყებამდე (განსაკუთრებით ეს სწავლების პირველ ეტაპს ეხება) შეთავაზებული დავალება ჯერ ზეპირად დაამუშავებინეთ მოსწავლეებს. დარწმუნდით, რომ ყველამ შეძლო ნახატის მიზნობრივად „წაკითხვა“ (ვიზუალური ინფორმაციის აღქმა და მისი ვერბალიზება, სიტყვიერად გადმოცემა). მოისმინეთ და ზეპირად დაამუშავეთ (აზრობრივად და ენობრივად გამართეთ, დააზუსტეთ) მათი პასუხები (რომლებიც წერილობით უნდა ჩამოაყალიბონ), მოფიქრებული ფრაზები, სათაურები, ილუსტრაციის წარწერები და ა.შ. ამის შემდეგ, შეასრულებინეთ დავალება წერილობით.

გთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს:

1. სურათის აღწერა და მისი დასათაურება; შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა:

ა) სურათის უკეთ აღსაქმელად მოსწავლეებს დაუსვით კონკრეტული შეკითხვები, მაგ., *რას ხედავთ სურათზე? წელიწადის რა დროა? საიდან ჩანს? რა ფერია შემოდგომის ტყე? სად დგას სახლი? როგორი ხე დგას სახლის გვერდით? როგორი სახლია? რა ფერის სახურავი აქვს?* ყურადღება გაამახვილეთ ფერთა შეხამებაზე - *როგორ ერწყმის სახურავის ფერი შემოდგომის ტყის ფერებს. ჰკითხეთ, მოსწონთ თუ არა სურათი? კონკრეტულად რა მოსწონთ და რატომ?*

იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლეს გაუჭირდა სურათის აღწერა კითხვების მიხედვით, შესაძლებელია ჯერ თქვენ აღწეროთ ის.

თქვენი ან თანაკლასელის მოსმენით მოხდება შესაბამისი ლექსიკის აქტუალიზაცია, რის საფუძველზეც მოსწავლე მომდევნო ეტაპზე უკეთ შეძლებს ვერბალური პასუხების ფორმულირებას.

ამავდროულად, შესაძლებელია, საჭირო გახდეს შეკითხვების ადაპტაცია მოსწავლის შესაძლებლობის გათვალისწინებით. მოერიდეთ შეკითხვების სპონტანურ ფორმულირებას, ჩამოაყალიბეთ ისინი მოსწავლის შესაძლებლობისა და თქვენი მიზნების გათვალისწინებით. მაგ., თუკი გსურთ, რომ მოსწავლისგან ერთ- ან ორსიტყვიანი პასუხი მიიღოთ (იმიტომ რომ ეს არის თქვენი მიზანი ან ეს არის მოსწავლის შესაძლებლობის ფარგლები), კითხვაც შესაბამისად უნდა შეარჩიოთ.

ბ) ამის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, წერილობით აღწერონ სურათი; დაწერონ, რას ხედავენ სურათზე. საჭიროებისამებრ, მიეცით საყრდენი სიტყვები:

სურათზე გამოსახულია .....

ძალიან ლამაზია .....

ტყის პირას ...

განსაკუთრებით მომწონს ....

საჭიროების შემთხვევაში, შეკითხვებით დაეხმარეთ მოსწავლეებს, რომლებიც წერილობით წარმოადგენენ პასუხებს.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა პასუხის დამოუკიდებლად ფორმულირება, მიეცით ორი ვარიანტი და დაეხმარეთ სწორი არჩევანის გაკეთებაში, რის შემდეგაც ის ჩაწერს სწორ პასუხს.

თუ მოსწავლეს აქვს წერასთან დაკავშირებული სირთულეები, მიაწოდეთ მას ბარათებზე დაწერილი ცალკეული სიტყვები და ბარათების სწორად დალაგებით სთხოვეთ შეკითხვის შესაბამისი წინადადების ფორმულირება.

გ) ნახატის დასათაურება შედარებით რთულია, ამიტომ წასახალისებლად მოსწავლეებს შესთავაზეთ თქვენეული ვარიანტებიც, მაგ., „სახლი ტყის პირას“, „შემოდგომის ტყე“ და ა.შ.

შესაძლებელია, მოსწავლეებს შესთავაზოთ სხვა ვარიანტებს შორის სრულიად არაადეკვატური სათაური. წაახალისეთ ამოიცნონ შეუსაბამო სათაური, სთხოვეთ დაასაბუთონ თავისი არჩევანი.

დ) სთხოვეთ დახატონ იგივე სურათი, ოღონდ შეაცვლევინეთ წელიწადის დრო, მაგ., როგორი იქნება ეს პეიზაჟი ზამთარში. დავალების დასრულების შემდეგ სთხოვეთ, აღწერონ საკუთარი ნახატები და შეადარონ შემოდგომის პეიზაჟს. დაეხმარეთ მოსწავლეებს შეკითხვებით.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს დამოუკიდებლად გაუჭირდა იმავე ნახატის შექმნა წელიწადის სხვა დროს გათვალისწინებით, დაუსვით მას მიმანიშნებელი შეკითხვები. თუკი ამ ტიპის აქტივობაც არ იქნება საკმარისი, მიაწოდეთ მას ზამთრის ან გაზაფხულის სხვა ნახატები და ერთად აღწერეთ ისინი.

ამის შემდეგ სთხოვეთ დახატოს ან გააფერადოს მოცემული ნახატი ზამთრის ან გაზაფხულის მახასიათებლების გათვალისწინებით.

2. მარტივი ტექსტის შექმნა *(მხატვარი ნინო ჩაკვეტაძე)*.

ა) პირველ რიგში, იმუშავეთ ნახატის აღწერაზე. დაეხმარეთ მოსწავლეებს შეკითხვებით. ყურადღება გაამახვილებინეთ ისეთ დეტალებზე, რომლებიც დასჭირდებათ მარტივი ტექსტის შესაქმნელად, მაგ.: *სად არიან ბავშვები და რას აკეთებენ? სად აწყობენ ზეიმს - სკოლაში თუ საბავშვო ბაღში? რატომ ფიქრობთ ასე? რას ზეიმობენ ისინი? რატომ არის მოწყენილი მგლის ფორმაში გამოწყობილი ბიჭი? რატომ არის ლეკვი ასე ჩაცმული?* და ა.შ. ჰკითხეთ მოსწავლეებს, *მათი აზრით, რა არის ამ ნახატში არაბუნებრივი და რატომ? მოსწონთ თუ არა ნახატი? კონკრეტულად რა მოსწონთ და რა - არა? რატომ?* და ა.შ.

იმ შემთხვევში, თუ მოსწავლე პასიურობს, პირადად მიმართეთ შეკითხვით, მიეცით დრო პასუხის მოსაფიქრებლად. საჭიროების შემთხვევაში ახლოს მიუტანეთ ნახატი, მიეცით დრო დასათვალიერებლად.

დარწმუნდით, რომ მან აღიქვა მოცემული გამოსახულებები და ამის შემდეგ წაახალისეთ ნახატის აღწერა. შეკითხვები დაუსვით მისი შესაძლებლობის გათვალისწინებით.

ბ) ამის შემდეგ შეაჯამეთ მოსწავლეების გამოთქმული მოსაზრებები და მათზე დაყრდნობით დაფაზე დაწერეთ შესაქმნელი ამბის ძირითადი ქარგა (ქარგის დახვეწაში დაეხმარეთ მოსწავლეებს და შეავსეთ მათი ინფორმაცია), მაგ., *საბავშვო ბაღის აღსაზრდელები ემზადებიან სკოლაში წასასვლელად და აწყობენ ბაღის გამოსაშვებ ზეიმს.*

გ) სთხოვეთ მოსწავლეებს, დაარქვან ბავშვებს სახელები, აირჩიონ ერთ-ერთი, რომელიც ჰყვება ზეიმის შესახებ. მიეცით ამბის აგების მარტივი ჩარჩო-კონსტრუქცია და სანიმუშოდ შესთავაზეთ თქვენეული ვარიანტი:



მასწავლებლის სანიმუშო ვერსია: *გუშინ ბაღის გამოსაშვები ზეიმი გვქონდა. მე მეზღვაურის ფორმა მეცვა და დოლზე ვუკრავდი. გიორგი სათამაშო გიტარაზე უკრავდა. ძალიან სასაცილოდ მღეროდა. ყველამ ვიმხიარულეთ, მარტო ლაშა იყო მოწყენილი იმიტომ, რომ ბოროტი მგლის როლს თამაშობდა. ზეიმი ყველას ძალიან მოეწონა. ყველაზე მეტად კი ლაშა მოეწონათ და ყველაზე მეტი ტაშიც მას დაუკრეს.*

3. ნაკლული ტექსტის შევსება:

ტექსტის შევსებამდე მოსწავლეები ამუშავეთ შესაბამისი ილუსტრაციის აღწერაზე შეკითხვების დახმარებით. წერის დაწყებამდე ჯერ ზეპირად შეასრულებინეთ მიცემული დავალება. ნაკლული ტექსტის ნიმუშად გთავაზობთ წინა სავარჯიშოში წარმოდგენილ მასწავლებლის სანიმუშო ვერსიას:

გუშინ ბაღის გამოსაშვები _____ გვქონდა. მე მეზღვაურის ფორმა მეცვა და _____ გიორგი _____ უკრავდა. ძალიან სასაცილოდ მღეროდა. ყველამ ვიმხიარულეთ, მარტო ლაშა იყო მოწყენილი იმიტომ, რომ _____. ზეიმი ყველას ძალიან მოეწონა. ყველაზე მეტად კი ლაშა მოეწონათ და ყველაზე მეტი ტაშიც მას დაუკრეს.

იმ შემთხვევაში, თუ ტექსტი თავისი ლექსიკითა და კონსტრუქციებით მოსწავლისთვის რთული აღმოჩნდა, მომზადებული გქონდეთ ტექსტის ალტერნატიული, ადაპტირებული ვერსია.

მეორე კლასი

აქტივობა 1. პირადი წერილის შექმნა

აქტივობის მიზანი:

- პირადი წერილის შექმნა ორგანიზების სათანადო წესების დაცვით (მიმართვა, ძირითადი ტექსტი, ხელმოწერა).

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).13

- ადგენს პრაგმატულ ტექსტებს, სათანადოდ აფორმებს მათ მოდელის შინაარსობრივი და სტრუქტურულ-კომპოზიციური მახასიათებლების გათვალისწინებით;
- ადგენს პირადი გამოცდილების ამსახველ ტექსტს მითითებების / საყრდენების გათვალისწინებით.

ქართ.დაწყ.(I).14

- წინადადებების ბოლოს სვამს სათანადო სასვენ ნიშნებს (წერტილს, კითხვის ნიშანს, ძახილის ნიშანს);
- იყენებს ნაცნობ ლექსიკას;
- სათანადოდ იყენებს ეტიკეტური მეტყველების ფორმებს პრაგმატული ტექსტების შედგენისას.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

1. წერილის დაწერამდე იმუშავეთ ჯერ სამოდელო ვარიანტზე (ასეთი სამოდელო ვარიანტი თავადაც შეგიძლიათ შექმნათ წინასწარ).

გამარჯობა, ბექა!

როგორ ხარ? როგორ არიან თინა დეიდა და გურამი ბიძია? ორივე მომიკითხე.

*ბექა, **მინდა, ჩემი საუკეთესო მეგობარი გაგაცნო.** მას ნიკა ჰქვია. ნიკა ჩემზე ერთი წლით უფროსია. სამი თვის წინ გადმოვიდა ჩვენს ეზოში საცხოვრებლად.*

მე და ნიკა მალე დავმეგობრდით. ჩვენ ძალიან ვგავართ ერთმანეთს. ნიკაც ჩემსავით მხიარული და ცნობისმოყვარეა, გარეგნობით კი ჩემთან შედარებით უფრო მაღალი და გამხდარია, აქვს დიდი თაფლისფერი თვალები და ქერა თმა.

ნიკა ფეხბურთზე დადის. იცი, რა მაგრად თამაშობს ფეხბურთს? მეც ვაპირებ მასთან ერთად სიარულს. რომ ჩამოხვალ, აუცილებლად გაგაცნობ.

აბა, შენ იცი, ნახვამდის!

სანდრო

24 ოქტომბერი, 2016 წ.

მოსწავლეებს ყურადღება გაამახვილებინეთ წერილის შინაარსობრივ და სტრუქტურულ-კომპოზიციურ მახასიათებლებზე:

ა) წააკითხეთ წერილი და დაუსვით <u>შეკითხვები:</u> *ვინ არის წერილის ავტორი? ვინ არის ადრესატი (ანუ, ვის წერს წერილს?) როდის არის წერილი დაწერილი? რა არის წერილის მიზანი, დანიშნულება? სად არის მისალმება, მოკითხვა, დამშვიდობება? საიდან ჩანს, რომ წერილის ადრესატი მისი თანატოლია? როგორ მიესალმებოდა, მოიკითხავდა, დაემშვიდობებოდა უფროსს?*

იმისათვის, რომ წერილის ფუნქცია, მისი ავტორი და ადრესატი მოსწავლისთვის გასაგები გახდეს, რეკომენდებულია წერილის დაკავშირება მოსწავლის პიროვნებასთან. მისწერეთ მას წერილი და წერილში ისაუბრეთ მისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ამ დროს მოსწავლე უფრო კარგად დააფიქსირებს, ვინ არის წერილის ავტორი, ხოლო რადგან მას გადასცეს წერილი, მას მიმართავენ წერილში - იმასაც, რომ ის არის მისი ადრესატი.

წერილის შინაარსის აღსაქმელად რეკომენდებულია, წერილი ეხებოდეს მოსწავლისთვის კარგად ნაცნობ საკითხებს, მაგ., მის რომელიმე თანაკლასელს და მასთან დაკავშირებულ რეალურ მოვლენას.

მოსწავლის შესაძლებლობის გათვალისწინებით, განსაზღვრეთ წერილის მოცულობა (აბზაცების რაოდენობა) და წარმოდგენილი ინფორმაცია - წინადადებების კონსტრუქციები, გამოყენებული ლექსიკა.

ბ) წერილის ფორმალური მხარის (*მისალმება, მოკითხვა, წერილის ძირითადი სათქმელი, დამშვიდობება და ხელმოწერა*) დამუშავების შემდეგ ამუშავეთ ცალკეული აბზაცის თემაზე, მის ძირითად სათქმელზე:

- *რა არის პირველი აბზაცის თემა?* - მოკითხვა;
- *რომელ აბზაცშია წარმოდგენილი წერილის მიზანი?* - მეორეში.
- *კონკრეტულად რა ინფორმაციაა მოცემული ნიკას შესახებ ამ აბზაცში?* - ვინაობა, ასაკი და საცხოვრებელი ადგილი;
- *რომელ აბზაცში ახასიათებს სანდრო ნიკას?* - მესამე აბზაცში;
- *რის შესახებ საუბრობს ის მეოთხე აბზაცში?* - ნიკას გატაცებებსა და საკუთარ სამომავლო გეგმებზე.

წერილის შინაარსის დასამუშავებლად შეარჩიეთ მოსწავლის შესაძლებლობის შესაბამისი შეკითხვები. შეკითხვები უნდა იყოს კონკრეტული. პასუხების გასაცემად მიეცით მოსწავლეს შესაბამისი დრო.

2. ამის შემდეგ მიეცით მოსწავლეებს მსგავსი წერილი დასაწერად (შესთავაზეთ მხოლოდ წერილის მიზანი და თემა, ადრესატი კი თავად შეარჩიონ), მაგ.: *მოიფიქრეთ, ვის მისწერთ წერილს. წერილის მიზანია, გააცნოთ მას თქვენი მეგობარი. მიუთითეთ მისი ვინაობა, აღწერეთ გარეგნობა და ხასიათი, რა უყვარს და რა აინტერესებს, სად და როდის გაიცანით, რით ჰგავხართ და რით განსხვავდებით ერთმანეთისაგან.*

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა წერილის შედგენა თქვენ მიერ განსაზღვრული საკითხის საფუძველზე, მიეცით მას არჩევანის თავისუფლება, რათა დამოუკიდებლად განსაზღვროს წერილის მიზანი, თემა და ადრესატი.

შესაძლებელია, საჭირო გახდეს დამაზუსტებელი შეკითხვებით მისთვის მიმართულების მიცემა, იმისათვის რომ მან ნაბიჯ-ნაბიჯ შეძლოს გადაწყვეტილების მიღება წერილის მიზნის, თემის, ადრესატის შესახებ.

შესაძლებელია, მოსწავლეს შესთავაზოთ რაიმე მოვლენის ამსახველი ფოტო / ფოტოები, დააინტერესოთ აღნიშნული ფოტოთი და შეთანხმდეთ მასთან, თუ ვის გაუზიარებდა ფოტოზე მოცემულ ინფორმაციას და მიღებულ შთაბეჭდილებებს.

წერის დაწყებამდე მოსწავლეებმა თავი უნდა მოუყარონ საჭირო ინფორმაციას. ამისათვის შეავსებინეთ ე.წ. საინფორმაციო ცხრილი:

ვინ არის და რამდენი წლისაა?	
სად ცხოვრობს?	
სად და რომელ კლასში სწავლობს?	
სად და როდის გაიცანი?	
რა აინტერესებს?	
დაახასიათე, **როგორია?**	გარეგნობა: თვისებები:
რით ჰგავხართ ერთმანეთს და რით განსხვავდებით?	

შეკითხვები განსაზღვრეთ შერჩეულ ფოტოზე დაყრდნობით და წაახალისეთ მოსწავლე, იპოვოს პასუხები ფოტოზე მოცემული გამოსახულების ყურადღებით დათვალიერების საფუძველზე.

3. ბოლოს მიეცით წერილის ჩარჩო-კონსტრუქცია, რომლის დახმარებითაც მოსწავლეები შეასრულებენ დავალებას - დაწერენ წერილს.



იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლისთვის, მიუხედავად ზემოთ მოცემული რეკომენდაციებისა, რთული იქნება წერილის ტექსტის ფორმულირება, მოარგეთ დავალების მოთხოვნები მის შესაძლებლობებს.

ნუ დაავალებთ მთლიანი წერილის ფორმულირებას, არამედ სთხოვეთ განსაზღვროს მისი კონკრეტული დეტალები (მაგ., ადრესატი, ავტორი) და წერილში მოუნიშნეთ ის მონაკვეთი, რომელიც უნდა შეავსოს (მაგ., მისალმება, დასასრული).

იმისათვის, რომ წაახალისოთ მოსწავლის ჩართულობა წერილის შინაარსის ფორმულირებისას, წაუკითხეთ უკვე ფორმულირებული წერილი და ჰკითხეთ, რას დაამატებდა.

სამუშაოს დასრულების შემდეგ წააკითხეთ წერილები და ნამუშევრები შეამოწმეთ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

კრიტერიუმები	**სრულად**	**ნაწილობრივ**	**ვერ ახერხებს**
პირობასთან შესაბამისობა			
იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს (*მიუთითეთ მისი ვინაობა, აღწერეთ გარეგნობა და ხასიათი, რა უყვარს და რა აინტერესებს, სად და როდის გაიცანით, რით ჰგავხართ და რით განსხვავდებით ერთმანეთისაგან).*			
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები			
სამეტყველო ქცევის შესაბამისად იყენებს მიმართვის, მოკითხვისა და გამომშვიდობების ფორმულებს.			
მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს.			
ენობრივი უნარ-ჩვევები			
სწორად იყენებს ნასწავლ გრამატიკულ საკითხებს.			
სწორად იყენებს ნასწავლ ლექსიკას.			
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები			
ავლენს ფანტაზიის უნარს, ორიგინალურობას.			

აღნიშნული აქტივობის ფარგლებში მოსწავლის შეფასებამდე გადახედეთ ზემოთ მოცემულ შეფასების კრიტერიუმებს და დარწმუნდით მათ რელევანტურობაში მოსწავლესთან მიმართებით.

აქტივობა 2. ნახატის მიხედვით მარტივი ფრაზებისა და რეპლიკების შედგენა

აქტივობის მიზანი:

- აზრის გასაგებად გადმოცემა
- წინადადების ბოლოს სასვენი ნიშნების ადეკვატური გამოყენება
- შემოქმედებითი უნარების განვითარება

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).13

- წერს მარტივ წინადადებებს, ფრაზებს, გასაგებად გადმოსცემს აზრს;
- წერილობით პასუხობს მარტივ კითხვებს.

ქართ.დაწყ.(I).14

- სათანადოდ ათანხმებს რიცხვში სახელებსა და მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს; კონტექსტის მიხედვით მართებულად იყენებს ზმნის დროებს (წარსულს, აწმყოს, მომავალს);
- იყენებს მაერთებელ კავშირებს სიტყვათა და სიტყვათა ჯგუფების დასაკავშირებლად წინადადებაში;
- მართებულად იყენებს თხრობით, ბრძანებით და კითხვით წინადადებებს (სწორად იყენებს ზმნურ ფორმებს) და წინადადებების ბოლოს სვამს სათანადო სასვენ ნიშნებს (წერტილს, კითხვის ნიშანს, ძახილის ნიშანს);
- იყენებს ნაცნობ ლექსიკას.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

1. პირველ რიგში, შეკითხვების დახმარებით ამუშავეთ მოსწავლეები ილუსტრაციის წაკითხვაზე:

რა არის ნახატზე გამოსახული? როგორია? რა ფერისაა? წელიწადის რა დროა? როგორი ამინდია? საიდან ჩანს, რომ ზამთარია, გაზაფხულია...?

ყურადღება გაუმახვილეთ უშუალოდ პერსონაჟების ქცევასა და განწყობაზე: *როგორ იქცევიან და რას აკეთებენ? რას ფიქრობენ? რას განიცდიან?*

სთხოვეთ, დაასაბუთონ საკუთარი პოზიცია, მაგ.: *რატომ გგონია, რომ ასე ფიქრობს / ამას განიცდის?... რატომ აქვს მას გაკვირვებული სახე? თქვენი აზრით, რა უკვირს და რატომ? როგორ ფიქრობთ, რამ ჩააფიქრა ის?* და ა.შ.

გთავაზობთ ილუსტრაციებს სამუშაოდ (მხატვარი ნინო ჩაკვეტაძე):

- ნახატების თვალიერებისას დააკვირდით, რამდენად იოლად აღქმადია მოცემული გამოსახულებები მოსწავლისთვის. არ არის გამორიცხული, რომ ამ ფორმით შესრულებული ნახატების აღქმა მოსწავლეს უფრო გაუჭირდეს, ვიდრე სხვა ფორმატით.

თუ ამ ფორმის ნახატის აღწერისას მოსწავლე ნაკლებ შედეგს აჩვენებს, ვიდრე სხვა შემთხვევაში, სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე, მიიღეთ გადაწყვეთილება: ნახატები ჩანაცვლოთ და მიაწოდოთ მოსწავლეს უფრო მარტივი გამოსახულებები; თუ წაახალისოთ ამ ფორმის ნახატების აღქმა და მათში მოცემული შინაარსის ამოცნობა.

- მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე, განსაზღვრეთ ის შეკითხვები, რომლებიც მისთვის რელევანტური იქნება. ზოგიერთმა მოსწავლემ, შესაძლებელია, მხოლოდ იმ შეკითხვებზე შეძლოს პასუხის გაცემა, რომლის შესახებაც ნახატზე ინფორმაცია თვალსაჩინოდ არის მოცემული. ამავდროულად, წაახალისეთ მოსწავლე, იპოვოს დასმულ კითხვებზე პასუხები, გამოთქვას ვარაუდი ნახატის გამოსახულებების ერთმანეთთან დაკავშირებით.

- იმისათვის, რომ მოსწავლემ ამოიცნოს ნახატის შინაარსი, მიეცით მას საკმარისი დრო ნახატის დასათვალიერებლად, აღსაწერად. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ზოგჯერ მოსწავლეებს წარმატებით გამოსდით ნახატის აღწერა, მასში მოცემული გამოსახულებების, მოქმედებების, თვისებების დასახელება, თუმცა უჭირთ ნახატზე მოცემულ გამოსახულებებს შორის კავშირის აღმოჩენა, ერთი შინაარსის მიხედვით გაერთიანება და გადმოცემა.

შესაბამისად, მიმანიშნებელი შეკითხვებით წაახალისეთ მოსწავლე აღმოაჩინოს კავშირი ნახატის ცალკეულ ელემენტებს შორის, მაგ., ბაბუის აღწერის შემდეგ აუცილებლად ჰკითხეთ, ვის უყურებს ბაბუა და შემდეგ გადადით ბიჭის აღწერაზე.

2. სანიმუშოდ აიღეთ ერთი ნახატი, თქვენეული ვერსიები (თქვენი ფრაზები, რეპლიკები) დაწერეთ დაფაზე და გააცანით მოსწავლეებს. გთავაზობთ პირველი ნახატის შესაბამის სავარაუდო ვარიანტებს:

ა) გვიანი შემოდგომის ცივი და წვიმიანი ამინდია.

ბ) ბაბუა გაკვირვებული უყურებდა პატარა ბიჭს.

გ) ხომ არ დაიკარგა? - ფიქრობდა ბაბუა.

დ) პატარა ბიჭი მოწყენილი მიდიოდა გზაზე.

ე) ბაბუას გზაზე ერთი პატარა ბიჭი შეხვდა.

ვ) ბიჭს სახეზე ეტყობოდა, რომ რაღაცა აწუხებდა და ა.შ.

იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს თითოეული ფრაზის / რეპლიკის ნახატთან დაკავშირება, წაიკითხეთ ისინი ცალ-ცალკე და, შეძლებისდაგვარად, მიანიშნეთ ნახატის შესაბამის გამოსახულებაზე, დეტალზე.

3. ამის შემდეგ დაყავით კლასი მცირე ჯგუფებად, მიეცით თითო ჯგუფს თითო ნახატი და სთხოვეთ, შეადგინონ 2-3 ფრაზა ან რეპლიკა ნახატის მიხედვით - *რას შეიძლება ფიქრობდნენ ან ამბობდნენ ნახატებზე გამოსახული ადამიანები?* დავალების შესრულების შემდეგ წააკითხეთ ჯგუფის წევრებს საკუთარი ნამუშევრები და სთხოვეთ, ახსნან / დაასაბუთონ, რატომ ფიქრობენ ასე.

4. ბოლოს თქვენ წაიკითხეთ მოსწავლეების ნაწერები ხმამაღლა და, საჭიროებისამებრ, მათთან ერთად გაასწორეთ ისინი შემდეგი კრიტერიუმებით: არის თუ არა აზრი გასაგებად გადმოცემული, ენობრივად გამართულია თუ არა, სწორად არის თუ არა დასმული სასვენი ნიშნები.

მესამე კლასი

აქტივობა 1. ნაცნობ თემატიკაზე წესებისა და რეკომენდაციების შედგენა (როგორ მოვუაროთ შინაურ ცხოველებს?)

აქტივობის მიზანი:

- სტრუქტურული მახასიათებლების დაცვა;
- გამართული წინადადებების შედგენა;
- პუნქტუაციის დაცვა.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).13

- წერს ინსტრუქციებს, გასაგებად წარმოადგენს საჭირო ინფორმაციას;
- აღწერს კონკრეტულ საგანს / ნივთს (მცენარეს, ცხოველს, მოვლენას), წარმოაჩენს მათ დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს;
- თანამიდევრულობის დაცვით გადმოსცემს ინფორმაციას;
- ცდილობს ახლად შესწავლილი სიტყვების, ფრაზების გამოყენებას (მაგ., საინფორმაციო ტექსტების შედგენისას).

ქართ.დაწყ.(I).14

- სათანადოდ იყენებს სასვენ ნიშნებს (წერტილს, მძიმეს, ორწერტილს, ბრჭყალებს, კითხვისა და ძახილის ნიშნებს);
- საჭიროებისამებრ ყოფს ნამუშევარს აბზაცებად თანამიმდევრულობის დაცვით.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

1. დაიწყეთ **მოსწავლის პირადი გამოცდილებით.**

ა) ჰკითხეთ: *ჰყავთ თუ არა სახლში შინაური ცხოველები, ფრინველები და ა.შ. ვის რა ჰყავს, რა ჰქვია, როგორია, ვინ უვლის მას; თვითონ მონაწილეობს თუ არა მის მოვლაში, როგორ მონაწილეობს; რას აკეთებს კონკრეტულად* და ა.შ.

კითხვა-პასუხში ჩართეთ ის მოსწავლეებიც, რომლებსაც არ ჰყავთ სახლში შინაური ცხოველები. ჰკითხეთ: *სწორად იქცევა თუ არა მისი თანაკლასელი? მართალია თუ არა, რომ ლეკვს არ უნდა მივცეთ ძვალი? რომ კნუტი ხშირად არ უნდა ვაბანაოთ? მას რომ ჰყავდეს ლეკვი, როგორ მოუვლიდა, რას გააკეთებდა და რას - არა?* და ა.შ.

იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს ჯგუფურ დისკუსიაში მონაწილეობა, მიმართეთ მას პირადად, დაუსვით კონკრეტული შეკითხვა, მიეცით დრო პასუხის მოსაფიქრებლად.

ბ) ამის შემდეგ დაყავით ისინი მცირე ჯგუფებად, დაურიგეთ სამუშაო ფურცლები და სთხოვეთ, ჩამოწერონ ცხრილში წესები, რომლებიც უნდა დაიცვან **ძაღლის** მოვლისას:

რა უნდა გააკეთო	**რა არ უნდა გააკეთო**

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს აქვს წერასთან დაკავშირებული სირთულეები, მიეცით მას პასუხების ზეპირად მოწოდების შესაძლებლობა. ცხრილი შეავსეთ თქვენ ან მისმა რომელიმე თანაკლასელმა.

გ) სამუშაოს დასრულების შემდეგ გააცანით ჯგუფებს ერთმანეთის ნამუშევრები და შეადარეთ - რა მსგავსება და რა განსხვავებაა მათ შორის.

დ) ამის შემდეგ წაუკითხეთ ტექსტი - **როგორ უნდა მოვუაროთ ძაღლს** და ნახეთ, რა დაემთხვა და რა - არა.

ძაღლის მოვლა

ძაღლის მოვლას თავისებური ნებისყოფა და უნარი უნდა. თანაც, მის მოსავლელად ადამიანს დრო უნდა ჰქონდეს. როგორც ადამიანს, ძაღლსაც თავისი განრიგი უნდა ჰქონდეს: ერთსა და იმავე დროს უნდა ჭამდეს, გასეირნებაც ერთსა და იმავე დროს არის სასურველი.

სადგომი

ძაღლმა თავისი ადგილიც უნდა იცოდეს: არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეძინოს დივანზე, სავარძელზე, ლოგინზე და ასე შემდეგ.

კვება

ძაღლის საკვები ასაკის მიხედვით უნდა შეირჩეს. ლეკვისათვის არ არის სასურველი ძვალი... აუცილებლად უნდა ჰქონდეს საკუთარი წყლის და საჭმლის ჭურჭელი. წყალი ძაღლს ყოველთვის ახლოს უნდა ჰქონდეს, ეს უნდა იყოს ნადგამი წყალი.

ჰიგიენა

არსებობს ჰიგიენის ნორმები, რომლებიც აუცილებლად უნდა დავიცვათ. აუცილებელია რეგულარულად ძაღლის დავარცხნა და მისი დროულად დაბანა. დაბანისას აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ სპეციალური შამპუნი. რეგულარულად უნდა გავრეცხოთ ის საფენიც, რომელზედაც ძაღლი წევს.

იმ შემთხვევაში, თუ ტექსტი მოსწავლისთვის რთული იქნება, გაამარტივეთ მისი კონსტრუქციები და ლექსიკა.

გაითვალისწინეთ, რომ ზოგიერთი მოსწავლე უფრო ეფექტურად აღიქვამს ტექსტის შინაარსს, თუკი ის თვალს მიადევნებს დაბეჭდილ ტექსტს (წინადადებებს).

2. გააცანით მოსწავლეებს მსგავსი ტექსტების შესაქმნელად საჭირო მოდელი და ყურადღება მიაქცევინეთ რუბრიკებს - რის შესახებ უნდა იყოს კონკრეტული რუბრიკის ქვეშ მოცემული ინფორმაცია.

იმისათვის, რომ მოსწავლემ უკეთ აღიქვას ტექსტის სტრუქტურა, შესაძლებელია, სტრუქტურის მიმანიშნებლების მიწოდება არა სქემატურად, არამედ ტექსტთან ერთად. ამ შემთხვევაში მოცემული იქნება თავად ტექსტი და სტრუქტურული მინიშნებები (სათაური და ქვესათაურები).

3. ამის შემდეგ დაურიგეთ კონკრეტული მონაცემები მოსწავლეებს და შეადგენინეთ ტექსტი. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს:

ა) როგორ მოვუაროთ ზაზუნას?

სადგომი (ლითონის გალია ან ტერარიუმი): გამათბობლიდან და ღია ფანჯრიდან მოშორებით. ფსკერზე ნახერხი. სარბენი ბორბალი გალიაში თამაშისა და ვარჯიშისათვის. პატარა მოსაფარებელი ყუთი დასაძინებლად.

კვება: სპეციალური საჭმელი დღეში ორჯერ. მცირე რაოდენობის ხილი და ბოსტნეული. წყალს პრაქტიკულად არ სვამენ.

ჰიგიენა: ნახერხის გამოცვლა 3-4 დღეში ერთხელ. გალიის ხშირი გასუფთავება. მისი გარეცხვა კვირაში ერთხელ. ცხოველის დაბანა არ შეიძლება (კატებივით თვითონ ისუფთავებენ თავს).

ბ) როგორ მოვუაროთ კატას?

სადგომი: საძინებელ ადგილს თავად ირჩევს.

საკვები: საკვებთან ერთად წყლით სავსე ჯამი. სოსისი ან მსგავსი საკვები მარტო ზრდასრული კატებისთვის.

ჰიგიენა: სისუფთავის მოყვარულია. სულ ითხოვს მოვლას. ხშირად ბანაობა არ შეიძლება (შეიძლება ადვილად გაცივდეს). დავარცხნა დაბანამდე.

გ) როგორ მოვუაროთ თევზებს?

სადგომი: აკვარიუმის მოწყობა ქვებით, ხელოვნური წყალმცენარეებითა და ლაბირინთებით. პერიოდულად წყლის დამატება. წყლის თერმომეტრით ტემპერატურის გაკონტროლება. წყლის გამათბობლის დაყენება.

კვება: ერთსა და იმავე დროს. ზედმეტი ჭამა დამღუპველია.

ჰიგიენა: წყლის ფილტრების დროდადრო გაწმენდა. ორ კვირაში ერთხელ წყლის მესამედის გამოცვლა.

საჭიროების შემთხვევაში, ტექსტის შესადგენად განსაზღვრული მონაცემები გაამარტივეთ და მოარგეთ მოსწავლის შესაძლებლობებს: შეამცირეთ ტექსტის მოცულობა, ჩაანაცვლეთ მოსწავლისთვის ნაცნობი ლექსიკით, გაამარტივეთ წინადადებების კონსტრუქციები.

იმისათვის, რომ მოსწავლეს გაუიოლდეს ტექსტის შედგენა, მიაწოდეთ ზემოთ მოცემული სქემა და მონაცემების ამსახველი სიუჟეტური ნახატი, რომელზეც თვალსაჩინოდ იქნება გამოსახული ის ინფორმაცია, რომელზე დაყრდნობითაც უნდა შედგეს ტექსტი. შესაძლებელია, ვიზუალურ მონაცემებს მიაწეროთ შესაბამისი ქვესათაური (კვება, ჰიგიენა). ტექსტის შედგენისას მოსწავლე იხელმძღვანელებს ტექსტის სტრუქტურით, ვიზუალური გამოსახულებებით და წერილობით მიწოდებული ინფორმაციით.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდება ტექსტის ორგანიზება, დაუსვით მიმანიშნებელი შეკითხვები. ჯერ განსაზღვროს, ტექსტის რომელ მონაკვეთზე მუშაობს, მიუთითოს სქემაზე შესაბამისი სათაური, შემდეგ წაიკითხოს სათაურის შესაბამისი წინადადება, მომდევნო ეტაპზე ნახატზე მიუთითოს წაკითხული წინადადების შესაბამისი გამოსახულება და ბოლოს ჩაწეროს წინადადება.

აქტივობა 2. მცირე ზომის მარტივი ინფორმაციული ტექსტის შედგენა (აქლემი)

აქტივობის მიზანი:

- საინფორმაციო ტექსტის ფორმალური მხარის დაცვა;
- ტექსტის სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების დაცვა.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).13

- აღწერს კონკრეტულ საგანს/ნივთს (მცენარეს, ცხოველს, მოვლენას), წარმოაჩენს მათ დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს;
- თანამიდევრულობის დაცვით გადმოსცემს ინფორმაციას;
- ცდილობს ახლად შესწავლილი სიტყვების, ფრაზების გამოყენებას (მაგ., საინფორმაციო ტექსტების შედგენისას).

ქართ.დაწყ.(I).14

- იყენებს შესაფერის სპეციალურ ლექსიკას;
- სათანადოდ იყენებს ნაცნობი გრამატიკული ფორმების მართლწერის წესებს წინადადების/ფრაზის აგებისას;
- მართებულად იყენებს სასვენ ნიშნებს;
- საჭიროებისამებრ ყოფს ნამუშევარს აბზაცებად თანამიმდევრულობის დაცვით.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

1. საინფორმაციო-შემეცნებით ტექსტზე მუშაობის დასრულების შემდეგ (იხ. ტექსტის გაგება-გააზრება, კავკასიური მურა დათვი, გვ. 133) მოსწავლეებს შესთავაზეთ მსგავსი ტიპის ტექსტის შექმნა (მაგ., აქლემზე).

2. წერის დაწყებამდე შესთავაზეთ წინასწარ შედგენილი სქემა (საინფორმაციო ტექსტის ჩარჩო-კონსტრუქცია) ან დახაზეთ ეს სქემა დაფაზე და მასზე დაკვირვებით გაახსენეთ საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტის სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლები: სათაური, რუბრიკები (ამ შემთხვევაში: ცხოველის ბინადრობა, აღწერა, საკვები, ცხოვრების წესი), წამყვანი ინფორმაცია და ტექსტის ძირითადი ინფორმაცია, რომელიც განაწილებულია რუბრიკებში; რუბრიკების მიხედვით ტექსტის დაყოფა აბზაცებად.



იმისათვის, რომ მოსწავლემ მიწოდებული სქემა ტექსტს დაუკავშიროს, შესაძლებელია, მიზანშეწონილი იყოს სქემის სტრუქტურული ერთეულების ტექსტშივე აღნიშვნა. მაგ., ტექსტის აბზაცების დანომვრა, აბზაცის თემის მიწერა აბზაცის დასაწყისში. მოსწავლეს მიაწოდეთ როგორც სქემა, ისე ტექსტი სქემის ელემენტებით.

სხვა შემთხვევაში, შესაძლებელია, საჭირო გახდეს სქემაში მცირე ვიზუალური გამოსახულებების დამატება (მაგ., აქლემის საკვები), - იმისათვის, რომ მოსწავლე მიხვდეს, აბზაცის რა შინაარსს უკავშირდება მოცემული სათაური.

3. ამის შემდეგ დაურიგეთ მოსწავლეებს კონკრეტული მონაცემები აქლემის შესახებ და ამ მონაცემების გამოყენებით ავარჯიშეთ წინადადებების შედგენაზე ზეპირად. დაეხმარეთ შეკითხვებით, მაგ.: *რა არის აქლემი? უდაბნოს ცხოველი: აქლემი უდაბნოს ცხოველია; რა ჰქვია მის ნაშიერს? - კოზაკი: აქლემის ნაშიერს ჰქვია კოზაკი; რამდენი დღე შეუძლია აქლემს უწყლოდ გაძლება? - 10-12 დღე: აქლემი ძალზე ამტანი ცხოველია. მას შეუძლია 10-12 დღე გაძლოს უწყლოდ* და ა.შ.

4. გავარჯიშების შემდეგ შეასრულებინეთ მოსწავლეებს წერითი დავალება - გამოიყენონ სქემა და დაწერონ მცირე ზომის მარტივი საინფორმაციო ტექსტი აქლემის შესახებ.

1. **წამყვანი ინფორმაცია:**
   უდაბნოს ცხოველი; ნაშიერი - კოზაკი; სიცოცხლის ხანგრძლივობა - 35-40 წ.;
2. **ბინადრობა:**
   აზია, აფრიკა, ავსტრალია, სამხრეთ ამერიკა;
3. **ფიზიკური მონაცემები:**
   აღნაგობა - დიდი ტლანქი სხეული, გრძელი კისერი, ერთი ან ორი კუზი;
   წონა - 500-800 კგ.; შეფერილობა - ღია ან მუქი;
   ძალზე ამტანი (უწყლოდ - ერთ თვემდე); ღონიერი;
4. **საკვები:**
   მცენარეები;
5. **ცხოვრების წესი:**
   გავარვარებულ მიწაზე წოლა, ქვიშაში სიარული, ტვირთმზიდავი; საჭმლისა და წყლის მარაგის შენახვა კუზში.

საჭიროების შემთხვევაში, **ტექსტის შესადგენად განსაზღვრული მონაცემები გაამარტივეთ** და მოარგეთ მოსწავლის შესაძლებლობებს: შეამცირეთ წინადადებების რაოდენობა, ჩაანაცვლეთ მოსწავლისთვის ნაცნობი ლექსიკით, გაამარტივეთ წინადადებების კონსტრუქციები.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს **აქვს კითხვასთან დაკავშირებული სირთულეები,** არარელევანტური იქნება მისთვის წერილობითი ინფორმაციის მიწოდება.

შესაძლებელია საჭირო გახდეს შესაბამისი ვიზუალური გამოსახულებების დამზადება და მიცემა, რომელზე დაყრდნობითაც ის განსაზღვრავს ტექსტის შინაარსს და გადმოსცემს მას სქემაზე დაყრდნობით.

5. მუშაობის დასრულების შემდეგ წააკითხეთ საკუთარი ნამუშევრები და შეადარებინეთ ერთმანეთს. გაასწორეთ დაშვებული შეცდომები.

აქტივობა 3. მცირე ზომის მარტივი თხრობითი ტექსტის შედგენა ნახატების გამოყენებით

აქტივობის მიზანი:

- ამბის გადმოცემა შეთავაზებულ ხუთ მარტივ შეკითხვაზე („ვინ?“, „სად?“, „რა?“, „როდის?“, „რატომ?“) პასუხის გაცემის გზით.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).13

- ადგენს მარტივ დიალოგებს;
- თანამიდევრულობის დაცვით გადმოსცემს ინფორმაციას;
- თანამიმდევრულად აგებს თხრობას.

ქართ.დაწყ.(I).14

- სწორად იყენებს ნასწავლ ენობრივ ცოდნას (კავშირებს რთული და შერწყმული წინადადებების ნაწილების დასაკავშირებლად;
- იყენებს პირის, ჩვენებით და კითხვით ნაცვალსახელებს;
- სწორად უხამებს ზმნას სახელს პირსა და რიცხვში, სწორად ათანხმებს რიცხვით და/ ან ზედსართავ სახელსა და არსებით სახელს ბრუნვასა და რიცხვში...);
- მსგავსი მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულებიდან შეარჩევს მოცემული კონტექსტისთვის შესაფერის / მართებულ სიტყვას;
- სათანადოდ აფორმებს მარტივ დიალოგებს;
- საჭიროებისამებრ ყოფს ნამუშევარს აბზაცებად თანამიმდევრულობის დაცვით.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

1. ილუსტრაციების დამუშავება ზეპირად - კითხვების დახმარებით სთხოვეთ მოსწავლეებს აღწერონ სურათები: *რა არის სურათზე გამოსახული? ვინ არიან ესენი? სად დგას წითელთმიანი ბიჭი პირველ სურათზე? რას აკეთებს ის? თქვენი აზრით, რატომ იქცევა ასე? როგორ ფიქრობთ, რატომ ტირის ბიჭი? რატომ იმალებიან ბავშვები სკივრში? როგორ დააკავშირებთ ამ ორ სურათს ერთმანეთთან?*

(მხატვარი ნინო ჩაკვეტაძე)

2. პერსონაჟებზე მუშაობა აზრობრივი დიაგრამების გამოყენებით. ცალ-ცალკე დაამუშავებინეთ მოსწავლეებს ილუსტრაციის პერსონაჟები.



3. განსაზღვრეთ ილუსტრაციებზე ასახული მოქმედების დრო და ადგილი (სად და როდის ხდება მოქმედება?) და მიეცით ზოგადი ყალიბი, რომელსაც გამოიყენებენ მოსწავლეები ამბის შედგენისას:



ამუშავეთ მოსწავლეები მცირე ჯგუფებად ან წყვილებში. მსგავსი სამუშაოსათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ქვემოთ მოცემული ილუსტრაციებიც (ან თავად მოიძიოთ და შესთავაზოთ მსგავსი რესურსი მოსწავლეებს).



(მხატვარი ნინო ჩაკვეტაძე)

- ნახატების თვალიერებისას დააკვირდით, რამდენად იოლად აღქმადია მოცემული გამოსახულებები მოსწავლისთვის. არ არის გამორიცხული, რომ ამ ფორმით შესრულებული ნახატების აღქმა მას უფრო გაუჭირდეს, ვიდრე სხვა ფორმატით.

თუ ამ ფორმის ნახატის აღწერისას მოსწავლე უარეს შედეგს აჩვენებს, ვიდრე სხვა შემთხვევაში, სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე, მიიღეთ გადაწყვეტილება: ნახატები ჩაანაცვლოთ და მიაწოდოთ მოსწავლეს უფრო მარტივი გამოსახულებები თუ წაახალისოთ ამ ფორმის ნახატების აღქმა და მათში მოცემული შინაარსის ამოცნობა.

- მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე, განსაზღვრეთ ის შეკითხვები, რომლებიც მისთვის რელევანტური იქნება. ზოგიერთმა მოსწავლემ, შესაძლებელია მხოლოდ იმ შეკითხვებზე შეძლოს პასუხის გაცემა, რომლის შესახებაც ნახატზე ინფორმაცია ნათლად არის მოცემული. ამავდროულად, წაახალისეთ ის, იპოვოს პასუხები დასმულ კითხვებზე, გამოთქვას ვარაუდი, - ნახატის გამოსახულებების ერთმანეთთან დაკავშირებით და მისი ზოგადი შინაარსიდან გამომდინარე.

- იმისათვის, რომ მოსწავლემ ამოიცნოს ნახატის შინაარსი, მიეცით მას საკმარისი დრო ნახატის დასათვალიერებლად, აღსაწერად. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ზოგჯერ მოსწავლეებს წარმატებით გამოსდით ნახატის აღწერა, მასში მოცემული გამოსახულებების, მოქმედებების, თვისებების დასახელება, თუმცა უჭირთ ნახატზე მოცემულ დეტალებს შორის კავშირის დადგენა, ერთი შინაარსის მიხედვით გაერთიანება და გადმოცემა. შესაბამისად, მიმანიშნებელი შეკითხვებით წაახალისეთ მოსწავლე აღმოაჩინოს კავშირი ნახატის ცალკეულ ელემენტებს შორის.

მეოთხე კლასი

შენიშვნა: *ქვემოთ წარმოდგენილი ყველა აქტივობა აწყობილია კონკრეტული ტექსტის, კერძოდ, გოდერძი ჩოხელის „ცასწავალას“ (მეოთხე კლასის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში არსებული რესურსის) მიხედვით, რომელიც ასევე დამუშავებული გვაქვს გაგება-გააზრების ბლოკში. ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ, როგორ შეიძლება ერთი ტექსტის ფარგლებში სხვადასხვა წერითი დავალების რეალიზება (ბუნებრივია, ტექსტის დამუშავების შემდეგ).*

აქტივობა 1. ტექსტის შინაარსის წერილობით გადმოცემა საყრდენების დახმარებით

აქტივობის მიზანი:

- შინაარსის გადმოცემა გეგმაზე დაყრდნობით; ირიბი ნათქვამის გამოხატვა.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).14

- მხატვრული ტექსტის შინაარსის გადმოცემისას ცდილობს ავტორისეული ლექსიკის გამოყენებას;

- აკვირდება სიტყვათა ლექსიკურ მნიშვნელობას და კონტექსტის გათვალისწინებით შეურჩევს მათ ადგილს;
- ავლენს სახელის ფორმაცვალების წესების ცოდნას (მაგ., სწორად არჩევს სახელის ბრუნვის ფორმებს ზმნის სინტაქსური კონსტრუქციების მიხედვით) და სათანადოდ იყენებს მას;
- სათანადოდ იყენებს ნაცნობი გრამატიკული ფორმების მართლწერის წესებს წინადადების/ფრაზის აგებისას;
- მართებულად იყენებს სასვენ ნიშნებს (წერტილს, კითხვისა და ძახილის ნიშნებს, ბრჭყალებს, ორწერტილს, ტირეს, მრავალწერტილს);
- საჭიროებისამებრ ყოფს ნამუშევარს აბზაცებად შინაარსობრივი თანამიმდევრულობისა და ლოგიკური შესაბამისობის დაცვით.

ქართ.დაწყ.(I).15

- იყენებს მოდელს, საყრდენებს, მითითებებს;
- შეადგენს ტექსტის, წერითი დავალების მოკლე გეგმას;
- უბრუნდება ნაწერს კორექტირებისთვის, ამჩნევს და ასწორებს სხვადასხვა სახის შეცდომებს (ჩაამატებს, ამოშლის ან გადასვამს ტექსტში ასოს, სიტყვას, ფრაზას/წინადადებას);
- ხმამაღლა კითხულობს საკუთარ ნაწერს, ცვლის ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთს ესთეტიკური თვალსაზრისით უკეთესი ვარიანტით.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

1. წერა გეგმის მიხედვით: გააცანით მოსწავლეებს გეგმა და მოამზადეთ ისინი გეგმის მიხედვით შინაარსის დასაწერად.

გაიარეთ გეგმის თითოეული პუნქტი და ყურადღება გაამახვილებინეთ მოსწავლეებს ძირითად დეტალებზე - რას უნდა მიაქციონ ყურადღება და რა უნდა დაწერონ:

1. **ინფორმაცია ცასწავალას შესახებ** (*ვინ იყო, როგორი იყო და სად ცხოვრობდა? რატომ ერქვა ცასწავალა?*);
2. **ცაში აფრენის სურვილი და უღონობა** (*რას აკეთებდა ხოლმე და რით მთავრდებოდა ეს? როგორ და რატომ მალავდა თავის უღონობას?*);
3. **ფრთოსნების დამოკიდებულება და მათი გადაწყვეტილება** (*როგორი იყო ცასწავალას ქცევაზე ფრთოსნების რეაქცია და რა გადაწყვიტეს მათ?*);
4. **სასამართლო პროცესზე** (*როგორ მიიყვანეს ცასწავალა პროცესზე? ვინ იყო მოსამართლე და რაში დასდო ბრალი მან ცასწავალას? რა გაირკვა ცასწავალას შესახებ პროცესზე?*);
5. **განაჩენი** (*რა მიუსაჯეს ცასწავალას და სად და რა მდგომარეობაში დატოვეს ის ფრთოსნებმა?*);
6. **ზრუნვა ცასწავალაზე** (*ვინ იზრუნა ცასწავალაზე? რა გააკეთა და რატომ?*);
7. **უკანასკნელი აფრენა** (*რა მოხდა მეორე დღეს? რის პირობა დადო ცასწავალამ? რა გააკეთა და რა მოუვიდა?*);
8. **ცასწავალას დასაფლავება და ფრინველთა ვიშვიში** (*სად დაასაფლავეს ფრთოსნებმა ცასწავალა? რას აკეთებდნენ ისინი?*);
9. **გორაკზე ამობურცული მიწა** (*რატომ სწყდებოდა გული ყველას, ვინც კი ამ მიწას ნახულობდა?*).

- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლისთვის გეგმა ზედმეტად დეტალიზებულია, გაამარტივეთ იგი რამდენიმე პუნქტის გაერთიანებით ისე, რომ რვა პუნქტის ნაცვლად მიიღოთ ოთხი; შესაძლებელია საჭირო გახდეს გეგმის პუნქტების გათვალსაჩინოება შესაბამისი ვიზუალური გამოსახულების ან სიუჟეტური სურათის დამატებით ყოველი პუნქტის გასწვრივ.
- ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია საჭირო გახდეს მოსწავლისთვის დამატებით სიუჟეტური სურათის მიწოდება, იმისათვის რომ მან შეძლოს ტექსტის ზედმიწევნით გადმოცემა; თუმცა ამ შემთხვევაშიც აუცილებელია სთხოვოთ მოსწავლეს, გაჰყვეს მიცემულ გეგმას და სიუჟეტი აღადგინოს გეგმის მიხედვით.

ამის შემდეგ მიეცით მოსწავლეებს მხოლოდ გეგმა (კონკრეტული აქცენტების გარეშე) და შეასრულებინეთ დავალება. დავალების შესრულების შემდეგ სთხოვეთ, წაიკითხონ საკუთარი ნაწერები და შეასწორონ დაშვებული შეცდომები. შემდეგ გაეცანით მოსწავლეთა ნამუშევრებს და შეამოწმეთ ისინი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- **პირობასთან შესაბამისობა** (გეგმის მოთხოვნების გათვალისწინება);
- **კომუნიკაციური უნარ-ჩვევები** (აზრობრივი და ლოგიკური კავშირები, აზრის გასაგებად და თანმიმდევრულად ჩამოყალიბება);
- **ენობრივი უნარ-ჩვევები** (ენობრივი სიზუსტის დაცვა, ლექსიკის ადეკვატური გამოყენება, სასვენი ნიშნების სათანადოდ გამოყენება).

იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლეს აქვს წერასთან დაკავშირებული სირთულეები, შესაძლებელია მას მოსთხოვოთ ტექსტის თხრობა - ვერბალური გადმოცემა (ნაცვლად წერისა), თუმცა ამ შემთხვევაში გახსოვდეთ, რომ იცვლება საწყისი მიზანი.

სიუჟეტური სურათის დამატებით გამოყენება შესაძლებელია რეკომენდებული იყოს როგორც ტექსტის შინაარსის ზეპირად გადმოცემისას, ისე - წერილობით. ტექსტის ვერბალურად გადმოცემის შემთხვევაშიც შესაძლებელია მოსწავლე შეფასდეს ზემოთ წარმოდგენილი კრიტერიუმების საფუძველზე.

აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ შემოწმების მიზანი უნდა იყოს სწავლის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფა და სწავლების პროცესში თითოეული მოსწავლის განვითარებისათვის მაქსიმალურად ხელშეწყობა. შესაბამისად, შეამოწმეთ მოსწავლეთა მიღწევის დონე არა ნიშნების დასაწერად, არამედ მათ დასახმარებლად. სწორედ ამ პოზიციიდან შეაფასეთ მოსწავლები, კერძოდ, არა სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებთან, არამედ საკუთარ მიღწევებთან მიმართებით.

მოინიშნეთ, რომელ მოსწავლეს რა უჭირს. შემდეგ მოსწავლეებთან ერთად განიხილეთ შესრულებული სამუშაო, მიღებული შედეგები და განსაზღვრეთ, რა გამოუვიდათ კარგად, რისი გაკეთება სჯობდა სხვაგვარად, რაში გამოვლინდა მათი ძლიერი და სუსტი მხარეები და რა უნდა გააუმჯობესონ.

2. გეგმის ნაცვლად საყრდენად შეგიძლიათ გამოიყენოთ მოსწავლეთა მიერ შესრულებული ილუსტრაციებიც, რომლებიც უკვე დაახატვინეთ ტექსტის გაგება-გააზრებაზე მუშაობის პროცესში (იხ. ზემოთ, გვ. 148).

3. საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ შეამციროთ და გაამარტივოთ დავალება კონკრეტული მოსწავლისათვის - დააწერინეთ არა სრული ტექსტის, არამედ ცალკეული ეპიზოდების შინაარსები და საყრდენებად მიეცით კონკრეტული შეკითხვები, მაგ.:

ცასწავალას სურვილი და უღონობა

1. ვინ იყო და სად ცხოვრობდა ცასწავალა?
2. როგორი იყო გარეგნულად?
3. რატომ ერქვა ცასწავალა?
4. რას აკეთებდა ხოლმე?
5. რით მთავრდებოდა ეს?
6. როგორ და რატომ მალავდა თავის უღონობას?

ცასწავალას გასამართლება

1. რა მოუწყვეს ფრთოსნებმა ცასწავალას?
2. როგორ მიიყვანეს ის პროცესზე?
3. ვინ იყო მოსამართლე?
4. რაში დაადანაშაულა მან ცასწავალა?
5. რა მიუსაჯეს ცასწავალას?
6. სად და რა მდგომარეობაში დატოვეს ის ფრთოსნებმა?

აქტივობის შესრულება არა სრულ ტექსტთან, არამედ მის რომელიმე კონკრეტულ ეპიზოდთან მიმართებით, რეკომენდებულია განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ გსურთ, რომ მოსწავლემ გამოიმუშაოს ტექსტის დეტალების გარჩევის უნარი.

აქტივობა 2. ტექსტის მიმართ საკუთარი დამოკიდებულებების წერილობით გამოხატვა

აქტივობის მიზანი:

- ანალიზისა და ლოგიკური აზროვნებისა და ესთეტიკური და ეთიკური შეფასების სურვილის გამოვლენა;
- ენობრივი ცოდნის ადეკვატური გამოყენება;
- შემოქმედებითი უნარების განვითარება;
- სათანადო სტრატეგიების გამოყენება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).13

- გამოხატავს საკუთარ მოსაზრებას/დამოკიდებულებას, ცდილობს მის ახსნას.

ქართ.დაწყ.(I).14

- სათანადოდ იყენებს ნაცნობი გრამატიკული ფორმების მართლწერის წესებს წინადადების/ფრაზის აგებისას;
- მართებულად იყენებს სასვენ ნიშნებს (წერტილს, კითხვისა და ძახილის ნიშნებს, ბრჭყალებს, ორწერტილს, ტირეს, მრავალწერტილს);
- საჭიროებისამებრ ყოფს ნამუშევარს აბზაცებად შინაარსობრივი თანამიმდევრულობისა და ლოგიკური შესაბამისობის დაცვით.

ქართ.დაწყ.(I).15

- იყენებს მოდელს, საყრდენებს, მითითებებს;
- საჭიროებისამებრ იყენებს მარტივ გრაფიკულ მაორგანიზებლებს;
- შეადგენს წერითი დავალების მოკლე გეგმას;
- უბრუნდება ნაწერს კორექტირებისთვის, ამჩნევს და ასწორებს სხვადასხვა სახის შეცდომებს (ჩაამატებს, ამოშლის ან გადასვამს ტექსტში ასოს, სიტყვას, ფრაზას / წინადადებას);
- ხმამაღლა კითხულობს საკუთარ ნაწერს, ცვლის ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთს ესთეტიკური თვალსაზრისით უკეთესი ვარიანტით.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

1. ტექსტის დამუშავებისა და საკუთარ შთაბეჭდილებებზე საუბრის შემდგომ (იხ. ზემოთ, აქტივობა 1) შესთავაზეთ მოსწავლეებს ამ შთაბეჭდილებების წერილობით გამოხატვა.

2. ჩამოწერეთ საყრდენი შეკითხვები და სთხოვეთ მოსწავლეებს, ამ შეკითხვებზე დაყრდნობით ისაუბრონ საკუთარ შთაბეჭდილებებზე:

1. მოგეწონათ თუ არა ტექსტი?
2. რა დაგამახსოვრდათ ტექსტში ყველაზე მეტად და რატომ?
3. რამ იმოქმედა განსაკუთრებით? რა ემოცია გამოიწვია თქვენში და რატომ?
4. თქვენი ნება რომ იყოს, შეცვლიდით თუ არა რამეს ტექსტში? რას შეცვლიდით და რატომ?

მოსწავლეებმა წერის პროცესის სამივე ეტაპისთვის უნდა გამოიყენონ სათანადო სტრატეგიები. კიდევ ერთხელ გააცანით მათ ეს სტრატეგიები (ზოგი მათთვის ნაცნობია და ზოგიც - ახალი):

ა) წერის დაწყებამდე:

საჭირო ცოდნის გააქტიურება

მეხსიერებაში მოიძიეთ საჭირო ინფორმაცია როგორც ენობრივი, ისე სიუჟეტთან დაკავშირებული.

იდეების ბანკი

ჩამოწერეთ ყველა იდეა, რომლებიც საწერ თემატიკასთან დაკავშირებით მოგივათ.

გეგმა

მოიფიქრეთ, როგორ დააკავშირებთ ამ იდეებს ერთმანეთთან, ანუ შეიმუშავეთ გეგმა, რომელსაც წერის დროს გამოიყენებთ.

ბ) წერის პროცესი:

შავი ვარიანტი

დაწერეთ ჯერ შავი ვარიანტი →

წერის პროცესში მუდმივად დააკვირდით ნაწერს; განსაჯეთ, რამდენად ახერხებთ სათქმელის გასაგებად და თანამიმდევრულად გადმოცემას; საჭიროების შემთხვევაში შეიტანეთ ცვლილება - შეცვალეთ გეგმა, დაამატეთ ან მოაკელით ინფორმაცია და ა.შ.;

გ) წერის დასრულების შემდეგ:

შავი ვარიანტი

გაასწორეთ ენობრივი შეცდომები (გრამატიკული, ორთოგრაფიული, პუნქტუაციური).

შემოწმებისას იფიქრეთ მკითხველზე - დაამატეთ ან ამოიღეთ ის სიტყვა, წინადადება, რომელიც ფიქრობთ, რომ თქვენს სათქმელს კარგად არ გამოხატავს და მკითხველისთვის ძნელად გასაგები იქნება.

→

საბოლოო ვარიანტი

გადაათეთრეთ ნაწერი.

საჭიროებისას მოსწავლეს შეგიძლიათ გაუმარტივოთ დავალება და შესთავაზოთ შემდეგი: ჯერ დახატოს ის ეპიზოდი, რომელმაც ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. ამის შემდეგ წერილობით ან ზეპირად ისაუბროს საკუთარ ნამუშევარზე - დაასახელოს, რომელმა ეპიზოდმა მოახდინა განსაკუთრებული შთაბეჭდილება; როგორ გადმოსცა ეს ნახატით - (აღწეროს ნახატი); მიუთითოს, კონკრეტულად რამ მოახდინა მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება ამ ეპიზოდში; დაასახელოს, რას განიცდის და რას გრძნობს.

თუ მოსწავლეს აქვს ხატვასთან დაკავშირებული სირთულეები, მიეცით მას შესაძლებლობა ცასწავალას სერიულ სიუჟეტურ სურათზე მიუთითოს ის ეპიზოდი, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. შესაბამისი შეკითხვების დასმით წაახალისეთ დამოკიდებულების გამოხატვა.

წერის, საუბრის დაწყებამდე მიეცით კითხვები, რომლებიც დაეხმარება მას პასუხის გაცემასა და სათქმელის თანმიმდევრულად გადმოცემაში:

1. რომელი ეპიზოდი დახატე (აირჩიე) და რატომ?
2. კონკრეტულად რამ მოახდინა შენზე შთაბეჭდილება? რატომ?
3. რა ემოციები გამოიწვია შენში ამან?
4. როგორ / რით გამოხატე ეს შენს ნახატში?
5. აღწერე შენი ნახატი.

აქტივობა 3. ინტერვიუს მომზადება

აქტივობის მიზანი:

- შეკითხვების შედგენა გოდერძი ჩოხელთან წარმოსახვითი ინტერვიუსათვის;
- შემოქმედებითი უნარების განვითარება;
- სათანადო სტრატეგიების გამოყენება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(I).14

- სათანადოდ იყენებს ნაცნობი გრამატიკული ფორმების მართლწერის წესებს წინადადების/ფრაზის აგებისას;
- მართებულად იყენებს სასვენ ნიშნებს (წერტილს, კითხვისა და ძახილის ნიშნებს, ბრჭყალებს, ორწერტილს, ტირეს, მრავალწერტილს);
- სათანადოდ იყენებს ეტიკეტური მეტყველების ფორმებს პრაგმატული ტექსტების შედგენისას.

ქართ.დაწყ.(I).15

- წერის დაწყებამდე განსაზღვრავს ტექსტის დანიშნულებას და ადრესატს პრაგმატული ტექსტებისთვის;
- იყენებს მოდელს, საყრდენებს, მითითებებს;
- საჭიროებისამებრ იყენებს მარტივ გრაფიკულ მაორგანიზებლებს;
- მოდელზე დაყრდნობით (მითითებების მიხედვით) სათანადოდ აფორმებს მარტივ პრაგმატულ ტექსტებს;
- მარტივი საძიებო სისტემის მეშვეობით წინასწარ მოიძიებს საჭირო ინფორმაციას (ბეჭდური / ელექტრონული რესურსების გამოყენებით);
- უბრუნდება ნაწერს კორექტირებისთვის, ამჩნევს და ასწორებს სხვადასხვა სახის შეცდომებს (ჩაამატებს, ამოშლის ან გადასვამს ტექსტში ასოს, სიტყვას, ფრაზას / წინადადებას);
- ხმამაღლა კითხულობს საკუთარ ნაწერს, ცვლის ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთს ესთეტიკური თვალსაზრისით უკეთესი ვარიანტით.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

1. გააცანით მოსწავლეებს წერითი დავალების მიზანი: *წარმოიდგინეთ, თქვენ ხართ ჟურნალისტი და ინტერვიუ უნდა აიღოთ გოდერძი ჩოხელისაგან. თქვენი მიზანია, მოამზადოთ ის შეკითხვები, რომლებიც გაინტერესებთ და გინდათ, რომ დაუსვათ მწერალს. შეკითხვების შერჩევაში სრული თავისუფლება გაქვთ.*

2. ჰკითხეთ, ახსოვთ თუ არა ის ინფორმაციები, რომლებიც გააცანით მოსწავლეებს (ისტორიები, რომლებიც წაუკითხეთ; ფილმები, რომლებიც აჩვენეთ).

საჭიროებისამებრ, დავალების შესრულებამდე კიდევ ერთხელ გააცანით თქვენ მიერ მოძიებული ინფორმაციები გოდერძი ჩოხელის შესახებ (არ არის აუცილებელი ყველაფერი გაიმეოროთ. შეარჩიეთ ისეთი მასალა, რომელიც საინტერესო შეკითხვების დასმის საშუალებას მისცემს მოსწავლეებს.

შეგიძლიათ განმეორებით აჩვენოთ ნაწყვეტებიც მითითებული დოკუმენტური ფილმებიდან: „ცასწავალა“ /http://kids.ge/story?id=40; **“მე ვარ გოდერძი ჩოხელი“ “Me var Goderdzi Chokheli“ -** https://www.youtube.com/watch?v=OmYIqZehZE4;

3. ამის შემდეგ დააჯგუფეთ მოსწავლეები და მიეცით კონკრეტული სტრატეგიები:

ა) წერის დაწყებამდე:

საჭირო ცოდნის გააქტიურება

გაიხსენეთ თქვენთვის საინტერესო დეტალები, ისტორიები, თემები და ა.შ., რომლებმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილებები მოახდინა თქვენზე.

იდეების ბანკი

ჩამოწერეთ სურვილები, ინტერესები, თემები - რის შესახებ დაუსვამდით შეკითხვას;

დამატებით რისი გაგება გენდომებოდათ მისგან.

შეკითხვების პაკეტი

თქვენი მოსაზრებები, სურვილები და ინტერესები აქციეთ შეკითხვებად, ანუ შექმენით შეკითხვების ბანკი.

იმისათვის, რომ მოსწავლისთვის გასაგები იყოს დავალების პირობა, შესაძლებელია, საჭირო შექნას მისი წინასწარ გავარჯიშება მსგავსი ტიპის აქტივობების შესრულებაში.

საწყის ეტაპზე შესაძლებელია რეკომენდებული იყოს, რომ მან თვალი ადევნოს თანაკლასელთა შორის გამართულ დიალოგს, როდესაც ერთი ჟურნალისტია, ხოლო მეორე - მისი რესპონდენტი; შესაძლებელია აჩვენოთ ვიდეოინტერვიუ და გააანალიზოთ ის.

ბ) წერის პროცესი:

შავი ვარიანტი

შეადგინეთ ჯერ შავი ვარიანტი.

→

დააკვირდით:

ხომ არ მეორდება შეკითხვები?

გასაგებად არის თუ არა შეკითხვა ფორმულირებული?

საინტერესო იქნება თუ არა თქვენი შეკითხვები რესპოდენტისთვის?

საჭიროების შემთხვევაში, შეიტანეთ ცვლილება - შეცვალეთ შეკითხვა, თემა და ა.შ.

გ) წერის დასრულების შემდეგ:

შავი ვარიანტი

გაასწორეთ ენობრივი შეცდომები (გრამატიკული, ორთოგრაფიული, პუნქტუაციური);

ლოგიკური თანმიმდევრობით დაალაგეთ თქვენი შეკითხვები (იფიქრეთ, რომელი შეკითხვით დაიწყებთ, შემდეგ რომელი შეკითხვით გააგრძელებთ და რატომ? რომელი შეკითხვით დაასრულებთ და ა.შ.).

→

საბოლოო ვარიანტი

გადაათეთრეთ ნაწერი.

დასახმარებლად მოსწავლეებს მიეცით სავარაუდო თემებისა და იმ კითხვითი სიტყვების ჩამონათვალი, რომელიც უნდა გამოიყენონ შეკითხვების აგებისას. გააცანით ის ენობრივი ფორმულები, რომლებითაც სასურველია შეკითხვის დაწყება. ნიმუშისათვის ზეპირად უთხარით რამდენიმე შეკითხვის თქვენეული ვერსია.

სავარაუდო თემები: ბავშვობა, სკოლა, გართობა, პირველი წიგნი, პირველი ფილმი, „ცასწავალას“ წერის პროცესი, პერსონაჟების შერჩევა და ა.შ.

კითხვითი სიტყვები: **ვინ? რა? სად? როდის? როგორ? რატომ? როგორი? რომელი?**

შეკითხვების დასაწყებად: ბატონო გოდერძი, ...; გაიხსენეთ, ...; თქვენი აზრით, როგორი ...; იქნებ გაიხსენოთ, რომელი ... და ა.შ.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა შეკითხვების დამოუკიდებლად ფორმულირება, მიეცით სათანადო ჩამონათვალი, სთხოვეთ ყურადღებით გაეცნოს მას და ამოარჩიოს მისთვის საინტერესო, შერჩეულ თემასთან დაკავშირებული შეკითხვები.

შეკითხვების ფორმულირებისას და ჩამონათვალის შედგენისას განსაზღვრეთ ისეთი შეკითხვებიც, რომლებიც მოცემულ თემას არ უკავშირდება ან მხოლოდ ნაწილობრივ კავშირშია მასთან. ამ შემთხვევაში თავიდან აირიდებთა მოსწავლის მხრიდან შეკითხვების მექანიკურ შერჩევას, რადგან მას მოუწევს ყურადღებით წაიკითხოს და გააანალიზოს ყოველი შეკითხვა, მისი კავშირი მოცემულ თემასთან და ამის მიხედვით გააკეთოს არჩევანი.

არარელევანტური შეკითხვების შერჩევისას ჰკითხეთ მოსწავლეს, რატომ გააკეთა ასეთი არჩევანი და სთხოვეთ ზოგიერთი კითხვის ჩანაცვლება. ასევე იმუშავეთ შეკითხვების სწორი თანმიმდევრობის განსაზღვრაზე.

თავი II.

დაწყებითი საფეხურის მეორე ეტაპი

(V – VI კლასები)

1. ზეპირმეტყველების კულტურის გამომუშავება

ამ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს:

- კრიტიკული მოსმენის, მოსმენილის ინტერპრეტაციისა და შეფასების უნარ-ჩვევების გამომუშავებას;
- ინდივიდუალური და ჯგუფური საკომუნიკაციო უნარების, ასევე თვითგამოხატვის უნარ-ჩვევების განვითარებას;
- სათანადოდ რეაგირებას გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით; იმის ახსნას, რატომ წარმოადგენს სიძნელეს ესა თუ ის საკითხი / მოვლენა;
- პრობლემის გადაჭრის საკუთარი გზის დასახელებას და ამ არჩევანის მარტივად დასაბუთებას;
- კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და/ან სხვადასხვა ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირების საფუძველზე ლოგიკური დასკვნების გამოტანას;
- ინფორმაციის საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირებას;
- საკუთარი შეხედულების / შეფასების დასაბუთებას;
- მარტივ დისკუსიებში მონაწილეობასა და სხვა.

1.1. სტანდარტის შედეგები და ტიპური აქტივობები

სტანდარტის შედეგები, რომლებიც უზრუნველყოფს ზეპირმეტყველების კულტურის გამომუშავებას დაწყებითი საფეხურის მეორე ეტაპზე:

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

ქართ.დაწყ.(II).1
სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად;

ქართ.დაწყ.(II).3
სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ნაცნობი ტექსტების ინტერპრეტირება და შეფასება; მათ მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება (საწყის დონეზე);

ქართ.დაწყ.(II).4
სათანადო ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ამოცნობა და ადეკვატურად გამოყენება;

ქართ.დაწყ.(II).5
ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.

სტანდარტით განსაზღვრული საკომუნიკაციო სიტუაციები მიღწევათა დონეების გათვალისწინებით:

მეხუთე კლასი	• მოსმენილის შეფასება სხვადასხვა პოზიციიდან; • თანატოლებთან ერთად წაკითხული ან მოსმენილი ინფორმაციის მოკლედ, რეზიუმეს სახით გადმოცემა და ძირითად საკითხებზე მუშაობა როგორც ინდივიდუალურად, ასევე წყვილებში; • მოსმენილი ამბის დროის შეცვლა, მოქმედების გადატანა წარსულში / აწმყოში / მომავალში; • დადებითი და უარყოფითი ემოციის გადმოცემა ზეპირად; • პერსონაჟის ხასიათის, მისთვის დამახასიათებელი თვისებების შესახებ საუბარი კონკრეტული ეპიზოდის მიხედვით; • მსჯელობა მოსმენილი ან წაკითხული ტექსტის პერსონაჟზე დახასიათების სქემების გამოყენებით; • ამა თუ იმ თემის შესახებ იდეებისა და თვალსაზრისების ჩამოყალიბება და ზეპირად გადმოცემა; • საკუთარი თვალსაზრისის არგუმენტირება და შეჯერება მეწყვილესთან / ჯგუფის წევრებთან; • ლიტერატურული დისკუსიების ორგანიზება ნაწარმოების განხილვის მიზნით; • მოკლე ზეპირი გამოსვლა ნაცნობ თემაზე / საკითხზე;

	• გონებრივი იერიშის ჩატარება სხვადასხვა თემაზე / საკითხზე; • მოსმენილ მხატვრულ ტექსტში ასახული განწყობის იდენტიფიცირება, ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების, მიღებული შთაბეჭდილების გადმოცემა (მაგ., ე.წ. ემოციური კომენტარების მეშვეობით); • გამომსახველობითი კითხვის სესიის / კონკურსის ორგანიზება; • და სხვა.
მეექვსე კლასი	• სხვის მიერ მოთხრობილი ამბის / გამოთქმული მოსაზრების გადმოცემა საკუთარი სიტყვებით; • ზეპირი მოხსენების მომზადება სხვადასხვა თემაზე მოკლე გეგმის მიხედვით; • ნაცნობი ტექსტის პერსონაჟის წარმოსახვითი აღწერა (იმ შემთხვევებში, როდესაც ტექსტში არ გვხვდება პერსონაჟის პორტრეტი); • არაოფიციალური კამათი / დებატები მოსწავლეთა ორ ჯგუფს შორის (მათთვის საინტერესო პრობლემურ თემაზე/საკითხზე); • მოსმენილი / წაკითხული ფრაგმენტის საფუძველზე მთლიანი ტექსტის რეკონსტრუირება; • შესრულებული პროექტების პრეზენტაცია კლასის წინაშე; • მინისპექტაკლების დადგმა; • ლიტერატურული სამსჯავროს მოწყობა; • ლიტერატურული საღამოების / შეხვედრების ორგანიზება (შეხვედრები მწერლებთან, მეცნიერებთან, სპორტსმენებთან) • და სხვა.

პრიორიტეტული თემების ნიმუშები დისკუსიისა და იმიტირებული სიტუაციებისათვის:

- როგორ მოვიქცეთ ბუნებრივი მოვლენების / კატასტროფების, გაზის გაჟონვის დროს?
- გარემოს სისუფთავის დაცვა. რატომ უნდა გავუფრთხილდეთ გარემოს?
- როგორ მოვიქცეთ საკვები პროდუქტებისა და წამლების შეძენისას?
- როგორ გადავჭრათ პრობლემა კონფლიქტურ სიტუაციებში?
- ბულინგი. როგორ დავიცვათ ჩვენი უფლებები?
- ქცევის წესები: ოჯახში, კლასში, სკოლაში, ეზოში, ქუჩაში, სახლში, ტრანსპორტში და ა. შ.
- ჯანსაღი ცხოვრების წესი, ჯანსაღი კვება; კომპიუტერი და ჯანმრთელობა; ძილი და უძილობა; დიეტა მოზარდებში;
- რას ვირჩევთ - წიგნს თუ კომპიუტერს?
- და ა.შ.

1.2. აქტივობათა ნიმუშები

მეხუთე კლასი

აქტივობა 1. გამოსავლის პოვნა საგანგებო სიტუაციაში (პრობლემის გადაჭრა)

აქტივობის მიზანი:

- საჭირო ინფორმაციის ფლობა საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის შესახებ;
- პრობლემის მყისიერი გადაჭრის უნარის განვითარება;
- საკუთარი თვალსაზრისის არგუმენტირება და შეჯერება მეწყვილესთან/ჯგუფის წევრებთან;
- სამეტყველო ქცევის ადეკვატური გამოყენების უნარი.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(II).1

- ჯგუფთან ერთად ამზადებს ზეპირ გამოსვლას: შემუშავებულ თვალსაზრისს აცნობს და უთანხმებს ჯგუფის წევრებს;
- ითვალისწინებს და გამოხატავს თანაგუნდელების საერთო აზრს;
- ინაწილებს პასუხისმგებლობას ჯგუფის სახელით გამოთქმულ მოსაზრებაზე;
- ნათლად წარმოადგენს საკითხს ზეპირი გამოსვლის დროს;
- საუბრობს სათანადო ტემპით, მკაფიოდ და გარკვევით;
- საჭიროებისამებრ იყენებს მეტყველების არავერბალურ საშუალებებს.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

მოცემული აქტივობა ემსახურება მოსწავლეთა სამოქალაქო განათლებას, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა აღჭურვას საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის შესახებ საჭირო ინფორმაციით, და მის ადეკვატურ გამოყენებას.

ამ მიზნის მისაღწევად შესაძლებელია აქტივობის განხორციელება სხვადასხვა გზით: ა) ჯერ ვაწვდით მოსწავლეებს ინფორმაციას 112-ის ფუნქციებისა და მისი საქმიანობის შესახებ და შემდეგ ვთავაზობთ სხვადასხვა სიტუაციას გასათამაშებლად; ბ) ჯერ ვთავაზობთ საგანგებო სიტუაციებს და ვაკვირდებით, რა ცოდნასა და უნარს გამოიყენებენ მოსწავლეები კონკრეტულ შემთხვევებში, ბოლოს ვაწვდით საჭირო ინფორმაციას 112-ის შესახებ.

ჩვენი რეკომენდაციაა, ჯერ სიტუაციები გაათამაშებინოთ მოსწავლეებს და მათი გაანალიზების შემდეგ მიაწოდოთ საჭირო ინფორმაცია. ეს საშუალებას მოგცემთ: შეაფასოთ და შეადაროთ მოსწავლეთა პირადი გამოცდილება ერთმანეთს; ყურადღება გაამახვილოთ მათ მცდარ წარმოდგენებსა და არასწორ ქცევებზე; მიუთითოთ იმის შესახებ, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მათ მიერ გადადგმულ არასწორ ნაბიჯს, არამართებულ ქცევას და ა.შ.

1. დაყავით კლასი მცირე ჯგუფებად, მიეცით მათ ერთმანეთისაგან განსხვავებული სიტუაციები (შესაძლებელია ერთი ჯგუფისათვის 2 სიტუაციის მიცემაც) და გააცანით დავალების პირობა: *გაეცანით მოცემულ სიტუაციებს და შეასრულეთ შემდეგი დავალებები:*

- *როგორ იმოქმედებთ კონკრეტულ შემთხვევაში - რას გააკეთებთ პირველ რიგში? როგორ მოიქცევით და ვის სთხოვთ დახმარებას? ვისთან წახვალთ ან დარეკავთ? როგორ გაამხნევებთ? / რას ეტყვით მას, ვისაც თქვენი დახმარება სჭირდება?* და ა.შ.
- დაასაბუთეთ თქვენი გადაწყვეტილება არგუმენტებით - *რატომ იქცევით ასე? / რატომ ეუბნებით ამას?*

დავალების პირობები დაწერეთ დაფაზე და დატოვეთ დავალების დასრულებამდე. მიეცით ჯგუფებს სათანადო დრო მოსაფიქრებლად.

საგანგებო სიტუაციების ნიმუშები:

სახლიდან გამოხვედი და შემთხვევით კარი ჩაიკეტა. გასაღები თან არ გაქვს. სახლში შენი 3 წლის ძმაა.

მთელ სახლში გაზის სუნი დგას. შენ კი მარტო ხარ.

შენი მეგობარი ლიფტით ამოდის. ამ დროს ლიფტი გაიჭედა.

მეზობლის სახლში ხანძარია. იცი, რომ სახლში არავინაა.

სკოლიდან სახლში ბრუნდები. შენ წინ ადამიანი წაიქცა და ძალიან დაშავდა. შენ გარდა იქ არავინაა.

ქუჩაში პატარა ბავშვი ნახე, რომელიც დაიკარგა.

ქუჩაში შეესწარი ავტოსაგზაო შემთხვევას. არიან დაზარალებულები და იქ შენ მეტი არავინაა.

სახლში შენ და ბებია მარტო ხართ. ბებია ცუდად გახდა და შენ გარდა მას მშველელი არავინ ჰყავს.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს კითხვის ან ნაწერის გააზრებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო გაუჭირდა გასაანალიზებელი შემთხვევების აღქმა, ნაწერთან ერთად მიაწოდეთ შესაბამისი სიუჟეტური სურათი.

იმისათვის, რომ მოსწავლეს სიტუაციიდან გამომდინარე ადეკვატური რეაგირება ჰქონდეს, მასთან ერთად აღწერეთ სიუჟეტი, განსაზღვრეთ საფრთხე და ამის შემდეგ ჰკითხეთ, როგორ იმოქმედებდა მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში.

2. ჯგუფები ცალ-ცალკე წარადგენენ შეთავაზებულ სიტუაციებს - განიხილავენ ცალკეულ შემთხვევებს, ასახელებენ საკუთარ პოზიციებს, გადაწყვეტილებებს და განმარტავენ საკუთარი ქცევის მოტივებს.

ჰკითხეთ მოსწავლეებს, *აღმოჩენილან თუ არა მსგავს სიტუაციებში, როგორ მოქცეულან, რა გაუკეთებიათ... იგივე გადაწყვეტილებები მიიღეს თუ არა ახლაც და რატომ?* და ა.შ.

ყველა ჯგუფის გამოსვლის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, შეაფასონ ერთმანეთის ქცევა - *სწორად მოიქცნენ თუ არა? ეთანხმებიან თუ არა გადაწყვეტილების მიიღებაში და რატომ? თავად როგორ მოიქცეოდნენ და რატომ?*

ამის შემდეგ შეაფასეთ მოსწავლეები, *რამდენად სწორად რეაგირებდნენ კონკრეტულ შემთხვევებში? მიუთითეთ, რა იყო არასწორი და რატომ? რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა მათ ამგვარ ქცევას?*

იმ შემთხვევაში, თუკი არავინ „ისარგებლა“ საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი სამსახურის დახმარებით, ჰკითხეთ, *სმენიათ თუ არა 112-ის შესახებ, რა იციან კონკრეტულად, საიდან იციან, რატომ არ შეატყობინეს 112-ს* და ა.შ.

თუ აღმოაჩენთ, რომ მოსწავლის მიერ დასახელებული რეაგირების გზები მცდარია ან დაზუსტებას საჭიროებს, დაუთმეთ ამ საკითხს შესაბამისი დრო, სანამ არ დარწმუნდებით, რომ მან გაიაზრა და დაიმახსოვრა სწორი ქმედებები და მათი თანმიმდევრობა კონკრეტულ სიტუაციებში.

ამის გადასამოწებლად რეკომენდებულია ისევ სიუჟეტური სურათების გამოყენება. მიაწოდეთ მოსწავლეს სიუჟეტური სურათი, სადაც გამოსახულია საგანგებო მდგომარეობა და სთხოვეთ, მოცემულ სიუჟეტურ სურათს შეუწყვილოს ის, რომელშიც მოცემულ საგანგებო შემთხვევაზე ადეკვატური რეაგირებაა ასახული.

3. გააცანით მოსწავლეებს ინფორმაცია 112-ის საქმიანობისა და ფუნქციების შესახებ და ამ სამსახურთან ურთიერთობის წესები:

საგანგებო სიტუაციებსა და გადაუდებელი დახმარების სამსახურის საქმიანობის სფეროს განეკუთვნება შემდეგი საგანგებო შემთხვევები: ა) სახანძრო და სამაშველო სიტუაციები; ბ) გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარება; გ) სამართალდარღვევები; დ) ბუნებრივი გაზის მოხმარებასთან დაკავშირებული საფრთხეების შემთხვევაში რეაგირების საჭიროება და ა.შ.

საგანგებო სიტუაციების დროს დახმარებისათვის უნდა დავრეკოთ ნომერზე - 112 და უამბოთ ოპერატორს შემთხვევის შესახებ; აუცილებლად უნდა ისაუბროთ გარკვევით და მშვიდად; ყურადღებით უნდა მოუსმინოთ ოპერატორის მიერ დასმულ ყველა შეკითხვას და უპასუხოთ; უთხარით მას თქვენი სახელი, გვარი, სად ხართ და რა მოხდა; არ გათიშოთ ტელეფონი, სანამ ოპერატორი არ გეტყვით, როგორ უნდა მოიქცეთ; თქვენს დასახმარებლად ძალიან მალე მოვა სამაშველო ბრიგადა.

112 არის 24-საათიანი საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი, სადაც მთელი საქართველოს მასშტაბით ყველას შეუძლია დარეკოს გადაუდებელი დახმარების მისაღებად. 112–ზე დარეკვა შესაძლებელია ნებისმიერი სახის ტელეფონიდან - როგორც სახლის, ისე მობილურიდანაც. გარდა ამისა, 112-ზე დარეკვა შესაძლებელია მაშინაც კი, თუ მობილური ტელეფონი გათიშულია ორმხრივად ან სიმბარათი არ აქვს.

დამატებითი ინფორმაციისა და შესაბამისი საგანმანათლებლო თამაშებისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ 112-ის სამსახურის ვებგვერდი სპეციალურად ბავშვებისათვის: http://kids.112.ge/

წერილობითი ინფორმაციის (ტექსტის) უკეთ გააზრებისთვის აყურებინეთ მოსწავლეებს ვიდეო რგოლი, სადაც ასახულია 112-ის საქმიანობა და ფუნქციები.

4. დაუბრუნდით შეთავაზებულ სიტუაციებს და სთხოვეთ მოსწავლეებს, დააკავშირონ თითოეული სიტუაცია საგანგებო სამსახურის საქმიანობის კონკრეტულ სფეროსთან - რომელი შემთხვევა რომელ სფეროს განეკუთვნება?

ა) სახანძრო და სამაშველო სიტუაციები; ბ) გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარება; გ) სამართალდარღვევები; დ) ბუნებრივი გაზის მოხმარებასთან დაკავშირებული საფრთხეები.

თუ მოსწავლესთან ამ აქტივობისა და თემის დამუშავებისას აქტიურად იყენებთ ბარათებს (სიუჟეტურ სურათებს), ამ ეტაპზეც რაციონალური იქნება მათი გამოყენება და დაჯგუფება შესაბამისი სფეროს მიხედვით. მაგ., დააჯგუფებინეთ ერთად ის ბარათები, რომლებიც გადაუდებელი სასწრაფო დახმარების საჭიროებაზე მიუთითებენ ან სამართალდარღვევის ფაქტს ასახავენ.

5. ბოლოს დააწყვილეთ მოსწავლეები, მიეცით კონკრეტული სიტუაცია (გამოიყენეთ შეთავაზებული სიტუაციები) და სთხოვეთ, *მოიფიქრონ და გაითამაშონ შესაბამისი დიალოგები 112-ის ოპერატორთან.* გააცანით ზოგადი მოთხოვნები - რას უნდა მიაქციოს ყურადღება „შემთხვევის თვითმხილველმა“ და რას - 112-ის ოპერატორმა:

შემთხვევის თვითმხილველი:

- მიაწოდეთ ოპერატორს ინფორმაცია შემთხვევის შესახებ;
- უთხარით მას თქვენი სახელი, გვარი, სად ხართ და უამბეთ, რა მოხდა;
- ისაუბრეთ გარკვევით და მშვიდად;
- ყურადღებით მოუსმინეთ ოპერატორის მიერ დასმულ ყველა შეკითხვას და უპასუხეთ კონკრეტულად;
- არ გათიშოთ ტელეფონი, ვიდრე ოპერატორი არ გეტყვით, როგორ უნდა მოიქცეთ.

112-ის ოპერატორი:

- ჰკითხეთ სახელი, გვარი და სად იმყოფება;
- სთხოვეთ გიამბოთ, რა მოხდა;
- დაუსვით კონკრეტული შეკითხვები მომხდარ ამბავთან დაკავშირებით;
- ყურადღებით მოუსმინეთ პასუხებს და ჩაიწერეთ;
- აუხსენით, როგორ მოიქცეს სამაშველო ბრიგადის მისვლამდე;
- დაამშვიდეთ და გაამხნევეთ;
- ისაუბრეთ გარკვევით და მშვიდად.

იმისათვის, რომ მოსწავლეებს გაუადვილდეთ როლური თამაში, შესაძლებელია საჭირო გახდეს თქვენი მონაწილეობა სიტუაციურ დიალოგში. პირველ ეტაპზე განასახიერეთ 112-ის თანამშრომელი და დაუსვით მოსწავლეს შესაბამისი შეკითხვები; მომდევნო ეტაპზე სთხოვეთ მოსწავლეს, თავად შეასრულოს 112-ის თანამშრომლის როლი და დაუსვას შეკითხვები თანაკლასელს.

შემდგომ ეტაპზე გაცვალეთ როლები, თქვენ იყავით თვითმხილველი, ხოლო მოსწავლე - ისევ ოპერატორი.

შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ საუბრისას არ უნდა დაავიწყდეთ სხვადასხვა სამეტყველო ფორმულების მიზნობრივი და ადეკვატური გამოყენება (ამის შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 25 პრიორიტეტული სამეტყველო ფუნქციების ცხრილში მითითებული სარეკომენდაციო ჩამონათვალი).

6. წყვილების შესაფასებლად გამოიყენეთ დაკვირვების ფურცელი. მასწავლებლის დაკვირვების ფურცელი რეკომენდაციებითურთ იხ. ზემოთ, გვ. 41-42.

აქტივობა 2. ემოციური კომენტარები პოეტური ნაწარმოების გარშემო

(ანა კალანდაძის ლექსი - „ასეთი დარი თუ იყო მაშინ“,
ვ. როდონია, ნ. ნაკუდაშვილი, ა. არაბული, მ. ხუციშვილი, V კლასი)

აქტივობის მიზანი:

- ემოციური კომენტარების მეშვეობით პირადი დამოკიდებულების, მიღებული ემოციებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა;
- წარმოსახვის უნარის განვითარება - ლექსში მოცემული დროის შეცვლა.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(II).1
- საუბრობს სათანადო ტემპით, მკაფიოდ და გარკვევით;
- საჭიროებისამებრ იყენებს მეტყველების არავერბალურ საშუალებებს.

ქართ.დაწყ.(II).2
- მონაწილეობს ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში, მსჯელობს ნაწარმოეში ასახული პრობლემის / კონფლიქტის შესახებ.

ქართ.დაწყ.(II).3
- ისმენს მხატვრულ ნაწარმოებს და გამოხატავს საკუთარ ემოციებსა და შთაბეჭდილებებს;
- ასახელებს მისთვის ესთეტიკურად მიმზიდველ ადგილებს მხატვრული ტექსტიდან;
- საუბრობს პოეტურ ნაწარმოებში გამოხატულ განწყობაზე;
- მონაწილეობს ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში;
- ასახელებს სხვადასხვა თვალსაზრისით მისთვის საინტერესო ადგილებს ტექსტიდან.

ქართ.დაწყ.(II).4
- კითხვის დასმის, თხოვნის, ბრძანების, გრძნობების გადმოცემის დროს იცავს სიტყვათა რიგს და მოდალობებისთვის დამახასიათებელ ინტონაციურ თავისებურებებს;
- საუბრის თემის, ადრესატისა და მიზნის შესაბამისად ირჩევს მხატვრულ (განცდებსა და შთაბეჭდილებებზე საუბრის) სტილს.

ქართ.დაწყ.(II).5
- ამყარებს მხედველობით კონტაქტს თანამოსაუბრესთან, აუდიტორიასთან.

ასეთი დარი თუ იყო მაშინ

მზემ აიწია ფეხის წვერებზე,
მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა.
იდგა თბილისი, როგორც ერეკლე,
ხმალშემართული ნარის ციხესთან...
ღრუბლები როკვით დაიძრნენ ქარში
და მიაშურეს ლილისფერ მთათა...
ასეთი დარი თუ იყო მაშინ,
ოდეს თბილისი აიკლეს სპარსთა?

ანა კალანდაძე

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

ემოციური კომენტარები ხელს უწყობს ესთეტიკური კითხვის, წაკითხულის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვისა და წარმოსახვის უნარის განვითარებას.

1. ემოციური კომენტარების შეთავაზებამდე, ლექსის გაგება-გააზრებაზე მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ შემდეგი:

ა) ლექსის შეტანამდე სთხოვეთ მოსწავლეებს, მოიძიონ ინფორმაცია კრწანისის ბრძოლის შესახებ და წარადგინონ კლასში (ან გაახსენეთ ისტორიაში ნასწავლი ეს ისტორიული ფაქტი - რას მოგვითხრობს და როგორ მოგვითხრობს თბილისის ისტორიაზე ნარიყალა; თუ ჯერ არ აქვთ გავლილი, შესაძლებელია თავად მიაწოდოთ ეს ინფორმაცია).

ბ) წააკითხეთ ლექსი მოსწავლეებს და სთხოვეთ, უპასუხონ შემდეგ შეკითხვებს: *რა გეცნოთ ლექსში? რომელი ისტორიულ ფაქტზეა ყურადღება გამახვილებული?* - კრწანისის ბრძოლა 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ; *რომელ ტაეპებშია ეს მინიშნებები?* –

„იდგა თბილისი, როგორც ერეკლე,
ხმალშემართული ნარის ციხესთან...“
„ოდეს თბილისი აიკლეს სპარსთა?“

რომელია ნარის ციხე? მაშასადამე, ამ ისტორიული ფაქტიდან კონკრეტულად რომელ ეპიზოდზეა ლექსში საუბარი? - ნარიყალასთან ბრძოლასა და თბილისის აღებაზე.

გ) ამის შემდეგ შეადარებინეთ მოსწავლეებს, როგორ არის გადმოცემული ეს ფაქტი ლექსში და როგორ - მათ მიერ მოძიებულ მასალაში / ისტორიაში. სად არის ეს ისტორიული სინამდვილე უფრო შემზარავად წარმოდგენილი - ლექსში თუ წყაროებში და რატომ? როგორ არის წარმოდგენილი ის ლექსში? ასევე შემზარავია თუ არა და რატომ?

ისტორიული სინამდვილის ამსახველი ტექსტის დასამუშავებლად გამოიყენეთ ზემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციები ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებით.

2. დაუბრუნდით ლექსს და იმუშავეთ მის მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებზე. ყურადღება მიაქცევინეთ ლექსში გამოყენებულ ისეთ მხატვრულ ხერხებზე, როგორებიცაა: **გაპიროვნება**, **გამეორება, შედარება** და **ეპითეტი**. საჭიროებისამებრ, გაახსენეთ, რას ნიშნავს, რას გულისხმობს თითოეული მათგანი და მოაძებნინეთ ლექსში შესაბამისი მაგალითები:

გაპიროვნება - მხატვრული ხერხი, რომელიც გულისხმობს ადამიანური თვისებების (და მოქმედებების) მიწერას სხვადასხვა სულიერი და უსულო, ასევე აბსტრაქტული საგნებისადმი. გაპიროვნება ტრადიციულად ყველაზე მეტად გავრცელებულია პოეზიაში.

მაგალითად: ***„მზემ აიწია ფეხის წვერებზე"; „მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა"; „იდგა თბილისი ხმალშემართული"; „ღრუბლები როკვით დაიძრნენ ქარში".***

შედარება - სტილისტიკური ხერხი, მხატვრული დახასიათების ფორმა, როდესაც საგნები და მოვლენები შედარებული ან შეპირისპირებულია ერთმანეთთან გარეგნული მახასიათებლებით თუ შინაგანი თვისებებით. შედარებისას უმეტესად იხმარება მაკავშირებელი სიტყვები და ნაწილაკები: *როგორც, მსგავსად, თითქოს, ვითარცა, -ვით, -ებრ* და სხვ.

მაგალითად: ***„იდგა თბილისი, როგორც ერეკლე".***

ეპითეტი - რაიმე საგნის, მოვლენის მხატვრულ-ემოციური განსაზღვრა, დახასიათება. ეპითეტად უმეტესად გამოიყენება ზედსართავი სახელები (მაგ.: „შენ ისე ***ღრმა*** ხარ ქართულო ცაო", „***ბებერი*** ტაო", „მე ძლიერ მიყვარს ***იისფერ*** თოვლის"...). იგი განსხვავდება განსაზღვრებისაგან, რომელიც საგნის ან მოვლენის ობიექტურ და ლოგიკურ კლასიფიკაციას ახდენს. ეპითეტი საგნის ან მოვლენის სუბიექტური და ემოციური დახასიათებაა და ეფუძნება ავტორის შემოქმედებით არჩევანს.

მაგალითად: ***„და მიაშურეს ლილისფერ მთათა..."***

გამეორება - სტილისტიკური ხერხი, რომელიც მხატვრულ მეტყველებაში გამოყენებულია აზრის ხაზგასმისა და მკითხველის ემოციის, შთაბეჭდილების გამაძლიერებელ საშუალებად. გვხვდება სხვადასხვა სახის გამეორება, მათ შორის: ბგერებისა („კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე") და სიტყვების („გათენდა! შეერთდით, შეერთდით, შეერთდით! დროშები, დროშები... დროშები ჩქარა!"). მოცემულ ლექსში ვხვდებით სიტყვების გამეორებას: ***„მზემ აიწია ფეხის წვერებზე, მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა".***

3. ლექსზე დაკვირვების შემდეგ ჯერ თქვენ წაიკითხეთ ლექსი ხმამაღლა სათანადო გამოთქმით, შესაბამისი მახვილებითა და ინტონაციით და შემდეგ მოსწავლეებსაც მიეცით ამის საშუალება.

4. დაუბრუნდით ლექსის სათაურს - **„ასეთი დარი თუ იყო მაშინ"** და სთხოვეთ, გამოხატონ საკუთარი აზრი მის შესახებ - *რატომ დაასათაურა პოეტმა ლექსი ამგვარად?*

მიეცით მინიშნებები:

ა) როგორ აღწერს პოეტი მზის ამოსვლას? რა არის ნათქვამი ღრუბლებზე? რა ფერია მთები?

ბ) რა მოლოდინი აქვს პოეტს - ასეთივე იქნებოდა თუ არა მზის ამოსვლა მაშინ? რა ფერი ექნებოდათ მთებს? „იცეკვებდნენ" თუ არა ღრუბლები? რატომ ფიქრობთ ასე?

5. სთხოვეთ ემოციური კომენტარების მომზადება და მათი გაზიარება თანაკლასელებისათვის. მიეცით კონკრეტული საყრდენები:

- გადმოეცით თქვენი ემოციები, როგორ ცოცხლდება თქვენს წარმოდგენაში მზე, ქარი, ღრუბლები და მთები მზის ქალაქში? არის თუ არა მომხიბვლელი და მშვენიერი? კონკრეტულად რომელი ტაეპები, სიტყვები იწვევს ამ ემოციას თქვენში და რატომ?

შესაძლებელია, მოსწავლეთა ნაწილს შესთავაზოთ წარმოსახვის გადმოცემა ნახატით და შემდეგ ასაუბროთ საკუთარ ნახატზე.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს აქვს ხატვასთან დაკავშირებული სირთულეები, შესთავაზეთ მას სხვადასხვა რეპროდუქცია და/ან ფოტო და სთხოვეთ აირჩიოს ის გამოსახულებები, რომლებიც, მისი აზრით, გამოხატავს ლექსში მოცემულ განწყობას, ინფორმაციას.

შესაძლებელია, რეპროდუქციები/ფოტოები ასახავდეს სხვადასხვა სახის დარს (მათ შორის იმგვარს, როგორიც ლექსშია აღწერილი), თბილისის ხედებს (მათ შორის ნარიყალას), თბილისს სხვადასხვა ეპოქაში (მათ შორის მე-18 საუკუნის), სხვადასხვა მეფეს (მათ შორის ერეკლე მეორეს).

გამოსახულებები მოსწავლეს თქვენ მიერ განსაზღვრული თანმიმდევრობით შესთავაზეთ. შესაძლებელია, აქცენტი მხოლოდ დარის ამსახველ გამოსახულებებზე გააკეთოთ ან ყველა მათგანზე.

წაახალისეთ გამოსახულებების აღწერის პროცესი. სთხოვეთ, დაასაბუთოს თავისი არჩევანი.

მეექვსე კლასი

აქტივობა 1. დისკუსიის (არაოფიციალური დებატების) მოწყობა (თემა: კომპიუტერი უფრო მნიშვნელოვანია თუ წიგნი)

აქტივობის მიზანი:

- არგუმენტირებული მსჯელობა და საკუთარი არგუმენტის დასაბუთება;
- სოციალური უნარ-ჩვევების გამომუშავება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(II).1

- ინდივიდუალურად ან თანამოაზრეებთან ერთად მონაწილეობს დისკუსიაში;
- ჯგუფთან ერთად წარმოადგენს და სათანადო არგუმენტებით იცავს საერთო პოზიციას;
- საუბრობს ნათლად და გარკვევით, გააზრებულად იყენებს შესაბამის არავერბალურ საშუალებებს;
- მეტყველების პროცესში თავისუფლად გადმოსცემს სხვის ნათქვამს.

ქართ.დაწყ.(II).4

- სამეტყველო ვითარებაში მოიძიებს და იყენებს აზრის გამოთქმისთვის აუცილებელ ლექსიკურ და გრამატიკულ საშუალებებს.

ქართ.დაწყ.(II).5

- მონაწილეობს დისკუსიის, დებატების წესების შემუშავებაში, მოსამზადებელი სამუშაოს განაწილებაში, საერთო ჯგუფური დავალების შესრულებაში;
- აუდიტორიის წინაშე გამოსვლამდე გადის რეპეტიციას;
- შემოიფარგლება კონკრეტული თემით და თავს არიდებს ზოგად საკითხებზე მსჯელობას;
- აზრის გამოთქმისას იცავს მიღებულ ფორმალობებს (დგება აუდიტორიის წინ და ამყარებს მსმენელებთან მხედველობით კონტაქტს);
- იყენებს მეტყველების ეტიკეტურ ფორმებს და სხვ.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში მსჯელობის, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაწყვეტის უნარის განვითარებას. ეხმარება მათ აზრის თანმიმდევრულად გამოხატვასა და ლოგიკური დასკვნების გამოტანაში, აგრეთვე სადავო საკითხების გადაჭრასა და ალტერნატიული გადაწყვეტილებების მოძიებაში.

არსებობს დისკუსიის/დებატების მოწყობის სხვადასხვა ფორმა: შესაძლებელია როგორც მთელი კლასის ჩართვა საკითხის განხილვაში, ისე კლასის დაყოფა მცირე ჯგუფებად. ჯგუფები წინასწარ ამუშავებენ სადებატო თემას / სადისკუსიო საკითხს - განიხილავენ ერთმანეთთან, აყალიბებენ საკუთარ მოსაზრებებს, თანხმდებიან საერთო პოზიციაზე, განსაზღვრავენ დებატებში მონაწილეობის ფუნქციებს - ვინ შეიძლება დაიწყოს, ვინ გააგრძელოს, ვინ როდის / რა შემთხვევაში ჩაერთოს, ვინ რის შესახებ ისაუბროს, ვინ რა არგუმენტი მოიშველიოს და ა.შ.

1. დისკუსიის (არაოფიციალური დებატების) გამართვამდე მოსწავლეები მოამზადეთ არგუმენტირებული მსჯელობისათვის. ამისათვის მნიშვნელოვანია, კარგად გააგებინოთ, რას გულისხმობს არგუმენტირების სტრუქტურა. ეს არის: ა) თვალსაზრისი / მოსაზრება, რომელიც უნდა დასაბუთდეს და ბ) არგუმენტი, რომელიც ასაბუთებს ამ მოსაზრებას; არგუმენტს თან ახლავს მტკიცებულება ან მტკიცებულებები - ფაქტები, მაგალითები სხვისი ან პირადი გამოცდილებიდან და ა.შ.

ა) გამოიყენეთ სქემა და კითხვების გამოყენებით გააკეთეთ აქცენტები: *რა არის მოსაზრება?* - კონკრეტული დებულება, გარკვეული აზრი რაიმე საკითხზე; *რა არის არგუმენტი?* - აზრის დასაბუთება; *რისთვის ვიყენებთ არგუმენტს?* - იმისათვის, რომ დავასაბუთოთ, მოცემული დებულება სწორია თუ არა; *როგორი სახის არგუმენტი არსებობს?* - მტკიცებითი ანუ არგუმენტი, რომელიც ეთანხმება გამოთქმულ მოსაზრებას და უარყოფითი ანუ არგუმენტი, რომელიც არ ეთანხმება ამ მოსაზრებას.

დ ა ა კ ვ ი რ დ ი!



ბ) საილუსტრაციოდ განიხილეთ სქემაზე მოცემული მაგალითი: წაიკითხეთ დებულება - *ცნობილია, რომ სახლში ცხოველის ყოლა ბავშვებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია* და დასვით შეკითხვა: *ასეა თუ არა?* ამის შემდეგ გააცანით მოსწავლეებს ჯერ მტკიცებითი არგუმენტი (*საიდან ჩანს, რომ ეს ასეა*) და შემდეგ - უარყოფითი (*საიდან ჩანს, რომ ეს ასე არ არის*).

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა სქემაში გარკვევა და დისკუსიის შემადგენელ საკითხებზე (მოსაზრება, არგუმენტი, მტკიცებულება) განმარტებების წარმოდგენა, გამოიწვიეთ ის მარტივ დებატებში. მიაწოდეთ რაიმე მოსაზრება, რომელზეც, თქვენი აზრით, მას თავისი შეხედულება ექნება ჩამოყალიბებული.

მიზანმიმართული შეკითხვებით წაახალისეთ მოსაზრების მიმართ პოზიციის დაფიქსირება, მისი არგუმენტირება, მტკიცებულების ან ფაქტების დასახელება და ა.შ.

ბ) სთხოვეთ მოსწავლეებს, აირჩიონ ის არგუმენტი, რომელსაც ეთანხმებიან და მოიტანონ სათანადო ფაქტი ან მაგალითი მის დასამტკიცებლად სხვისი ან პირადი ცხოვრებიდან.

2. ამის შემდეგ მიეცით ახალი სავარჯიშო: *გაეცანით ინფორმაციას და შეასრულეთ მოცემული დავალებები.*

ამბობენ, რომ მაიმუნებსაც შეუძლიათ თანაგრძნობის გამოხატვა. ერთხელ ჩიკაგოს ზოოპარკში სამი წლის ბიჭი გორილების ვოლიერში ჩავარდა და გონება დაკარგა. მდედრმა გორილამ ბიჭი აიყვანა და ნაზად დაარწია.

- დაასახელეთ, რომელია აქ მოსაზრება და რომელი - არგუმენტი.
- დაასახელეთ, მოყვანილი არგუმენტი მტკიცებითია თუ უარყოფითი. საიდან ჩანს?
- ამტკიცებს თუ არა მოყვანილი ფაქტი იმ მოსაზრებას, რომ მაიმუნებსაც შეუძლიათ თანაგრძნობის გამოხატვა?

3. გადადით სადებატო საკითხზე. მოსწავლეებს შესთავაზეთ კონკრეტული მოსაზრება სადისკუსიოდ - **ზოგი ფიქრობს, რომ კომპიუტერი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე წიგნი.**

მიეცით კონკრეტული შეკითხვები სადისკუსიო საკითხზე დასაფიქრებლად და სთხოვეთ, მოიფიქრონ შესაბამისი არგუმენტები საკუთარი პოზიციის გასამყარებლად:

1. რომელი უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის - წიგნი თუ კომპიუტერი, იქნებ ორივე ერთად? რატომ ფიქრობთ ასე?
2. რომელს უფრო მეტ დროს უთმობთ - წიგნს თუ კომპიუტერს? რატომ?
3. რა შემთხვევაში ანიჭებთ უპირატესობას წიგნს და რა შემთხვევაში - კომპიუტერს?
4. რა არის თქვენთვის წიგნი? კომპიუტერი? - ა) გართობა ბ) სიამოვნების მიღება გ) ცოდნის მიღების საშუალება დ) ინფორმაციის წყარო ე) დროის კარგვა ვ) ყველაფერი ერთად

4. დებატების დაწყებამდე მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავეთ დებატების წარმართვის წესები და სათანადო ქცევის ნორმები, მაგალითად:

- არ წამოვიყვიროთ. ხელის აწევით დავაფიქსიროთ დისკუსიაში ჩართვის / აზრის გამოთქმის სურვილი;
- არ შევაწყვეტინოთ ერთმანეთს საუბარი, დავაცადოთ აზრის გამოთქმა;
- დავიცვათ რეგლამენტი;
- პატივი ვცეთ სხვის მოსაზრებას;
- ვიყოთ კორექტულები მეტყველებისას და ქცევისას და ა.შ.

5. დებატების წინ შესაბამისად მოაწყვეთ სივრცე მოსწავლეებთან ერთად.

აქტივობა 2. ლიტერატურული სამსჯავროს გამართვა - იმიტირებული სასამართლო (ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობი“, ქართული ენა და ლიტერატურა, VI კლასი, ავტორები: ნინო გორდელაძე, გვანცა ჩხენკელი, თინათინ კუხიანიძე)

აქტივობის მიზანი:

- ტექსტის სიღრმისეული ცოდნის გამოვლენა;
- მხატვრულ ტექსტში მოცემული ამბის გააზრება/შეფასების უნარის ფლობა;
- პერსონაჟთა ქცევის გააზრების, პრობლემის შეფასებისა და სათანადო დასკვნების გამოტანის უნარის ფლობა;
- დამარწმუნებელი ზეპირი გამოსვლა;
- სოციალური და შემოქმედებითი უნარების განვითარება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(II).1

- თანატოლებთან ერთად მსჯელობს და კამათობს მოსმენილი/წაკითხული ინფორმაციის შესახებ;
- ინდივიდუალურად ან თანამოაზრეებთან ერთად მონაწილეობს დისკუსიაში;
- ჯგუფთან წარმოადგენს და სათანადო არგუმენტებით იცავს საერთო პოზიციას;
- მოჰყავს სათანადო ინფორმაცია ლოგიკური თანამიმდევრულობის დაცვით, გამოკვეთს არსებით საკითხს/საკითხებს;
- საუბრობს ნათლად და გარკვევით, გააზრებულად იყენებს შესაბამის არავერბალურ საშუალებებს;
- მეტყველების პროცესში თავისუფლად გადმოსცემს სხვის ნათქვამს.

ქართ.დაწყ.(II).3

- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ამა თუ იმ ფაქტისადმი;
- გადმოსცემს ტექსტში მოთხრობილ ამბავს სხვადასხვა პერსონაჟის პოზიციიდან;
- ასახელებს მისთვის მნიშვნელოვან ეპიზოდებს, გამონათქვამებს და ახდენს მათ ინტერპრეტირებას;
- აფასებს პერსონაჟების ქმედებას კონფლიქტურ, წინააღმდეგობრივი ხასიათის მქონე ეპიზოდებში;
- ირჩევს ტექსტში ასახული კონკრეტული პრობლემის გადაჭრისათვის შეთავაზებულ ალტერნატიულ ვარიანტებს შორის მისი თვალსაზრისით საუკეთესოს.

ქართ.დაწყ.(II).4

- კითხვის დასმის, თხოვნის, ბრძანების, გრძნობების გადმოცემის დროს იცავს სიტყვათა რიგს და მოდალობებისთვის დამახასიათებელ ინტონაციურ თავისებურებებს;
- საუბრის თემის, ადრესატისა და მიზნის შესაბამისად ირჩევს შესაბამის სტილს (მაგ., სასაუბროს ეტიკეტური დიალოგებისას და მხატვრულს განცდებსა და შთაბეჭდილებებზე საუბრისას).

ქართ.დაწყ.(II).5

- მონაწილეობს დისკუსიის, დებატების წესების შემუშავებაში, მოსამზადებელი სამუშაოს განაწილებაში, საერთო ჯგუფური დავალების შესრულებაში;
- სხვადასხვა საშუალებით (ბიბლიოთეკის, ინტერნეტის და ა.შ. მეშვეობით) აგროვებს მასალას, გააცნობს მას ჯგუფის წევრებს და ითვალისწინებს მათ აზრს;
- წინასწარ ამზადებს საჭირო რესურსს/თვალსაჩინოებებს;
- აუდიტორიის წინაშე გამოსვლამდე გადის რეპეტიციას;
- შემოიფარგლება კონკრეტული თემით და თავს არიდებს ზოგად საკითხებზე მსჯელობას; აზრის გამოთქმისას იცავს მიღებულ ფორმალობებს (დგება აუდიტორიის წინ და ამყარებს მსმენელებთან მხედველობით კონტაქტს;
- იყენებს მეტყველების ეტიკეტურ ფორმებს და სხვ.).

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

მსგავსი აქტივობები ზეპირმეტყველებითი უნარ-ჩვევების გამომუშავებასთან ერთად ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებასაც.

როგორც წესი, ლიტერატურული სამსჯავრო ეფუძნება სასწავლო მასალას. შესაბამისად, მსგავსი იმიტირებული სასამართლოს მოსაწყობად შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერი თხზულება, რომელშიც დასმულია პრობლემა ან ასახულია ადამიანური კონფლიქტები.

მოგებასა და წაგებას აქ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. მთავარი სხვა რამეა. ცალკეულ მოვლენებთან ერთად მსგავს სამსჯავროზე შიშვლდება ე.წ. პროცესში მონაწილეთა ხასიათები და შემოქმედებითი უნარები. მოსწავლეები ინაწილებენ როლებს და თუკი, ერთი მხრივ, ცდილობენ ზუსტად განასახიერონ საკუთარი პერსონაჟები, მეორე მხრივ, შეაქვთ საკუთარი შტრიხები, რომლებიც კიდევ უფრო მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდის ამ ყველაფერს. ამგვარ აქტივობებში მოსწავლეები უფრო თავისუფლები, გახსნილები და მოტივირებულები არიან. ცდილობენ სიღრმისეულად გაიაზრონ ტექსტი, ცალკეული ეპიზოდები, მომენტები, მოვლენებს შორის არსებული მიზეზშედეგობრივი კავშირები და ა.შ., რათა შეძლონ მყარი არგუმენტების მოფიქრება როგორც საკუთარი პერსონაჟის პოზიციის დასაცავად, ასევე სხვა პერსონაჟების გამამართლებელი ან გამამტყუნებელი მტკიცებულებების მოსაფიქრებლად.

1. ტექსტზე მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეებთან ერთად დაგეგმეთ იმიტირებული სასამართლოს მოწყობა - **„მონადირის გასამართლება“.**

ა) პირველ რიგში, საერთო გადაწყვეტილებით შეარჩიეთ:

- მოსამართლე და ნაფიცი მსაჯულები (განსაზღვრეთ ნაფიც მსაჯულთა რაოდენობა);
- ბრალდებული (მონადირე - ახალგაზრდა ბიჭი);
- მოწმეები: შვლის ნუკრი (მთავარი მოწმე), დედა-შვილი, მეცხვარე, მეცხვარის ყურშა.

დარჩენილი მოსწავლეები დაყავით ორ ჯგუფად - დაცვისა და ბრალდების მხარეებად და დაიწყეთ პროცესისათვის მზადება.

ბ) მოსწავლეებს გააცანით ძირითადი მეთოდები, რომელთა გამოყენებაც მნიშვნელოვანია ზოგადად ნებისმიერი დებატების წარმართვისას:

- **კითხვების დასმა:** ემყარება ლოგიკას და ითხოვს არგუმენტირებულ პასუხებს, რომელთა საშუალებითაც კეთდება სათანადო დასკვნები. ეს მეთოდი აქტუალურად გამოიყენება როგორც სასამართლო პროცესებზე დაკითხვისას, აგრეთვე დებატებშიც. მისი მიზანია ჭეშმარიტების დადგენა.

- **დარწმუნება:** მისი მიზანია ოპონენტის (აუდიტორიის) დარწმუნება ჩვენი აზრის უპირატესობაში. ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორედ ლოგიკური მსჯელობა და ლოგიკური კავშირების დადგენა.
- **ზემოქმედება:** ამ მეთოდის მიზანიც გულისხმობს იმ პირთა დარწმუნებას, რათა ჩვენს სასარგებლოდ იმოქმედონ, ოღონდ ეს ქმედება ლოგიკას არ ემყარება და მოიცავს სხვადასხვა ფსიქოლოგიურ და ემოციურ ზემოქმედებას.
- **ეფექტის მოხდენა:** ამ შემთხვევაში გამომსვლელისათვის მთავარი ხდება არა ის, თუ რას ამბობს, არამედ ის, თუ ვის ეუბნება. მისი ყურადღება მთლიანად აუდიტორიაზე გადადის და აქცენტი კეთდება ინტონაციაზე, ჟესტიკულაციასა და მიმიკაზე.

მკაფიოდ განუმარტეთ მონაწილეებს საკუთარი ფუნქციები და უფლება-მოვალეობანი, მაგ., რა ევალება **მოსამართლესა და ნაფიც მსაჯულებს?**

- ისინი ვალდებულნი არიან, იყვნენ სამართლიანები და მიუკერძოებლები; გადაწყვეტილება, რომელსაც წარადგენენ, უნდა დაასაბუთონ და გაამყარონ სათანადო არგუმენტებით.
- მოსამართლე ასევე ვალდებულია, წესების დაცვით წარმართოს პროცესი - უზრუნველყოს სიმშვიდე, წესრიგის დაცვა; პროცესის დამსწრე ყველა პირისაგან მოითხოვოს კორექტული დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ; გულისყურით მოუსმინოს გამომსვლელებს და ჩაინიშნოს მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, არგუმენტები და ა.შ.

გ) სთხოვეთ მოსწავლეებს, კიდევ ერთხელ მიუბრუნდნენ ტექსტს და მოინიშნონ მათთვის აზრობრივი და მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ეპიზოდები და გამონათქვამები, რომლებსაც გამოიყენებენ პროცესზე; ზედმიწევნით კარგად დაიმახსოვრონ განსაკუთრებით ის ეპიზოდები და ადგილები, რომელთა მოყოლაც (ან მოსმენაც) მოუწევთ პროცესზე დეტალურად, მაგალითად:

*სწორად იხსენებს თუ არა **დედა-შვილი შვლისა** და მის **ნუკრთან** შემთხვევით შეხვედრას - სად იყვნენ და რას აკეთებდნენ? რა რეაქცია ჰქონდათ? რა გაიგონეს / რა დაინახეს? / რა თქვეს? და ა.შ.*

*რას მოჰყვებიან **მეცხვარე** და **მისი ძაღლი** - რა იციან? რა არ იციან? რა დაინახეს? რა არ დაუნახავთ? რა გაიგეს? რა არ გაუგიათ? რა გააკეთეს? როგორ მოიქცნენ? და ა.შ.*

დ) ამის შემდეგ მხარეებს მიეცით წერილობითი ინსტრუქციები და შემდეგ ცალ-ცალკე იმუშავეთ მათთან.

ყურადღება გაამახვილეთ დამარწმუნებელი ზეპირი გამოსვლის მიზანზე - შეცვალოს მსმენელის აზრი, თვალსაზრისი, პოზიცია, შეხედულება და შეძლოს მისი დარწმუნება ან გადარწმუნება. ამისათვის მნიშვნელოვანია, გამომსვლელმა სწორად განსაზღვროს სათქმელი, კარგად ესმოდეს პრობლემა, ზედმიწევნით იცნობდეს საქმის დეტალებს, მის არგუმენტებს ახლდეს სათანადო მტკიცებულებები (დამადასტურებელი მასალა, ფაქტები, მაგალითები...) და ა.შ.

საჭიროებისამებრ, კიდევ ერთხელ აუხსენით, როგორ ააგონ არგუმენტირებული მსჯელობა, რა არის არგუმენტი და როგორი არგუმენტი არსებობს; რა შეიძლება გამოიყენონ დამატებით არგუმენტებად ზოგადად: ფაქტები, კვლევის შედეგები, ანალოგიები, მიზეზშედეგობრივი კავშირები და ა.შ.

აუხსენით მხარეებს, რომ საბოლოო სიტყვის დროს მათი ზეპირი გამოსვლა უფრო ცოცხალი, შთამბეჭდავი და საინტერესო იქნება მსმენელებისათვის, თუკი გამოსვლის ტექსტს არა უბრალოდ წაიკითხავენ, არამედ ზეპირად ისაუბრებენ და სათანადო კონტაქტს დაამყარებენ აუდიტორიასთან, თუმცა დასახმარებლად შეუძლიათ, გამოიყენონ მოკლე ჩანაწერები, გეგმა.

ასევე გააფრთხილეთ, რომ გამოსვლის ტექსტის მომზადებისას გეგმის შედგენასთან ერთად ასევე მნიშვნელოვანია შესავალი ნაწილისა და დასკვნის ჩამოყალიბება, ადეკვატური ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების სწორად შერჩევა და გამოყენება (მაგ., არგუმენტირებული მსჯელობისათვის დამახასიათებელი და შეფასება-დამოკიდებულების გამომხატველი ენობრივი ფორმულები და ა.შ.).

შესაძლებელია, მისცეთ მოსწავლეებს ენობრივი რესურსი, რომელსაც გამოიყენებენ ისინი ზეპირი გამოსვლის ტექსტის მომზადებისას, მაგალითად: ***როგორც ... ამბობს; ...ის ინფორმაციით; ჩვენი ვარაუდით; როგორც გაირკვა; ზოგადად ცნობილია, რომ; მოგახსენებთ, რომ; გვინდა დაგარწმუნოთ, რომ*** და ა.შ.

ასევე მიეცით ფაქტებს, მოვლენებს, ქცევებს შორის არსებული ლოგიკური მიმართებების ამსახველი ენობრივი საშუალებებიც (ე.წ. გადასვლები), რომლებიც შეიძლება იყოს როგორც ცალკეული სიტყვა, ისე შესიტყვება, ფრაზა: ***იმ დროს, როცა; ამავე დროს; პირველ რიგში; ჯერ ერთი..., მეორეც...; გარდა ამისა; ამდენად; აქედან გამომდინარე; აქედან ჩანს, რომ; რაც ადასტურებს იმას, რომ; ბოლოს, გვსურს; მაშასადამე; დასკვნის სახით, გვინდა*** და ა.შ.

კონკრეტული მითითებები **დაცვის მხარეს:**

1. თავიდან შეისწავლეთ საქმე მონადირის დაცვის კუთხით.

2. მოიძიეთ ყველა არგუმენტი იმისათვის, რომ დაამტკიცოთ მონადირის უდანაშაულობა;

რატომ არ ჰქონდა მას სხვა გამოსავალი?

3. გამოიყენეთ თქვენთვის მისაღები ყველა მეთოდი, რომელიც დაგეხმარებათ იმაში, რომ დაარწმუნოთ „მოსამართლე“ და „ნაფიცი მსაჯულები“ თქვენს ნათქვამში.

4. განსაზღვრეთ, რა მტკიცებულებები და არგუმენტები შეიძლება ჰქონდეს ბრალდების მხარეს, რათა მზად იყოთ მათ გასაბათილებლად. შესაბამისად, წინასწარ მოიძიეთ არგუმენტები იმისათვის, რომ გაბათილოთ ბრალდების მტკიცებულებები.

გაითვალისწინეთ!

- არ არსებობს ისეთი არგუმენტი, რომლის უარყოფაც არ შეიძლება;
- ყველა არგუმენტს გააჩნია თავისი სუსტი მხარეები;
- ძლიერია არგუმენტი, თუ ის გამომდინარეობს მიზეზშედეგობრივი კავშირიდან (რა იყო - რა არის - რა იქნება).

5. მოემზადეთ პროცესზე მოწმეთა დასაკითხად. წინასწარ მოამზადეთ მათთვის შეკითხვები;

გაითვალისწინეთ!

- დასვით ისეთი შეკითხვები, რომ გაცემულმა პასუხებმა თქვენი პოზიციები გაამყაროს!

6. ერთად განიხილეთ და შეაჯერეთ მტკიცებულებები, რომელთაც წარმოადგენთ სასამართლოზე.

7. მოემზადეთ საბოლოო სიტყვისათვის და მოიფიქრეთ, რას ითხოვთ სასამართლოსაგან აღმკვეთ ღონისძიებად.

8. განსაზღვრეთ ფუნქციები: ვინ რომელ მოწმეს დაკითხავს, ვინ დაკითხავს მონადირეს და ვინ გამოვა საბოლოო სიტყვით.

კონკრეტული მითითებები **ბრალდების მხარეს:**

1. თავიდან შეისწავლეთ საქმე ბრალდების კუთხით.

2. შეაგროვეთ ყველა არგუმენტი და სამხილი იმისათვის, რომ დაამტკიცოთ, როგორი შეუბრალებელი მკვლელია მონადირე.

3. გამოიყენეთ თქვენთვის მისაღები ყველა მეთოდი, რომელიც დაგეხმარებათ იმაში, რომ დაარწმუნოთ „მოსამართლე“ და „ნაფიცი მსაჯულები“ თქვენს ნათქვამში.

4. განსაზღვრეთ, რა მტკიცებულებები და არგუმენტები შეიძლება ჰქონდეს დაცვის მხარეს, რათა მზად იყოთ მათ გასაბათილებლად. შესაბამისად, წინასწარ მოიძიეთ არგუმენტები იმისათვის, რომ გააბათილოთ დაცვის მტკიცებულებები;

გაითვალისწინეთ!

- არ არსებობს ისეთი არგუმენტი, რომლის უარყოფაც არ შეიძლება;
- ყველა არგუმენტს გააჩნია თავისი სუსტი მხარეები;
- ძლიერია არგუმენტი, თუ ის გამომდინარეობს მიზეზშედეგობრივი კავშირიდან (რა იყო - რა არის - რა იქნება).

5. მოემზადეთ პროცესზე მოწმეთა დასაკითხად. წინასწარ მოამზადეთ მათთვის შეკითხვები;

გაითვალისწინეთ!

- დასვით ისეთი შეკითხვები, რომ გაცემულმა პასუხებმა თქვენი პოზიციები გაამყაროს!

6. ერთად განიხილეთ და შეაჯერეთ მტკიცებულებები, რომელთაც წარმოადგენთ სასამართლოზე.

7. მოემზადეთ საბოლოო სიტყვისათვის და მოიფიქრეთ, რას ითხოვთ სასამართლოსაგან.

8. განსაზღვრეთ ფუნქციები: ვინ რომელ მოწმეს დაკითხავს, ვინ დაკითხავს მონადირეს და ვინ გამოვა საბოლოო სიტყვით.

2. როცა დარწმუნდებით, რომ მოსწავლეები მზად არიან ლიტერატურული სამსჯავროს მოსაწყობად, მათთან შეთანხმებით დანიშნეთ დღე.

3. „სასამართლოს“ წინ შესაბამისად მოაწყვეთ სივრცე მოსწავლეებთან ერთად. მოირგეთ დამკვირვებლის როლი და ჩუმად აკონტროლეთ პროცესი. აწარმოეთ დაკვირვების ფურცელი (ცალკე დაკვირვების ფურცელი აწარმოეთ მზადების პროცესში ჯგუფური მუშაობის შესაფასებლადაც) და ჩაინიშნეთ თქვენთვის ყველა მნიშვნელოვანი დეტალი.

საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად მოსამართლესა და ნაფიც მსაჯულებს მიეცით განსაზღვრული დრო.

დაკვირვების ფურცლები

ჯგუფური მუშაობის შესაფასებლად

რუბრიკები	კომენტარები
სამუშაოს დაგეგმვა და ორგანიზება: • ფუნქციები სწორად არის განაწილებული • ჯგუფის ყველა წევრი ჩართულია მუშაობაში	
თანამშრომლობა: • ჯგუფის ყველა წევრს აქვს აზრის გამოხატვის თანაბარი პირობები • უსმენენ ერთმანეთს • აზრს გამოხატავენ კონსტრუქციულად • ეხმარებიან ერთმანეთს	

დისკუსიის შესაფასებლად

რუბრიკები	კომენტარები
მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს	
მსჯელობს არგუმენტირებულად	
აკეთებს დასკვნებს	
იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს (თვალით კონტაქტი, ჟესტები, ხმა)	
კორექტულია ოპონენტის მიმართ, ისმენს და კონსტრუქციულად პასუხობს განსხვავებულ აზრს	

ზეპირი გამოსვლის შესაფასებლად

რუბრიკები	კომენტარები
პირობასთან შესაბამისობა: • იცავს დროის ლიმიტს • იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს (მოსაზრება, არგუმენტები, დასკვნა)	
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები: • გასაგებად აყალიბებს მოსაზრებას და თანმიმდევრულად ავითარებს მას • მოჰყავს ადეკვატური არგუმენტები და მაგალითები • გამოაქვს ადეკვატური დასკვნები	

ენობრივი უნარ-ჩვევები: • ადეკვატურად იყენებს ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელ არავერბალურ საშუალებებს (ჟესტიკულაციას, ინტერვალს საუბარში, ხმის სხვადასხვა დონეს) • იყენებს არგუმენტირებული მსჯელობისთვის დამახასიათებელ ენობრივ-გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს (მაგ., განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს, მიზეზშედეგობრივ კავშირებს და ა.შ.)	
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები • აქვს საინტერესო მოსაზრებები • მოჰყავს ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები • ავლენს არტისტიზმს • იჩენს სითამამესა და გაბედულებას	

4. აქტივობის დასრულების შემდეგ მოსწავლეებთან ერთად განიხილეთ პროცესი და შეაფასეთ მოსწავლეებთან წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმების მიხედვით.

აჩვენეთ მოსწავლეებს ვიდეორგოლი, სადაც ასახულია სასამართლო პროცესი. მიაქცევინეთ ყურადღება მონაწილე მხარეებზე, მათ ფუნქციაზე, პროცესის მიმდინარეობებზე. დარწმუნდით, რომ მოსწავლეებმა გაიაზრეს სასამართლო პროცესის სპეციფიკა, შეძლეს მონაწილეთა იდენტიფიცირება, მათი ძირითადი როლის განსაზღვრა, ქცევის თავისებურებების ამოცნობა.

ამის შემდეგ ჰკითხეთ მოსწავლეს, რომელ როლს შეასრულებდა. შესთავაზეთ იმ როლის განსახიერება, რომელსაც, თქვენი ვარაუდით, ის უკეთ გაუმკლავდება.

დაიწყეთ მასთან ერთად როლის დამუშავება. ერთად შეიმუშავეთ სავარაუდო შეკითხვები და/ან პასუხები. გაითამაშეთ დიალოგი, იმისათვის რომ მოსწავლეს გაუჩნდეს თავდაჯერება.

2. ტექსტის გაგება-გააზრება და გადმოცემა

2.1. სტანდარტის შედეგები და ტიპური აქტივობები

სტანდარტის შედეგები, რომლებიც უზრუნველყოფს **მოსასმენი ტექსტის** გაგება-გააზრებისა და გადმოცემის უნარის განვითარებას:

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

ქართ.დაწყ.(II).2
სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება-გააზრება; ტექსტებზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა;

ქართ.დაწყ.(II).3
სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ნაცნობი ტექსტების ინტერპრეტირება და შეფასება; მათ მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება (საწყის დონეზე);

ქართ.დაწყ.(II).4
სათანადო ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ამოცნობა და ადეკვატურად გამოყენება;

ქართ.დაწყ.(II).5
ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.

ტიპური აქტივობები მოსასმენი ტექსტების გაგება-გააზრებისა და გადმოცემისათვის:

მეხუთე კლასი	• მოსმენილის შეფასება სხვადასხვა პოზიციიდან; • მოსმენილი ამბის დროის შეცვლა, მოქმედების გადატანა წარსულში / აწმყოში / მომავალში; • პერსონაჟის ხასიათის, მისთვის დამახასიათებელი თვისებების შესახებ საუბარი კონკრეტული ეპიზოდის მიხედვით; • მსჯელობა მოსმენილი ან წაკითხული ტექსტის პერსონაჟზე დახასიათების სქემების გამოყენებით; • თანატოლებთან ერთად მოსმენილი ინფორმაციის მოკლედ, რეზიუმეს სახით გადმოცემა და ძირითადი საკითხების შესახებ როგორც ინდივიდუალურად, ასევე წყვილებში მუშაობა; • მოსმენილ მხატვრულ ტექსტში ასახული განწყობის იდენტიფიცირება, ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების, მიღებული შთაბეჭდილების გადმოცემა (მაგ., ე.წ. ემოციური კომენტარების მეშვეობით) • და სხვა.

მეექვსე კლასი	• სხვის მიერ მოთხრობილი ამბის / გამოთქმული მოსაზრების გადმოცემა საკუთარი სიტყვებით; • მხატვრულ ტექსტებში არქაული ფორმების ამოცნობა და მათი თანამედროვე ფორმებით ჩანაცვლება; • ნაცნობი ტექსტის პერსონაჟის წარმოსახვითი აღწერა (იმ შემთხვევებში, როდესაც ტექსტში არ გვხვდება პერსონაჟის პორტრეტი); • მოსმენილი ფრაგმენტის საფუძველზე მთლიანი ტექსტის რეკონსტრუირება • და სხვა.

სტანდარტის შედეგები, რომლებიც უზრუნველყოფს **წასაკითხი ტექსტის** გაგება-გააზრებისა და გადმოცემის უნარის განვითარებას:

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

ქართ.დაწყ.(II).6
სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების / დეტალების გათვალისწინებით;

ქართ.დაწყ.(II).7
წაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა;

ქართ.დაწყ.(II).8
სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკური და სემანტიკური მახასიათებელების, სტრუქტურულ-კომპოზიციური ელემენტებისა და ენობრივ-გამომსახველობითი ფორმების ამოცნობა;

ქართ.დაწყ.(II).9
კითხვის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.

ტიპური აქტივობები წასაკითხი ტექსტების გაგება-გააზრებისა და გადმოცემისათვის:

მეხუთე კლასი	• ტექსტის დაყოფა შინაარსობრივ მონაკვეთებად; • საგანთა თუ მოვლენათა კლასიფიცირება გრაფიკული სქემების გამოყენებით; • დაკვირვება კონკრეტული სახის პრაგმატული ტექსტის ენობრივ და სტილურ ფორმებზე (მაგ., მოძრაობის წესების ჩამონათვალზე დაკვირვების გზით იმის აღმოჩენა, რომ ტექსტში უმეტესწილად გამოიყენება წართქმითი ან უკუთქმითი ბრძანებითი კილოს ფორმები: „შეჩერდით“, „ნუ გადახვალთ“ და სხვ., ხოლო ზმნებს აქვს იმპერატიული შინაარსი: „უნდა“, „საჭიროა“, „დაუშვებელია“, „აუცილებელია“ და ა. შ.); • დაკვირვება ტექსტის ფუნქციურ ტიპებზე (თხრობასა და აღწერაზე), მათი სპეციფიკური ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა (მაგ., იმის დადგენა, რომ აღწერით ტექსტებში ზმნები გვხვდება მცირე რაოდენობით, უმეტესწილად გამოიყენება ზედსართავები და ნაზმნარი ზედსართავები, ანუ მიმღეობები; თხრობით ტექსტებში კი, პირიქით, ზმნები გამოიყენება ჭარბად, მოქმედების თანამიმდევრულობის გადმოსაცემად გამოყენებულია მარკერები და ა.შ.);

	• ფაქტებს შორის ურთიერთკავშირის ამსახველი სქემების შედგენა; • მსგავს თემაზე შექმნილი ნაწარმოებების გამაერთიანებელი და განმასხვავებელი ნიშნების დადგენა გრაფიკული სქემების საშუალებით; • ნაწარმოების შინაარსის გადმოცემა მეორეხარისხოვანი პერსონაჟების / უსულო საგნების პირით; • ნაწარმოების წაკითხვით აღძრული ემოციების გადმოსაცემად ფერების, მუსიკის, სხვადასხვა ხმოვანი ეფექტის შერჩევა; • ვარაუდების სქემის შევსება კითხვის დაწყებამდე; • ნაწარმოების განწყობის / შინაარსის ამოცნობა ილუსტრაციის მიხედვით; • არასწორი თანამიმდევრობით (აზრობრივი შესაბამისობის დარღვევით) მოწოდებული აბზაცების თანამიმდევრობის აღდგენა მცირე ზომის ტექსტში; • ინტერაქცია გამოყენებული სტრატეგიების შესახებ საკითხავი დავალებების შესრულების შემდეგ (ვინ რა მიდგომა / ხერხი გამოიყენა); მოსაზრებების გამოთქმა იმის შესახებ, თუ რომელი მიდგომა იყო ან იქნებოდა უფრო მისადაგებული / ეფექტური და რატომ; • და სხვა.
მეექვსე კლასი	• არეულად მოცემული ეპიზოდების / ნაწყვეტების დალაგება ლოგიკური თანამიმდევრობით; • ტექსტში „გამოტოვებული“ (ავტორის მიერ ნაგულისხმევი) ეპიზოდების აღდგენა; • მოვლენათა ჯაჭვის შექმნა მიზეზშედეგობრიობის პრინციპით, გრაფიკული სქემის გამოყენებით; • ტექსტში არგუმენტების მოძიება დისკუსიისთვის; • სემანტიკური რუკების შედგენა; • მხატვრული და არამხატვრული ტექსტების შედარება ლექსიკური თვალსაზრისით; • უცნობი სიტყვებისა და ფრაზების ჩანაცვლება სინონიმური განმარტებებით; • ვარაუდების სქემის შევსება კითხვის დაწყებამდე; • გაბმული სახით (აბზაცების გარეშე) წარმოდგენილი ტექსტის დაყოფა აბზაცებად; • და სხვა.

2.2. აქტივობათა ნიმუშები

მეხუთე კლასი

აქტივობა 1. კოგნიტური დიაგრამების გამოყენება საინფორმაციო და დარგობრივი ტექსტების გაგება-გააზრებისათვის
(მუხრან მაჭავარიანის „საკუთარი სიცოცხლის შემოკლება“, ქართული ენა და ლიტერატურა, V კლასი, ავტორი ნ. მაღლაკელიძე, 2013 წ.)

აქტივობის მიზანი:

- სააზროვნო სქემების ანუ კოგნიტური დიაგრამების გამოყენების უნარი ტექსტის გაგება-გააზრებისათვის;
- ტექსტის უცნობ ლექსიკაზე მუშაობა კოგნიტური სქემების გამოყენებით.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(II).2
- ერთმანეთისაგან განარჩევს ფაქტებსა და დამოკიდებულებებს (შეფასებებს);
- გამოაქვს დასკვნა ტექსტში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე.

ქართ.დაწყ.(II).3
- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას საინფორმაციო ტექსტებში გადმოცემული ფაქტების მიმართ.

ქართ.დაწყ.(II).6
- გამოყოფს და ასახელებს ტექსტის მთავარ საკითხებს;
- გამოკვეთს არსებით ინფორმაციას ტექსტის ცალკეული მონაკვეთიდან;
- განსაზღვრავს ტექსტის ერთ მონაკვეთში ან მის სხვადასხვა ნაწილში ასახულ მოვლენებს / ფაქტებს შორის არსებულ ლოგიკურ კავშირებს (მიზეზშედეგობრივს, შეპირისპირებითს, პირობითსა და სხვ.);
- განარჩევს ერთმანეთისგან ფაქტსა და თვალსაზრისს.

ქართ.დაწყ.(II).7
- ტექსტის მთლიანი გააზრების საფუძველზე გამოაქვს დასკვნა.

ქართ.დაწყ.(II).8
- ამოიცნობს ტექსტში ძირითად მოდალობებს;
- აცნობიერებს ბრუნვის ფორმათა ფუნქციონირების მრავალფეროვნებას და სათანადო სიტყვაფორმებს არჩევს კონტექსტური მნიშვნელობების გამოსახატავად.

ქართ.დაწყ.(II).9

- ინფორმაციის უკეთ გააზრების მიზნით ტექსტს ყოფს მონაკვეთებად და ასათაურებს მათ;
- სხვადასხვა საშუალებით (კონტექსტის გათვალისწინებით, კითხვის დასმით, ლექსიკონით) ამოიცნობს უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების მნიშვნელობას;
- სხვადასხვა საყრდენის მოშველიებით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის / ტექსტის მონაკვეთის შინაარსის შესახებ.

მუხრან მაჭავარიანი

საკუთარი სიცოცხლის შემოკლება

... სოფლიდან ერთი შუახანს გადაცილებული კაცი მეწვია. გავაბით საუბარი.

– სოფელში რა ამბავია-მეთქი? - ვკითხე.

– რაღა რა ამბავია, - თქვა მან, - ხე აღარ დატოვეს, ხელისგულისოდენა ადგილები ეროზიამ დაფშხალა და დაარღვია.

ამ ადგილებში ხვნა-თესვას მაინც არ იშლიან. იმის მაგივრად, რომ იქ ტყე გააშენონ და სოფელი შეინარჩუნონ, შიგ ტრაქტორებს დააჯლიგინებენ. ერთი მუჭა სიმინდისა და ლობიოს გულისათვის შთამომავლობას სოფელს უკარგავენ.

წყაროები დაშრა.

მდინარეებმა საგრძნობლად იკლეს.

ქვეყანას სილა სჭირდებაო, და სოფელს მთა-გორები შემოაღლიტეს - ქარი ხეზე ნაყოფს აღარ აყენებს.

ერთი საწყალი შაშვი თუ გამოჩნდა, მთელი სოფელი თოფ-იარაღს ისხამს, თითქოს სოფელში ვეფხვი შემოჭრილიყოს.

მომავალზე ფიქრით თავს აღარავინ იცხელებს.

აზრად არავის მოსდის, რომ ვინც ეროზირებულ მიწას ხნავს, ის საკუთარ შვილს უთხრის სამარეს; ვინც ფერდობში ხესა ჭრის, საკუთარი შვილის კუბოს აკეთებს...

– ეგ ვერაა-მეთქი კარგი ამბავი, - ვუთხარი მე, - როგორც ორმოში ჩავარდნილი კაცი მეორე კაცმა ამოზიდოს თოკით, ისევე დედამიწის სიღრმიდან სამზეოზე ამოჰყავს ბალახი მზესა და წვიმას: პირველს - თავისი სხივებით, მეორეს - თავისი წვეთების ჯაჭვით.

მზის სხივებთან და წვიმის წვეთებთან ხეთა ტოტებისა და ბალახების ღეროთა ურთიერთშეწევნით იქსოვება სიცოცხლე ცისა და მიწის შუა.

ხელის უხეში ქსოვილით ამ ქსოვილის გაფხრეწა საკუთარი სიცოცხლის შემოკლებაა, იმ ტოტის მოჭრაა, რომელზედაც თვითონ შენ ზიხარ.

რაც უფრო უხვია ამა თუ იმ ქვეყნის ბუნება, მით უფრო მდიდარია იქაურთა ენა.

დაცვა ბუნებისა (ნურავინ იტოშებს) გარკვეულწილად დედაენის დაცვაა.

ცოცხალი სამეტყველო ენის ლექსიკური მარაგის შემცირება ძალიან ხშირად ბუნების გაღარიბებითაა გამოწვეული.

დღეს, მაგალითად, კაცმა არ იცის, კერძოდ რომელ ფრინველს აღნიშნავს საბას ლექსიკონში არსებული არაერთი განადგურებული ფრინველის სახელწოდება, რომელსაც მხოლოდ ფრინველის ნიშანი და უცხო შესატყვისი უზის; რომელიც, აქედან გამომდინარე, ჩანს, მაშინ ისე ყოფილა გავრცელებული, მეტ განმარტებას აღარ საჭიროებდა...

ამით დამთავრდა ჩვენი საუბარი.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

კოგნიტური დიაგრამების საშუალებით მოსწავლე:
ანაწევრებს მოცემულ ინფორმაციას; ორგანიზებას უკეთებს ინფორმაციას; შეიცნობს მთელისა და დეტალების ურთიერთმიმართებას; ეჩვევა კრიტიკულ აზროვნებას; სწავლობს დამოუკიდებლად მუშაობას.

როდის და როგორ გამოიყენება კოგნიტური დიაგრამები:
ახალი მასალის გაცნობა-წარმოდგენისას, ასევე მასალის ათვისების შემდეგ შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარების დროს; ტექსტის კითხვისა და დამუშავების, ასევე წერითი სამუშაოს დაწყების დროს; საშინაო დავალების, ასევე საკლასო სამუშაოს ჩატარების დროს; როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფებში მუშაობის დროს.

1. გაცნობითი კითხვა. დაურიგეთ მოსწავლეებს ქვემოთ მოცემული ცხრილი, წააკითხეთ ტექსტი და შეასრულებინეთ შემდეგი დავალება: ა) *ამოწერონ ცხრილში ის ინფორმაცია (ან ინფორმაციები), რომელსაც მიიჩნევენ მათთვის საჭიროდ და მნიშვნელოვნად;* ბ) *განმარტონ, ახსნან, რით არის ეს ინფორმაცია (ინფორმაციები) მათთვის მნიშვნელოვანი და საჭირო:*

„საკუთარი სიცოცხლის შემოკლება“	
ჩემთვის მნიშვნელოვანი და საჭიროა:	რით არის მნიშვნელოვანი და საჭირო?

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლისთვის აღნიშნული ტექსტი ლინგვისტური თვალსაზრისით რთული აღმოჩნდა, გააიოლეთ ის. ჩაანაცვლეთ მისი ლექსიკა და სინტაქსური კონსტრუქციები (მაგრამ არა სრულად, აქტივობის მომდევნო ეტაპის გათვლისწინებით).

თუ მოსწავლეს გაუჭირდა ინფორმაციის გააანალიზება მნიშვნელობისა და საჭიროების მიხედვით, ჰკითხეთ, რა დაამახსოვრდა ტექსტიდან, როგორ აფასებს აღნიშნულ ინფორმაციას, არის თუ არა ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანი, თუ არის, - რატომ და ა.შ.

ამავდროულად, წაახალისეთ, მოისმინოს სხვისი ხედვა. დაფიქრდეს, არის თუ არა აქტუალური მისთვის ის, რაც სხვისთვის აღმოჩნდა მნიშვნელოვანი.

2. მუშაობა უცნობ ლექსიკაზე. დაურიგეთ მოსწავლეებს ამობეჭდილი ტექსტები (ლექსიკონის გარეშე), მარკერები და ამუშავეთ ტექსტში არსებულ მათთვის უცნობ ლექსიკაზე შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) წააკითხეთ ტექსტი თავიდან და მარკერით მოანიშვნინეთ ან გაახაზვინეთ მათთვის უცნობი / გაუგებარი სიტყვები.

ბ) დაურიგეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი და სთხოვეთ მისი პირველი სამი სვეტის შევსება მონიშნული სიტყვების გამოყენებით (ერთი ნიმუში გააკეთეთ მოსწავლეებთან ერთად):

უცნობი სიტყვა	**კონტექსტი**	**ჩემი განმარტება** (როგორ მესმის მე)	**სალექსიკონო განმარტება**
ეროზია	ხელისგულისოდენა ადგილები ეროზიამ დაფშხალა და დაარღვია.	ალბათ, დააზიანა, გააფუჭა.	

წააკითხეთ მოსწავლეებს და შეადარეთ მათი ნამუშევარი ერთმანეთს - *ვინ რომელი სიტყვა ამოწერა და როგორ განმარტა, დაემთხვა თუ არა განმარტებები, რა დაემთხვა და რა - არა.*

ამის შემდეგ მიეცით ლექსიკონი (შეგიძლიათ, გამოიყენოთ როგორც მოცემული სახელმძღვანელო, ისე უცხო სიტყვათა და განმარტებითი ლექსიკონები) და მისი დახმარებით შეავსებინეთ ცხრილის ბოლო სვეტი.

- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს უჭირს ცხრილებთან მუშაობა, მიეცით უფლება იმუშაოს ტექსტში. გახაზოს უცნობი სიტყვა, შემდეგ კი წინადადება, სადაც ხვდება ეს სიტყვა; ვერბალურად გამოთქვას თავისი ვარაუდი და განმარტოს უცნობი სიტყვა.
- შესაძლებელია სიტყვის სალექსიკონო განმარტების აღმოსაჩენად მისთვის ადაპტირებული, თქვენ მიერ შემუშავებული ლექსიკონის მიწოდება, სადაც მას დაევალება მოცემული სიტყვის მოძიება.
- შესაძლებელია, ასევე, ვერბალურ განმარტებით ლექსიკონთან ერთად უცხო სიტყვების განმარტება გამოსახულებების, ილუსტრაციების საშუალებითაც.

გ) სიტყვის პირამიდა. მოცემული გრაფიკული სქემის გამოყენებით დამატებით ამუშავეთ მოსწავლეები ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად.

იმისათვის, რომ დავალების მოთხოვნა არ განმეორდეს და, შესაბამისად, მუშაობის პროცესიც მოსაწყენი არ გახდეს, ცვალეთ პირობები.

გთავაზობთ ნიმუშებს:

მაგალითად:

3. ამის შემდეგ გადადით ტექსტში გადმოცემული იდეებისა და თემების გაგება-გააზრების აქტივობებზე კოგნიტური სქემებისა და დიაგრამების გამოყენით:

ა) პირველ რიგში, იმუშავეთ შინაარსის გაგებაზე: ტექსტზე დაყრდნობით შეავსებინეთ მსგავსი ცხრილები - მოსწავლეებმა უნდა გაარკვიონ, მოცემული ინფორმაციები სწორია, არ არის სწორი თუ არ ჩანს ტექსტში. გთავაზობთ ნიმუშს:

		სწორია	**არ არის სწორი**	**არ ჩანს ტექსტში**
1	ტყეების გაჩეხის შესახებ ინფორმაცია ავტორმა სოფლიდან ჩამოსული სტუმრისგან შეიტყო.	✓		
2	შუახანს გადაცილებული კაცს აღფრთოვანებით უსმენდა ავტორი.		✓	
3	სტუმარმა ავტორს არსებული ვითარების შესახებ სტატიის დაწერა სთხოვა.			✓

ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრების გასავარჯიშებლად და ინფორმაციის სისწორის შესაფასებლად, მისი საჭიროების გათვალისწინებით, მოსწავლეს შესაძლებელია მივაწოდოთ როგორც მცდარი, ასევე სწორი ინფორმაცია (სხვადასხვა სირთულის ფორმულირებებით). მაგ., ტექსტიდან წინადადების უცვლელად გადმოწერისას მას გაუადვილდება ინფორმაციის სიზუსტის დადგენა; ტექსტში მოცემული ინფორმაციის სხვა სიტყვებით გადმოცემისას მოსწავლეს დასჭირდება ინფორმაციის დეტალური ანალიზი; ტექსტში მოცემული ინფორმაციისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული წინადადების მიწოდებისაას მას ასევე გაუიოლდება შეცდომის იდენტიფიცირება, ხოლო თუკი უზუსტობა ნათლად არ იქნება მოცემული, ტექსტის და მოცემული წინადადების დეტალური ანალიზი დასჭირდება.

ცხრილის შევსების შემდეგ დაუბრუნდით არასწორ ინფორმაციას და გაასწორებინეთ ტექსტის მიხედვით; არასწორი ინფორმაციაა: *ავტორი აღფრთოვანებით უსმენდა სტუმარს. ტექსტში წერია:* **„- ეგ ვერაა-მეთქი კარგი ამბავი, - ვუთხარი მე“.**

ბ) მოვლენათა ჯაჭვი - ეს არის გრაფიკული სქემა, რომელიც მოვლენების / ფაქტების ურთიერთკავშირს აფიქსირებს (*ჯერ რა მოხდა, ამას რა მოჰყვა, შემდეგ - რა* და ა.შ.), მაგალითად:



გ) კოგნიტური სქემების გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანი და ეფექტურია კონკრეტული მიზეზშედეგობრივი კავშირების დასადგენადაც. მაგალითად, მიეცით მოსწავლეებს გასაანალიზებლად კონკრეტული მოვლენა / ფაქტი და სთხოვეთ, შეავსონ სქემა ტექსტზე დაყრდნობით - ჩაწერონ ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზი და შედეგი, რაც ამ ფაქტს მოჰყვა:



კოგნიტური სქემების უკეთ აღსაქმელად მიზანშეწონილი იქნება, თუკი ამ სქემებსა და მასში მოცემულ ინფორმაციასთან ერთად შესაბამისი ვიზუალური გამოსახულებებიც იქნება წარმოდგენილი.

თუკი მოსწავლეს უჭირს მოვლენის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა, პირველ რიგში, წაახალისეთ იგი, დაალაგოს მოვლენები თანმიმდევრობით:

1. ჯერ რა მოხდა? - ტყე გაიჩეხა;
2. შემდეგ რა მოხდა? - წყაროები დაშრა და მდინარეებმა იკლო;
3. და ბოლოს რა მოხდა? - ნიადაგის ეროზია.

ამის შემდეგ დააფიქრეთ იგი, რა იყო მოვლენის მიზეზი და რა - მისი შედეგი.

ავარჯიშეთ მოსწავლე მსგავსი ტიპის აქტივობებზე: მაგ., მზე ამოვიდა, თოვლის გუნდა დადნა, გაჩნდა გუბე.

პირველ რიგში, დაალაგებინეთ მოვლენები ლოგიკური თანმიმდევრობით; შემდეგ ჰკითხეთ, თუკი მოვლენაა თოვლის გუნდის გადნობა, რა უნდა იყოს მისი მიზეზი და რა - შედეგი.

აქტივობა 2. გავაცოცხლოთ გარემო - აღწერითი ტექსტის გაგება-გააზრება ძიებითი კითხვის სტრატეგიის გამოყენებით

(ილია ჭავჭავაძის „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“, ქართული ენა და ლიტერატურა, V კლასი, ავტორები: ვ. როდონაია, ნ. ნაკუდაშვილი, ავ. არაბული, მ. ხუციშვილი; ქართული ენა და ლიტერატურა, V კლასი, ავტორები: ნ. გორდელაძე, თ. კუხიანიძე)

აქტივობის მიზანი:

- ტექსტის გაანალიზება (ძიებითი კითხვის სტრატეგიის გამოყენებით);
- ინფორმაციის დახარისხება და კატეგორიზაცია;
- გრაფიკული მაორგანიზებლის გამოყენება ტექსტის გასაანალიზებლად;
- დაკვირვება აღწერითი ტექსტის ენობრივ მახასიათებლებზე;
- შემოქმედებითობა.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(II).6
- გამოკვეთს არსებით ინფორმაციას ტექსტის ცალკეული მონაკვეთიდან;
- ამოკრებს კონკრეტულ ინფორმაციას (სად, როდის, რამდენი, რამდენჯერ, როგორი, რითი და სხვ.);
- აკვირდება მწერლის ენას, ამოიცნობს ზოგიერთ მხატვრულ ხერხს (ეპითეტს, შედარებას, ჰიპერბოლას, გაპიროვნებას).

ქართ.დაწყ.(II).7
- ამოიცნობს და ხსნის მარტივ მხატვრულ სიმბოლოებს.

ქართ.დაწყ.(II).8
- ერთი ტექსტის ფარგლებში გამოყოფს ტექსტის ფუნქციურ ტიპებს (თხრობას, აღწერას) და მიუთითებს შესაბამის ნიშნებზე.

ქართ.დაწყ.(II).9
- იყენებს სხვადასხვა ხერხს, რომლებიც ხელს უწყობს ტექსტის გაგებას (მაგ., წარმოსახვაში აცოცხლებს ტექსტში გადმოცემულ ამბებს).

ილია ჭავჭავაძე

ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი

საახალწლო მოთხრობა

I

(შემოკლებით)

მახსოვს, როცა პატარა ვიყავი, რა გულის ფანცქალით ვნატრობდი, წინა ღამე ახალის წლისა მალე გათენდეს-მეთქი.

მე მახსოვს ეს წინაღამე ახალი წლისა ჩვენს პატარა სოფელში, საცა ბღარტებსავით გარს ვეხვიენით დედ-მამას ორნი დანი და სამნი ძმანი. იმ დღეს ჩვენთვის აღარც კაკანათი იყო, აღარც თოვლის გუნდა, აღარც თოვლში ხტუნვა და სირბილი. თვალი და გული ხვალისაკენ მიგვირბოდა, ხვალეს ველოდდით, ხვალე გვახსოვდა, ხვალეს ვნატრობდით. გარედ რა გვინდოდა, როცა შინ იმოდენა ხილხული და ტკბილეულობა გვეგულებოდა. შინ, ოთახებში დავფუსფუსებდით: იქ იყო, რაც იყო. აქ ალვახაზსა ზელდნენ, იქ ნუშს და ნიგოზს არჩევდნენ გოზინაყისათვის, აქეთ უცეცხლო თაფლი თითს გვიქნევდა: - მოდით, პირი ჩაიტკბარუნეთო, იქით დედაჩვენი ბუხარში თაფლს აღნობდა და თაფლი თითქო გვეუბნებოდა: დაიცადეთ ხვალამდე, დღეს მე თქვენთვის ვდნებიო. ჩვენ, თვალებდაჭყეტილები, ამაებს შორის დავძვრებოდით და ბედნიერები ვიყავით, თუ როგორმე მოვასწრებდით და თითს ამოვავლებდით თაფლს. სიცილს, ხარხარს და დედის უგულოდ, ტყუილად ჯავრობას ბოლო არა ჰქონდა. ჩვენ ვიცოდით, რომ არც დედა, არც მამა გულით არ გვიჯავრდებოდნენ და ხელებს ვაფაცურებდით, იქნებ, რამ მოვიცხოთო სალოკავად. ყველაზედ უფროსი ჩვენში თორმეტ წელს არ იყო გადაცილებული.

***

ყველაზედ მეტად დამახსომდა ერთი ახალი წლის წინა ღამე. ჩვენ, პატარებს, არ ვიცი, ხვალის ლოდინისაგან თუ მეტისმეტად გართობისაგან, ძილი აღარ მოგვეკარა. არა ერთხელ და ორჯერ გვიბრძანა დედამ, - წადით, შვილებო, დაიძინეთო, - და ჩვენ კი თითით ყელს ვუწევდით და ისე ვეხვეწებოდით:: - დედის ჭირიმე, ნუ გაგვრეკავ, არ გვეძინებაო. დედა გოზინაყისა და ალვახაზის სამზადში იყო გართული, გარს ჯამები, ბადიები და ტაბაკები ედგა ნუშით, ნიგოზით და თაფლითა. მამაჩვენი კი ბოლთასა სცემდა ოთახში ჩიბუხით ხელში. ჩვენმა პატარა დამ, რომ დაცუცუნებდა ჯამებსა და ტაბაკებს შორის, როგორღაც ფეხი წამოჰკრა ერთ უშველებელ ბადიას და თაფლი დაიქცა. დედას ძალიან ეწყინა და გაჯავრებით უთხრა მამას: ერთი თავიდან მომაშორე, ღვთის გულისათვის, ეს ბაჯაჯღანები. გაასხი იქით ოთახში, ზღაპარი რამე უამბე, იქნება დაეძინოთ და მომასვენონო.

***

მამა გავიდა მეორე ოთახში და ჩვენც გავყევით.

ოთახში ბუხარს ერთი ამბავი გაჰქონდა აპრიალებული ცეცხლისაგან. ბუხრის პირდაპირ ერთი გრძელი ტახტი იდგა. ავიდა მამაჩვენი, ტახტზე მოიკეცა, ჩვენც გარშემო შემოვუსხედით. ჩვენი პატარა და გულდაღმა წამოუწვა მამას, იდაყვებზე დაებჯინა, თავისი პატარა თავი ხელებზე დასდო და ისე შეაჭყიტა მაყვალსავით შავი თვალები, თითქოს მართლა ზღაპრის მოსმენა უნდოდა. ის კი არა თუ, როგორც იმას, ისეც იმაზე მომდევარ მესამე ძმას მაშინვე ჩაეძინებოდათ ხოლმე ორიოდე სიტყვის შემდეგ.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

აქტივობა კომპლექსური სახისაა და მოიცავს მოსმენის, კითხვისა და წერის მიმართულებებს. იგი ემსახურება მოსმენის, კითხვისა და ტექსტის ანალიზის უნარ-ჩვევების განვითარებას, ასევე ფუნქციური წერითი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარებასაც.

გარდა ამისა, აქტივობა ხელს უწყობს ინფორმაციის დახარისხებისა და კატეგორიზაციის უნარ-ჩვევებისა და წარმოსახვის უნარების განვითარებასაც, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება მოსწავლეებს, ნარატიული თუ აღწერითი ტექსტების შედგენის დროს გამოიყენონ ცოცხალი, დამაჯერებელი დეტალები და შექმნან სიტყვიერი სურათები, რომლებიც უკავშირდება ადამიანის გრძნობის ყველა ორგანოს.

მსგავსი აქტივობების ხშირი ჩატარება მოსწავლეებს გაუადვილებს მრავალფეროვანი ცოცხალი დეტალების შემცველი ზეპირი და წერილობითი ტექსტების შედგენას.

1. წინარე ცოდნის გააქტიურება

ა) მარტივად აუხსენით მოსწავლეებს მეტყველების ტიპები, რომლებიც დანიშნულების, ფუნქციის მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა. ესენია: *აღწერა, თხრობა* და *მსჯელობა* და შესთავაზეთ პატარა ექსპერიმენტი:

- მიეცით სურათი, რომელზედაც გამოსახულია პეიზაჟი და სთხოვეთ, უბრალოდ გადმოსცენ ის, რასაც ხედავენ სურათზე (პარალელურად ყურადღება გაამახვილებინეთ საკუთარ მეტყველებაზე. ჰკითხეთ, როგორ მეტყველებენ - *აღწერენ პეიზაჟს, მსჯელობენ მასზე თუ ჰყვებიან მასთან დაკავშირებულ ამბავს?* აქცენტი გააკეთეთ ენაზე - *მეტყველების რომელ ნაწილებს იყენებენ საუბრისას ძირითადად?* - არსებით სახელებს, ზედსართავებს, ზმნებს და ა.შ.);
- ამის შემდეგ შეცვალეთ ამოცანა - სთხოვეთ, შეაფასონ ეს სურათი. იმსჯელონ მის შესახებ და დაასაბუთონ საკუთარი პოზიციები, რატომ ფიქრობენ ასე (პარალელურად, კვლავ აკვირდებიან ისინი საკუთარ მეტყველებას; დაუსვით წინა მაგალითის მსგავსი შეკითხვები);
- ბოლოს სთხოვეთ, მოიფიქრონ ამ სურათთან დაკავშირებული მარტივი ამბავი და პროცესი წარმართეთ, როგორც წინა შემთხვევებში.

იმისათვის, რომ მოსწავლემ თვალსაჩინოდ განასხვაოს ერთმანეთისგან აღწერა, თხრობა და მსჯელობა, შეიძლება საჭირო გახდეს პეიზაჟის ამსახველი გამოსახულების ნაცვლად სიუჟეტური სურათის მიწოდება მისთვის. მაგ., ჯიუტი თხები, იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოების მიხედვით (ხიდზე რქებით შერკინებული თხები, რომლებიც შემდეგ წყალში გადაცვივდებიან, რადგან არცერთმა არ ისურვა მეორისთვის გზის დათმობა). ნათელი სიუჟეტის მქონე გამოსახულებაზე იოლია აღწერის, თხრობის (შინაარსის გადმოცემის) და მსჯელობის პროცესების დიფერენცირება.

მიაწოდეთ მოსწავლეს სიუჟეტური სურათი.



აღწერის პროცესის წასახალისებლად სთხოვეთ მას, დაასახელოს ის ობიექტები, მოქმედებები და მათი თვისებები, რომლებსაც ის აღიქვამს, ხედავს.. ნახატზე გამოსახული ობიექტების (თხების, ხეების, მდინარის, ხიდის, ღრუბლების, თევზების და ა.შ.) დასახელება, მოქმედებების (დგანან, რქით ეხებიან, დაცურავენ და ა.შ.) მითითება, თვისებების, რაოდენობის და მდებარეობის (დიდი, ორი ცალი, მაღალი, მწვანე, გაბრაზებული) განსაზღვრა სწორედ აღწერის პროცესია.

შინაარსის გადმოცემის, თხრობის წასახალისებლად სთხოვეთ მოსწავლეს დაასახელოს არა ცალკეული გამოსახულებები, არამედ გადმოსცეს ამბავი, რომელიც გამოსახულებაზეა მოცემული. მან უნდა დააფიქსიროს მიმართებები მოცემული სურათის დეტალებს შორის და ერთ შინაარსად გაამთლიანოს ისინი. ამ დროს მოსწავლემ შესაძლებელია ყურადღება გაამახვილოს ისეთ შტრიხებზე, რომლებიც გამოსახულებაზე არ ჩანს გამოკვეთილად. მაგ., ილაპარაკოს თხებს შორის გამართულ „დიალოგზე“: ერთმა თხამ უთხრა - „გზა დამითმეო“, მეორემ კი მიუგო - „არა, შენ გამატარეო“. ნახატზე ეს არ არის,. მაგრამ მოსწავლე თავად ახდეს ამის რეკონსტრუირებას ნახატის დეტალების საფუძველზე. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შინაარსის გადმოცემისას მოსწავლე ამყარებს ლოგიკურ კავშირს წარმოდგენილ ინფორმაციულ შრეებს შორის და ავსებს ამ ინფორმაციას გარკვეული მიგნებებით თუ ფანტაზიით.

მსჯელობა გულისმობს თხების საქციელის შეფასებას. მოსწავლის მიერ თხების ჯიუტ არსებებად შეფასება და მათი ქცევის უგუნურებად განსაზღვრა, სწორედ მსჯელობის შედეგია. მსჯელობის შედეგად მოსწავლემ ასევე შეიძლება გაავლოს ანალოგია თავის გამოცდილებასთან და გაიხსენოს, როგორ დაუთმო მამამ გზა ვიწრო გასასვლელში მეორე ავტომანქანას, რათა ავტოსაგზაო შემთხვევა აეცილებინა თავიდან არ გადავარდნილიყო.

ბ) ამის შემდეგ გადადით კონკრეტულ შეკითხვებზე: *მაშასადამე, რა განსხვავებაა აღწერას, თხრობასა და მსჯელობას შორის? თქვენი აზრით, რას ნიშნავს აღწერა? თხრობა? მსჯელობა? მეტყველების რომელ ტიპს ვიყენებთ დისკუსიის დროს? შთაბეჭდილებების, კონკრეტული ამბის გადმოცემის დროს?* და ა.შ.

საჭიროებისამებრ, მიაწოდეთ მარტივი განმარტებები:

- **აღწერა** - პირის, საგნის, მოვლენის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების წარმოჩენა-აღნუსხვა. აღწერას სხვაგვარად „სიტყვიერ სურათებსაც“ უწოდებენ.
- **თხრობა** - მოვლენების განვითარების, მოქმედების (პროცესის) ასახვა დროსა და სივრცეში.
- **მსჯელობა** - საგნებისა და მოვლენების მიზეზშედეგობრივი ურთიერთმიმართების განსჯა (ახსნა და დასაბუთება).

2. ტექსტზე მუშაობა

ა) წააკითხეთ მოსწავლეებს ტექსტი და სთხოვეთ, მიუთითონ - სად არის ტექსტში აღწერა და სად - თხრობა; დააკვირდნენ, როგორ აღწერს ავტორი ახალი წლის სამზადისს; ჰკითხეთ, ქმნის თუ არა იგი ახალი წლის განწყობას? რით ქმნის, როგორ ახერხებს ამას? სთხოვეთ, დაასაბუთონ საკუთარი ნათქვამი.

ბ) გადადით მორიგ ექსპერიმენტზე. სთხოვეთ მოსწავლეებს, დახუჭონ თვალები, თავიდან მოისმინონ ეს ტექსტი და შეეცადონ საკუთარ წარმოსახვაში გააცოცხლონ სურათები კინოკადრებივით. წაიკითხეთ ტექსტი ნელა, გარკვევითა და სათანადო ინტონაციით.

კითხვის დასრულების შემდეგ ჰკითხეთ, *რა გაცოცხლდა მათ წარმოსახვაში? ვინ რა დაინახა და იგრძნო? დაინახეს თუ არა პერსონაჟები? როგორები იყვნენ გარეგნულად? იგრძნეს თუ არა საახალწლო სურნელი? რისი გემო იგრძნეს?* და ა.შ. სთხოვეთ, აღწერონ: *რა დაინახეს* და *რა იგრძნეს* (დააკონკრეტებინეთ დეტალები - სივრცე, ფერები, სუნი, გემო და ა. შ. - მაგ., *აბა, რა დაინახეთ? როგორია იქაურობა შენს წარმოსახვაში? როგორი ოთახია? რა იგრძენი? იგრძენით ბუხრის სითბო? გაიგონე ცეცხლის ტკაცანი? კიდევ რა გაიგონე? იგრძენი თაფლის, გოზინაყის გემო?* და ა.შ.).

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა ტექსტში მოცემული სიუჟეტის წარმოსახვა, გათვალსაჩინოება, შესთავაზეთ მას შესაბამისი სურათი, რეპროდუქცია, სადაც ანალოგიური გარემოა გადმოცემული; ან მიეცით მოსწავლეს რამდენიმე გამოსახულება, სთხოვეთ ყურადღებით დაათვალიეროს ისინი და განსაზღვროს, მისი აზრით, რომელი რეპროდუქცია ასახავს ტექსტში მოცემულ გარემოს.

შესაძლებელია მოსწავლემ რამდენიმე გამოსახულება აირჩიოს, თუკი სხვადასხვა რეპროდუქცია ტექსტის სხვადასხვა ელემენტებს ასახავს.

გ) ამის შემდეგ მოსწავლეებს დაურიგეთ ქვემოთ მოცემული ცხრილები და შეავსებინეთ ინდივიდუალურად - ცხრილი უნდა შეავსონ **საკუთარ წარმოსახვაში გაცოცხლებული სურათების** მიხედვით (ნიმუშის საჩვენებლად თავად შეავსეთ ცხრილი ერთი-ორი მონაცემით მოსწავლეებთან ერთად), მაგალითად:

ადამიანის ხუთი გრძნობის ორგანო	**წინადადებები, ფრაზები, სიტყვები**
მხედველობა	*ზომა, მოცულობა, ფერი, სიგრძე / სიგანე, ფორმა:* პატარა ოთახი... ყვითელი ცეცხლი... გამურული ტაფა... პატარა გაჩეჩილი გოგო თაფლიან თითს ილოკავს... მამას ულვაშებში ეცინება...
სმენა	ბავშვების სიცილის ხმა, ცეცხლის ტკაცუნი...
შეხება	ცხელი თაფლი, გახურებული ტაფა ...
ყნოსვა	ტკბილეულის სუნი, თამბაქოს სუნი...
გემო	უგემრიელესი გოზინაყის გემო, ტკბილი თაფლის გემო ...

შეადარეთ მოსწავლეთა წარმოსახვის სქემები ერთმანეთს და განიხილეთ. ამის შემდეგ გადადით მორიგ დავალებაზე - **მსგავსი ცხრილის შედგენა ტექსტზე დაყდნობით:**

თავიდან დაურიგეთ მოსწავლეებს ეს ცხრილები და სთხოვეთ, კიდევ ერთხელ შეავსონ, ოღონდ ახლა უკვე ტექსტზე დაყრდნობით. შეადარეთ მოსწავლეების მიერ შესრულებული სამუშაო ტექსტთან მიმართებით.

მოცემული ცხრილის შესავსებად შესაძლებელია რეკომენდებული იყოს გამოსახულების განხილვა სუბიექტურ ჭრილში. ამისთვის დაუსვით მოსწავლეს შემდეგი შეკითხვები:

- რა დაინახე?
- რა გაიგონე?
- რა სუნი გეცა?
- რა გემო იგრძენი?
- რა შეიგრძენი შეხებით?

მეექვსე კლასი

აქტივობა 1. გრაფიკული სქემების გამოყენება მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრებისათვის - გმირისა და ამბის რუკის შექმნა

(ვაჟა-ფშაველას „ვერხვი“, ქართული ენა და ლიტერატურა, VI კლასი, ავტორები: ნ.მაღლაკელიძე და ნ. ღონღაძე, 2012 წ.)

აქტივობის მიზანი:

- გრაფიკული სქემების შექმნისა და გამოყენების უნარი მხატვრული ტექსტის გააზრებისათვის: გმირისა და ამბის რუკების შექმნა.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(II).3

- მხატვრულ ტექსტში მოცემული ამბის გააზრება / შეფასება.

ქართ.დაწყ.(II).6

- ამოიცნობს და ერთმანეთთან აკავშირებს ტექსტში არსებულ სხვადასხვა სახის ინფორმაციას;
- ამოიცნობს მოვლენებს, ფაქტებს, მოქმედებებს შორის არსებულ ლოგიკურ და ქრონოლოგიურ კავშირებს;
- ამოიცნობს ზოგიერთ მხატვრულ ხერხს (ეპითეტს, შედარებას, გაპიროვნებას, ჰიპერბოლას), ხატოვან გამონათქვამებს და გაიაზრებს მათს ფუნქციას.

ქართ.დაწყ.(II).7

- გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს ლიტერატურული ტექსტის სიუჟეტში განვითარებული მოვლენების შესახებ;
- განმარტავს პერსონაჟთა ქცევის მოტივს და უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას;
- მსჯელობს ნაწარმოებში დრამატულად განვითარებული მოვლენების შესახებ;
- გამოაქვს დასკვნა მთლიანი ტექსტის გააზრების საფუძველზე.

ვერხვი

I

მარტოდმარტო იდგა ერთ მწირს გორაზე; მის ახლომახლო სხვა ხის ჭაჭანება არ იყო. ხოლო შორს, გაღმა, მოჩანდა დაბურული ტყე. ქვეით, ჭალაზე, მთა-ფერდობებზე, გაღმა-გამოღმა, მრავლისაგან უმრავლესი ხეები იდგა - ათასი, ათასნაირი ჯურისა. საბრალო ვერხვის ახლოს კი - ერთიც არა. გასცქეროდა შორით ტყეებს და ილეოდა სულით, იქ ვერხვებსაც ხედავდა, უფრო მათკენ მიუწევდა გული.

მას შემდეგ, რაც გაჩნდა და გაიზარდა, ვერხვი ხეს არ დალაპარაკებია. მხოლოდ თავის თავს ელაპარაკებოდა, ესაუბრებოდა, აგრეთვე ღმერთს ემდუროდა: „შე დალოცვილო ღმერთო, თუ გამაჩინე, კიდეც დამარჩენდიო“. ამას იტყოდა ხოლმე ხშირად: „რასა ჰგავს ჩემი უმადლო სიცოცხლე, რას ვაკეთებ ამ ფრიალო კლდეზე მარტოდმარტო? თუ ვერაფერს გავიგონებ, ვერავის რას გავაგონებ, ვერავის ვერ გავახარებ და თითონაც ვერ გავიხარებ, ეს ხომ მკვდარი სიცოცხლეა?!“ ბევრჯერ ეცადა დაეძახა და ბევრჯერაც დაუძახა შორს, მთის კალთაზე მოჩინარ ვერხვებს: „ეი, ძმებო, წამიყვანეთ თქვენთან, თუ გწამთ ღმერთი, ან აქ, ჩემთან, წამოდით! აქ მაღლა იქნებით, აქედან ბევრს კარგ რასმე დაინახავთ, აგერ ქალაქი, მრავალი სოფლები, აგერ ტბა და დიდრონი თოვლიანი მთები, მშვენიერ სანახავსა ნახავს თქვენი თვალები, მანდ მხოლოდ ჯურღმულსა ხედავთ, სხვას არაფერს.“

ნიავს მთისას ხომ მუდამ იმას ჩასჩიჩინებდა, როცა იგი ქროდა, მის კოხტა, მოხდენილ ფოთლებს აცახცახებდა და ათრთოლებდა: „შენი ჭირიმე, ერთი უთხარი, შემახვეწე ვერხვებსა, რა არის, რომ ამოდენას ვეხვეწები და ისინი კი ყურს არ მიგდებენ, ერთხელ ვერა მნახეს, ვერ ამოვიდნენ ჩემთან.“

ნიავი მიდიოდა, გაივლიდა სისინით, შრიალით, გამოივლიდა ისევაც, მხოლოდ პასუხი არაფერი მოჰქონდა, ავიწყდებოდა დანაბარების თქმა, თუ ამბის მოტანა ეზარებოდა, არაფერი იცოდა ვერხვმა. ვერხვმა თავისი თანამოძმეებისა სხვა ვერაფერი გაიგო.

ამ რამდენიმე წლის წინათ ქარმა იმ შორეული ტყიდან მოიტანა ერთი ხმელი ფოთოლი და ის იყო, უნდა გაეცილებინა ვერხვისათვის, მაგრამ ვერხვი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით გადაიზნიქა, მოჰხვია მაგრად ტოტები ხმელ ვერხვის ფოთოლს და მაგრა ჩაიკრა გულში. დღესაც ინახავს მას და უფრთხილდება. იმას ეალერსება, იხუტებს გულში, ჰკოცნის, ესაუბრება, მაგრამ საბრალო ფოთოლი პასუხს ვერ აძლევს. როცა ქარი ამოვარდებოდა, ყელგადაგდებული დაღრეჯით ეხვეწებოდა: „ქარო, შენ გენაცვალე, ვინძლო, ერთი ტოტი მოტეხო აგერ იმ ვერხვებს და აქ წამომიღო, ან ერთი ფოთოლი მაინც კიდევ!“

შავი ნისლი მთის ქედზე გველეშაპივით მოცურავს უდარდელად, შეუპოვრად. თავს უხრის ვერხვი და ეხვეწება: „ნისლო, გეთაყვა, შენ ხომ ვიცი, არ დაგამძიმებს და ჩახვალ ქვევით, ხევში, მოგლიჯე ერთ-ერთი ვერხვი ფესვებიანად და ამომიტანე!“

როცა საშინელი ქარი ამოვარდებოდა, დელგმა იყო, ჭექა-ქუხილი ისეთი, რომ კაცს ეგონებოდა, ქვეყანა იქცევაო, მაშინ ვერხვი ევედრებოდა საშინელ ბუნების მოვლენას: „ამომფხვერი აქედან და გადამაგდე იქ ჩემს ძმებთან, ტყეში, დეე, იქ მოვკვდე, იქ დავლპე, დავმიწდე იმათ კალთაზე, თუ ცრემლს არ მაღირსებენ, ქოქოლას ხომ დამაყრიან და დამწყევლიანო.“ მაგრამ არც არა ამ თხოვნისაგან გამოდიოდა: ვერხვი იქვე ადგილობრივ იდგა, მეხისგან ტანზე მრავალგან დაზიანებული.

II

ვერხვს უყვარდა ყვავილები, იმის ჩრდილის ქვეშ, მის ახლომახლო რომ იშლებიან და იზრდებიან. ხოლო ვერხვისათვის ეს იყო გულსაკლავი, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არც ამ საბრალოთა ჰქონდათ. თუმცა ვერხვი მუდამ იმათა ჰლოცავდა, დაჰბუტბუტებდა: „დაიზარდენით, დაიზარდენით, პატარებო, გაიხარეთ, ღმერთმა ნუ შემასწროს იმ დღეს, თქვენი მარცხი და ზიანი ვნახოვო.“ მაინც ამაო იყო იმისი ლოცვა: მაისში აყვავდებოდნენ და თიბათვის ორკვირამდე ძლივსა სძლებდნენ, რადგან მოაწვებოდა ბარიდან საქონელი - ცხვარი, ძროხა და ორ დღეზე გადათელავდნენ ვერხვის მიდამოსა.

ყველას უყვარდა ვერხვი, რადგან მოსახედ ადგილას იდგა და იმის მეტი ხე არ მოიპოვებოდა; ამიტომ მწყემსები თავისი სამწყსოთი მის ჩრდილის ქვეშ ისვენებდნენ. ამის გამო ვერ ასწრებდა ვერხვი შეესწავლებინა ყვავილებისათვის თავისი ენა და ესაუბრა მათთან. თუმცა თითონ ესმოდა მათი საუბარი და ეს ადვილი დასასწავლიც იყო. ყვავილნი მუდამჟამს სიცოცხლეზე საუბრობდნენ, მზესა და დედამიწას ჰლოცავდნენ და ღმერთს ევედრებოდნენ: „ღმერთო, ნუ მოგვიღებ მალე ბოლოს, დიდ ხანს გვაცოცხლეო!“

„ახ, რა უქმად, უმნიშვნელოდ მიდის ჩემი სიცოცხლე, - ამბობდა ხშირად ვერხვი, - ისე გავჩნდი და გავიზარდე, ერთი წამი ვერ გავიხარე, ვერავის რა ვარგე. ეს ფრინველები რაღას მერიდებიან, იმათ რაღა დავუშავე?! ერთს მაინც გაეკეთებინა ჩემს ტოტებზე ბუდე და ბარტყები გამოეჩეკა!“ შესტრფოდა არწივს, როცა იგი მედიდურად დაჰბრუნავდა თავზე; ვერხვის სიხარულს ხომ საზღვარი არ ჰქონდა, თუ არწივი ჩამოეშვებოდა და მის კენწეროზე დაისვენებდა, მაშინ ვერხვის გულში თავმოყვარეობა იღვიძებდა და სიამაყე დაეტყობოდა: „უთუოდ ვყოფილვარ რამე, რომ თვით არწივი, მეფე ფრინველთა, მკადრულობს და ჩემს ტოტებზე ისვენებსო.“

მაგრამ ეს არწივის სტუმრობა იშვიათად ხდებოდა. ძალიან უნდოდა, ეწადა საბრალოს, რომ არწივს მასზე გაეკეთებინა ბუდე და მისი მართვეების წიწინი გაეგონა, მაგრამ არ მოხერხდებოდა. რა გააბრიყვებდა ისე არწივს, რომ კაცისა და საქონლის ფეხში ბინა ჩაედგა, თავისი ბუდე, შვილები ქვეყნის საჯიჯგნავად გაეხადა?!

III

ერთხელ მთაში თოვლი ადრე მოვიდა. მწყემსებს სიცივისაგან კანკალი მოჰკიდა. „ახ, ცეცხლოვო!“ - ყველანი ამას გაიძახოდნენ, ხოლო შეშა მთაში ძვირი საშოვარი იყო. უშეშობის გამო დიდი თათბირი შეექმნათ: ერთმა სთქვა, ვერხვი მოვჭრათო; სხვებმა იუარეს, როგორ შეიძლება, ცოდვაა მაგის მოჭრაო. მაგრამ ბოლოს მაინც დათანხმდნენ პირველსა. მანაც წამოავლო ცულს ხელი და გასწია ვერხვის მოსაჭრელად. ვერხვი, თეთრად თოვლით გადაპენტილი, გაყუჩული იდგა, არ იცოდა, რა მოელოდა მას.

- მოვიდა, ვერხვო, შენი აღსასრულის დღე, - დაილაპარაკა მწყემსმა, - მართალია, გვიყვარხარ და ამაგიცა გაქვს ჩვენს თავზე, მაგრამ რა ვქნათ, სიცივით ვიხოცებით! - თქვა რა ეს, აათვალიერ-ჩაათვალიერა ვერხვი ერთხელ კიდევ და შემოჰკრა ცული. ვერხვს აქ ჟრუანტელმა დაუარა ტანში, გაიჩმუჩნა და თეთრად ბამბის ქულასავით თოვლმა დაბლა იწყო ჩამოდენა. მწყემსი ცოტა განზე დადგა, სანამ ბარდანი ჩამოიკრიფებოდა, მეორეჯერაც შემოჰკრა ცული უფრო ძლიერად, ბარდანმა ხრიალი მოიღო. ვერხვმაც ტოტები აიკრიფა მაღლა, წელში გასწორდა, თითქოს მტრის დასახვედრად ემზადებოდა და წარმოთქვა გულმტკივნეულად: „ეჰ! მორჩა ჩემი უმადლო სიცოცხლეო!“ გასცქეროდა ტყეებს და ემშვიდობებოდა: „მშვიდობით, ძმებო, მშვიდობით, ცოცხალს არ მეღირსა თქვენთან ყოფნა, ეგები მკვდარს მაინც მეღირსოსო.“ სთქვა რა ეს, ხმა-კრინტიც არ დაუძრავს, ხოლო ჰაერში ცულის გაჩქარებული ჩქამი ისმოდა.

ნახევარი საათის შემდეგ ვერხვი დაბლა ეგდო გაშოტილი, თავს დასტრიალებდნენ მწყემსები: ზოგი ტოტებს აჭრიდა, სხვა მორებს აკეთებდა, ჰკრავდნენ გუდურებს და მიეზიდებოდნენ ქოხში.

საღამოზე ქოხში დიდი ცეცხლი ენთო, შეშად ვერხვი ენთო, გარშემო მწყემსები უსხდნენ, დიდი და პატარა, მკლავტიტველები; ფეხშიშველი ბალღები იხუხებოდნენ ცეცხლის ალზე, აგრეთვე მოხუცნი და ყველა კი ამას გაიძახოდა ერთხმად: „იჰ, რა ცეცხლია, დაგლოცა ღმერთმაო!“ ერთმა მწყემსმა ზღაპრის მოყოლაც დაიწყო: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდაო“ და სხვა.

ასე გათავდა ვერხვის სიცოცხლე, მოესწრო იგი მადლის ქმნას, მხოლოდ თითონ ვეღარა გრძნობდა საბრალო, თუ მადლსა შვრებოდა.

ვაჟა-ფშაველა

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

„გმირის რუკა“ და „ამბის რუკა“ ეფექტური მეთოდებია თხრობითი ხასიათის ტექსტის გაგებისა და ანალიზისთვის. სასურველია, მით უფრო საწყის ეტაპზე, ამ სქემებზე მუშაობა წყვილებში ან მცირე ჯგუფებში წარმართოთ.

მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი რუკების გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა სახეცვლილებითაც. წინარე ცოდნაზე დაყრდნობით რეკომენდებულია

გამარტივებული სქემის შეთავაზება (პირველ ეტაპზე), შემდეგ კი მისი თანდათანობით გართულება.

მუშაობის დაწყებამდე კარგად აუხსენით დავალების პირობა მოსწავლეებს და შემდეგ მიეცით დამოუკიდებლად მუშაობის საშუალება. ჩაერიეთ მხოლოდ აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში, ოღონდ არა მზა პასუხებით, არამედ მითითებებითა და რეკომენდაციებით.

1. დაიწყეთ **გმირის რუკის** შედგენით. **გმირის რუკის** შედგენისას მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და ავსებენ სქემის გრაფებს. მსჯელობენ: თუ რას ფიქრობს, როგორ მოქმედებს, რას გრძნობს მოთხრობის გმირი; რა შედეგი მოჰყვება მის ქმედებას. გამოთქვამენ საკუთარ ვარაუდებს. ახასიათებენ და აფასებენ გმირის საქციელს ტექსტის შინაარსზე დაყრდნობით.

შედარებით ვრცელი ტექსტის შემთხვევაშიც სასურველია, ტექსტი დაყოთ აზრობრივ მონაკვეთებად / ეპიზოდებად (სიტუაციებად) და ცალკეულ მონაკვეთზე დაყრდნობით შეადგენინოთ მოსწავლეებს **გმირის რუკა.**

გარდა იმისა, რომ ცალკეული ეპიზოდების მიხედვით რუკის შედგენა სამუშაოდ მარტივია, ამას აქვს სხვა დადებითი მხარეც: მოსწავლეებს, რომლებიც ცალკეულ სიტუაციებში განიხილავენ პერსონაჟს (*რას ფიქრობს, რას გრძნობს, რას ამბობს და რას აკეთებს, რა არის მისი მიზანი და რა შედეგი მოჰყვება მის მოქმედებას*), შემდეგ მთლიანი ტექსტის ფარგლებში უფრო მეტად უადვილდებათ აღქმა და გაანალიზება იმისა, *როდის და როგორ შეიცვალა გმირი, როგორი იყო ის ტექსტის დასაწყისში და როგორი გახდა ტექსტის ბოლოს; რამ განაპირობა მისი ტრანსფორმაცია, რაში გამოვლინდა მისი ცვლილება და რა მოჰყვა ამას საბოლოოდ.*

მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეებს გააცანით სქემა, შემდეგ მიეცით კონკრეტული მონაკვეთები და განუსაზღვრეთ სათანადო დრო. დავალების შესრულების შემდეგ გადადით შემდეგ მონაკვეთზე და გააგრძელეთ ასე, ვიდრე არ დაასრულებთ ტექსტის სრულ დამუშავებას ამ კუთხით.

სქემის ნიმუში:

გმირის რუკა

ეპიზოდი /სიტუაცია

მოქმედი გმირი: _____

რას ფიქრობს: _____

რას აკეთებს: _____

რას ამბობს: _____

რას გრძნობს: _____

გმირის მიზანი: _____

მოქმედების შედეგი: _____

- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა ცხრილში მოცემული ყველა კომპონენტების მიხედვით ტექსტის ან მისი მონაკვეთის ანალიზი, მიეცით მხოლოდ რამდენიმე მათგანი.
- ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია, საჭირო გახდეს ტექსტის ადაპტაცია და მასში ზემოთ მოცემული კომპონენტების უფრო გამოკვეთა. ეს იმ შემთხვევაში იქნება რეკომენდებული, თუ მოსწავლეს სჭირდება უფრო თვალსაჩინო მითითებები გმირის ფიქრებზე, მოქმედებებზე, გრძნობებზე. შესაბამისად, ტექსტში შეიძლება მსგავსი ჩანართების დამატება: .....- , გაიფიქრა ვერხვმა; მისი მიზანი იყო ..... და ა.შ.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მასწავლებელმა გააცნობიეროს, რომ იცვლება / ადაპტირდება მხატვრული ტექსტი და ის კარგავს ორიგინალურ პირველსახეს. ამ ტიპის კომპრომისზე წასვლა რიგ შემთხვევებში გამართლებულია, თუკი მოსწავლეს არა აქვს მოცემული სახის ტექსტის ანალიზის მზაობა. ამავდროულად, მიზანშეწონილია გმირის რუკის შექმნა და ანალიზის უნარ-ჩვევის განვითარება.

ნიმუშისათვის გთავაზობთ პირველი აბზაცის მიხედვით შევსებულ რუკას:

მარტოდმარტო იდგა ერთ მწირს გორაზე; მის ახლომახლო სხვა ხის ჭაჭანება არ იყო. ხოლო შორს, გაღმა, მოჩანდა დაბურული ტყე. ქვეით, ჭალაზე, მთა-ფერდობებზე, გაღმა-გამოღმა, მრავლისაგან უმრავლესი ხეები იდგა - ათასი, ათასნაირი ჯურისა. საბრალო ვერხვის ახლოს კი - ერთიც არა. გასცქეროდა შორით ტყეებს და ილეოდა სულით, იქ ვერხვებსაც ხედავდა, უფრო მათკენ მიუწევდა გული.

მოქმედი გმირი: _____ *ვერხვი* _____

რას ფიქრობს: _____ *არ ჩანს მოცემულ მონაკვეთში* _____

რას აკეთებს: _____ *მარტოდმარტო დგას; გასცქერის ტყეებს*_____

რას ამბობს: _____ *არაფერს* _____

რას გრძნობს: _____ *ტყისკენ ილეოდა სულით* _____

გმირის მიზანი: _____ *ვერხვებთან ყოფნა; მათკენ მიუწევდა სული* _____

მოქმედების შედეგი: _____ *არაფერი* _____

საჭიროების შემთხვევაში დაუბრუნდით შევსებულ რუკას და გააკეთებინეთ კომენტარები მხატვრული ენის უკეთ გაასაზრებლად:

მნიშვნელოვანი ადგილები / ფრაზები	**როგორ მესმის?**	**სინონიმი // მსგავსი გამოთქმა**
ტყისკენ ილეოდა სულით	ტყისკენ ისწრაფოდა; ძალიან უნდოდა ტყეში.	სული მისდის // ერთი სული აქვს

2. ამბის რუკა კარგი საშუალებაა მოთხრობის ეფექტური აღქმისა და ანალიზისთვის.

სქემის შევსება შეიძლება როგორც კითხვის პროცესში, ასევე ტექსტის ბოლომდე წაკითხვის შემდეგაც.

ამბის რუკის მიზანია: პერსონაჟების, გარემოებების, პრობლემების, მოვლენათა თანმიმდევრობის გამოყოფა. ტექსტის კითხვის დროს ამ მეთოდის გამოყენებისას მოსწავლეები განსაზღვრავენ მოვლენათა თანამიმდევრობას, აკეთებენ დასკვნებს და ასაბუთებენ, აჯამებენ სათქმელს ტექსტზე დაყრდნობით.

სქემის ნიმუში:

ამბის რუკა

სათაური

პერსონაჟები: _____

გარემოებები: _____

პრობლემები: _____

მოვლენა 1: _____

მოვლენა 2: _____

მოვლენა 3: _____

შეჯამება: _____ რით დაიწყო და რით დამთავრდა? _____

გთავაზობთ მოცემული ტექსტის მიხედვით შევსებული სქემის ნიმუშს:

I

პერსონაჟები: ვერხვი, მთის ნიავი, ქარი, ხმელი ფოთოლი, შავი ნისლი;

გარემოება: მარტოსულობა; უხეებოდ დარჩენილი ვერხვის წუხილი;

პრობლემა: „მკვდარი სიცოცხლე“ („*რასა ჰგავს ჩემი უმადლო სიცოცხლე, თუ... ვერავის ვერ გავახარებ და თითონაც ვერ გავიხარებ, ეს ხომ მკვდარი სიცოცხლეა*“).

მოვლენა 1: საბრალო ვერხვის საუბარი საკუთარ თავთან და ღვთის სამდურავი;

მოვლენა 2: ქარის მიერ მოტანილი ხმელი ფოთოლი - ვერხვის ერთადერთი ნუგეში;

მოვლენა 3: მრავალჯერ ნამეხარი ვერხვის შეუსმენელი ვედრება ბუნების მოვლენებისადმი (მთის ნიავი, გველეშაპივით უდარდელად მოცურავე შავი ნისლი, საშინელი ქარი).

II

პერსონაჟები: ვერხვი, ყვავილები, არწივი;

გარემოება: ფუჭი ზრუნვა და წამიერად გაღვიძებული თავმოყვარეობა და სიამაყე;

პრობლემა: „უმადლო სიცოცხლე“ (*„რა უქმად, უმნიშვნელოდ მიდის ჩემი სიცოცხლე... ვერავის რა ვარგე“*).

მოვლენა 1: ვერხვის ამაო ზრუნვა და წუხილი ყვავილების ხანმოკლე სიცოცხლის გამო;

მოვლენა 2: არწივის იშვიათი სტუმრობა და ვერხვის ხანმოკლე სიხარული;

III

პერსონაჟები: ვერხვი, მწყემსები.

გარემოება: ადრეული დაზამთრება და უშეშობა მთაში;

პრობლემა: ადამიანი და ბუნება (*„მართალია, გვიყვარხარ და ამაგიცა გაქვს ჩვენს თავზე, მაგრამ რა ვქნათ, სიცივით ვიხოცებით!“*).

მოვლენა 1: მწყემსების დიდი თათბირი და გადაწყვეტილება;

მოვლენა 2: უკანასკნელი გაბრძოლება და უმადლო სიცოცხლის დასასრული;

მოვლენა 3: მადლის ქმნა (*„მოესწრო იგი მადლის ქმნას, მხოლოდ თითონ ვეღარა გრძნობდა საბრალო, თუ მადლსა შვრებოდა“*).

ანალოგიურად, ამბის რუკის შესაქმნელად შესაძლებელია ტექსტის ადაპტირება და მოვლენების (პირველი ანუ დასაწყისი ეპიზოდის, მომდევნო ეპიზოდის, გაგრძელების და ბოლო ეპიზოდის) თანმიმდევრობის გამოკვეთა შესაბამისი ჩანართებით.

ზოგადად, იმისათვის, რომ მოსწავლეს გაუადვილდეს ამ ტიპის ტექსტების ანალიზი, გმირისა და ამბის რუკის შექმნა, თავდაპირველად რეკომენდებულია ვარჯიში ნათელი და თანმიმდევრული სიუჟეტის მქონე ტექსტებზე. ეს, პირველ რიგში, უზრუნველყოფს ანალიზის უნარის განვითარებას, რომლის გამოყენებაც მომდევნო ეტაპზე ეფექტურად მოხდება შედარებით რთულ ტექსტებზე მუშაობისას.

3. სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტის შექმნა

3.1. სტანდარტის შედეგები და ტიპური აქტივობები

სტანდარტის შედეგები, რომლებიც უზრუნველყოფს **ტექსტის შექმნის** უნარის გამომუშავებას დაწყებითი საფეხურის მეორე ეტაპზე:

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

ქართ.დაწყ.(II).10.
ნაცნობ თემატიკაზე სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების შექმნა;

ქართ.დაწყ.(II).11.
ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების მიზნობრივად შერჩევა და სათანადოდ გამოყენება; ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ნორმების დაცვა;

ქართ.დაწყ.(II).12.
წერის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.

ტიპური აქტივობები წერის უნარის განვითარებისათვის:

მეხუთე კლასი	• ტექსტიდან საკვანძო სიტყვების / ფრაზების ამოწერა; • ტექსტის მოკლე შინაარსის დაწერა (წინასწარ შედგენილ გეგმაზე დაყრდნობით); • ერთსა და იმავე კონკრეტულ თემასთან / საკითხთან დაკავშირებული პრაგმატული ტექსტის (წერილის, კულინარიული რეცეპტის, რჩევა-დარიგების) შედგენა ორი განსხვავებული ვერსიის სახით სხვადასხვა ასაკისა და სოციალური მდგომარეობის პირებისთვის (მაგ., თანაკლასელისა და მასწავლებლისთვის); • ჩანახატის შექმნა კონკრეტულ თემაზე (საკლასო გაზეთისა და ჟურნალისათვის); • განცდილი შთაბეჭდილების, კონკრეტული ცხოვრებისეული გამოცდილების გადმოცემა (მაგ., „ჩვენი ექსკურსია მცხეთაში“); • ნაცნობ / საინტერესო თემაზე მცირე ზომის მარტივი მხატვრული ტექსტის (ზღაპრის, მცირე მოთხრობის) შედგენა და დასათაურება (მაგ., „ჯიუტი ბიჭის ზღაპარი“) და სხვა.
მეექვსე კლასი	• ტექსტის / ტექსტის მონაკვეთის შინაარსის გადმოცემა მოკლედ და/ან ვრცლად; • ნაცნობ თემაზე საკუთარი მოსაზრების გამოთქმა და დასაბუთება; • მარტივი კვლევითი პროექტის (მაგ., გამოკითხვის) ჩატარება და შედეგების ამსახველი ანგარიშის დაწერა სათანადოდ ორგანიზებული სახით; • აზრობრივად საინტერესო ეპიზოდის გაგრძელებისა და დასასრულის საკუთარი ვარიანტის შედგენა; • მოკლე წერილობითი კომენტარის შედგენა საინტერესო მონაკვეთების შესახებ;

	• აზრის გამოთქმა / მსჯელობა ტექსტის და/ან ტექსტში დასმული პრობლემის / საკითხის, მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟის შესახებ; • მარტივი სახის ორიგინალური თხზულების დაწერა ნაცნობ თემატიკაზე; • განხორციელებული პროექტის (მაგ., მარტივი სოციოლოგიური გამოკითხვის) წერილობითი ანგარიშის შედგენა (საყრდენების / მოდელის გამოყენებით); • ერთი ტიპის ტექსტის შეცვლა სხვა ტიპის ტექსტით (მაგ., მოსმენილი ბიოგრაფიული ტექსტის ინფორმაციის გადმოცემა ტექსტის მთავარ გმირთან ინტერვიუს სახით, ინტერვიუსი - ბიოგრაფიული ტექსტის სახით) და სხვა.

3.2. აქტივობათა ნიმუშები

მეხუთე კლასი

აქტივობა 1. პრაგმატული ტექსტის შექმნა (რეკლამა)

აქტივობის მიზანი:

- სარეკლამო ტექსტის სტრუქტურისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ფლობისა და გამოყენების უნარის განვითარება;
- რეკლამის შექმნა.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(II).10
- გამოხატავს და ასაბუთებს თვალსაზრისს;
- წერისას აქცენტს აკეთებს მთავარ და არსებით მომენტებზე.

ქართ.დაწყ.(II).11
- მიზნისა და აუდიტორიის შესაბამისად შეარჩევს და იყენებს სათანადო ლექსიკურ ერთეულებს, ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს;
- მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებიდან კონტექსტის მიხედვით შეარჩევს სათანადო ლექსიკურ ერთეულს.

ქართ.დაწყ.(II).12
- განსაზღვრავს წერითი ნამუშევრის მიზანსა და აუდიტორიას;
- დამატებითი ინფორმაციის მოსაძიებლად იყენებს ბეჭდურ / ელექტრონულ რესურსებს;
- იყენებს მოდელს, საყრდენებს, მითითებებს, ტექსტის გეგმას, საჭიროებისამებრ იყენებს გრაფიკულ მაორგანიზებელს;
- ნაწერის სრულყოფის მიზნით, ხელახლა გადაიკითხავს ნამუშევარს, ასწორებს სტილისტურ ხარვეზებს და გრამატიკულ შეცდომებს;
- ხმამაღლა კითხულობს და, საჭიროების შემთხვევაში, ხვეწს ნამუშევარს ესთეტიკური და/ან სტილისტური თვალსაზრისით, ანაცვლებს უკეთესი ვარიანტით.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

1. გაახსენეთ მოსწავლეებს, რა არის რეკლამა და დაუსვით შემდეგი შეკითხვები: *უყურებთ თუ არა რეკლამებს? რატომ უყურებთ, ან რატომ არ უყურებთ? ძირითადად, რის რეკლამებს უყურებთ? რომელია თქვენი საყვარელი რეკლამა და რა მოგწონთ იქ? რომელი რეკლამა არ მოგწონთ და რატომ? რა გამახსოვრდებათ ყველაზე მეტად რეკლამაში? თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს რეკლამა, რომ დაგამახსოვრდეს? როგორი უნდა იყოს სარეკლამო ტექსტი? თქვენ თუ გაგიკეთებიათ რეკლამა? რისი რეკლამა გაგიკეთებიათ და სად და როდის?*

> იმ შემთვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა რეკლამაზე საუბარი ნიმუშის გარეშე, მიზანშეწონილია მისი ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურება: აჩვენეთ სხვადასხვა სარეკლამო რგოლები და დაუსვით შესაბამისი შეკითხვები.

2. მიეცით მოსწავლეებს ნებისმიერი სარეკლამო ტექსტი და კონკრეტული დავალებებით ყურადღება გაამახვილებინეთ, ზოგადად, ამ ტიპის ტექსტების ფუნქციურ და შინაარსობრივ მახასიათებლებზე. გთავაზობთ სანიმუშო სარეკლამო ტექსტს შესაბამისი აქტივობებით:

> გაინტერესებთ, როგორი ბავშვები იყვნენ და რაზე ოცნებობდნენ ცნობილი ადამიანები? გსურთ, იცოდეთ საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ? გაინტერესებთ საქართველოს ისტორია? გინდათ, გაიგოთ, რა ხდება საინტერესო ამბების სამყაროში? გჭირდებათ ექიმის რჩევები? გინდათ, გაიცნოთ თქვენი თანატოლები? უყურეთ "მიკროფონს", ამ ყველაფერს თქვენ პატარა ჟურნალისტებისაგან გაიგებთ კვირაში ორჯერ საღამოს 6 საათზე!

ა) წაიკითხეთ რეკლამა და დაასახელეთ, ვისთვის არის განკუთვნილი?

1. ტელემაყურებლებისთვის;
2. რადიომსმენელებისთვის;
3. მკითხველისთვის;
4. ყველასთვის.

> - იმ შემთვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა თქვენ მიერ წაკითხული ტექსტის შინაარსის აღქმა, მიაწოდეთ დაწერილი ტექსტი და სთხოვეთ თვალის მიდევნება. ასევე წერილობითად მიაწოდეთ დაწერილი შეკითხვა და პასუხების ვარიანტები. საჭიროების შემთხვევაში, შეამცირეთ პასუხების რაოდენობა.
> - იმ შემთხვევაში, თუ ტექსტის ლექსიკა მოსწავლისთვის რთულია, გაამარტივეთ ის.

ბ) შემოხაზეთ ყველა სწორი ვარიანტი, <u>რა არის ამ რეკლამის ფუნქცია.</u> მაყურებლის / მკითხველის:

1. დარწმუნება;
2. ინფორმირება;
3. გაფრთხილება;
4. გართობა.

საჭიროების შემთხვევაში, შეამცირეთ პასუხების რაოდენობა.

გ) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რას უკეთებენ რეკლამას პატარა ჟურნალისტები?
2. რა ტიპის გადაცემებს სთავაზობენ ტელემაყურებლებს?
3. კონკრეტულად რას ნახავს და რას გაიგებს ტელემაყურებელი?

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა ღია შეკითხვებზე პასუხების გაცემა, დაუბრუნდით წინა ეტაპზე გამოყენებულ სტრატეგიას - მიაწოდეთ პასუხების ვარიანტები და სთხოვეთ, აირჩიოს შესაბამისი.

დ) მიუთითეთ, გამოკვეთილია თუ არა რეკლამაში გადაცემის ძლიერი მხარეები და დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე.

ამ შემთხვევაშიც, თუ მოსწავლეს გაუჭირდა შეკითხვის დასაბუთება, მიაწოდეთ პასუხების ვარიანტები და სთხოვეთ, აირჩიოს შესაბამისი.

ე) გამოხატეთ საკუთარი დამოკიდებულება მოცემული რეკლამის მიმართ: *გაგიჩნდათ თუ არა სურვილი, უყუროთ "მიკროფონელების" გადაცემებს და რატომ? იმოქმედა თუ არა თქვენზე რეკლამამ? კონკრეტულად რამ დაგაინტერესათ რეკლამაში?* და ა.შ.

3. ამის შემდეგ იმუშავეთ ტექსტის ენობრივ-გამომსახველობით მხარეზე. გთავაზობთ რამდენიმე აქტივობის ნიმუშს:

ა) თავიდან წაიკითხეთ ტექსტი და დაასახელეთ, შინაარსის მიხედვით როგორი წინადადებებია რეკლამაში მოცემული: *თხრობითი, კითხვითი* თუ *ბრძანებითი*? მიუთითეთ ყველა შესაძლო ვარიანტი.

იმისათვის, რომ მოსწავლემ სწორად განსაზღვროს წინადადების ფორმა, წაიკითხეთ ტექსტი შესაბამისი ინტონაციით. მიეცით მოსწავლეს ტექსტი და სთხოვეთ, შესაბამისი სასვენი ნიშნების დასმა (ძახილის ნიშანი, კითხვითი ნიშანი, წერტილი).

თუ სასვენი ნიშნების შერჩევა და გამოყენება მოსწავლისთვის რთული აღმოჩნდება, მაშინ სთხოვეთ მოსწავლეს, სასვენ ნიშნებზე დაყრდნობით წაიკითხოს წინადადებები შესაბამისი ინტონაციით.

ბ) დაასახელეთ, რას გამოხატავს ბრძანებითი წინადადება:

1. სურვილს;
2. რჩევას;
3. ვარაუდს
4. აუცილებლობას.

საჭიროებისამებრ, გაახსენეთ სათანადო ენობრივი მარკერები - როგორ გამოვხატავთ სურვილს, რჩევას, ვარაუდსა და აუცილებლობას: *თუ გსურთ, უყურეთ! გირჩევთ, რომ უყუროთ! შეგიძლიათ უყუროთ! / იქნებ უყუროთ! უყურეთ! / უნდა უყუროთ! / აუცილებლად უყურეთ!*

იმისათვის, რომ მოსწავლეს არ გაუჭირდეს მოდალობებსა და შესაბამის ენობრივ მარკერებს შორის კავშირის დამყარება, გამოიყენეთ სქემები:

სურვილი	**რჩევა**	**ვარაუდი**	**აუცილებლობა**
თუ გსურთ, უყურეთ!	*გირჩევთ, რომ უყუროთ! შეგიძლიათ უყუროთ! უყურეთ!*	*იქნებ უყუროთ!*	*უნდა უყუროთ! აუცილებლად უყურეთ!*

გ) დააკვირდით კითხვით წინადადებებს. რომელი სიტყვებით იწყება ისინი? მონიშნეთ ეს სიტყვები და მიუთითეთ, რას გამოხატავენ ისინი? (*ინტერესს, სურვილს* თუ *საჭიროებას*).

4. ამის შემდეგ გააცანით მოსწავლეებს სარეკლამო ტექსტის ძირითადი პარამეტრები და სთხოვეთ, ამ პარამეტრების მიხედვით თავიდან განიხილონ ტექსტი.

სარეკლამო ტექსტის ძირითადი მოთხოვნები:

I. დაიცავი რეკლამის მთავარი პრინციპი - მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდება მინიმალურ დროში.

II. გაითვალისწინე რეკლამის ვიზუალური მხარე - სად უნდა განთავსდეს და რა სახით (ტელევიზია, პრესა, ინტერნეტი, ქუჩა...)

III. გამოკვეთე რეკლამის ფუნქცია და მისი მომხმარებელი.

ფუნქციები: ა. დარწმუნება; ბ. ინფორმირება;
გ. გაფრთხილება; დ. გართობა და სხვა.

IV. გაითვალისწინე ძირითადი მომხმარებლის ასაკი და ინტერესები.

V. გამოკვეთე სარეკლამო პროდუქტის ძლიერი მხარეები:

დაიმახსოვრე: ამბობ მხოლოდ კარგს და არაფერს - ცუდს!

VI. ყურადღება მიაქციე ტექსტის ფორმას და ენას:

დაიმახსოვრე: ტექსტი უნდა იყოს მარტივი, ყველასათვის გასაგები და მცირე ზომის. მოერიდეთ გრძელ და რთულ ფრაზებს.

იმისათვის, რომ მოსწავლეს არ გაუჭირდეს სარეკლამო ტექსტსა და მის ძირითად პარამეტრებს შორის კავშირის დამყარება, შესაძლებელია აღნიშნული პარამეტრები განიხილოთ კონკრეტულ რეკლამასთან მიმართებაში. სთხოვეთ მოსწავლეს, შეაფასოს სარეკლამო ტექსტი და განსაზღვროს მისი მოცულობა (დიდია თუ პატარა; რა ასაკის მომხმარებლისთვის არის გათვლილი; რამდენად მარტივია; რა პოზიტიურ ინფორმაციას გამოხატავს და ა.შ.).

5. მიეცით ახალი ტექსტი, რომელშიც ბოლომდე არ არის (ნაკლებად არის ან საერთოდ არ არის) გათვალისწინებული სარეკლამო ტექსტის ძირითადი მოთხოვნები. მიაწოდეთ ინფორმაცია რეკლამის ფუნქციისა და სამიზნე ჯგუფის შესახებ და შეასრულებინეთ შემდეგი დავალებები (ამუშავეთ მოსწავლეები წყვილებში):

ა) სარეკლამო მოთხოვნებიდან რა არ არის გათვალისწინებული წარმოდგენილ ტექსტში? დაასახელეთ ეს ხარვეზები და დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია, რატომ ფიქრობთ ასე.

ბ) გამართეთ ტექსტი სარეკლამო მოთხოვნების გათვალისწინებით და წარმოადგინეთ კლასის წინაშე.

გთავაზობთ ნიმუშს:

> თუ რთული სამუშაო დღე გართმევთ დროსა და ენერგიას, ნუ იფიქრებთ კერძების მომზადებაზე, დაზოგეთ დრო და ენერგია! ჩვენი სწრაფი კვების ობიექტის მაღალკალორიული კერძები მომენტალურად მოგიკლავთ შიმშილს. მართალია, ექიმები ამბობენ, რომ ისინი ჯანმრთელობისთვის მავნებელია, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ჯანსაღ ემულგატორებს, ანუ საკვებ დანამატებს ვიყენებთ.
>
> წამოიყვანეთ თქვენი პატარებიც და გვეწვიეთ ახლავე! თქვენ გელით სიურპრიზები - შეჭამთ, გაერთობით და თანაც დასაჩუქრდებით!

ხარვეზების შესახებ: სარეკლამო ტექსტი ჭარბია და ზედმეტ ინფორმაციას შეიცავს. ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციის გამო, ტექსტი ვერ უზრუნველყოფს რეკლამის მთავარ ფუნქციას - დაარწმუნოს მომხმარებელი, რატომ უნდა იკვებოს იქ. გარდა ამისა, ტექსტში არათუ მოცემულია სარეკლამო პროდუქტის ძლიერი მხარე, პირიქით, გამოკვეთილია მისი უარყოფითი, ჯანმრთელობისათვის საშიში ასპექტები (მაღალკალორიულობა, საკვები დანამატების / ემულგატორების არსებობა, ექიმების პოზიცია ამგვარი საკვების მიმართ). სუსტი მხარეა თავისთავად საკვები დანამატების ანუ ემულგატორების გამოყენების აღნიშვნაც, რაც თავისთავად უკვე მიანიშნებს ამგვარი საკვების საფრთხის შემცველობაზე და ა.შ.

გარდა ამისა, ტექსტში არის გრძელი და რთული ფრაზებიც (მაგ., *ჩვენი სწრაფი კვების ობიექტის მაღალკალორიული კერძები მომენტალურად მოგიკლავთ შიმშილს. მართალია, ექიმები ამბობენ, რომ ისინი ჯანმრთელობისთვის მავნებელია, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ჯანსაღ ემულგატორებს, ანუ საკვებ დანამატებს ვიყენებთ*).

- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა ტექსტის ანალიზი და ხარვეზების გამოკვეთა, მონიშნეთ ის ადგილები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ სარეკლემო ტექსტის მოთხოვნებს და სთხოვეთ მოსწავლეს მათი შეფასება.
- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა მოცემული ტექსტის ჩასწორება სარეკლამო ტექსტის მოთხოვნების გათვალისწინებით, მიაწოდეთ მას მოცემული სარეკლემო ტექსტის ალტერნატიული ვარიანტები (რომელთაგან ერთში გათვალისწინებულია ყველა მოთხოვნა, დანარჩენ ორში კი - მხოლოდ ნაწილობრივ).

სამუშაოს დასრულების შემდეგ წყვილები ცალ-ცალკე წარადგენენ საკუთარ ნამუშევრებს - ასახელებენ ხარვეზებს და ასაბუთებენ პოზიციებს, ბოლოს წარადგენენ საკუთარ ვარიანტებს.

წარმოდგენილი ვარიანტებიდან მოსწავლეებთან ერთად შეარჩიეთ საუკეთესო სარეკლამო ტექსტი ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით.

6. ამის შემდეგ გადადით ახალი სარეკლამო ტექსტის შექმნაზე. დაყავით მოსწავლეები მცირე ჯგუფებად. გააცანით სიტუაცია, რის შესახებ უნდა დაწერონ რეკლამა; შეახსენეთ, რომ არ დაავიწყდეთ სარეკლამო ტექსტის მოთხოვნების გათვალისწინება და მიეცით დამატებითი დავალება - გააფორმონ რეკლამა ვიაზუალურად და ისე წარადგინონ კლასის წინაშე. მოსწავლეთა ნამუშევრები შეაფასეთ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- შეესაბამება სარეკლამო ტექსტის მოთხოვნებს;
- იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს;
- ავლენს შემოქმედებით უნარებს (ფანტაზია, ორიგინალურობა, კრეატიულობა).

გთავაზობთ სარეკლამო სიტუაციების ნიმუშებს:

ა) *ადგილობრივი ტელევიზიით ეთერში უნდა გავიდეს ახალი საბავშვო გადაცემა.*

მოიფიქრეთ გადაცემის თემატიკა, შინაარსი და ფორმატი და დაწერეთ ამ გადაცემისათვის სარეკლამო ტექსტი.

ბ) *გადაწყვიტეთ, რომ თქვენი კლასის შემოქმედება გააცნოთ თქვენს ქალაქს, სოფელს.*

მოიფიქრეთ, რის შეთავაზებას აპირებთ (ნახატების გამოფენა, კონცერტი, პოეზიის საღამო, სპექტაკლი და ა.შ.) და დაწერეთ შესაბამისი სარეკლამო ტექსტი. მიუთითეთ: სად და როდის აპირებთ ამის გაკეთებას.

გ) *დაგიკვეთეს ახლადგახსნილი საბავშვო გასართობი ცენტრის რეკლამირება.*

მოიფიქრეთ, რას სთავაზობს ეს ცენტრი ახალსა და განსაკუთრებულს; რით იქნება გამორჩეული უკვე არსებული ცენტრებისაგან. არ დაგავიწყდეთ ცენტრის სახელისა და მისამართის მითითება.

დ) *საბავშვო საკვები პროდუქციის რეკლამა.*

აირჩიეთ პროდუქცია და ჩამოთვალეთ მისი ყველა სასარგებლო თვისება. გამოკვეთეთ თქვენი პროდუქციის გამორჩეულობა / უნიკალურობა / უპირატესობა დამატებითი ინფორმაციით (ხარისხი, ფასი, მისაწვდომობა; კვლევის შედეგები, მაგალითები და ა.შ.). არ დაგავიწყდეთ მითითება, სად შეიძინოს ან შეუკვეთოს მომხმარებელმა რეკლამირებული პროდუქცია.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა სარეკლამო ტექსტის მოფიქრება წარმოსახვითი სიტუაციისთვის, სთხოვეთ მას და მის ჯგუფს, განსაზღვრონ ის რეალური ნივთი, ადგილი, სიტუაცია, რომელიც მათ ჯგუფში საყოველთაო მოწონებას იმსახურებს.

შესაძლებელია, მათ თავად წარუდგინოთ რეკლამის ობიექტი (საბავშვი საკვები, გასართობი ცენტრი და ა.შ.). წაახალისეთ მოსწავლეები, აღწერონ ნივთის, სიტუაციის, ადგილის უპირატესობები და მათი გათვალისწინებით შეადგინონ სარეკლამო ტექსტი. ამავდროულად კიდევ ერთხელ გააფრთხილეთ, არ გამორჩეთ სარეკლამო ტექსტის პარამეტრების დაცვა.

აქტივობა 2. შემოქმედებითი წერა წერის სამივე ეტაპის დაცვით (ჯადოსნური ზღაპრის შექმნა)

აქტივობის მიზანი:

- წერის პროცესის დამოუკიდებლად ორგანიზების უნარის განვითარება - ტექსტის შესაქმნელად გეგმის შედგენა, შექმნილი ტექსტის გადამუშავება;
- ენობრივი უნარების განვითერება - გრამატიკული ნორმების დაცვა; აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემა;
- სოციალური (თანამშრომლობითი) და შემოქმედებითი უნარების განვითარება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(II).10

- თანამიმდევრულად გადმოსცემს სათანადო ინფორმაციას, კონკრეტულ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, განცდილ შთაბეჭდილებას, ფაქტებსა და მოვლენებს;
- წერისას აქცენტს აკეთებს მთავარ და არსებით მომენტებზე.

ქართ.დაწყ.(II).11

- იყენებს სათანადო ლექსიკურ ერთეულებს, ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს;
- თანამიმდევრულობისა და ლოგიკური შესაბამისობის დაცვით ყოფს ტექსტს აბზაცებად;
- ტექსტის შედგენისას ცდილობს ნაცნობი მხატვრული ხერხების გამოყენებას;
- მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებიდან კონტექსტის მიხედვით შეარჩევს სათანადო ლექსიკურ ერთეულს;
- აქტიურად იყენებს მეტყველების ნაწილთა ძირითად ფორმობრივ თავისებურებებს; ზმნის ფორმაცვალებისას მართებულად შეუწყობს სახელებს ბრუნვასა და რიცხვში;
- მართებულად იყენებს შეფასების / დამოკიდებულების გამომხატველ ენობრივ ფორმულებს (მაგ. „არ გეთანხმები“, „მეც ასე მგონია“, „მეეჭვება“, „არ მჯერა“, „შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ...“ და ა.შ.).

ქართ.დაწყ.(II).12

- წერის დაწყებამდე წინასწარ ირჩევს თემას;
- იყენებს მოდელს, საყრდენებს, მითითებებს, ტექსტის გეგმას;

- საჭიროებისამებრ იყენებს გრაფიკულ მაორგანიზებელს;
- ნაწერის სრულყოფის მიზნით ხელახლა გადაიკითხავს ნამუშევარს, ასწორებს სტილისტურ ხარვეზებს და გრამატიკულ შეცდომებს;
- ითვალისწინებს ზმნის პირის ფორმათა აგების კანონზომიერებებს;
- ხმამაღლა კითხულობს და, საჭიროების შემთხვევაში, ხვეწს ნამუშევარს ესთეტიკური და/ან სტილისტური თვალსაზრისით;
- ნაწერს ანაცვლებს უკეთესი ვარიანტით.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

1. მოსწავლეების გამოწვევა.

დაიწყეთ მოსწავლეთა პირადი გამოცდილებისა და წინარე ცოდნის გააქტიურებით. ასაუბრეთ ისინი ზოგადად ზღაპრის შესახებ:

ა) სთხოვეთ, საკუთარი სიტყვებით განმარტონ, ახსნან, *რა არის ზღაპარი?* საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ შეკითხვებით, რათა მიიყვანოთ მართებულ განმარტებამდე: *ზღაპარი არის ფანტასტიკურ ამბავზე აგებული თხრობითი ნაწარმოები. ზღაპარი მხატვრული გამონაგონია, შეთხზული ამბავია.*

დასვით შემდეგი შეკითხვები: *ზღაპარი შეთხზული, გამოგონილი ამბავია, თუ რეალური? რატომ ამბობენ, რომ ზღაპარი ფანტასტიკურ ამბავზე აგებული ნაწარმოებიაო? რა არის იქ დაუჯერებელი, ძალიან უცნაური და განუხორციელებელი? რას ეძახიან ასეთ ზღაპრებს? გარდა ჯადოსნური ზღაპრებისა, კიდევ როგორი ზღაპრები არსებობს?* - საყოფაცხოვრებო ზღაპრები, ზღაპრები ცხოველების შესახებ და ა.შ. *რით განსხვავდება ჯადოსნური ზღაპარი სხვა ზღაპრებისგან?*

> იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა ზღაპარზე საუბარი, გააააქტიურეთ მისი ცოდნა და გამოცდილება: წინასწარ წაუკითხეთ (შესაძლებელია რამდენიმე დღით ადრე) რამდენიმე ზღაპარი და მათი შინაარსისა და ფორმის გახსენებით წაახალისეთ დისკუსიაში მისი ჩართულობა.

ბ) გაახსენეთ ზღაპრები, რომლებიც ბოლოს წაიკითხეს ან ისწავლეს. ჰკითხეთ: *როგორი ზღაპარი იყო - ჯადოსნური, საყოფაცხოვრებო თუ ცხოველების შესახებ? ვინ იყვნენ ზღაპრის პერსონაჟები? რას ეხებოდა ზღაპრის სიუჟეტი? რა დაბრკოლებები შეხვდა გმირს? რომელ ბოროტ ძალებს შეებრძოლა? როგორ, ვისი დახმარებით გადალახა წინააღმდეგობები, სძლია ბოროტს? რით დამთავრდა?*

> იმისათვის, რომ ხელი შეუწყოთ ზღაპრის შინაარსის ეფექტურად აღდგენას, გამოიყენეთ სიუჟეტური სურათები. მიეცით ისინი მოსწავლეს და სთხოვეთ, მათზე დაყრდნობით გაგცეთ პასუხები დასმულ შეკითხვებზე.

2. ზღაპრის შინაარსობრივი და ენობრივი მახასიათებლები. ამის შემდეგ გადადით უშუალოდ ჯადოსნურ ზღაპარზე და იმუშავეთ მის შინაარსობრივ და ენობრივ მახასიათებლებზე.

ა) აჩვენეთ მოსწავლეებს დიდ ფორმატზე წინასწარ გამზადებული ცხრილი, სადაც მოცემულია მხოლოდ შეკითხვები და გააცანით ისინი. ამის შემდეგ მოსწავლეებთან ერთად შეავსეთ ცხრილის მეორე სვეტი შესაბამისი ინფორმაციით (გთავაზობთ სავარაუდო ვარიანტებს):

	ჯადოსნური ზღაპარი
რა გვჭირდება ზღაპრის შესაქმნელად ყველაზე მეტად?	ფანტაზია; წარმოსახვისა და იმპროვიზაციის უნარი
ვინ არის და როგორია ჯადოსნური ზღაპრის გმირი?	ჩვეულებრივი ადამიანია, სულ ერთია, გლეხის შვილია თუ ხელმწიფისა. თუმცა, სხვებისგან განსხვავდება განსაკუთრებული მონაცემებით: ოქროსქოჩრიანია, აქვს გამორჩეული ფიზიკური ძალა, სხვა თუ წლობით იზრდება, ის - დღეობით და ა.შ.
რას აკეთებს ეს გმირი?	ჯადოსნური ზღაპრის გმირი ყოველთვის სიკეთეს განასახიერებს. ებრძვის ბოროტ ძალებს, ამარცხებს მათ და ყოველთვის იმარჯვებს.
ვინ არიან ბოროტი ძალები?	დევი, გველეშაპი, კუდიანი დედაბერი, ბოროტი დედინაცვალი და ა.შ.
როგორ ამარცხებს გმირი ბოროტებას?	ჯადოსნური ზღაპრის გმირი არასოდეს რჩება მარტო. საკუთარი მოხერხებულობით ან სხვათა დახმარებით (კერძოდ, გარეგანი ძალების, სხვების რჩევა-დარიგებების, ჯადოსნური საგნების და ა.შ.) ართმევს სიძნელეებს თავს.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს **გაუჭირდა ცხრილის შევსება** ზღაპრებზე ზოგადი მსჯელობის საფუძველზე, წაუკითხეთ კონკრეტული ჯადოსნური ზღაპარი ან მიეცით ნაცნობი ზღაპრის სიუჟეტური სურათი და ამის საფუძველზე შეავსებინეთ ცხრილი.

ბ) ზღაპრის ენა. აუხსენით მოსწავლეებს, რომ ჯადოსნური ზღაპრის ენა ერთ-ერთი მთავარი ჟანრობრივი მახასიათებელია, რომელიც მჟღავნდება როგორც პერსონაჟების დახასიათებისას (მაგ., *ბოროტი დედინაცვალი, ცხრათავიანი გველეშაპი* და ა.შ.), ისე გარემოსა და მოვლენის, მოქმედების აღწერისას (მაგ., *უღრანი ტყე, ტრიალი მინდორი // პირიდან ცეცხლს ყრიდა, გადაიარა ცხრა მთა და ცხრა ზღვა* და ა.შ.).

ამის შემდეგ აჩვენეთ მეორე ცხრილი და იმავე პრინციპით შეავსეთ მოსწავლეებთან ერთად:

	ჯადოსნური ზღაპარის ენა
პერსონაჟები	საწყალი/ღარიბი კაცი, ოქროს ფასკუნჯი, წითელი რაში, ოქროსფერთმიანი მზეთუნახავი და ა. შ. ცალთვალა დევი, ცხრათავიანი გველეშაპი, კუდიანი დედაბერი, ბოროტი დედინაცვალი და ა. შ.
გარემო	დაბურული/უღრანი ტყე, თვალუწვდენელი ზღვა/მინდორი, ცხრა მთა, ტრიალი მინდორი, სალი კლდე; ქათმის ფეხებზე შემდგარი ქოხი და ა. შ.
ჯადოსნური საგნები / ნივთები	ჯადოსნური სარკე, წითელი ვაშლი, მფრინავი ხალიჩა, უკვდავების წყალი და ა. შ.
საყრდენი ფრაზები	გამოემშვიდობა და გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიადგა ... იარა, იარა და ერთ ქვეყანაში მივიდა. ერთ ტრიალ მინდორში გავიდა. გადაიარა ცხრა მთა და ცხრა ზღვა. სიხარულით ცას ეწია. ჩემი შიშით ცაში ფრინველი არ დაფრინავს, დედამიწაზე ჭიანჭველა არ დაცოცავს და შენ როგორ გაბედე აქ მოსვლა?! და ა.შ.

დასაწყისი ფორმულები	იყო და არა იყო რა..., ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო ერთი ... ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა. იმ დროს...
დასასრული ფორმულები	ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა. ელასა, მელასა ჭიქა მეკიდა ყელასა; მთქმელსა და გამგონებელსა ჭირი გაშოროთ ყველასა. ... და სიკვდილმდე ტკბილად ცხოვრობდნენ. ... დღესაც ბედნიერად ცხოვრობენ. და დიდხანს ცხოვრობდნენ ბედნიერად.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა ცხრილის შევსება ზღაპრებზე ზოგადი მსჯელობის საფუძველზე, წაუკითხეთ კონკრეტული ჯადოსნური ზღაპარი და მასზე დაყრდნობით შეავსებინეთ ცხრილი. დაავალეთ მოსწავლეს მოიძიოს ტექსტში შესაბამისი ინფორმაცია (მაგ. დასაწყისა და დასასრული ფორმულები; ჯადოსნური საგნები; გარემო; პერსონაჟები), ჯერ გახაზოს და შედეგ ამოწეროს.

3. წერისთვის მზადება.

ა) ზღაპრის სიუჟეტი: კიდევ ერთხელ დააზუსტეთ, რომ ყველა ჯადოსნური ზღაპარი ერთ თარგზეა გამოჭრილი და ერთმანეთს ჰგავს. ჰკითხეთ მოსწავლეებს, მათი აზრით, *როგორ იგება ჯადოსნური ზღაპრის სიუჟეტი - როგორ იწყება, შემდეგ რა ხდება, როგორ ვითარდება ამბავი და როგორ მთავრდება?*

ჩაინიშნეთ მოსწავლეთა ვარაუდები, შემდეგ შეადარეთ ისინი ერთმანეთს და სქემის დახმარებით კიდევ ერთხელ აუხსენით, რომ *მიუხედავად შინაარსის მრავალფეროვნებისა, ჯადოსნურ ზღაპარს მარტივი და თითქმის ერთგვაროვანი კომპოზიცია აქვს, რომელიც აუცილებლად უნდა დავიცვათ*:



ამის შემდეგ დაყავით მოსწავლეები ოთხ ჯგუფად და მიეცით ჯგუფებს ზღაპრების დასაწყისები, რომლებიც უნდა გააგრძელონ და საკუთარი ვარიანტები შექმნან:

მოსწავლეთა წარმოსახვის გასააქტიურებლად, შესაძლებელია მიზანშეწონილი იყოს ტექსტის დასაწყისთან ერთად, მისთვის სიუჟეტური ნახატის მიცემაც. ზოგიერთ შემთხვევაში, ნახატი გახდება დამატებითი შთაგონების წყარო ზღაპრის გასაგრძელებლად. ნახატი შესაძლებელია ასახავდეს შესაქმნელი ტექსტის მონაკვეთს ან დამატებით სიუჟეტს, რომლის გამოყენებასაც მოსწავლე შესძლებს ზღაპრის გასაგრძელებლად.

დასაწყისი პირველი და მეორე ჯგუფებისთვის:

იყო და არა იყო რა იყო, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა იყო *ერთი ღარიბი მეტყევე*, რომელსაც სახლი დაბურულ ტყეში ედგა. ყოველ ცისმარე დღეს მეტყევე შეშის საჭრელად დადიოდა. ერთ დილითაც...

მესამე და მეოთხე ჯგუფებისთვის:

ერთხელ ერთი ხელმწიფე ძალიან ავად გახდა. რა არ სცადეს, რა წამალი არ მოუტანეს, მაგრამ არაფერმა უშველა. ბოლოს სასახლის ექიმმა თქვა: შორეულ ქვეყანაში რომ *ოქროს ვაშლები* იზრდება ჩვენს ხელმწიფეს ის თუ განკურნავსო. როცა ეს უფლისწილმა გაიგო, შეჯდა რაშზე და *ოქროს ვაშლების* საძებნელად გასწია.

ბ) გეგმაზე მუშაობა. გაითვალისწინეთ, რომ *წერითი ნამუშევრის შესაქმნელად გეგმაზე მუშაობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, ვინაიდან ის ააქტიურებს იდეების გენერირების პროცესს, ხელს უწყობს წერის პროცესის ეტაპებისა და წერის სათანადო სტრატეგიების გაცნობიერებას; გარდა ამისა, გეგმაზე მუშაობა ეხმარება ავტორს, გამოკვეთოს ამბის ორგანიზაციული ყალიბი, სათანადოდ გაშალოს კომპოზიციურად და სტრუქტურულად შეკრული სიუჟეტი, უყურადღებოდ არ დარჩეს მნიშვნელოვანი დეტალები, თანმიმდევრულად გაჰყვეს თხრობას* და ა.შ.

ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია, მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეებს დაავალოთ გეგმის შემუშავება, რომელსაც გამოიყენებენ წერის დროს.

პირველ რიგში, სთხოვეთ ჩამოწერონ იდეები:

- პირველმა და მეორე ჯგუფებმა უნდა მოიფიქრონ ის მოულოდნელი მიზეზი, რის გამოც მოუწევს მეტყევეს სახლიდან წასვლა;
- ყველა ჯგუფმა უნდა მოიფიქროს, რა სახიფათო დავალებების შესრულება მოუწევს მათ გმირს;
- გამოკვეთონ ბოროტი პერსონაჟები, რომელთა წყალობითაც გმირი ვარდება სახიფათო სიტუაციებში;
- განსაზღვრონ, როგორ ან ვისი დახმარებით დაამარცხებს გმირი ბოროტ ძალებს და თავს დაიხსნის ამ სახიფათო სიტუაციებიდან;
- სად და როგორ შეხვდება გმირი მზეთუნახავს და ა.შ.

გ) ჩამოწერილი იდეებიდან მოსწავლეებმა უნდა შეარჩიონ მათთვის მისაღები და მოიფიქრონ, როგორ დააკავშირებენ მათ ერთმანეთთან ანუ, იფიქრონ მათ ლოგიკურ ბმაზე.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჭირდა იდეების სრულად ჩამოყალიბება, სთხოვეთ სხვის მიერ მოწოდებულ იდეაში დააზუსტოს რაიმე დეტალი; ჰკითხეთ, ხომ არ შეცვლიდა რამეს; ეთანხმება თუ არა გამოთქმულ აზრებს?

ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია, ზღაპრის შედგენის პროცესი გააიოლოს იდეების ვარიანტების მიწოდებამ. მიეცით მოსწავლეს წასაკითხად ზღაპრის გაგრძელების ორი ვარიანტი. სთხოვეთ წაიკითხოს და აირჩიოს ის გაგრძელება, რომელიც უფრო საინტერესოდ მოეჩვენება.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს აღენიშნება კითხვასთან დაკავშირებული სირთულეები, იმავეს განხორციელება შესაძლებელია სიუჟეტური სურათების გამოყენებით.

აღნიშული სტრატეგიების გამოყენებით შესაძლებელია დამუშავდეს ზღაპრის მთლიანი სიუჟეტი.

დ) ენობრივი ცოდნის მობილიზება. იდეების ჩამოწერის შემდეგ მოსწავლეებს სთხოვეთ, დაუბრუნდნენ ჯადოსნური ზღაპრის ენასთან მიმართებით დამუშავებულ ცხრილს და მონიშნონ ის ენობრივი მასალა (ეპითეტები, საყრდენი ფორმულები და ა.შ.), რომელიც პირდაპირ კავშირშია მათ ჩამოყრილ იდეებთან და სავარაუდო შინაარსობრივ დეტალებთანაც. აუხსენით მოსწავლეებს, რომ მათ შეუძლიათ განავრცონ ეს ენობრივი რესურსი - დაამატონ ახალი საყრდენი ფრაზები, კლიშეები, ეპითეტური წყვილები და ა.შ.

ენობრივი მასალის მონიშვნის შემდეგ, სთხოვეთ მოსწავლეს, გადააბას სიუჟეტის ცალკეული მონაკვეთები ცხრილში მონიშნული ენობრივი რესურსების გამოყენებით.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს ამის განხორციელება დამოუკიდებლად გაუჭირდა, დაეხმარეთ მას, ან სთხოვეთ ამის გაკეთება მისი ჯგუფის წევრს. შემდეგ კი წაახალისეთ მოსწავლე, გაიმეოროს შედგენილი ზღაპარი.

ე) როგორც ენობრივი, ისე სიუჟეტთან დაკავშირებული რესურსის მობილიზების შემდეგ დაავალეთ მოსწავლეებს ზღაპრის გეგმის შედგენა.

4. წერის ეტაპი.

ამის შემდეგ ჯგუფები იწყებენ მუშაობას. ქმნიან ჯერ პირველად, შავ ვერსიას. სასურველია, მასწავლებელმა შორიდან აკონტროლოს მუშაობის პროცესი და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ჩაერიოს კონკრეტული რჩევებითა და რეკომენდაციებით.

შავი ვერსიის დასრულების შემდეგ სთხოვეთ ჯგუფებს, წაიკითხონ და შეასწორონ საკუთარი ნამუშევრები - საჭიროებისამებრ, შეიტანონ მასში ცვილებები, ჩაამატონ ან ამოიღონ კონკრეტული დეტალები, გამართონ ენობრივად, ყურადღება მიაქციონ სტილს (გასაგებად და თანმიმდევრულად გადმოსცემენ თუ არა სათქმელს; ბუნდოვანი ხომ არ არის აზრი და ა.შ.), პუნქტუაციასა და მართლწერის საკითხებს.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს აღენიშნება წერასთან დაკავშირებული სირთულეები, რის გამოც, ის უშუალოდ ზღაპრის ჩაწერის პროცესში არააქტიურია, გამოათქმევინეთ აზრი ზღაპრის ძირითად სიუჟეტთან და დეტალებთან დაკავშირებით. ჰკითხეთ, ეთანხმება თუ არა გამოთქმულ მოსაზრებებს, დაზუსტებებს, რამეს ხომ არ შეცვლიდა და ა.შ.

5. წერის შემდგომი ეტაპი.

სთხოვეთ ჯგუფებს, გადათეთრებამდე კიდევ ერთხელ დაუბრუნდნენ ნაწერებს საბოლოო რედაქტირებისათვის. გაასწორონ ის ენობრივი (გრამატიკული და ორთოგრაფიული შეცდომები) და შინაარსობრივი ხარვეზები, რომლებიც გამოეპარათ პირველი გასწორებისას.

გადათეთრების შემდეგ ჯგუფები წარადგენენ საკუთარ ნამუშევრებს შესაბამის ნახატებთან ერთად. განიხილავენ, მსჯელობენ, ადარებენ ერთმანეთს და ა.შ.

აუცილებლად, მიეცით მოსწავლეს შესაძლებლობა, წაიკითხოს და გაეცნოს სრულად შედგენილ ზღაპარს.

კითხვასთან დაკავშირებული სირთულეების შემთხვევაში, წაახალისეთ ყურადღებით მოისმინოს ჯგუფის სხვა წევრის მიერ წაკითხული ზღაპარი.

6. შეფასება.

აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ შეფასების მიზანი სწავლის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფა და სწავლების პროცესში თითოეული მოსწავლის განვითარებისათვის მაქსიმალურად ხელშეწყობა უნდა იყოს. ამიტომ, მოსწავლეთა მიღწევის დონე შეამოწმეთ არა ნიშნების დასაწერად, არამედ მათ დასახმარებლად. შესაბამისად, შეაფასეთ მოსწავლეები არა სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებთან, არამედ საკუთარ მიღწევებთან მიმართებით.

შეფასებისას გამოიყენეთ შემდეგი კრიტერიუმები:

- პირობასთან შესაბამისობა (იცავს თუ არა შინაარსობრივ მოთხოვნებს);
- კომუნიკაციური უნარ-ჩვევები (იცავს თუ არა აზრობრივ და ლოგიკურ კავშირებს; გასაგებად და თანმიმდევრულად აყალიბებს თუ არა აზრს / სათქმელს);
- ენობრივი უნარ-ჩვევები (იცავს თუ არა ენობრივ-გრამატიკულ და ორთოგრაფიულ სიზუსტეს; ადეკვატურად იყენებს თუ არა ლექსიკას; სათანადოდ ხმარობს თუ არა სასვენ ნიშნებს);
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევები (ავლენს თუ არა ფანტაზიის / წარმოსახვის უნარს; იჩენს თუ არა ორიგინალობას);
- სოციალური უნარ-ჩვევები (ავლენს თუ არა მუშაობისას სხვებთან თანამშრომლობისა და ამ პროცესში კონსტრუქციული ურთიერთობების უნარს).

მეექვსე კლასი

აქტივობა 1. ჩატარებული კვლევის მიხედვით მარტივი წერილობითი ანგარიშის შედგენა

აქტივობის მიზანი:

- კვლევის უნარ-ჩვევების განვითარება;
- წერილობითი ანგარიშის კომპოზიციური და ენობრივი მახასიათებლების გაგებისა და გამოყენების უნარის განვითარება.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(II).10

- მიზნის, თემისა და რესპონდენტის გათვალისწინებით ადგენს სხვადასხვა სახის პრაგმატულ ტექსტებს;
- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას და ხსნის მას.

ქართ.დაწყ.(II).11

- სათანადოდ იყენებს სტრუქტურულ-კომპოზიციურ ელემენტებს წერილობითი ტექსტის შედგენისას;
- მიზნის შესაბამისად იყენებს სათანადო ლექსიკურ და გრამატიკულ საშუალებებს;
- სწორად იყენებს ირიბ ნათქვამსა და ციტირებას; ფუნქციური ტექსტების შესადგენად იყენებს სხვადასხვა სტილისტურ თუ ენობრივ-გრამატიკულ საშუალებას;
- სწორად იყენებს სასვენ ნიშნებს;
- კონტექსტის მიხედვით მართებულად იყენებს ენობრივად სწორ, დასაშვებ და შესაძლებელ ფორმებს.

ქართ.დაწყ.(II).12

- წერის დაწყებამდე განსაზღვრავს წერითი ნამუშევრის მიზანსა და აუდიტორიას;
- შეარჩევს სათანადო სტილს და ენობრივ საშუალებებს;
- წერის დაწყებამდე ადგენს გეგმას;
- ადგენს და/ან იყენებს გრაფიკულ მაორგანიზებლებს ინფორმაციის დახარისხების, შეჯამების და სხვ. მიზნით;
- ტექსტის შედგენისას იყენებს მოდელს/მინიშნებებს, საყრდენებს;
- სხვადასხვა სახის ტექსტების შედგენისას ითვალისწინებს ტექსტის შინაარსობრივ, კომპოზიციურ და სტრუქტურულ მახასიათებლებს;
- გადაიკითხავს ნაწერს და ჩაასწორებს მას აზრობრივი, ენობრივ-სტილური და პუნქტუაციის თვალსაზრისით;
- აზრობრივი სრულყოფის მიზნით, დამატებით სვამს ტექსტში საჭირო სიტყვებსა და გამოთქმებს;
- ამოწმებს ტექსტში გამოყენებულ ფორმებს და სიტყვათშეხამებებს ენის მოქმედი ნორმების მიხედვით.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

უნდა გავითვალისწინოთ, რომ მსგავსი აქტივობები თავისი არსით კომპლექსურია და წერითი უნარების ფლობასთან ერთად ზეპირმეტყველების (მოსმენა / ლაპარაკის) უნარების ფლობასაც გულისხმობს. თავად აქტივობა რამდენიმე ეტაპად ხორციელდება: 1. კვლევის დაგეგმვა / ორგანიზება; 2. კვლევის განხორციელება; 3. კვლევის შედეგების მიხედვით წერილობითი ანგარიშის მომზადება; 4. ანგარიშის წარდგენა / პრეზენტირება.

მსგავსი აქტივობების ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ მოსწავლეებს ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ვასწავლოთ ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება - შენება. ეს პროცესი გულისხმობს მოსწავლეთა ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებას, მათ წახალისებას, რათა შეძლონ ფაქტების, მოვლენებისა და ცნებების ანალიზი და ინტერპრეტაცია.

კვლევაზე დაფუძნებული აქტივობები ხელს უწყობს სააზროვნო უნარ-ჩვევების (ანალიზისა და სინთეზის) განვითარებას - საკითხის, პრობლემის გაანალიზებას, რომელიც თავის მხრივ მოითხოვს განსხვავებულ აზრთა შედარება-შეპირისპირებას, კონკრეტული მიზეზების ახსნას, გარკვეული პროცესების კანონზომიერების გამოვლენას, მიზეზებსა და შედეგებს შორის კავშირის დადგენასა და შესაბამისი დასკვნების გაკეთებასა და ა.შ.

1. დაიწყეთ მუშაობა მოსამზადებელი მინიაქტივობების განხორციელებით. მიეცით ჯერ მარტივი დავალება და თანდათან გაართულეთ. გთავაზობთ შესაბამის ნიმუშს:

მოსამზადებელი აქტივობა.

ა) გააცანით მოსწავლეებს კვლევის საგანი და შემდეგ მიეცით კონკრეტული დავალება.

კვლევის საგანი: *ვინ რას უთმობს ყველაზე მეტ დროს: კომპიუტერს, წიგნს თუ ტელევიზორს?*

დავალება: ჩაატარეთ მინიგამოკითხვა კლასში, შეაჯამეთ მიღებული მონაცემები და გაგვაცანით თქვენი შედეგები.

ბ) მოამზადეთ მოსწავლეები გამოკითხვის ჩასატარებლად. განუსაზღვრეთ რესპონდენტთა რაოდენობა - 10 (თუმცა, კონკრეტული რიცხვის დასახელებისას გაითვალისწინეთ კლასში მოსწავლეთა საერთო რაოდენობა). დაურიგეთ გამოკითხვის ფურცლები და გააცანით პირობები.

გამოკითხვის ფურცელი:

		რას უთმობ ყველაზე მეტ დროს?		
მონაცემები (სახელი/გვარი)		კომპიუტერს	წიგნს	ტელევიზორს
1	გოგოლაძე ანა		✓	
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				
10				

პირობები:

- რესპოდენტებმა უნდა უპასუხონ ერთადერთ შეკითხვაზე: *ჩამოთვლილთაგან რომელს უთმობენ ყველაზე მეტ დროს - კომპიუტერს, წიგნს თუ ტელევიზორს?* მიღებული პასუხი გამოკითხვის ავტორმა უნდა მონიშნოს ცხრილის შესაბამის უჯრაში (იხ. ნიმუში ცხრილში).
- რესპონდენტთა შერჩევისას დაიცავით გენდერული ბალანსი (5 ბიჭი და 5 გოგო).
- ნუ გააცნობთ რესპონდენტთა ვინაობას ერთმანეთს და გამოკითხვის პროცესში ნუ გაასაჯაროვებთ თქვენს მონაცემებს.

იმისათვის, რომ საკლასო ატივობა სახალისო გამოვიდეს, სხვადასხვა მოსწავლემ სხვადასხვა საკითხი შეიძლება იკვლიოს: მაგ. კვლევის საგანი შეიძლება იყოს: რომელი ცოცხალი არსების ყოლაა პოპულარული: ძაღლის, კატის, თევზების/ფრინველებისა და ა.შ.

გ) გამოკითხვის დასრულების შემდეგ დაურიგეთ მოსწავლეებს ნაკლული ტექსტის ჩარჩო და მიეცით კონკრეტული დავალება: *გამოიყენეთ თქვენი კვლევის შედეგები და შეავსეთ მოცემული ტექსტი სათანადო მონაცემებით.*

კვლევა ჩატარდა _____, _____.
(თარიღი: წელი, თვე, რიცხვი) (სად / ვისთან)

გამოკითხულთა საერთო რაოდენობა იყო _____.

კვლევის საგანი იყო შემდეგი: _____

_____

კვლევის შედეგები ასე გადანაწილდა:

1. კომპიუტერს ყველაზე მეტ დროს უთმობს _____ მოსწავლე.
2. ტელევიზორს _____
3. წიგნს _____

დ) წაახალისეთ მოსწავლეები წარადგინონ საკუთარი ინფორმაცია კლასის წინაშე.

2. ამის შემდეგ შესთავაზეთ ახალი კვლევის ჩატარება. იმუშავეთ იმ თანმიმდევრობის დაცვით, როგორც ზემოთ გაჩვენეთ. გთავაზობთ კვლევისთვის საჭირო ძირითად ინფორმაციასა და რესურსებს.

ა) ინსტრუქცია 1: აირჩიეთ 5 თანაკლასელი და ჩაატარეთ მინიგამოკითხვა. ჩაწერეთ მათი პასუხები შესაბამის უჯრებში. შეკრიბეთ მონაცემები.

გამოკითხვის ფურცელი *(აქვე გთავაზობთ შევსების მარტივ პრინციპს სანიმუშოდ):*

	სახელი _____	სახელი _____	სახელი _____	სახელი _____
I. რომელი გადაცემა მოგწონს / არ მოგწონს?				
1. საინფორმაციო 2. გასართობი 3. მუსიკალური 4. სერიალები 5. შემეცნებითი 6. სპორტული 7. დოკუმენტური ფილმი	მომწონს: 2. 3. 5. არ მომწონს: 1. 7.			
II. რას უყურებ: ყველაზე ხშირად, იშვიათად, არ უყურებ საერთოდ				
1. საინფორმაციო 2. გასართობი 3. მუსიკალური 4. სერიალები 5. შემეცნებითი 6. სპორტული 7. დოკუმენტური ფილმი	ყველაზე ხშირად: 2. 5 იშვიათად: 6. 4. საერთოდ არ ვუყურებ: 1.			

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს **აღენიშნება კითხვასთან დაკავშირებული სირთულეები,** შესაძლებელია წერილობითად მოცემულ საკვლევ ცვლადებთან ერთად, ცხრილში მათი გამოსახულებების მოთავსება. ეს გაუადვილებს მოსწავლეს ცხრილში ორიენტირებას და, შესაბამისად, მის შევსებასაც.

ბ) ინსტრუქცია 2. პასუხებზე დაყრდნობით, გააკეთეთ ამ გადაცემების რეიტინგი.

1. გადაცემა, რომელიც ყველაზე ძალიან მოსწონთ. _____
2. გადაცემა, რომელიც არ მოსწონთ. _____
3. გადაცემა, რომელსაც:
   - ყველაზე ხშირად უყურებენ. _____
   - იშვიათად უყურებენ. _____
   - საერთოდ არ უყურებენ. _____

გ) დამატებითი ენობრივი რესურსი: გააცანით მოსწავლეებს ამ ტიპის ტექსტების ენობრივი მახასიათებლები (ფორმულები, კლიშეები), ყურადღება გაამახვილებინეთ სტრუქტურაზე, განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების ფუნქციაზე - *რას გამოხატავს, რის შესახებ იძლევა ინფორმაციას* და ა.შ. აუხსენით მოსწავლეებს, რომ მოცემული ენობრივი რესურსი მათ დასჭირდებათ კვლევის წერილობითი ანგარიშის შესაქმნელად.

როგორც ჩატარებული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, მოსწავლეთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ...

კვლევამ გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას ...

კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების აზრით, ...

რესპოდენტთა ერთი ნაწილის აზრით, ...

გამოკითხულ მოსწავლეთა ნახევარი / ... პროცენტი მიიჩნევს, რომ ... / აცხადებს, რომ ...

გამოკითხული მოსწავლეების მხოლოდ ... პროცენტი თვლის, რომ ...

გამოკითხულ მოსწავლეთა დაახლოებით მესამედს სურს, რომ ...

გამოკითხულ რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა თავი შეიკავა აზრის გამოთქმისაგან ...

გამოკითხულ რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილი აცხადებს, რომ ...

მოსწავლის შესაძლებლობის გათვალისწინებით, განსაზღვრეთ კვლევის წერილობითი (ან ზეპირი) ანგარიშის სირთულე. საჭიროების შემთხვევაში, გაამარტივეთ გამოყენებული ლექსიკა და სინტაქსური კონსტრუქციები, მაგ. ზოგიერთ შემთხვევაში, რეკომენდებული იქნება სიტყვა რესპონდენტის ჩანაცვლება ნაცნობი სიტყვით.

თუკი მოსწავლისთვის უცნობია პროცენტის, წილების მნიშვნელობა, არ მოსთხოვოთ ამ ერთეულების გამოთვლა. სთხოვეთ, ცხრილის მონაცემების ანალიზი ნაცნობი ერთეულებით, მაგ. მხოლოდ რაოდენობების მითითებით. შესაბამისად, ნაცვლად ფორმულირებისა, "გამოკითხულ მოსწავლეთა დაახლოებით მესამედს სურს .....", გამოიყენეთ შემდეგი მარტივი ფორმულირება: "მხოლოდ ორ მოსწავლეს სურს ...."

დ) ბოლოს, სთხოვეთ მოსწავლეებს, საკუთარ მონაცემებზე დაყრდნობით (გამოკითხვის შედეგები, გადაცემების რეიტინგი) შეადგინონ წერილობითი ანგარიში და გააცნონ ერთმანეთს.

აქტივობა 2. შემოქმედებითი წერა მოდელისა და გრაფიკული მაორგანიზებლების გამოყენებით (მოთხრობის შექმნა)

აქტივობის მიზანი:

- ფანტაზიის / წარმოსახვის უნარის განვითარება;
- სასწავლო საქმიანობის (შემოქმედებითი წერის პროცესის) მართვის უნარ-ჩვევების გამოვლენა (დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება);
- მოდელისა და გრაფიკული მაორგანიზებლების გამოყენებით მცირე ზომის ფანტასტიკური ჟანრის ამბის შეთხზვა.

შეფასების ინდიკატორები:

ქართ.დაწყ.(II).10

- თანამიმდევრულად და ლოგიკური ხაზის დაცვით გადმოსცემს სათანადო ინფორმაციას, განცდილ შთაბეჭდილებას, ფაქტებსა და მოვლენებს;
- ავლენს ფაქტისადმი (მოვლენისადმი) საკუთარ დამოკიდებულებას, ახერხებს მის ემოციურ შეფასებას.

ქართ.დაწყ.(II).11

- სათანადოდ იყენებს სტრუქტურულ - კომპოზიციურ ელემენტებს (სათაურს, აბზაცს, სხვ.) წერილობითი ტექსტის შედგენისას;
- მხატვრული ტექსტის შედგენისას ცდილობს ნაცნობი მხატვრული ხერხების (ეპითეტის, შედარების, მეტაფორის) გამოყენებას;
- მიზნის შესაბამისად იყენებს სათანადო ლექსიკურ და გრამატიკულ საშუალებებს
- მართებულად იყენებს მისათითებელ სიტყვებსა და კავშირებს (წევრ-კავშირებს) მიზეზშედეგობრიობისა თუ სხვა მიმართებების გადმოსაცემად;
- სწორად იყენებს სასვენ ნიშნებს;
- კონტექსტის მიხედვით მართებულად იყენებს ენობრივად სწორ, დასაშვებ და შესაძლებელ ფორმებს.

ქართ.დაწყ.(II).12

- წერის მოსამზადებელ ეტაპზე მონაწილეობს იდეების გენერირებაში;
- წერის დაწყებამდე ადგენს გეგმას;
- ადგენს და/ან იყენებს გრაფიკულ მაორგანიზებლებს ინფორმაციის დახარისხების, შეჯამების და სხვ. მიზნით;
- ტექსტის შედგენისას იყენებს მოდელს/მინიშნებებს, საყრდენებს, ითვალისწინებს მის შინაარსობრივ, კომპოზიციურ და სტრუქტურულ მახასიათებლებს;
- გადაიკითხავს ნაწერს და ჩაასწორებს მას აზრობრივი, ენობრივ-სტილური და პუნქტუაციის თვალსაზრისით;
- აზრობრივი სრულყოფის მიზნით, დამატებით სვამს ტექსტში საჭირო სიტყვებსა და გამოთქმებს; ამოწმებს ტექსტში გამოყენებულ ფორმებს და სიტყვათშეხამებებს ენის მოქმედი ნორმების მიხედვით.

აქტივობის ეტაპობრივი აღწერა და მეთოდური მითითებები

იმუშავეთ იმ თანმიმდევრობის დაცვით, როგორც მოცემულია ზღაპრის შემთხვევაში (იხ. ზემოთ, გვ. 244). აქ გთავაზობთ მოთხრობის შესაქმნელად საჭირო ინფორმაციას, ძირითად რეკომენდაციებსა და რესურსებს.

აკონტროლეთ მუშაობის პროცესი და მინიმალურად ჩაერიეთ მოსწავლეთა გადაწყვეტილებებში. მთავარია, რომ მკაფიოდ აუხსნათ შეთავაზებული დავალებები და დარწმუნდეთ, რომ ყველამ გაიგო, რას ითხოვენ მისგან. მნიშვნელოვანია, რომ მომზადების პროცესში მიცემული საყრდენები (როგორც რესურსი, ისე კონკრეტული ნიმუშები) მოსწავლეებთან ერთად გაიაროთ და შემდეგ მისცეთ დრო და საშუალება საკუთარი იდეების გენერირებისათვის.

მოცემულ აქტივობაზე მუშაობას დაუთმეთ იმდენი გაკვეთილი, რამდენიც საჭირო იქნება (შესაძლებელია, ამას დასჭირდეს ორი ან სამი გაკვეთილიც).

1. გამოწვევა. ჰკითხეთ მოსწავლეებს მოთხრობის შესახებ: რა არის მოთხრობა? რით განსხვავდება ის სხვა ლიტერატურული ჟანრისგან (მაგ., *ლექსისგან, პოემისგან, ზღაპრისგან, ლეგენდისგან, იგავ-არაკისგან*)? რა ელემენტებისგან შედგება მოთხრობა?

2. ამის შემდეგ იმუშავეთ მოთხრობის შინაარსობრივ, სტრუქტურულ და ენობრივ მახასიათებლებზე.

ა) რა არის მოთხრობისთვის საჭირო? ვარაუდების გამოთქმის შემდეგ დააკონკრეტეთ ეს ინფორმაცია:

ა) **ფაბულა** (ის, რაც საფუძვლად უნდა დაედოს მოთხრობის სიუჟეტს; ამბავი, რომელიც უნდა განვითარდეს)

ბ) **სივრცე და დრო** (სად და როდის ვითარდება მოვლენები)

გ) **პერსონაჟები** (მთავარი და მეორეხარისხოვანი პერსონაჟები)

დაუკონკრეტეთ მოვლენათა განვითარების დრო და სივრცე:

დრო და სივრცე

ა. **მოვლენათა განვითარების დრო:** როდის იწყება და როდის მთავრდება; როდიდან როდემდე გრძელდება (*წელიწადის რა დროს, დღე-ღამის რომელ მონაკვეთში, რომელ საათზე* და ა.შ.);

ბ. **მოვლენათა განვითარების ადგილი:** სად დაიწყო, სად გაგრძელდა და სად დასრულდა (მაგ., *ტყეში, ქალაქის გარეუბანში, ტრიალ ველზე, მიტოვებულ სახლში, უცხოპლანეტელების ხომალდზე; იქ, სადაც დაიწყო; იქიდან ძალიან შორს* და ა.შ.).

ცალკე შეეხეთ მთავარ და მეორეხარისხოვან პერსონაჟებს და დააზუსტეთ მათ შორის არსებული განსხვავება:

პერსონაჟები

მთავარი პერსონაჟ(ებ)ი - ადამიან(ებ)ი, რომლის გარშემოც ეს ამბავი უნდა განვითარდეს; ამ ამბების მთავარი მონაწილე.

მეორეხარისხოვანი პერსონაჟები - ადამიანები, რომლებიც ამბის განვითარებისას კონკრეტულ დროსა და სივრცეში მთავარ პერსონაჟ(ებ)თან პირდაპირ თუ ირიბად ურთიერთობენ და მოვლენების განვითარებაში მონაწილეობენ.

- იმისათვის რომ მოსწავლეები გაერკვნენ მოთხრობის მახასიათებლებში, განსაზღვრეთ ისინი კონკრეტული მოთხრობის მაგალითზე. წაუკითხეთ მოთხრობა და გააანალიზეთ - რა არის მოთხრობის ფაბულა, სად განვითარდა მოვლენა და როდის, ვინ არის მთავარი მოქმედი გმირი და ვინ - მეორე ხარისხოვანი.
- მოთხრობის ანალიზისთვის, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენეთ სიუჟეტური სურათები;
- გაამარტივეთ მოთხრობის სინტაქსური და სემანტიკური კომპონენტები.

3. გააცანით მიზანი - *ვისწავლით მოთხრობის წერას და დავწერთ ფანტასტიკური ჟანრის მოთხრობას.* დაინტერესდით, *უყვართ თუ არა ფანტასტიკურ თემაზე შექმნილი ფილმები, წიგნები? ამ ჟანრის რომელი ფილმი აქვთ ნანახი? რომელი წიგნი აქვთ წაკითხული? სთხოვეთ, გადმოსცენ, კონკრეტულად რა თემაზე იყო? რა უდევს საფუძვლად ამბავს? სად ვითარდება მოვლენები და როდის? ვინ არიან მთავარი გმირები? განსაკუთრებით რით დაამახსოვრდათ ეს ფილმი/წიგნი? რამ მოხიბლათ?* და ა.შ. ამის შემდეგ მიეცით კონკრეტული დავალებები:

საჭიროების შემთხვევაში, ახსენით ფანტასტიკური ჟანრის მოთხრობა და მისი მახასიათებლები. მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები, მოყევით სიუჟეტი; გაამახვილეთ ყურადღება, რა მახასიათებლების გამოა აღნიშნული მოთხრობა ფანტასტიკური ჟანრის.

ა) გააცანით ფაბულა, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს მათ შეთხზულ ამბავს.

ფაბულა: მარტოხელა ადამიანი ღამით გზაზე მშვიდად მიდის და უცებ აღმოაჩენს შემოვლით გზას, რომელიც მალე იკარგება. შემდეგ კი მფრინავი თეფში გამოჩნდება და მას იტაცებენ.

ბ) გააცანით სანიმუშო ვარიანტები ამბის დასაწყისისა და დასასრულისათვის და მიეცით კონკრეტული რეკომენდაციებიც.

დასაწყისი	**დასასრული**
ა. შესაძლებელია, დაიწყოს მთავარი პერსონაჟის გაცნობით; ბ. აღიწეროს ის გარემო, სადაც მოვლენები უნდა დაიწყოს და შემდეგ განვითარდეს; გ. მეტი ემოციურობისათვის, შესაძლებელია, პირდაპირ დაიწყოს უცნაური მოქმედება და ა.შ.	როცა თვალი გაახილა (გავახილე), ისევ იქ იყო (ვიყავი), საიდანაც... იმ შემთხვევის შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ... ამ ამბავმა მთლიანად შეცვალა მისი (ჩემი) ცხოვრება. ამის შემდეგ მან მყარად გადაწყვიტა ...
რეკომენდაციები	
აქ ყველაფერი უნდა გაიხსნას. მკითხველი არ უნდა დარჩეს გაურკვეველ მდგომარეობაში და არ უნდა დასვას მან ასეთი კითხვა: *კი, მაგრამ, როგორ დამთავრდა, მერე რა მოხდა?!...* მკითხველმა უნდა გამოიტანოს დასკვნა, რა იყო მოთხრობის მთავარი გზავნილი.	

გ) ამის შემდეგ მიეცით კონკრეტული სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ სიუჟეტის მოფიქრებისას:

ვინ არის ეს ადამიანი? სად და რატომ მიდის ღამით? მარტო მიდის თუ ვინმესთან ერთად? რატომ გადაწყვეტს შემოვლითი გზით წასვლას? რომელი მხრიდან და როგორ გამოჩნდება მფრინავი თეფში? რა მოჰყვება მის გამოჩენას? სად წაიყვანენ უცხოპლანეტელები მას და რატომ? რა მოხდება იქ - რა მოჰყვა მათ შეხვედრას განსაკუთრებული, დამეგობრდნენ, დაეხმარნენ ....? რით დამთავრდება ეს ყველაფერი - საბოლოოდ წაიყვანეს ის თუ დააბრუნეს? და ა.შ.

საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებს შეკითხვები მიაწოდეთ არა ერთდროულად, არამედ თანმიმდევრობით, რაც მათ სიუჟეტის თანდათან გაშლაში დაეხმარებათ.

თუ ზოგიერთი მოსწავლე პასიურობას გამოავლენს შეკითხვებზე პასუხის გაცემისას, შესაძლებელია მიზანშეწონილი გახდეს, კონკრეტულ მოსწავლეს კონკრეტული შეკითხვა შეურჩიოთ და პირადად მას დაუსვათ. შეკითხვა მოსწავლის შესაძლებლობის ადექვატური, თუმცა გამოწვევის შემცველი უნდა იყოს.

მოერიდეთ მოსწავლისთვის ისეთი შეკითხვების მიცემას, რომლებიც მექანიკურ პასუხებს შეიცავს და არ მოითხოვს მისგან მიზანმიმართულ დაფიქრებას, აზროვნების პროცესების გააქტიურებას.

დ) კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელზეც უნდა დაფიქრდნენ მოსწავლეები, არის დედამიწაზე უცხოპლანეტელების გამოჩენის კონკრეტული მიზეზი ან მიზანი, რაც დაეხმარება მათ მოვლენათა განვითარებაში - *რატომ / რისთვის ჩამოვიდნენ?* შესთავაზეთ კონკრეტული ვარიანტები, მაგალითად:

- უცხოპლანეტელებს კეთილი მიზნები ამოძრავებთ;
- მათ უნდათ ადამიანებთან დაახლოვება, გაცნობა, ურთიერთობა, პირადი კონტაქტების დამყარება;
- დედამიწაზე განსაკუთრებული მისია ჰქონდათ შესასრულებელი და ა.შ.

ე) შეადგენინეთ სიუჟეტის განვითარების **ძირითადი გეგმა,** რომელსაც გაჰყვებიან მოსწავლეები წერის პროცესში (თუმცა, იქვე აუხსენით, რომ ეს გეგმა საბოლოო არ არის და მასში ცვლილებების შეტანა - რაიმეს დამატება / მოკლება მუშაობის პროცესში შესაძლებელია). მთავარია, რომ მოსწავლეებმა გეგმის შედგენისას გაითვალისწინონ შემდეგი: *მოვლენები (იგივე ეპიზოდები) უნდა განავითარონ ლოგიკური თანამიმდევრობით (ქრონოლოგიური, მიზეზშედეგობრივი და ა.შ., მაგ., რა მოხდა ჯერ და რა შემდეგ და რატომ?); ისინი გარკვეული ლოგიკური ნიშნით უნდა უკავშირდებოდნენ ერთმანეთს.*

ნიმუში:

1. კაცს ურეკავენ (ან მე მირეკავენ). სასწრაფოდ უნდა მივიდეს (ან მივიდე) ავადმყოფთან. შუაღამეა.
2. გზაში მანაქანა ფუჭდება და ფეხით აგრძელებს (ან ვაგრძელებ) გზას.
3. დაინახავს (ან დავინახავ) შემოვლით გზას და ა.შ.

ვ) დააბრუნეთ გეგმასთან და სთხოვეთ მიანიშნონ, სად, რომელ ეპიზოდში შეიძლება, რომ გამოიყენონ *ბუნების/ამინდის აღწერა* და რა ფუნქცია ექნება მას, მაგალითად:

- პერსონაჟის განწყობის, ემოციის უკეთ გამოსაჩენად (მაგ., *თუ პერსონაჟი მშიშარაა, მის შიშს აძლიერებს მოულოდნელი ქარის ამოვარდნა; სადღაც უეცარი ხმაური, ფოთლების შრიალი* და ა.შ.);
- რაღაც დაბრკოლების შესაქმნელად ან პირიქით, (მაგ., *პერსონაჟი ფეხით მიდის. ამ დროს მოულოდნელად ამინდი იცვლება, გრიგალი ამოვარდება, უეცრად ჩამობნელდება, თავსხმა იწყება, რაც ხელს შეუშლის მას დანიშნულების ადგილას სწრაფად მისვლაში / ან დაეკარგება მნიშვნელოვანი ნივთი* და ა.შ.).

4. პერსონაჟებზე მუშაობა.

განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილებინეთ პერსონაჟებზე.

ა) მიეცით დრო იმისათვის, რომ მოიფიქრონ მთავარი და დამატებითი პერსონაჟები. დაურიგეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი, რომელიც უნდა შეავსონ საკუთარი პერსონაჟების შესახებ საჭირო ინფორმაციით (პერსონაჟთა რაოდენობა თავად მოსწავლემ უნდა განსაზღვროს).

	პირადი მონაცემები (ვინაობა, ასაკი, საქმიანობა)	**გარეგნობა** (ფიზიკური მონაცემები, ჩაცმულობა)	ხასიათის **თვისებები, ემოციები, ინტერესები...**
1.			
2.			
3.			
4.			

ბ) ამის შემდეგ მიეცით ქვემოთ მოცემული დამატებითი საყრდენები (ჯერ წაუკითხეთ ხმამაღლა და შემდეგ დაურიგეთ ყველას), რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს პერსონაჟების შესახებ სრული ინფორმაციის მოფიქრებაში. ამ დავალების შესასრულებლადაც მიეცით საკმარისი დრო:

1. **მოიფიქრეთ, რატომ არიან ისინი ასეთები** (მაგალითად, *კარგი / ცუდი; ჭკვიანი / სულელი; ბოროტი / კეთილი* და ა.შ.). მოხაზე სავარაუდო სიტუაციები, სადაც ისინი ამ თვისებებს ავლენდნენ ან, საჭიროების შემთხვევაში, გამოავლენენ.
2. **იფიქრეთ, რატომ აირჩიეს უცხოპლანეტელებმა მაინცდამაინც ის** (*იმიტომ, რომ ჭკვიანია; თავისი საქმის მცოდნეა; ან ბოროტია, ცუდია და უცხოპლანეტელებთან შეხვედრამ ის მთლიანად უნდა შეცვალოს, სხვა ადამიანად უნდა აქციოს* და ა.შ.).
3. **მოიფიქრეთ და გამოკვეთეთ მათი განცდები და ემოციები სხვადასხვაგვარად:**
   - მისი ქცევით, რეაქციით (მაგ., *შიშისაგან ერთ ადგილზე გაშეშდა / კანკალი დაიწყო / მუხლებში ძალა გამოეცალა...; სიხარულისაგან ერთ ადგილზე ხტუნვა დაიწყო...*
   - მისი რეპლიკებით (მაგ., როგორ მიხარია თქვენი ნახვა! რა საშინელებაა!...)

5. ენობრივ რესურსებზე მუშაობა

ა) მიეცით ახალი ცხრილი და სთხოვეთ, საკუთარ გეგმაზე დაყრდნობით შეავსონ ჯერ ცხრილის პირველი სვეტი (გარემოება / სიტუაცია). ამის შემდეგ ჩაწერონ კონკრეტულ სიტუაციაში პერსონაჟის სავარაუდო ემოცია და ქცევა. სანიმუშოდ აიღეთ ერთი ან ორი სიტუაცია და მოსწავლეებთან ერთად შეავსეთ.

	გარემოება (სიტუაცია)	**პერსონაჟის განცდა/ ემოცია** (როგორია?)	**პერსონაჟის ქცევა/მოქმედება** (რას აკეთებს, რა გააკეთა?)
1.	მარტო მიდის გზაზე, ღამეა.	ჩაფიქრებული, დარდიანი... მხიარული შეშინებული (სიბნელის ეშინია)	მღერის, უსტვენს... ტელეფონზე საუბრობს... თავის თავს ხმამაღლა ელაპარაკება... აკანკალებული აქეთ-იქით იყურება...
2.	უცებ მფრინავი თეფში გამოჩნდა.	აცახცახებული, გაოცებული, თვალებდაჭყეტილი...	კაცი ერთ ადგილზე გაშეშდა; ხელების ქნევა დაიწყო; ყვირილი ატეხა; გაიქცა; ერთ ადგილზე ხტუნვა დაიწყო; ხის უკან დაიმალა; ორმოში ჩაძვრა ...
3.			
4.			

ბ) მოსწავლეებთან ერთად მოიფიქრეთ დროისა და სივრცის გამომხატველი მარკერები (სიტყვები, სიტყვათშეხამებები, ფრაზები), რომელთაც გამოიყენებენ მოსწავლეები წერისას:

დროში ორიენტაცია	**სივრცეში ორიენტაცია**
მალე, ცოტა ხანში, ამასობაში, ერთი საათის განმავლობაში, მცირე ხნის შემდეგ, მეორე დღეს, მოულოდნელად, მაშინვე, ერთ წამში, იმ დროს ... როცა..., მაშინ... როცა..., ისევე სწრაფად, როგორც ..., მაშინათვე, პირველად, საბოლოოდ ...	მეზობელ ქალაქში, ქალაქგარეთ, ერთ პატარა სოფელში, სადღაც შორს, ათიოდე მეტრში, ერთ კილომეტრში, იმ ადგილიდან შორს / ახლოს; იქ სადაც; ტყეში / ტყის პირას / ტყისკენ; ორ ნაბიჯში, ----თან ახლოს / შორს...

გ) მოსწავლეებს შესთავაზეთ, მოვლენის, საგნის და ა.შ. აღწერისას გამოიყენონ ხუთივე გრძნობა. ამისათვის მიეცით კონკრეტული ვარიანტები ნიმუშთან ერთად.

ვარიანტები:

1. სმენა (რა გაიგონა? - *ზუზუნი, რაღაც უცნაური ხმები, ფოთლების შრიალი...*)
2. მხედველობა (რა დაინახა? - *წითელი შუქი, მკვეთრი სინათლე, მრგვალი საგანი...*)
3. გემოვნება (როგორი გემო ჰქონდა? - *ტკბილი, მწარე, უცნაური...*)
4. ყნოსვა (რისი სუნი იგრძნო? - *დამწვარი რეზინის, ნაცნობი არომატის, ახალგამომცხვარი პურის...*)
5. შეხება (როგორია? - *მაგარი, რბილი, ცივი, ცხელი...*)

ნიმუში:

უცბად **ჩაბნელებულ** ცაზე **მფრინავი** თეფში გამოჩნდა - **დიდი, მრგვალი** და **წითელი შუქით განათებული. ზუზუნით** მოფრინავდა. ხმა თანდათან გაძლიერდა და ბოლოს უცბად შეწყდა. კაცი ჯერ ერთ ადგილზე გაშეშდა, შემდეგ ხეს ამოეფარა და **შიშისაგან აცახცახებულმა** აქეთ-იქით ყურება დაიწყო. რამდენიმე წუთის შემდეგ **ვარდისფერი კვამლი** დაინახა და რაღაც **უცნაური სუნიც** იგრძნო...

დ) ავტორის ხედვის კუთხე. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც უნდა გამოკვეთონ მოსწავლეებმა, ეს არის მთხრობელის (ანუ საკუთარი) პოზიცია. მიეცით კონკრეტული ვარიანტები და სთხოვეთ, შემოხაზონ მათთვის მისაღები.

აუხსენით ამის საჭიროება: სწორედ ამაზეა დამოკიდებული, რომელ პირში გადმოსცემს ამბავს; გამოიყენებს თუ არა პირდაპირ და ირიბ ნათქვამს და რა კონტექსტში და ა.შ.

მთხრობელის პოზიცია	
ა. ხარ მხოლოდ ავტორი;	ა. გადმოსცემ, რა მოხდა ერთხელ წარსულში;
ბ. ხარ ავტორიც და პერსონაჟიც;	ბ. გადმოსცემ მიმდინარე მოვლენებს;
გ. გამოკვეთე, მთავარი პერსონაჟი ხარ თუ არა;	გ. გადმოსცემ სხვის მონაყოლს;
დ. ხარ დედამიწელი თუ უცხოპლანეტელი.	დ. ყვები უცნაურ სიზმარს.

6. სათაურის შერჩევა. განუმარტეთ, რომ სათაური შეუძლიათ, შეარჩიონ წერის პროცესშიც, თუმცა უკეთესი იქნება, თუკი წერის დასრულების შემდეგ დაფიქრდებიან მასზე. უნდა ეცადონ, რომ სათაური იყოს მარტივი და შეიცავდეს მოთხრობის მთავარ სათქმელს. თემიდან და სიუჟეტიდან გამომდინარე, შესაძლებელია, სათაურშივე ჩაიდოს რაიმე ინტრიგა, მაგალითად: *ჩემი მარსიანელი მეგობარი; მოგზაურობა უცნაურ არსებებთან ერთად* და ა.შ.

7. დამატებით შეგიძლიათ შესთავაზოთ დიაგრამაც, როგორ შეიძლება იმუშაონ კონკრეტული მოვლენის / სიტუაციის განვითარებაზე. გთავაზობთ ნიმუშს ერთი ეპიზოდისათვის:



8. ბოლოს, როდესაც დარწმუნდებით, რომ მოსწავლეები მზად არიან წერის დასაწყებად, შესთავაზეთ სამუშაოს შესრულება.

9. ნამუშევრების რედაქტირებისა და შეფასებისათვის იხ. ზემოთ მოცემული რეკომენდაციები (გვ. 244 ზღაპრის შექმნა).

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ
2. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2017-2023
3. ქართული ენა, 1 დონე (მოსწავლის წიგნი და მოსწავლის რვეული), ავტორები: მ. მელიქიძე, ნ. გორდელაძე, 2011 წ.
4. დედა ენა იაკობ გოგებაშვილის მიხედვით, I კლასის სახელმძღვანელო, ავტორები: ნ. გორდელაძე, გ. ჩხენკელი, 2011 წ.
5. „დედა ენის“ კვალზე, II კლასის სახელმძღვანელო, ავტორები: ნ. გორდელაძე, თ. კუხიანიძე, 2011 წ.
6. ქართული ენა და ლიტერატურა, V კლასი, ავტორები: ნ. გორდელაძე, თ. კუხიანიძე, 2013 წ.
7. დედა ენა, I კლასის სახელმძღვანელო, ავტორები: ნ. მაღლაკელიძე, ც. ყურაშვილი, ე. მაღლაკელიძე, 2011 წ.
8. ქართული ენა და ლიტერატურა, IV კლასის სახელმძღვანელო, ავტორები: ნ. მაღლაკელიძე, ც. ყურაშვილი, ე. მაღლაკელიძე, 2011 წ.
9. ქართული ენა და ლიტერატურა, V კლასის სახელმძღვანელო, ავტორი ნ. მაღლაკელიძე, 2013 წ.
10. ქართული ენა და ლიტერატურა, VI კლასის სახელმძღვანელო, ავტორები: ნ.მაღლაკელიძე და ნ. ღონღაძე, 2012 წ.
11. ქართული ენა, II კლასის სახელმძღვანელო, ავტორები: ვ. როდონაია, მ. მირიანაშვილი, ლ. ვაშაკიძე, ა. არაბული, 2011 წ.
12. ქართული ენა, III კლასის სახელმძღვანელო, ავტორები: ვ. როდონაია, მ. მირიანაშვილი, ლ. ვაშაკიძე, ა. არაბული, 2011 წ.
13. ქართული ენა, IV კლასის სახელმძღვანელო, ავტორები: ვ. როდონაია, მ. მირიანაშვილი, ლ. ვაშაკიძე, 2011 წ.
14. ქართული ენა და ლიტერატურა, V კლასის სახელმძღვანელო, ავტორები: ვ. როდონაია, ნ. ნაკუდაშვილი, ავ. არაბული, მ. ხუციშვილი, 2012 წ.